მანანა იამანიძე

საქართველო ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურაში (XIII-XVIII სს.)

თ ბ ი ლ ი ს ი
2006

UPC 908(479.22)+910.4(44)
ი-21

რედაქტორი ნოდარ ნათაძე

კომპიუტერული
უზრუნველყოფა ჯული ინწკირველისა

ISBN 99940 – 67 – 19 – 2

ავტორისაგან

ევროპული მოგზაურული ლიტერატურა, რომელიც საუკუნეების მანძილზე თანდათან ვითარდებოდა და იხვეწებოდა, განუხრელად ასრულებს თავის მაღალ დანიშნულებას ადამიანთა სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის განვითარებაში.

წინამდებარე ნაშრომში მიმოხილულია ფრანგული მოგზაურული ლიტერატურის განვითარების გზები, წარმოდგენილია ფრანგ მოგზაურთა ნაწარმოებები (ტექსტები), რომლებიც ასახავს მათ შეხედულებებს, მოსაზრებებს, დამოკიდებულებებს საქართველოს სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებისადმი, ქართველთა ხასიათისა და ზნე-ჩვეულებებისადმი მათ განწყობებს.

ნაშრომი შესრულებულია სორბონის უნივერსიტეტის მოგზაურული ლიტერატურის კვლევის ცენტრსა და ადამიანის მეცნიერებათა სახლთან თანამშრომლობით 1996-2002 წლებში, ხოლო მასში მოცემული ისტორიული და ლიტერატურული მასალა მოკვლეულია პარიზის ცნობილი ბიბლიოთეკებისა და არქივების ფონდებში: საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში (Bibliothèque Nationale), ბიბლიოთეკისავე ხელნაწერთა დეპარტამენტში (Departement des Manuscrits), არსენალის ბიბლიოთეკაში (Bibliothèque de l'Arsenal), აღმოსავლური ენების ბიბლიოთეკაში (Bibliothèque Interuniversitaire des langues orientales), სორბონის ბიბლიოთეკაში (Bibliothèque de la Sorbonne), ბიზანტიურ ბიბლიოთეკაში (Bibliothèque Byzantine), სევრის ბიბლიოთეკაში (Bibliothèque de Sèvres), კათოლიკების ბიბლიოთეკაში (Bibliothèque des Catholiques), ადამიანის მუზეუმის ბიბლიოთეკაში (ტროკადერო) (Musée de l'homme – Bibliothèque), გეოგრაფიული საზოგადოების ბიბლიოთეკაში (Bibliothèque de la Societé Géographique), ადამიანის მეცნიერებათა სახლის ბიბლიოთეკაში (Bibliothèque de la Maison des Sciences de l'Homme), თანამედროვე ინტერნაციონალური დოკუმენტაციის ბიბლიოთეკაში (Bibliothèque des documentations internationale

contemporaine (à Nanterre), საფრანგეთის ნაციონალურ და საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივებში.

ფასდაუდებელი დახმარებისათვის გულითად მადლობას მოვახსენებ სორბონის უნივერსიტეტის მოგზაურული ლიტერატურის კვლევის ცენტრის დირექტორს პროფესორ ფრანსუა მუროს, ამავე ცენტრის მკვლევრებს: ბ-ნ მიშელ მერვოს, ქ-ნ სოფი-ჟენი ლინონ-შიპონს, ქ-ნ დომინიკ ლიეშტენანს, ბ-ნ სარგა მუსას, ქ-ნ ანი კარტუს, ადამიანის მეცნიერებათა სახლის დირექტორს პროფ. მორის ემარს, სწავლულ მდივანს ქ-ნ სონია კოლპარს. აგრეთვე ფრანგ კოლეგებს: ქ-ნ ანი ბერტიეს, ბ-ნ ფრანსის რიშარს, ბ-ნ ბერნარ უტიეს, ქ-ნ გილენ ალუაზიოს და ქ-ნ ფლორანს დიუპონს.

Les années de recherches à Paris sont empreintes de la marque de Monsieur François Moureau. L'accueil cordial qu'il m'a accordé au sein de son centre de Recherche sur la Littérature de Voyage m'a rempli d'orgueil et d'inspiration qui ont animé mes recherches.

Je ne peux pas oublier le precieux soutien de Monsieur Maurice Aymard qui m'a invité plusieurs fois à la Maison des Sciènces de l'Homme et manifesté l'intérêt pour mes recherches.

Je n'ai pu réaliser en toute sérénité ce lourd travail sans les conseils et le soutien de Mesdames Sophie-Jenny Linon-Chipon, Sonia Colpart Francine-Dominique Liechtenhan et Messieurs: Michel Mervaud, Sarga Moussa, Bernard Outier.

Je remercie ici tous ceux qui ont participé à la réalisation de mon travail sur les voyageurs français en Géorgie qui voit le jour grâce à eux.

III

რედაქტორისაგან

წინამდებარე წიგნი ქართველი საზოგადოებრიობისათვის საიტერესოა რამდენიმე თვალსაზრისით. ჯერ ერთი, იგი შეიცავს ძალიან მკაფიო ინფორმაციას იმაზე, თუ რა არის ე.წ. მოგზაურული ლიტერატურა — თავისებური სახეობა ლიტერატურული შემოქმედებისა, რომელსაც ფართო გავრცელება ჰქონდა ცივილიზებულ ევროპაში მაშინ, როცა ხდებოდა დედამიწის, არსებითად, მთელი სივრცის ათვისება, ამა თუ იმ სახით, კაცობრიობის ამ ყველაზე მოწინავე ნაწილის მიერ. მეორეც, იგი შეიცავს აუარებელ ახალ ფაქტს საქართველოს ისტორიიდან, რაც მოაზროვნე მკითხველს საშუალებასა და სტიმულს აძლევს ისტორიის მექნიზმებისა და ფაქტორების შემდგომი და შემდგომი ანალიზისა და გადააზრებისათვის ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველაზე ტრაგიკულსა და პრობლემებით მდიდარ საუკუნეებთან დაკავშირებით. წარმოდგენილი უხვი მასალის ეს წელილი ჩვენი ისტორიის ხედვის გამდიდრებაში მით უფრო დიდია, რომ მოგზაურები ძალიან ხშირ შემთხვევაში არ იზღუდებიან მხოლოდ ფაქტების გადმოცემით, არამედ მომხდარის ანალიზსაც და მოქმედ პირთა მოტივაციების გახსნასაც ესწრაფვიან. უდავოა, რომ ყველასთვის, ვისაც ფეოდალური საქართველოს ისტორიის უკანასკნელი რამდენიმე საუკუნის რეალისტური შემეცნება უნდა, ეს წიგნი სამაგიდო წიგნი იქნება — ინფორმაციის წყაროც და აზრის სტიმულიც.

მთლიან სურათს ჩვენი ისტორიისას, რასაც წიგნი გვიხატავს, ის დიდი ღირსებაც აქვს, რომ იგი რეალისტურია, პირუთვნელია. ფრანგ მოგზაურებს საქართველოში თავისი პრაქტიკული (უმრავლეს შემთხვევაში სახელმწიფოებრივი ინტერესებით განსაზღვრული) ამოცანები აქვთ. მათი მიზანი არაა არც პეიზაჟით დატკბობა, არც ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება. წარმოდგენილი მასალის ამ რეალისტური შემეცნებითი ფუნქციის ნაყოფი-

ერად გამოყენებისათვის უნდა გათვალისწინებული გვქონდეს ის სპეციფიკური გრემოება, რომ ეპოქაში, რომელსაც წიგნი ასახავს, საფრანგეთის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში ფართოდ იყენებს სომეხი ვაჭრების და სომხური სამღვდელოების დახმარებას, რის გამოც წარმოდგენილ მასალაში, ზოგადად, არმენოფილური ტენდენცია ჩანს.

მასალის შთამბეჭდავი სიუხვე წინამდებარე წიგნში, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ იმედი არ უნდა ვიქონიოთ ფრანგული მოგზაურული ლიტერატურის ახალი ნიმუშების აღმოჩენისა, რომლებიც საქართველოს ეხება. საფრანგეთის არქივების შემდგომი და შემდგომი შესწავლა ამ მხრივ, ალბათ, ახალ მასალას მოიტანს.

ნოდარ ნათაძე

ფრანგული მოგზაურული ლიტერატურის ისტორიისათვის

„ჭეშმარიტი მოგზაური ა ის, ვისთვისაც მოგზაურობა არც დავალებაა, არც პროფესია და, მით უმეტეს, არც შეხართობა, მოგზაურობა მისი სულიერი მოთხოვნილება და ცხოვრების არსია; როცა ეს ძლიერი შეგრძნება შეუმჩნევლად გადაიზრდება გატაცებიდან აკვიატებაში და ბოლოს ძალზე სერიოზულ მანკად ჩამოყალიბდება, მას უკვე ჰაერივით სჭირდება მუდმივი მოძრაობა, თვალუწვდენელი სივრცე, ახალი ჰორიზონტები, უცნობი სახეები. უცხო ქვეყნის, უდაბნოს, სავანეს, ნანგრევებისა თუ უდაბური კუნგლების სახელის გაგონებისას, ახალდაბრუნებულიც რომ იყოს, მას, ნოსტალგიით შეპყრობილს, გული მაინც მიუწევს მოგზაურობისაკენ, თვალები უცნაურად ენთება და მღელვარებისაგან ხმაც კი ეცვლება“ [1]. „მსოფლიოს სტუმრების“ ეს იდეალური ტიპი დიდი იშვიათობაა შუა საუკუნეებისა და კლასიციზმის პერიოდში, ის მხოლოდ XIX საუკუნიდან ჩნდება მოგზაურული ლიტერატურის ჰორიზონტზე.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ სხვადასხვა მისიისა და დავალებების მქონე მოგზაურებმა შექმნეს ის ზღვა მასალა მსოფლიოს შესახებ, რომელიც მოგზაურული ლიტერატურის მთავარ ძალას წარმოადგენს.

საერთოდ ყველა მოგზაური სასწაულებისა და ღირსშესანიშნაობების მაძიებელია. უცხო ქვეყნებში მათ მიერ მოკვლეული მცირე თუ დიდი „აღმოჩენები“ და უჩვეულო მოვლენები ყოველ მათგანში განსაკუთრებულ განცვიფრებას, აღშფოთებას ან აღტაცებას იწვევს, ხოლო ამ გრძნობებისა და შთაბეჭდილებების სწორად გადმოცემა დაკავშირებულია მოგზაურის პიროვნებასთან, მის სულიერებასთან, წიგნიერებასთან, კულტურასა და ინტერესებ-

თან, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს მოგზაურული თხზულების ხარისხსა და ღირებულებას.

ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ის უნიკალური მნიშვნელობისაა და ძალზე პოპულარულია მეცნიერების სხვადასხვა დარგის მკვლევართა შორის. მოგზაურები დღემდე გვაწვდიან მასალებს მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან უცხო ქვეყნების გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ბუნებრივ სიმდიდრეზე, მეურნეობაზე, სოციალურ და სახელმწიფოებრივ სტრუქტურაზე, მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე, ფოლკლორზე, მატერიალურ და კულტურულ საგანძურზე და სხვ.

მოგზაურული ლიტერატურა ძვირფასი და შინაარსიანი წყაროა სხვადასხვა მეცნიერული კვლევებისათვის. იგი საუკუნეების მანძილზე ამდიდრებს თავის საგანძურს შორეული ქვეყნების შესახებ მეტად საინტერესო მონათხრობებით, სადაც წარმოდგენილია მოგზაურთა დაკვირვებები, შეხედულებები და შთაბეჭდილებები უცხო სამყაროზე, ადამიანებზე, მათ გარეგნობასა და ხასიათზე, სარწმუნოებასა და ზნე-ჩვეულებებზე, უცხო ქვეყნებში მომხდარ მოვლენებზე, მათ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობაზე.

რენესანსიდან XVIII საუკუნემდე ჩათვლით ფრანგულმა მოგზაურულმა ლიტერატურამ გაიარა განვითარების თითქმის ყველა საფეხური, რაც ფრანგულმა ლიტერატურამ. უძველესი დროიდან დღემდე ხელნაწერების თუ ნაბეჭდი წიგნების საშუალებით მსოფლიოს მკითხველი საზოგადოება ცხოველი ინტერესით ეცნობოდა თვითმხილველის მიერ ნაამბობ შორეული ქვეყნების სიახლეებს.

მოგზაურობისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს მუდამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანთა კულტურისა და ინტელექტუალური დონის ამაღლებისათვის, ისინი ხელს უწყობდა საზოგადოებას ეპოქის ბუნებრივი, პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარების აღქმაში.

შუა საუკუნეებში მოგზაურული ლიტერატურა მეცნიერ თეორეტიკოსთა მიერ მიჩნეული იყო ლიტერატურის

არაკანონიერ ჟანრად, მხოლოდ XVII საუკუნის დასასრულს მეცნიერებასა და ლიტერატურას შორის მოფარფატე მოგზაურულმა ლიტერატურამ საბოლოოდ დაიმკვიდრა მათი უნიფიკატორის ადგილი [2].

შინაარსის და ჟანრის მიხედვით მოგზაურული ლიტერატურა მრავალფეროვანია: ორიგინალური, წარმოსახვითი, თეორიული და სხვ.

ორიგინალური ლიტერატურა მოგზაურის მიერ გადატანილი განცდების პროდუქტია, მოგზაურია ნაწარმოების მთავარი და ერთადერთი პერსონაჟი. მოგზაურულ ნაწარმოებთა სიუხვე ერთგვარად მიგვანიშნებს, თუ რამდენად იყო დაინტერესებული საკუთარი ომებით და სიღარიბით გაბეზრებული ფრანგი მკითხველი „ველური" ქვეყნების ბედით და როგორი ცნობისმოყვარეობით ელოდა მოგზაურთა შთაბეჭდილებებს მათთვის უცხო მხარეზე და ხალხზე.

XVIII-XIX საუკუნეებში მოგზაურული ლიტერატურა მიჩნეულ იქნა გეოგრაფიულ ლიტერატურად, რადგან ის, ძირითადად, ახალი ქვეყნების აღმოჩენით, მსოფლიოს ქვეყნების საზღვრების შესწავლით შემოიფარგლებოდა. საფრანგეთში ლუი XIV-ის მეფობის ხანაში (ე.წ. დიდი საუკუნის დასაწყისში) მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩენების შედეგად გეოგრაფიამ, როგორც მეცნიერებამ, უდიდესი წინსვლა განიცადა. ადამიანის ცნობიერებაში დედამიწის ჰორიზონტი გაფართოვდა. მეცნიერებმა და, უბრალოდ, გეოგრაფიით დაინტერესებულმა პირებმა პტოლომეოსის სისტემიდან სტრაბონის გეოგრაფიული კონცეფციისაკენ გადაინაცვლეს. როგორც ცნობილია, პტოლომეოსი, ანტიკური ხანის მათემატიკოსი და გეოგრაფი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა შუა საუკუნეების მეცნიერულ სამყაროში. „პტოლომეოსი ბუმბერაზი პიროვნებაა, მან დაადგინა დედამიწის საზღვრები კუნძულების გარდა. ყველა ძველი ფილოსოფოსი მისი მოძღვრების მიმდევარი იყო" [3]. მიუხედავად ამისა სტრაბონის, ძველი ბერძენი გეოგრაფისა და ისტორიკოსის, გამოკვლევებმა უფრო მეტი აღიარება მოიპოვა, რადგან ეს უკანასკნელი მუდამ მოგზაუ-

რობაში იყო და გულმოდგინედ შეისწავლიდა არა მარტო ქვეყნებს, როგორც მისი თანამედროვენი, არამედ ადამიანებსაც.

ტოპოგრაფიული და კოსმოგრაფიული ნაკლებად სარწმუნო გამოკვლევები თითქმის შუა საუკუნეებამდე ასაზრდოებდა ადამიანის გონებას, შემდეგ თანდათან ინტერესის მიღმა გადაინაცვლა. XVI საუკუნის II ნახევრამდე მკითხველის ყურადღება ფრანგი ფილოსოფოსისა და ჰუმანისტის მიშელ დე მონტენის თხზულებებმა მიიპყრო, სადაც ძირითადი ადგილი დათმობილი აქვს რენესანსის პერიოდის ადამიანის მოულოდნელობით სავსე და ძალზე რთულ ცხოვრებას [4]. ამით მოგზაურულ ლიტერატურაში დასაბამი მიეცა ჰუმანისტურ მიმართულებას. ამგვარი მემკვიდრეობის მიუხედავად ლიტერატურის მკვლევართა ერთი ჯგუფი მოგზაურობის წინააღმდეგ გამოვიდა და დედამიწის შესწავლის საუკეთესო საშუალებად მაინც კოსმოგრაფიული გამოკვლევა მიიჩნია, რომელსაც ავტორები მოგზაურობის გარეშე, თავიანთ სამუშაო კაბინეტებშიც, შესანიშნავად შეძლებდნენ [5]. საბედნიეროდ, ერუდიტ მკვლევართა პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა მოგზაურობითა და თავგადასავლებით გატაცებულთა ახალმა ტალღამ ჩაახშო. ევროპის აღმოსავლეთისა და აზიის გზები სხვადასხვა პროფესიისა და ინტელექტის ადამიანთა, კომერსანტთა თუ წვრილმან მოვაჭრეთა, შიკრიკთა თუ დიპლომატთა, მისიონერთა და მეცნიერთა ცდუნებად გადაიქცა, რომელიც მათ უცხო, ჯერ არგაგონილი სივრცეებისკენ იზიდავდა. მათგან ყველაზე წიგნიერი ცდილობს გამოაქვეყნოს თავისი ჩანაწერები, შთაბეჭდილებანი, რომლებსაც ხშირად მოსდევს კრიტიკული გამოხმაურებაც: „ხშირად მოგზაური ყოვნდება უმნიშვნელო ფაქტზე, რომელსაც ხანგრძლივად და უღიმღამოდ აღწერს. მისი მონათხრობის ნაწილი ბუნდოვანია, შეიმჩნევა რიგი უზუსტობები მოგზაურობისა და მოვლენების მიმდევრობაში, რომელიც ისტორიკოსებისთვისაც კი აუხსნელია" [6]. ჭეშმარიტი მოგზაური მთელი თავისი შეგნებით და განწყობით მზადაა რაც შეიძლება დეტალურად

და საინტერესოდ ასახოს თავისი დაკვირვებანი. მის ნაწერებში იგრძნობა ავტორის განზრახვა, მიზანი, სტილი, გარკვეულწილად მჭევრმეტყველების უნარი და, აგრეთვე, რიგი უზუსტობანიც.

საერთო წესის მიხედვით, როგორც Dictionnaire de Fourastiere (1680) განმარტავს, „მოგზაურული ნაწარმოები, მოთხრობა თუ ნაამბობი წარმოადგენს სიუჟეტს, სადაც მთელი სიზუსტითა და კეთილსინდისიერებით არის ასახული მოვლენა ან ამბავი. იგი აბსტრაქტულია, მოქმედი პირის გარეშე".

რეალურად კი მოგზაურული ნაწარმოებები სუბიექტურია, რადგან მათი მთავარი და ერთადერთი მოქმედი პირი თვით მოგზაურია, რომელსაც თავისებური აღქმისა და სიუჟეტის გადმოცემის უნარი აქვს. ერთი და იმავე ქვეყანაზე დაწერილ რამდენიმე მონათხრობში თითოეულ ავტორს თავისი ნაამბობი ყველაზე უფრო რეალური ჰგონია. „ყოველი მოგზაურის თვალში საკუთარი სიახლე და მიგნება ბინადრობს, მის მოთხრობაში ჩანს მენტალიტეტი, რომელსაც იზიარებს ავტორი თავისივე მკითხველთან, მოთხრობა მათი კულტურის ავტოპორტრეტია" [7].

თეორეტიკოსთა რჩევებითა და შეგონებებით დამძიმებული მოგზაურის გონება უცხო ქვეყანაში განიცდის მოდიფიკაციას. თუ რა შედეგი მოჰყვება ამას, დამოკიდებულია მის ინტელექტზე, ერუდიციასა და გამოცდილებაზე. მოგზაური, რომელიც მოქმედებს მხოლოდ იმ თეორეტიკოსთა მოძღვრების შესაბამისად, რომელნიც, ძირითადად, წინააღმდეგნი არიან მწერალსა და მკითხველს შორის დიალოგური კავშირისა, და ეყრდნობა მხოლოდ „ნამდვილ მოწმეთა ნაამბობს, გადმოცემულს მეორე პირის მიერ", მაშინ იგი, რა თქმა უნდა, ეცდება შეძლებისდაგვარად გამოიყენოს მთელი თავისი მჭევრმეტყველება, რათა რაც შეიძლება მოხდენილად მიაწოდოს მკითხველს ხშირად რეალობას მოკლებული უხარისხო სიუჟეტები, ხოლო მოგზაური, რომელიც მოქმედებს თავისი დაკვირვების ალღოთი და უნარით და თან გაითვალისწინებს წინა-

მორბედთა გამოცდილებას, ეჭვგარეშეა, შექმნის რეალურ და უნიკალურ ნაწარმოებებს.

მოგზაურთა ორიგინალურ ნაწერებს შორის აღსანიშნავია საეკლესიო მისიონერთა მოთხრობები, რომელთა თემაა სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებული სარწმუნოება, მაჰმადიანურ სამყაროში ქრისტიანთა მდგომარეობა, სარწმუნოებისათვის წამებულთა ცხოვრება და ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგება. ისინი, ძირითადად, თავიანთ შთაბეჭდილებებს დღიურების ან წერილების სახით ავრცელებდნენ, თვითონ ადგენდნენ სიუჟეტის ჩარჩოებს (თუ რისი თქმა იყო მართებული თავის წერილებში და რისი არა) ადრესატის მსოფლმხედველობის გათვალისწინებით. ეპისტოლარული სტილის მოშველიებით მწერალი თავისუფლდება იმ დროის მოგზაურთა ნაწერებში არსებული მშრალი, მკაცრი ტონისაგან, ავლენს თავის ინდივიდუალობას და წერილებში მსუბუქი ელემენტების შეტანით ეძებს მკითხველის კეთილგანწყობას, თანამონაწილეობას.

ღვთისმსახურ მოგზაურთა ნაწერების დიდი ნაწილი ეპისტოლარული ჟანრისაა, რომელიც მხატვრულ ლიტერატურაში რენესანსის პერიოდში წარმოიშვა ჰუმანისტი მწერლების ფრანჩესკო ბოკაჩოს (1304-1374) და შემდეგ ერაზმ როტერდამელის (1469-1536) შემოქმედებაში. მოგზაურულ ლიტერატურაში ეპისტოლარული ჟანრის შემოღება ბელგიელი მოგზაურის, ფილოლოგისა და ლიტერატორის ჟიუსტ ლიპსის (1547-1606) დამსახურებაა. იგი თავისი მეგობრისადმი მიძღვნილ წერილებს, შემკულს ეპისტოლარული ჟანრისათვის დამახასიათებელი სისადავით და სტილისტური მოქნილობით, აფასებს, როგორც "bavardage entre amis" (მეგობრებს შორის საუბარი) [8].

საეკლესიო მისიონერთა შთაბეჭდილებები მეტად მნიშვნელოვანია რელიგიის გავრცელების ისტორიისათვის, „პელერინაჟი (პილიგრიმობა, მოსალოცავი მგზავრობა) მუდამ იყო კათოლიკეთა ცოდნისა და გამოცდილების მწვერვალი" [9]. მათ იტვირთეს მოგზაურობა, რომლის მიზანი განმანათლებლობა, სარწმუნოების ქადაგება და ქვეყნებში

გავრცელებულ რელიგიებზე ინფორმაციის მოკრება იყო. მათი რიცხვი და მოღვაწეობის არეალი სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა.

მოგზაურთა საკუთარი თავგადასავლის მთხრობელი ნაწარმოების გვერდით საფრანგეთში უკვე XVIII საუკუნეში გაჩნდა და იმთავითვე გავრცელდა წარმოსახვით მოგზაურობაზე შეთხზული მოთხრობები, რომანები, დრამები, პოემები.

ფილოსოფიური ნაწარმოებებით გადაღლილი ფრანგი მკითხველი საზოგადოება იმთავითვე გაიტაცა მსუბუქი და გასართობი სიუჟეტის მქონე ნაწარმოებებმა. გამოჩენილი მოგზაური და მკვლევარი ჯოფრუა ატკინსონი (Geoffroy Atkinson) თავის წიგნში „რენესანსის პერიოდის ფრანგული გეოგრაფიული ლიტერატურა" წერს: „XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში არ შექმნილა არც ერთი მაღალხარისხოვანი მოგზაურული თხზულება. თითქოს ამ მშვიდობიან წლებში ლიტერატურა უფრო მდიდარი უნდა ყოფილიყო ისეთი წიგნებით, რომლებიც მოგვცემდა გეზს კლასიკური ეპოქის მომზადებისაკენ [10]. ეს იყო ლუი XII-ის მეფობის ხანა (1610-1643). მთელი სამეფო კარი მოიცვა წარმოსახვითი მოგზაურობის თემაზე შეთხზულმა, ავტორის მიერ ნამდვილ ამბად მოწოდებულმა ეგზოტიკურმა ნაწარმოებებმა, რომლებშიც საგანგებოდაა შერჩეული ფრანგი მკითხველისათვის უცნობი აღმოსავლეთის ქვეყნები. მაგალითად, ნაწარმოებში „მანდევილის მოგზაურობა და მღვდელი ჟანის მიწა", რომელიც 1520 წელს გამოქვეყნდა, არც მოგზაური მანდევილი და არც მღვდელი ჟანი არ არიან რეალური პერსონაჟები და არც ამბავი შეეფერება სინამდვილეს. მიუხედავად ამისა, XVI საუკუნის ფრანგი მკითხველი საზოგადოება დიდი სიამოვნებით ეცნობოდა მისი წარმოდგენით მძაფრსიუჟეტიან, უჩვეულო ნაწარმოებებს. წარმოსახვითი მოგზაურული ლიტერატურისადმი ინტერესმა ასეთივე ინტენსივობით მოიცვა ლუი XIV-ის მეფობის პერიოდი (1643-1715), როდესაც ანტიკური ხანის მწერალთა წყაროებზე დაყ-

რდნობით იქმნებოდა დიდი ლიტერატურის მნიშვნელოვანი პოეტური თუ პროზაული თხზულებები.

წარმოსახვით მოგზაურობაზე შექმნილ რომანთა შორის ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ფრანგი მწერლისა და სახელმწიფო მოღვაწის, მარმონ დიუ ო'შამის (Marmont du Hautchamp) რომანი სამ წიგნად „მშვენიერი ქართველი ასული რეთიმა" (1723) და „მშვენიერი ჩერქეზი (ქალი) ასული რუსპია" (1754) ერთ ტომად [11]. ორივე რომანის პერსონაჟები ქართველ დიდგვაროვანთა წრის წარმომადგენლები არიან. ავტორი დიდი სიმპათიებით და თანაგრძნობით გვიამბობს ამ ადამიანების სევდიან თავგადასავალს. მწერალი შესავალშივე გვარწმუნებს, რომ რომანის სიუჟეტი ნამდვილი ამბავია და მისი პერსონაჟები რეალურად არსებული ადამიანები არიან.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის ნაწარმოებებში ჩართულია სხვადასხვა ქვეყნისა და ქალაქის ისტორიული ეპიზოდები და გეოგრაფიული აღწერები, ისინი ისტორიისა და გეოგრაფიის შესასწავლად არ გამოდგება. მაგრამ წარმოსახვითმა მოგზაურულმა ლიტერატურამ დიდად შეუწყო ხელი სათავგადასავლო რომანის განვითარებას.

მიუხედავად ესოდენი პოპულარობისა, წარმოსახვითი მოთხრობის განვითარებამ საფრანგეთში დიდი აღშფოთება გამოიწვია მოგზაური ლიტერატურის თეორეტიკოსთა შორის. მათი აზრით, სხვის გამოკვლევებზე ორაზროვნად დაყრდნობა და მათი არასწორი გამოყენება მოგზაური ლიტერატურის დეგრადაციას გამოიწვევდა და მას თავშესაქცევ ჟანრებს შორის მიუჩენდა ადგილს. მაგრამ მათ ასევე მიუღებლად მიიჩნიეს ფრანგი რომანისტის (1602-1674) შარლ სორელის (Charles Sorel) დეფინიცია - „მოგზაური ხასიათის თხზულებები ფილოსოფიური რომანებია" [12]. ჟანრობრივი კლასიფიკაციის მიხედვით, ფილოსოფიური რომანის გვერდით ამგვარმა ნაწარმოებებმა შესაძლოა გაიზიაროს რომანის თვისებები, მაგრამ თუ მის არსს შევადარებთ ამ დიდებულ დისციპლინას, მოგზაური ლიტერატურა აღმოჩნდება გაურკვეველ მდგომარეობაში, იგი ვერც ერთი ჟანრის ჩარჩოში

ვერ მოთავსდება [13]. შექმნილმა სირთულეებმა წარმოშვა მისი რაობის გარკვევის და შესწავლის აუცილებლობა.

პირველი მეცნიერული გამოკვლევები მოგზაურობასა და მოგზაურული ლიტერატურის შესახებ ჯერ კიდევ ანრი IV-ის (Henri IV) მეფობის პერიოდში (1589-1610) გამოქვეყნდა საფრანგეთში. ეს იყო ძირითადად დიდაქტიკური, განმანათლებლური ხასიათის თეორიული ნაშრომები, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა მეთოდი თუ შეგონება მოგზაურობის ორგანიზების, გზების დასახვის, მოგზაურთა ქმედების შესახებ და სხვ. თეორეტიკოსები აღწერენ ასევე მოგზაურთა პიროვნულ ზნეობრივ და შემოქმედებით მხარეებს, დეტალურად განიხილავენ მათ შთაბეჭდილებებს. მათი აზრით, მოგზაურობა მეცნიერული კომუნიკაციის საშუალებაა და მას დიდი პოლიტიკური და შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს.

მოგზაურული ლიტერატურის თეორეტიკოსები თავიანთ გამოკვლევებში უპირატესობას ჭეშმარიტ მოგზაურს ანიჭებენ, ცდილობენ რაც შეიძლება მკაფიოდ წარმოაჩინონ მისი როლი მოგზაურული ლიტერატურის განვითარების საქმეში. ისინი გმობენ წარმომსახველ მოგზაურებს და გაზვიადებულ შეგონებებს, რომლებსაც შეცდომაში შეჰყავს მოგზაური და მკითხველი.

უცხო ქვეყნის სწორად ათვისებისათვის ისევე აუცილებელია წინასწარი თეორიული მომზადება, როგორც პრაქტიკული უნარ-ქმედების დამუშავება. მოგზაური ძირითადად პირადი გამოცდილების შედეგად იძლევა თავისი მოღვაწეობის პრაქტიკულ მოდელს. ავტორი გვაცნობს საკუთარ დაკვირვებებს, დეტალურად აღწერს მოგზაურობის მსვლელობას, მის ტექნიკას. იგი განმარტავს მონათხრობის მიზანს, სტილს და ხელს უწყობს ახალი სტერეოტიპის წარმოშობას. ამ ტიპის მოგზაურულ ნაწარმოებს თეორიული ფუნქცია ეკისრება. ის დიდ სამსახურს გაუწევს მოგზაურთა მომავალ თაობას, როგორც ინფორმაციის წყარო და მეგზური.

მოგზაურული მოთხრობა განმეორებითი და ტრანსფორმაციულია, განსაკუთრებით XV-XVII საუკუნეებში.

იგი, შეიძლება ითქვას, ზეპირი ტრადიციების მქონე, პირველი მეთოდური საშუალება იყო. ისტორიულად ცნობილია, რომ მოგზაური არ გაუდგებოდა გზას, თუ არ გაეცნობოდა იმ პერიოდში არსებულ გეოგრაფიულ, მოგზაურულ ლიტერატურას. ჰუმანისტები თავიანთი მომავალი მოგზაურობისათვის ანტიკური ლიტერატურიდან კრებდნენ საჭირო მასალას. მაგალითად, უდიდესი მოგზაურისა და მკვლევრის სტრაბონის თხზულებებს ეყრდნობოდნენ XVII-XVIII საუკუნეების ცნობილი მოგზაურები და მეცნიერები: თეოდორ ცვინგერი (Théodor Zvinger), ჟიუსტ ლიპსი (Juste Lipse), რენე დეკარტი (Rene Descartes), ჟოზეფ ჰალი (Joseph Hall), ჟან-ბატისტ კოლბერი (Jean-Baptiste Colbert), ბოდელო დე დერვალი (Baudelot de Derval) და სხვ. ამავე დროს იქმნებოდა მრავალი თეორიული და მეთოდოლოგიური გამოკვლევა მოგზაურების შესახებ, რომელიც იმდენად მრავლისმომცველი იყო, რომ საჭირო გახდა მისი განლაგება შინაარსის, მიმართულებისა და პერიოდიკის მიხედვით.

მოგზაურული ლიტერატურის თეორიის სათავეს ღვთისმოსავ მისიონერებამდე მივყავართ.

საფრანგეთის ეკლესიის მესვეურები თავიანთ წარმომადგენლებს შორეულ ქვეყნებში აგზავნიდნენ, რათა ისინი გასცნობოდნენ იქ მცხოვრებთა სარწმუნოებრივ მდგომარეობას, გაევრცელებინათ თავიანთი სარწმუნოება და შეეგროვებინათ ცნობები ქვეყნის რელიგიური მდგომარეობის შესახებ. უცხო ქვეყნების გეოგრაფიულ შესწავლას, მოგზაურობის შესახებ საჭირო ლიტერატურის ათვისებას რამდენიმე თვე მაინც სჭირდებოდა. გარდა ამისა, მომავალ მოგზაურებს აინტერესებდათ ჰიგიენის, სამედიცინო, კვების თუ სხვა საჭირბოროტო საკითხები, რომლის შესახებაც ლიტერატურა თითქმის არ არსებობდა. ამ მდგომარეობამ განაპირობა პატარა ფორმატის წიგნის, ე.წ. გიდის (guide), ლათინურად „Vade-mecum"-ის გამოცემა, რომელიც თან მიჰქონდა სალოცავად მავალ მწირთ, პილიგრიმებს (pelèrins). ჯიბის ცნობარში შედიოდა მოგზაურისათვის აუცილებელი სხვადასხვა სახის რჩევები,

მარშრუტი, მცირე ცნობები ქვეყნებისა და ადამიანების შესახებ, ქრისტიანული წეს-ჩვეულებანი და სხვ. გარდა ამისა, ანტიკური ხანიდან არსებობს ექიმთა მიერ შედგენილი წიგნი „სამოგზაურო რჩევების" სახელწოდებით, რომელშიც მოცემულია მარტივი ხერხები ზოგიერთი დაავადების თავიდან ასაცილებლად და მის სამკურნალოდ. ამგვარმა ლიტერატურამ დიდი გამოყენება ჰპოვა მოგზაურთა შორის ყოფითი სირთულეების დასაძლევად. ჯიბის ცნობარი გახდა მათი საიმედო და შეუცვლელი მეგზური. სწორედ მისგან იწყება მეთოდური ლიტერატურის შექმნის პროცესი, რომელსაც ინსტრუქციული, შემეცნებითი ფუნქცია აქვს. მისი მიზანია მოგზაურის გონებრივი და ფიზიკური მომზადება და მისი პროფესიონალური შეგნების განვითარება. ცნობარი განსაკუთრებით ახალბედა მოგზაურისათვის არის საინტერესო, რჩევა-დარიგება და მითითება სწორედ მისკენაა მიმართული: „უცხოეთში გაგზავნილმა ახალგაზრდამ უნდა შეისწავლოს სხვადასხვა მეცნიერება, უნდა ჩაებას სახელმწიფო საქმიანობაში და არ უნდა მიეცეს განცხრომასა და ტკბობას" [14].

პირველი სახელმძღვანელო, რომელიც გამიზნული იყო წარჩინებულთა შვილების სამხედრო და დიპლომატიური სამსახურისათვის მოსამზადებლად, აგრეთვე, პროფესიონალური მოგზაურის აღსაზრდელად, საფრანგეთში დამუშავდა XVI საუკუნის დასაწყისში. უძველეს სახელმძღვანელოებში ("De l´utilité des voyages", "L´Art de voyage", "Methode de voyage", Outre-Rhin, XVI ს. I ნახ.) წარმოდგენილი მოსაზრებები შემდეგ ხელახლა გაცოცხლდა ჰოლანდიელი მეცნიერის ერაზმ როტერდამელის (Erasme Didier de Rotterdam) „დიალექტიკასა" და პიერ დე ლა რამეს (Pierre de la Ramée) „წესებში" [15].

XVI საუკუნეში საგრძნობლად მომრავლდა მოგზაურობაზე გამოქვეყნებული თეორიული გამოკვლევები, დიდაქტიკური ხასიათის შრომები თუ კრიტიკული წერილები.

როგორც აღინიშნა, XV-XVII საუკუნეების მოგზაურთა მოთხრობები ფორმითა და შინაარსით ინფორმაციული ხასიათისაა. მათი მდარე და უხერხული სტილი მოგზაურთა

ინტელექტუალურ და პროფესიონალურ სისუსტეს ავლენს, თუმცა მკითხველი ცნობისმოყვარეობით ელოდება არაჩვეულებრივ ამბებს უცხოეთიდან. შემდგომში ლიტერატურის მკვლევრები კი ბეჯითად იხილავდნენ ძველ და ახალ ნაწერებს, ავლენდნენ მათ ნაკლსა და ღირსებას, ზრუნავდნენ რა მოგზაურული მოთხრობის დახვეწასა და სრულყოფაზე.

XVI საუკუნის ცნობილი მოგზაურები და მეცნიერები თეოდორ ცვინგერი, ჟიუსტ ლიპსი, რენე დეკარტი თავიანთ მეცნიერულ შრომებში [16], მიუხედავად მათი შეხედულებების ზოგიერთი შეუსაბამობისა, ერთხმად ებრძოდნენ წარმოსახვით, გამოგონილ მოგზაურობას, რომელიც ავტორის ფანტაზიის ნაყოფი იყო და ჭეშმარიტ მოგზაურობასთან არაფერი საერთო არ ჰქონდა. მათი აზრით, მოგზაურობისათვის საჭიროა თეორიისა და პრაქტიკის სინთეზი. მოგზაურმა უნდა შეიძინოს ღრმა ცოდნა, გაეცნოს სხვის გამოცდილებას, რათა წარმატებით გამოიყენოს იგი თავის საქმიანობაში.

XVII საუკუნის II ნახევრის ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურაში განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო. გაფართოვდა მისი არეალი, გაჩნდა ახალი მიზნები და მიმართულებები. მოგზაურს დაეკისრა ბევრი საინტერესო, საპასუხისმგებლო და არაორდინარული მისია. ყოველივე ეს საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის ფინანსთა მინისტრის, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის ჟან ბატისტ კოლბერის (Jean-Baptiste Colbert) (1619-1683) სახელთანაა დაკავშირებული. მას დიდი წვლილი მიუძღვის საფრანგეთის ვაჭრობის, ინდუსტრიისა და საზღვაო საქმის, აგრეთვე ხელოვნების, კულტურისა და ლიტერატურის განვითარებაში. ჟ.ბ.კოლბერი, მრავალმხრივ განსწავლული ადამიანი, დიდ ინტერესს იჩენდა სხვადასხვა ქვეყნებისადმი, განსაკუთრებით აღმოსავლეთისადმი, რომელსაც ის იკვლევდა ძველი რუკების მიხედვით.

აღსანიშნავია მისი ღვაწლი მოგზაურობის და მოგზაურული ლიტერატურის განვითარებაში. თავისი მოსაზრება ახალი მოგზაურობის შესახებ მან საზოგადოებას გააცნო

1671 წელს გამოქვეყნებული თხზულებით „კოლბერის კეთილი რჩევა მარკიზ დე სეგნელეისადმი მისი იტალიაში მივლინების გამო“ [17], სადაც აშკარად ჩანს ჟ.ბ.კოლბერის გადაწყვეტილება – მოგზაურობის გამოყენება ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამგვარად, მან მოგზაური უჩვეულოდ რთული პრობლემის წინაშე დააყენა – მას დაევალა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, გეოგრაფიული, ტოპოგრაფიული გამოკვლევა და დეტალური აღწერა. ჟ.ბ.კოლბერის პროგრამა ითვალისწინებდა ახალგაზრდა მოგზაურების ისეთ სპეციფიკურ მომზადებას, რომლის მსგავსი მანამდე არც ერთ თეორეტიკოსს მიზნად არ დაუსახავს. იგი სცდება ჩვეულებრივი მოგზაურის ინტელექტუალურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს. „მოგზაური ვალდებულია შეისწავლოს ქვეყნის ღირსშესანიშნაობანი, მისი ისტორიული და კულტურული ძეგლები და, რაც მთავარია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაპყროს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. დიდი სიფრთხილით უნდა დაადგინოს ქვეყნის საზღვრები, ქალაქებისა და სოფლების რიცხვი, მათი ზუსტი დასახელება, სახელმწიფოს ფორმა, მთავრობისა და საზოგადოების სტრუქტურა, დიდგვაროვანთა ვინაობა და მათი ზუსტი სია, ცნობები მმართველობით სისტემაში მათი მონაწილეობის შესახებ, მათი ღირსება და ფუნქციები. ასევე უნდა დააზუსტოს მონაცემები სახელმწიფო საბჭოსა თუ სხვა ხელისუფლების შესახებ, ვინ წყვეტს ქვეყანაში მშვიდობისა და ომის საკითხს, ეის აქვს უფლება შევიდეს სახელმწიფო მმართველობაში. თუ არსებობს არჩევნები, უნდა აღინიშნოს რეზულტატებიც. მან აგრეთვე უნდა აღწეროს საამირო (სამთავრობო), სასამართლო, არმიის საბჭოს საქმიანობა, საზღვაო და სახმელეთო სასაზღვრო ჯარების შემადგენლობა, დიდი ინტერესი უნდა გამოიჩინოს იმ კანონებისა და ადათ-წესების მიმართ, რომელიც მიღებულია იმ ქვეყანაში“. პროგრამის ამ მცირე მონაკვეთიდანაც ჩანს, რომ ჟ.ბ.კოლბერს ახალი მოგზაურის შექმნა განუზრახავს, მას პოლიტიკურ, დიპლომატიურ, მეცნიერულ მისიას სთავაზობს და ავალებს, რომ მისი საქმიანობა თავისი ქვეყნის

პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ინტერესებს დაუქვემდებაროს: მოგზაურმა უნდა შეძლოს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და უცხო ქვეყანაზე დაკვირვებისას უნდა მიენდოს საკუთარი აღქმის უნარს, გრძნობას, გონებას, გემოვნებას. ჟ.ბ.კოლბერის პროგრამამ მოგზაურულ ლიტერატურაში საგრძნობი ცვლილება გამოიწვია.

ცნობილია, რომ აღმოსალეთი შუა საუკუნეებიდანვე იპყრობდა საფრანგეთის ინტერესს. ჟ.ბ.კოლბერის ღვაწლი ამ მხრივაც ფასდაუდებელია. ის აგზავნიდა ახალგაზრდებს აღმოსავლეთის ქვეყნებში ენის შესასწავლად, რათა შესძლებოდათ სამეფო მდივნად და თარჯიმნად მუშაობა. მოგვიანებით ამ ექსპერიმენტმა რეგულარული ფორმა მიიღო და, ამგვარად, შეიქმნა ახალგაზრდებისათვის უცხო ენების სკოლა (Ecoles de Jeunes Langues), რომლის კურსდამთავრებული იქნებოდა მოგზაურის თანმხლები პირი და დაეხმარებოდა მას უცნობი ქვეყნის ცხოვრების უკეთ ათვისებაში. ჟ.ბ.კოლბერის მოწადინებითა და ხელშეწყობით მრავალი ფრანგი მოგზაური სწვევია აღმოსავლეთს და არაერთი საინტერესო მოთხრობა დაუწერია მის ხალხზე და ზღაპრულ ქალაქებზე.

როგორც აღვნიშნეთ, ჟ.ბ.კოლბერის პროგრამით მოგზაურის მიზანი ემსგავსება საზღვარგარეთ დიპლომატიურ მისიას ან შპიონაჟს. მოგზაურობა კარგავს რომანტიკულობას, არჩევანის თავისუფლებას, ყოველივე იმას, რის საშუალებითაც ის ხიბლავს და იზიდავს შორეული ქვეყნების შესწავლის მსურველს. საბედნიეროდ, დროთა განმავლობაში აშკარა გახდა პროგრამის შერბილების და სხვა არანაკლებ საჭირო და სასარგებლო საკითხებით გაკეთილშობილების აუცილებლობა, რომლებიც მოგზაურმა და თეორეტიკოსმა რიჩარდ ლასელმა (Richard Lassels) 1671 წელს გამოცემულ ნაწარმოებში ჩამოაყალიბა. მისი აზრით, წინასწარ უნდა შემუშავდეს პროგრამა, თუ როგორ უნდა მოემზადოს მოგზაური, რათა მისმა მოგზაურობამ კარგი შედეგი გამოიღოს მისთვის და მისი სამშობლოსათვის. ამის შემდეგ საგანგებოდ შერჩეული და შემოწ-

მებული ახალგაზრდა უკვე შესწავლილი მარშრუტით უნდა გაიგზავნოს შერჩეულ ქვეყანაში. რ.ლასელი კარგადაა გარკვეული, თუ რომელ ქვეყანაში რა საქმის დაუფლებაა მოგზაურისათვის უფრო მიზანშეწონილი: „ხელოვნებისა და მეცნიერების შესწავლა – იტალიაში, ქცევის წესები, გალანტერეა, სამხედრო საქმე, ცეკვა – საფრანგეთში, ოჯახის გაძღოლა, სტუმართმოყვარეობა, მესაკუთრული საქმიანობა – გერმანიაში, ინდუსტრიული და ეკონომიკური საქმის წარმოება – ჰოლანდიაში. გარდა ამისა, ყოველი მოგზაური ვალდებულია ზედმიწევნით შეისწავლოს ლათინური ქვეყნების ძვირფასეულობა“ [18]. ის ურჩევს ახალგაზრდებს იმოგზაურონ იმ პედაგოგთან ერთად, რომელიც კარგად იცნობს სამოგზაუროდ შერჩეულ ქვეყანას, წინასწარ შეისწავლონ საჭირო სიტყვები ამა თუ იმ ქვეყნის ენაზე, თან წაიღონ მისი რუკები, გეგმები და, რაც მთავარია, უნდა აწარმოონ ყოველდღიური ჩანაწერი.

რ.ლასელი ჟ.ბ.კოლბერის მიმდევარი და მისი იდეების დამფასებელია იმ განსხვავებით, რომ ის სამოგზაუროდ უხმობს მხოლოდ განათლებულ ადამიანებს, რომელთა წერის მანერა უფრო დახვეწილი და მიმზიდველია. ისინი მიმართავენ მსუბუქ იუმორს, ცინიზმს, იყენებენ დიალოგს, არჩევენ შესაფერის სტილს. ყოველივე ამის შედეგად შეიძლება უფრო გამოჩნდეს ავტორის ინდივიდუალობა, განწყობილება, ანალიზის უნარი. რ.ლასელის მოსაზრებას მოგზაურული ლიტერატურის მკაცრი სტილის ირონიით, იუმორით და ღიმილით შეცვლის შესახებ მრავალი მისი თანამედროვე არ დაეთანხმა, თუმცა საიმედო მხარდამჭერიც გამოუჩნდა მოგზაური ლიტერატურის დიდი თეორეტიკოსის ბოდელო დე დერვალის (Boudelot de Derval) სახით. მან კიდევ უფრო გაამდიდრა ლასელის მოსაზრებანი თავისი თხზულებით „მოგზაურობის ესთეტიკა“, რომელიც 1688 წელს გამოქვეყნდა პარიზში, თუმცა მოგზაური ლიტერატურის თეორია ჯერ კიდევ ვერ ასცდენოდა მშრალ და მკაცრ დიდაქტიკას, ერთფეროვნებას და შიშველ ინფორმაციულობას. ბოდელო დე დერვალმა, შეიძლება ითქვას, გზა გაუხსნა თავისუფალი ტიპის მოთხ-

რობას, სადაც მოგზაური საუბრობს უცხო ქვეყნის ისტორიაზე, ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, კულტურაზე და რაც შეიძლება მეტს ადამიანებზე, მათ ადათ-წესებზე და განათლებაზე. თავის თეორიულ თხზულებაში ავტორი მოგზაურებს არწმუნებს, რომ „მოგზაურობის მთავარ მიზანს წარმოადგენს ერის ცივილიზაციის დონის შესწავლა: არქეოლოგიური კვლევებით – ერის ისტორიის, ხოლო ხელოვნების, კულტურისა და თარგმანების გაცნობით – მისი ენობრივი შესაძლებლობების, მჭევრმეტყველებისა და ლიტერატურის“ [19]. დე დერვალის რჩევები ემსახურება თავისუფლად მოაზროვნე საინტერესო პიროვნებას. ის თვლის, რომ რაც უფრო საზრიანი და განათლებულია მოგზაური, მით მეტად შეიგრძნობს ქვეყნის ცივილიზაციის დონესა და ღირსებებს. მან დამოუკიდებლად უნდა შეადგინოს მოგზაურობის ისეთი მარშრუტი, რომელიც მის თვალსაწიერს გააფართოებს და თან უდიდეს სიამოვნებასაც მიანიჭებს. ბოდელო დე დერვალის თეორიებმა ერთგვარად მოხსნა ჩარჩოები, რომელიც ზღუდავდა მოგზაურის და მოგზაურული ლიტერატურის თავისუფლებას.

XVII საუკუნის მიწურულს ფრანგმა მოგზაურმა მაქსიმილიან დე მისონმა (Maximilien de Misson) თავისი თხზულებით „ახალი მოგზაურობა იტალიაში“ [20] საბოლოოდ გამოიყვანა მოგზაურული ლიტერატურა ტრაქტატების, დებულებების, მოძღვრებათა და დაუსრულებელ შეგონებათა ტყვეობიდან. მეტი უპირატესობა მიენიჭა სახელმძღვანელოებს მსოფლიოს ხალხების, ისტორიული ძეგლების, კულტურული კერების, გზებისა და მხარეების შესწავლის შესახებ, რომელიც პრაქტიკულ საჭიროებას წარმოადგენს შორეული ქვეყნებისაკენ მიმავალი მოგზაურებისათვის. მაქსიმილიან დე მისონი უცხო ქვეყნის ტოპოგრაფიის, ხელისუფლების და ადმინისრაციის აღწერას უინტერესოდ და უსარგებლოდ მიიჩნევს. ამით ის ჟ.ბ.კოლბერის პროგრამას უპირისპირდება, თუმცა ღრმა პატივისცემით მოიხსენიებს მის პიროვნებას. მ.დე მისონი გმობს შემეცნებით და აღმზრდელობით მოგზაურულ ლიტერატურას, მის შემბოჭველ წესებსა და კანონებს. მას მიაჩნია,

რომ მოთხრობაში უნდა იყოს გამოყენებული მოგზაურული ლიტერატურისათვის მისაღები გამოთქმები. ზედმეტი შელამაზება და სპეციალური ტერმინებით გადატვირთვა ტექსტს უინტერესოს და გაუგებარს ხდის. მკითხველს უნდა მიეწოდოს რეალური სინამდვილე მეცნიერული დამაჯერებლობით, აგრეთვე რომანტიკულობით.

მაქსიმილიან დე მისონი მოგზაურის თავისუფლებისათვის მებრძოლია, ამავე დროს, მისგან მოითხოვს ზომიერებასა და რეალობისადმი პატივისცემას, რადგან წერილები, საგანგებო ჩანაწერები, დღიურები, ამონაწერი ბორტის ჟურნალიდან და სხვა ამის მსგავსი პუბლიკაციამდე საჭიროებს მრავალჯერ შესწორებას. ეს სტილისტური თუ სხვა სახის ცვლილება ხდება იმ საზოგადოების გემოვნებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით, ვისთვისაც ეს მოთხრობაა დაწერილი. თუ ავტორი თავისუფალია ზეწოლისგან ან სპეციალური დავალებისაგან, ის წერს თავისი ნება-სურვილის, ინტერესისა და მისწრაფების მიხედვით. ყოველ მოგზაურს აქვს თავისებური ხედვის უნარი და სიუჟეტის გადმოცემის ინდივიდუალური მანერა, რაც მის ნაწარმოებს რამდენადმე განსხვაებულს ხდის. ერთი და იმავე ქვეყნის აღმწერელ მოგზაურებში თითოეულს თავისი მოთხრობა მიაჩნია უფრო ზუსტად და რეალურად. ამასთან დაკავშირებით მაქსიმილიან დე მისონი ამბობს: „ქვეყნის აღწერისას ზედმიწევნით ვცდილობ ყველაფერი გავითვალისწინო, არც ერთი წვრილმანი არ გამომრჩეს, მაგრამ სიზუსტეს მაინც ვერ დავიჩემებ. ჩემს წერილებს დაელოდეთ მხოლოდ და მეტს ნურაფერს მომკითხავთ!“ [21].

თეორეტიკოსთა კრიტიკის მიუხედავად მოგზაურის ნაამბობის დამაჯერებლობის და რეალურობის პრობლემა მაინც არსებობდა. იგი განსაკუთრებით გაიზარდა XVII საუკუნის დასასრულს და გაგრძელდა XVIII საუკუნეში. სამოგზაურო ქვეყნის მეტი სიზუსტითა და ობიექტურობით აღწერა გახდა XVII-XVIII საუკუნეების მოგზაურ თეორეტიკოსთა მთავარი საზრუნავი.

ერთ-ერთი უცნობი ავტორი თავის გამოკვლევაში „სარგებლიანი მოგზაურობის ხელოვნება“ ("L'art voyajer utilement", Amsterdam, 1698) ამგვარად ხსნის ამ საკითხს: „რაც მოგზაურთა წიგნებშია გადმოცემული ყოველთვის როდია რეალური, რადგან წესიერება, ეპოქის, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება, ზედმეტი სიფრთხილე, ცოტა პირფერობა და სხვა გაუთვალისწინებელი მიზეზები მოგზაურს უქმნის სერიოზულ დაბრკოლებას სინამდვილის სრულ ასახვაში“ [22].

მოგზაურ თეორეტიკოსთა შეშფოთება არ არის უსაფუძვლო, რადგან მანძილი მოგზაურის მოთხრობასა და რეალობას შორის ხანდახან გამიზნულად იზრდება. გასაგებია, რომ მოგზაურობამდელი წარმოდგენა ამა თუ იმ ქვეყანაზე, მისი ნახვისას და მერეც, თხრობის დროს გარკვეულ ცვლილებას განიცდის, მაგრამ არცთუ იშვიათად მოგზაური თვალთმაქცობს, იშველიებს საგანგებო სიტუაციებს, თითქოსდა მოხვდა საპყრობილეში, მძიმედ დაშავდა, ავად გახდა და ა.შ., ან მოიპოვებს ძველი თარიღის დოკუმენტებს, ან დაიმოწმებს ამბის მომტანს, როგორც „საიმედო“ პირს, რითაც ბოლოს, თავისი ფანტაზიებისა და მჭერმეტყველების მოშველიებით, ქმნის არარეალურ, უხარისხო ნაწარმოებს.

მოგზაურობის შთაბეჭდილებები ავტორის სარკეა. ის შეიძლება იყოს სუბიექტური, იმისდა მიხედვით, თუ რამდენადაა ეს დამოკიდებული მოგზაურის განთლებაზე, გემოვნებაზე, კულტურაზე და კეთილსინდისიერებაზე.

მოგზაურული ლიტერატურის ყველა ეპოქისა და მიმართულების წარმომადგენლებს ერთი საერთო მიზანი აქვთ – მოგზაურობის და მოგზაურული ლიტერატურის განვითარება. ამ მხრივ მათ ძალისხმევას ამაოდ არ ჩაუვლია. ფრანგული მოგზაურული ლიტერატურა ძლიერი, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი შეხვდა შემდგომ საუკუნეებს.

XVI-XVII საუკუნეები ყველაზე რთული და ამავე დროს მეტად საინტერესოა მოგზაურული ლიტერატურის ისტორიაში. ეს არის მისი ჩამოყალიბებისა და თვითდამ-

კვიდრების პერიოდი. იგი, როგორც სიახლე, იმთავითვე გახდა საზოგადოებრიობის ყურადღებისა და ცნობისმოყვარეობის საგანი და, შესაბამისად, დამკვირვებელი, შემფასებელი და დამრიგებელიც უხვად შეიძინა. ამ პერიოდში ყველაზე ნათლად ჩანს, თუ რა რთულად მიმდინარეობს მისი ზრდა და წინსვლა. თანდათან იკვეთება მისი მიზანდასახულობა, ინტერესი, დანიშნულება და ადგილი ლიტერატურის ისტორიაში. XVII-XVIII საუკუნეთა ზღურბლზე მოგზაურულ ლიტერატურაში შეინიშნება ერთგვარი გაყოფა – განმანათლებლურმა ლიტერატურამ გეზი აიღო, ერთი მხრივ, წმინდა აღწერილობითი კონცეფციისაკენ, მეორე მხრივ, რომანის სიღრმეებისაკენ. იგი კიდევ მეტად შეიჭრა მხატვრული ლიტერატურის ფარგლებში - აითვისა ტექსტის პოეტურად გადმოცემის უნარი, ეპისტოლური ხელოვნების ხერხები და მხატვრული ნაწარმოებისათვის სხვა დამახასიათებელი ნიშნები.

XVI-XVIII საუკუნეების გამოკვლევები მოგზაურული ლიტერატურის კლასიკად არის მიჩნეული. დღემდე არ განელებულა მის მიმართ ინტერესი, რადგან ვისაც სურს იგრძნოს ამა თუ იმ ეპოქის სუნთქვა, გემოვნება და სურნელება, მას ვერ შეიგრძნობს მხოლოდ ისტორიის ფურცლებზე. მოგზაურულ ლიტერატურას შეუძლია შეიჭრას მეცნიერების ყველა სფეროში. იგი შეიცავს მსოფლიოს ქვეყნების, მათ შორის საქართველოს გეოგრაფიის, ბუნების, ისტორიის, ეკონომიკის, პოლიტიკის, ასტრონომიის, არქეოლოგიის და სხვა დარგთა ცოდნის უაღრესად ღირებულ დოკუმენტებს, აგრეთვე სერიოზულ დაკვირვებებს საზოგადოებაზე. მის საგანძურშია აგრეთვე სათავგადასავლო რომანები, მცირე მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები, ზღაპრები, თარგმანები და სხვა ლიტერატურული ქმნილებანი.

მიუხედავად რთული პირობებისა, რომელშიც მოგზაურული ლიტერატურა იქმნებოდა და ვითარდებოდა, მიუხედავად მისი სერიოზული ხარვეზებისა, XVI-XVIII საუკუნეების ფრანგული მოგზაურული ლიტერატურის ღვაწლი, როგორც ცოდნის, ისე გადმოცემის მეთოდიკის განვი-

თარებაში უზომოა. იგი იყო პირველი მედიატორი უცნობ სამყაროსა და თავისი ქვეყნის ადამიანებს შორის, მან პირველმა ამოგზაურა მკითხველი თავის წარმოსახვაში შორეულ კონტინენტებზე და გაუღვივა მოგზაურობისადმი სიყვარული, გაშალა და განავითარა მოგზაურული მოძრაობა. ამით მოგზაურულმა ლიტერატურამ ხელი შეუწყო ზოგადად ადამიანის ინტელექტუალური ინტერესის, ერუდიციისა და შემეცნების განვითარებას.

ფრანგული მოგზაურული ლიტერატურის ისტორიის ერთი თვალის გადავლებაც კი საკმარისია რომ დავრწმუნდეთ, თუ რაოდენ მრავალმხრივი, მდიდარი და მნიშვნელოვანია ეს ლიტერატურა, როგორც საფრანგეთის მენტალურ „ამინდზე“ მსჯელობისათვის, ისე იმ ქვეყნების ვითარებაზე, რომლებსაც იგი ეხება. ეს განაპირობებს ჩვენს ინტერესს მისდამი, კერძოდ, ჩვენს სურვილს გამოვავლინოთ, თუ როგორ გამოიყურება საქართველო იმ უსაზღვრო სივრცეში, რასაც მოგზაურული ლიტერატურა ჰქვია და როგორია ავტორების (და მაშასადამე მკითხველების) განწყობილება საქართველოს მიმართ.

შუა საუკუნეების ფრანგული მოგზაურული ლიტერატურა

შუა საუკუნეების მოგზაურულმა თემატიკამ ერთგვარად შეარყია ტრადიციული მსოფლმხედველობა, რომელიც ამ უძრავსა და მყარ ეპოქაში სუფევდა. მოგზაურთა ნაწერები, რომელიც ასახავს აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე მსოფლიოს ამ ვრცელ ტერიტორიას, მასში შემავალი ქვეყნების სხვადასხვა რწმენისა და ზნე-ჩვეულებების მქონე ხალხებს, შექმნისთანავე დაიპყრო გვიანი შუა საუკუნეების ინტელექტუალური საზოგადოების ცნობისმოყვარეობა. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოგზაურების მიერ თავის ქვეყანაში გამოგზავნილი შთაბეჭდილებები, რაპორტები თუ უბრალო მეგობრული წერილები ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა წიგნიერ ადამიანთა შორის. მოგზაურთა ნაწერები ადრე გადამწერების, ე.წ. „კოპისტე-

ბის“ მიერ მრავლდებოდა, ხოლო XV საუკუნის ბოლოდან, საფრანგეთში გამომცემლობის დაარსებიდან (1469), ნაბეჭდი სახით ვრცელდებოდა. როგორც ჩანს, გამომცემელი თავისი გემოვნებით შეარჩევდა რამდენიმე მოგზაურის მონათხრობს და ერთ წიგნად აქვეყნებდა.

მოგზაურთა ნაწერები საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა დიდი ლიტერატურის გვერდით, მაგრამ არავის მოუაზრებია მათი ამ სფეროში შეყვანა. XIX საუკუნეში კი გეოგრაფიულ ლიტერატურად წოდებული მოგზაურთა ნაწერები საფრანგეთის ახლადშექმნილ „გეოგრაფიულ საზოგადოებაში“ გაერთიანებულ მკვლევართა ძიებისა და შესწავლის ობიექტად გადაიქცა. მათ იმთავითვე წამოიწყეს შუა საუკუნეების მოგზაურული ნაწარმოებების მოკვლევა და „მოგზაურული და მემუარული მოთხრობების კრებულში“ გამოქვეყნება, შემდეგ კი, კლასიკური და მომდევნო პერიოდის მოგზაურული თხზულებები წარუდგინეს მკითხველ საზოგადოებას. ეს კრებული ტომეულების სახით ათეული წლების მანძილზე ქვეყნდებოდა. მასში შედიოდა ნაშრომების ორი ძირითადი კლასი – „რელაციები – მოგზაურთა სიმამაცის ნაყოფი – და მემუარები – მკვლევრის დაკვირვების შედეგი“ [23]. მოგზაურულ ლიტერატურაში მემუარებს რელაციები სჭარბობს. გეოგრაფიული საზოგადოება გამოსაცემად არჩევდა რელაციებს, რომლებშიც ოდნავ მაინც შეიმჩნევა მეცნიერული კვლევის მცდელობა, გამოხატულია მოგზაურის სერიოზული, გონივრული მოსაზრებები, მნიშვნელოვანი დაკვირვებები და არაა გადატვირთული უსარგებლო დეტალებით. წინა საუკუნეებში რელაცია განსაკუთრებულ ღირსებას იძენდა, თუკი ის გამდიდრებული იყო მოგზაურის მიერ შედგენილი მარშრუტითა და ლექსიკონით, მეტადრე თუ მას ლამაზად შედგენილი რუკაც ამშვენებდა. ეს მოგზაურისათვის და გამომცემლისათვის მუდამ დიდი წარმატების მომტანი იყო. უძველესი რელაციების დიდი ნაწილი გამოუკვლეველია, ბევრიც გაფანტულია სხვადასხვა ბიბლიოთეკების ხელნაწერთა ფონდებში. შუა საუკუნეებში გამოქვეყნებული რელაციები ხშირ შემთხვევაში არ არის

სრულყოფილი, მათ აკლიათ დამატებითი განმარტებები, ბიბლიოგრაფიული თუ თვალსაჩინოების დეტალები. უდიდესია მკვლევართა დაინტერესება ამ ხელნაწერების მიმართ. მეტად მნიშვნელოვანია მათი გამოცემა საერთოდ ისტორიისათვის და, კერძოდ, მოგზაურული ლიტერატურის ისტორიისათვის.

შუა საუკუნეების მოგზაურებმა მრავალი ნათელი ხაზი შემოავლეს დედამიწას, მაგრამ ამ ხაზებს შუა მაინც დარჩა ბურუსით მოცული სივრცე, რომელსაც მომავალი თაობის მოგზაურებმა უფრო ზუსტი და მდიდარი გამოკვლევებით ნათელი მოჰფინეს მომდევნო საუკუნეებში.

შუა საუკუნეების მოგზაურთა ნაწერების შემდგომი პერიოდის მოგზაურულ ნაწარმოებებთან შედარებისას აშკარად შეიმჩნევა როგორ და რა სისწრაფით ფართოვდებოდა შესწავლილი სივრცე. ნავიგაციის და ინდუსტრიის განვითარებამ სხვადასხვა სახის მოგზაურობა და საქონლის გაცვლა-გამოცვლა მართლაც საგრძნობლად გააიოლა და გაახშირა, მაგრამ ამ საუკუნეების მიღწევებს, რასაკვირველია, არ უნდა დაეჩრდილა გარდასული ეპოქის მოგზაურთა მონაპოვარი. სათანადოდ იქნა გააზრებული და დაფასებული მოგზაურთა ძალისხმევა, შეუპოვრობა და გამძლეობა პოლიტიკურად და სოციალურად საშიშ ქვეყნებში ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის. როგორც აღვნიშნეთ, მათ ნაწერებს ხშირად მწვავედ აკრიტიკებდნენ. განსაკუთრებით, შუა საუკუნეების პირველი მოგზაურები იყვნენ მკვლევართა მკაცრი განსჯის ობიექტი თავიანთი შთაბეჭდილებების ბუნდოვანობისა და მცდარი ინფორმაციის გამო. საუკუნეების მანძილზე ვერც ერთი მოგზაური ვერ გადაამოწმებდა მათ მიერ მოცემული ცნობების სიზუსტეს, რადგან ის გზა, რომელიც შუა საუკუნეების პირველმა მოგზაურებმა განვლეს აზიაში, ჩაიკეტა და შემდეგში „სათათრეთის“ (Tartarie იგივე Turkestan) უკაცრიელი სივრცეები ვერც ერთმა ევროპელმა ვეღარ გადალახა XV საუკუნის II ნახევარშიც კი. მართალია, ამ დროს მოგზაურობისა და აღმოსავლეთის გამოკვლევებისადმი მისწრაფება ხელახლა გაცოცხლდა, მაგრამ ძველი

გზა, რომელიც აზიამდე მიდიოდა, თითქმის აღარ არსებობდა.

შუა საუკუნეების მოგზაურთა მიმოსვლა მთლიანად იყო დამოკიდებული ორი კონტინენტის – ევროპისა და აზიის – ქვეყნების პოლიტიკურ და კომერციულ ურთიერთობებზე და მათი შეთანხმებით დადგენილი გზების ახალ სისტემაზე.

ნავიგაციამ ადამიანთა პრაქტიკულ ცხოვრებაში ფართო გამოყენება ჰპოვა. შესაძლებელი გახდა დედამიწის თითქმის ყველა კუთხემდე მიღწევა, მისი გაცნობა, გამოკვლევა. გასაკვირი არაა, რომ მოგზაურთათვის კომუნიკაციის ეს ახალი საშუალება უფრო სასურველი იყო, ვიდრე დაუსრულებელი ხიფათიანი სახმელეთო გზები. ნავიგაციის განვითარებამ პოლიტიკას და კომერციას ერთნაირი სარგებლობა მოუტანა. ევროპის განვითარებულმა ქვეყნებმა გაცილებით მეტი შესაძლებლობა მოიპოვეს ახალი ტერიტორიების ასათვისებლად, მოკავშირეთა დასახმარებლად, ქრისტიანული რელიგიის გასავრცელებლად და სხვ. ნეგოციანტები გულმოდგინედ ამუშავებდნენ საქონლის გაცვლა-გამოცვლის ახალ და უფრო მოქნილ სისტემას და მრავალი ქვეყნის სიმდიდრე მდინარესავით, უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა ზღვებისა და ოკეანეების სანაპიროებისაკენ, საიდანაც სახმელეთო გზით ვრცელდებოდა დედამიწის სხვადასხვა წერტილში [24]. ყოველივე ეს ხელს უწყობდა უსარგებლო და გულის შემაღონებელი სახმელეთო მოგზაურობის მივიწყებას, მიტოვებას. რაც მეტად წყდებოდა ადამიანთა კავშირი ამ უძველესი სახის მოგზაურობასთან, მით მეტად ქრებოდა ნდობა აღმოსავლეთის ქვეყნების უძველესი აღწერილობისადმი – მკითხველს აღარ სჯეროდა მისი რეალურობა და მას, როგორც მონაგონ ამბავს, ზღაპარს ან იგავს, ისე მოიხსენიებდნენ.

ოპონენტთა მიერ უძველეს მოგზაურთა რელაციების ამგვარი კრიტიკის მიზეზად სახელდება ის, რომ მათი დაკვირვებები ამა თუ იმ საგანსა თუ მოვლენაზე ქაოსურად და გაურკვევლადაა ასახული. განმარტებისათვის

მათ მოჰყავდათ შედარებით ნაცნობი საგანი ან მოვლენა, რომელიც ხშირად შეუფერებელი ანალოგი იყო, ან რომელიმე ქვეყნის ტრადიციების აღწერისათვის სხვა ქვეყნის ტრადიციებში ცდილობდნენ პარალელების პოვნას, ხოლო რელაციებში, რომლებიც ინსტრუქციულ ხასიათს ატარებს, ძნელი გასარკვევია მცდარი და არამცდარი განმარტებანი.

შუა საუკუნეების რელაციების ერთი ნაწილი აღმოსავლური იგავის სტილშია დაწერილი, რამაც შეცვალა მისი ისტორიული სახე, ხოლო მეორე ნაწილი სხვა, წინამორბედ მოგზაურთაგან ნასესხები პრიმიტიული ტექსტებითაა შევსებული. ყოველივე ამას ემატება „კოპისტების“ (des copistes) ანუ გადამწერთა დაუდევრობა – დამახინჯებულია პერსონაჟებისა და გეოგრაფიულ ადგილთა სახელები და სხვ. მსგავსი შეფასება ისმოდა საუკუნეთა მანძილზე მომდევნო თაობათა მხრიდანაც, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უძველესი რელაციები, საინტერესო და ძვირფასი ცნობები შორეული ჰორიზონტებიდან, სამყაროს შეცნობის პირველი ნაბიჯები იყო შუა საუკუნეების ცოდნას მოწყურებული ადამიანებისათვის.

შუა საუკუნეების მოგზაურთა რელაციები მოგზაურული და გეოგრაფიული ლიტერატურის ისტორიის უძველესი განძია, რადგან სწორედ ამ პერიოდიდან იკვეთება მისი განვითარების გზები. ამ ეპოქის რელაციებს მკვლევრები განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან და დღემდე ინტერესით ეკიდებიან მის უძველეს ტექსტებს. ინტენსიური კვლევების შედეგად მათ მრავალ მოგზაურულ თხზულებას აღუდგინეს ძველი ღირსება, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა საერთო ინტერესი ამ ეპოქის მოგზაურული ლიტერატურისადმი.

თანმხლები პირის როლი ფრანგ მოგზაურთა მოღვაწეობაში

საფრანგეთის აღმოსავლეთთან ურთიერთობის საწყისად შესაძლებელია მივიჩნიოთ ირანის ხელმწიფის მიერ საფრანგეთის მეფის ფილიპ მშვენიერისადმი (Philippe I^er^, le beau) (1268-1314) 1289 და 1305 წლებში გაგზავნილი წერილები. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის არქივში დაცული ამ ისტორიული დოკუმენტების მიხედვით აღმოსავლეთის უძლიერესი მაჰმადიანური სახელმწიფო სთავაზობს ჭეშმარიტ ქრისტიან მეფეს სამხედრო ალიანსს, მეგობრულ და სახელმწიფოებრივ ურთიერთობას [25].

XIII საუკუნიდან ევროპელმა და მათ შორის რამდენიმე ფრანგმა მოგზაურმა [გიიომ დე რიუბრიუკი (Guillaume de Rubruk)], ჟან დე გაიფონტენი (jean de Gaillefontaine) და სხვა) გეზი აიღო მონღოლეთისაკენ, რომელიც დამპყრობლური ომების შედეგად გახდა დიდი და ძლიერი სახელმწიფო. მასზე გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის კომერციული ცენტრების, ინდოეთისა და ჩინეთისაკენ მიმავალი გზა, რომელიც მთავარ სავაჭრო არტერიად იყო ცნობილი. ევროპელი და მათ შორის ფრანგი მოგზაურები – კომერსანტები, საეკლესიო მისიონერები, სახელმწიფო მოხელეები თუ მკვლევრები, ამ გზით მიდიოდნენ აღმოსავლეთისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ ახლად გაძლიერებული სახელმწიფოები (მონგოლეთი, ირანი, თურქეთი) ან ერთმანეთს ებრძოდნენ, ან მათ მოსაზღვრე ქვეყნებს იპყრობდნენ, საფრანგეთის ინტერესი მათთან კომერციული, სამხედრო, პოლიტიკური და სხვა სახის კავშირების დამყარებისათვის სულ უფრო და უფრო ინტენსიური ხდებოდა.

აღმოსავლეთისაკენ მიმავალ მოგზაურებს ამიერკავკასიაზეც უნდა გაევლოთ, რომელიც XIII საუკუნიდან სხვადასხვა პერიოდში მონგოლების, სპარსელებისა და თურქების მიერ იყო დაპყრობილი, რაც აფერხებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების აღმოსავლეთთან დაკავშირებას.

როგორც ცნობილია, XIII-XVIII საუკუნეები ყველაზე სასტიკი პერიოდია ქართველი ხალხის ისტორიაში: XIII საუკუნის 30-იან წლებში საქართველო მონგოლების მსხვერპლი გახდა, XIV საუკუნის ბოლოს თემურ-ლენგის დაუსრულებელმა თავდასხმებმა მოიცვა ქვეყანა. 1471 წელს ირანის მრავალრიცხოვანი ჯარი შეიჭრა საქართველოში, XVI საუკუნეში ქართლ-კახეთი იბრძოდა ირანელების და ოსმალების, დასავლეთ საქართველო – ოსმალების წინააღმდეგ. 1553 წლიდან ქართლ-კახეთსა და სამცხე-საათაბაგოში ირანი გაბატონდა, ხოლო იმერეთის სამეფოში, გურიისა და ოდიშის სამთავროებითურთ – ოსმალეთი. XVII საუკუნის დასაწყისში (1614) შაჰ-აბასი მრავალრიცხოვანი ლაშქრით ქართლ-კახეთს შემოესია. ამავე დროს დასავლეთ საქართველოს ისევ ოსმალები უტევდნენ. 1795 წელს ისედაც განადგურებული საქართველო აღა მაჰმად-ხანმა ულმობლად დალაშქრა [26].

ამ საუკუნეებში აღმოსავლეთის ქვეყნებში სხვადასხვა მისიით ჩასული მოგზაურები ხედავდნენ მაჰმადიანურ ქვეყნებს შორის განაწილებულ, მათ ქრისტიანულ პროვინციებად შერაცხულ და დარბეულ საქართველოს. შეძლეს თუ არა ფრანგმა მოგზაურებმა ამ ურთულეს პირობებში ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და სარწმუნეობრივი მდგომარეობის სწორად აღქმა და გადმოცემა ამას მკითხველი მათი რელაციების გაცნობისას შეიტყობს.

საზღვაო და სახელმწიფო გზა, რომელსაც ფრანგი მოგზაურები მოჰყავდა საქართველოსკენ, ამ დროისათვის კარგად ორგანიზებული და ათვისებული, მაგრამ ძვირი და რთული იყო. „XIV საუკუნეში შავ ზღვაზე იტალიური ვაჭრობის განვითარებამ, XV-XVI საუკუნეებში ჩრდილოეთით, ვოლგა-კასპიის ზღვის აღდგენამ გააცოცხლა ამიერკავკასიის და კასპიის სანაპიროს გასწვრივი გზები, რომლებსაც აერთიანებდათ კასპიისპირეთ-კავკასიის ბაზარი. ამ გზების მთავარი პუნქტები ამიერკავკასიისა – ტფილისი, კასპიისპირეთისა – დერბენდი, ხოლო ორივე გზისათვის საკვანძო პუნქტი – შემახა“ [27] იყო.

ისტორიულად ცნობილია, რომ ქვეყნებს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობა კომერციის საშუალებითაც მყარდებოდა. სავაჭრო კაპიტალის მიზიდვის და სხვა სახელმწიფოებრივი მიზნების განხორციელებისათვის საფრანგეთის სახელმწიფო შერჩევით აგზავნიდა სანდო ადამიანებს აღმოსავლეთის ქვეყნებში სამოგზაუროდ.

ევროპელი მოგზაურები, მათ შორის ფრანგი საეკლესიო მისიონერები, მკვლევრები, სახელმწიფო მოხელეები, კომერსანტები თუ სხვანი ძირითადად ვაჭრების ქარავანს მიჰყვებოდნენ აღმოსავლეთისაკენ. მათ კარგად მოეხსენებოდათ, რომ სომეხ ვაჭართა ქარავანი რეგულარულად მოძრაობდა ჩინეთის საზღვრებამდე, და მრავალ მათგანს, განსაკუთრებით საკლესიო მისიონერებს (კაპუცინებს) სარეკომენდაციო წერილით არაერთხელ მიუმართავს სომეხ ვაჭართა საზოგადოებისათვის დიდ და რთულ გზაზე დახმარების სათხოვრად: „ანტიკური ხანიდან აღმოსავლეთის ვაჭართა შორის სომხებს გამორჩეული ადგილი ეკავათ. მათ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს შორეულ აღმოსავლეთთან, ხოლო XVI საუკუნიდან – სპარსეთსა და ინდოეთთან დამაკავშირებლად მიიჩნევდნენ. სომეხ ვაჭრებს თითქმის ყველა მსხვილ სავაჭრო პუნქტებში (ქვეყნებში) ჰქონდათ შექმნილი თავიანთი საზოგადოებრივი გაერთიანება, ეკლესია, ჰყავდათ მღვდელი“ [28]. სომეხი კომერსანტი ყველგანაა, სადაც კი არსებობს აღებ-მიცემობა. ენებისა და ხალხთა ზნე-ჩვეულებების ცოდნა მას ხელს უწყობს იოლად შევიდეს კონტაქტში უცხო ქვეყნის მცხოვრებთან და იპოვოს კიდეც თავისი საქმისათვის გამოსადეგი ადამიანი: „სომეხი ვაჭარი საჭიროების მიხედვით შეიძლება იყოს აგენტი, თარჯიმანი, მოხელე და დიპლომატი, ადგილობრივი მმართველობის სამსახურში, ან ევროპელის კომპანიონი, უცხო ქვეყნის სამსახურში“ [29].

გამოუცდელი მოგზაურისათვის სავაჭრო ქარავანთან ერთად მგზავრობა, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი, საინტერესო და ნაკლებად ხიფათიანიც იყო. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ მოგზაურის თეორიული ცოდნა და მისი საკუთარი წარმოდგენები აღმოსავლეთის ქვეყნების შესა-

ხებ ერთბაშად ქარწყლდებოდა, როგორც კი ის ევროპის საზღვრებს გასცდებოდა. ამგვარი მგზავრობით კი ახალბედა მოგზაური შეიძენდა პრაქტიკულ ცოდნას, მოგზაურულ გამოცდილებას და მიიღებდა ათასგვარ კითხვაზე პასუხს, რომელსაც მანამდე ვერც ერთ წიგნში ვერ ამოიკითხავდა. ამის მიუხედავად, გამუდმებული ომების გამო ამიერკავკასიის ტერიტორიის გადალახვისას მას მაინც მრავალი თავდასხმა და ფათერაკი ელოდა, მაგრამ მისთვის მოვალეობა და მიზანი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მოსალოდნელი უბედურებისაგან გამოწვეული შიში.

აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობის შესახებ შექმნილ ნაწარმოებთა ერთ-ერთი თემა საქართველოა. ერთერთი იმიტომ, რომ XIII-XVIII საუკუნეებში სახმელეთო, საქარავნო და საზღვაო გზა საშუალებას აძლევდა აღმოსავლეთისაკენ მიმავალ მოგზაურს გასცნობოდა და აღეწერა მრავალი ქვეყანა, მათ შორის საქართველო. მათი მთავარი დანიშნულების ადგილი -მონგოლეთი, ოსმალეთი, ირანი და სხვა – იმ პერიოდისათვის აღზევებული სახელმწიფოები იყო. სამწუხაროა, რომ ისინი ამ ქვეყნების მიღმა, მათი კუთხით ხედავდნენ და აღიქვამდნენ საქართველოსა და ქართველ ხალხს.

აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ჟანრის მოგზაურული თხზულებების გაცნობამ დაგვანახა, რომ ფრანგ მოგზაურთა ერთი ნაწილი საქართველოს და მისი ხალხის მიმართ ამჟღავნებს დიდ ინტერესს და კეთილგანწყობას. რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ფონზე ისინი ცდილობენ ჩასწვდნენ საქართველოს აწმყოს და გამოიკვლიონ მისი წარსული. მოგზაურთა შთაბეჭდილებებში საქართველო მოხსენიებულია, როგორც გმირული წარსულის, წარმტაცი ბუნების მქონე ქვეყანა, ლამაზი, შეუპოვარი, კეთილშობილი და ღრმადმორწმუნე ქრისტიანებით დასახლებული. მოგზაურების მეორე ნაწილმა ან მდუმარედ გადალახა საქართველო და მთელი ყურადღება მსგავს პირობებში მყოფ მის მოსაზღვრე ქვეყანას, კერძოდ, სომხეთს მიაპყრო ან ყოველგვარი დაკვირვებებისა და გამოკვლევის გარეშე დაუდევრად შეაფასა

საქართველოს ყოფა, მისი მტრისაგან გადამწვარი და აწიოკებული მოსახლეობა, მოურიდებლად გამოამჟღავნა მათდამი გულგრილობა ან ანტიპათია.

ფრანგ მოგზაურთა რელაციების გაცნობისას შევნიშნავთ, აგრეთვე, რომ XIII-XVIII საუკუნეების ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურაში საქართველოს შესახებ რაოდენობრივად ბევრად უფრო ნაკლები ნაწარმოებებია, ვიდრე მის მეზობელ, იმავე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის მქონე სომხეთზე. ფრანგ მოგზაურთა – ჟან დიუ მონის (Jean du Mont), პეტის დე ლა კრუას (Petis de la Croix), მიშელ ფებრის (Michel Febre), ალექსანდრ დე როდის (Alexandre de Rhôdes), ჟაკ ვილოტის (Jacques Villotte), ფილიპ ავრილის (Philippe Avril), გაბრიელ დე შინონის (Gabriel de Chinon), რაფაელ დიუ მანსის (Raphael du Mans), ბარონ დე გურმენენის (Baron de Gourmenin), ფრანსუა პიკეს (François Picquet), ლორან დარვიეს (Laurent d'Arvieux), ფრანსუა ბერნიეს (François Bernier) და სხვა მრავალ მოგზაურულ თხზულებაში საქართველო იგნორირებულია, ან გაკვრით არის მოხსენიებული, ხოლო სომხეთი და სომეხი ხალხი ვრცლად და დეტალურად არის აღწერილი. ბევრმა სომხური ენაც კი შეისწავლა, რათა, როგორც თვითონ მოგზაურები აღნიშნავენ, უკეთ გასცნობოდა სომხურ კულტურას, ხელოვნებას, ლიტერატურას. ამგვარად უფრო შეძლებდნენ ტანჯული სომეხი ხალხისათვის სულიერი, ფიზიკური და სარწმუნოებრივი ტკივილების შემსუბუქებას. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ზემოხსენებულ მოგზაურთა დიდი ნაწილი თავიანთ მოგონებებში მადლიერებით მოიხსენიებდნენ სომეხი ეროვნების (არნო, გასპარი, ანტუანი...) მსახურსა და თანმხლებს, რომლებიც თითქოსდა დაკისრებული მოვალეობის შესრულების მიზნით თავს დასტრიალებდნენ და ბეჯითად ემსახურებოდნენ მათ მოგზაურობის განმავლობაში.

საერთოდ ვუაიაჟისტი (მოგზაური), ცნობილი იყო იგი თუ არა, შორეულ ქვეყანაში მოგზაურობისას ირჩევდა თანმხლებ პირს, რომელიც სამოგზაურო ქვეყანას იცნობდა და იმ ქვეყნის ენას ფლობდა აეად თუ კარგად. მოკ-

ლედ, იგი სპეციალურად ამ საქმისათვის გაწვრთნილი და მომზადებული უნდა ყოფილიყო.

როგორც ვხედავთ, საეჭვრო ქარაგნების და სხვა ქვეყნებში არსებული სომეხ ვაჭართა საზოგადოებრივი გაერთიანებები ევროპელ, მათ შორის, ფრანგ მოგზაურებს და მისიონერებს დიდ სამსახურს უწევდნენ. გარდა ამისა, XVII-XVIII საუკუნეებში არსებობდა ინტერპრეტატორის („თარჯიმნის"), პროფესიონალი თანმხლები პირის ინსტიტუტი, რომელიც საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის სახელმწიფო მინისტრის, მოგზაურობისა და მოგზაური ლიტერატურის დიდი დამფასებლის, ჟან-ბატისტ კოლბერის (1649-1683) მიერ იყო დაარსებული. ის აგზავნიდა ახალგაზრდებს აღმოსავლეთში ენის შესასწავლად, იქაური ზნე-ჩვეულებების და ადათ-წესების შესაფასებლად. ყოველივე ამის შედეგად მათ უფლება ჰქონდათ ემუშავათ მდივან-თარჯიმნებად აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში. ცნობილი ფრანგი მკვლევარი ანრი კორდიე თავის შრომაში „გენერალ ბრიუნის თარჯიმანი და ახალგაზრდა ენების სკოლის დასასრული" ხაზგასმით აღნიშნავს მათი სამსახურის მნიშვნელობას: „თარჯიმნები, რომლებიც მუშაობენ მუსულმანურ სახელმწიფოებში, პირისპირ დგანან ელჩსა და ქვეყნის მთავარ მმართველ ძალებს შორის, ისინი მოქმედებენ სრულიად დამოუკიდებლად პოლიტიკურ, იურიდიულ და კომერციულ საკითხებზე მოლაპარაკებისას" [30]. ამ ფუნქციონერ ინტერპრეტატორებს XVIII საუკუნემდე ეწოდებოდა ტრუშმანი (truchman), შემდეგ კი დროგმანი (drogman). ისინი იყვნენ გიდები, მოსამსახურეები, მცველები, მზარეულებიც კი. „დროგმანი, როგორც წესი, აღმოსავლეთელი ქრისტიანი, ძირითადად ბერძენი ან სომეხი, იშვიათად აღმოსავლეთელი ებრაელი იყო. თავისი პროფესიის გავლენით ის თითქოს გაორებული იყო – რწმენით ევროპასთან მიახლოებული, იგი კულტურით აზიას ეკუთვნოდა" [31].

როგორც ჩანს, ფრანგ მოგზაურთა თანმხლები პირი შეიძლებოდა ყოფილიყო კომერსანტი, განსწავლული ინტერპრეტატორი (იგივე ტრუშმანი, დროგმანი) და უბრა-

ლოდ დაინტერესებული პირიც. ფრანგული მოგზაურული ლიტერატურის გაცნობისას შევნიშნეთ, რომ XVII-XVIII საუკუნეების ფრანგ მოგზაურთა რელაციებში აღმოსავლეთის ქვეყნების, განსაკუთრებით სპარსეთისა და თურქეთის შესახებ ხშირად ფიგურირებს სომეხი კომერსანტი, სომეხი ინტერპრეტატორი და თანმხლები პირი, სომეხი მასპინძელი და მსახური, ამდენად გაგვიჩნდა კითხვა: გამიზნულად ხომ არ გადაჰქონდათ მათ ფრანგ მოგზაურთა ყურადღება და, რაც მთავარია, მათი ქველმოქმედება თავისი ქვეყნისაკენ?!

თანმხლები პირის, გიდ-ინტერპრეტატორის საქმიანობა მართლაც რომ საპასუხისმგებლო იყო, მას პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა, თვითონ კი, როგორც მედიატორი, უცხო ქვეყანასა და მოგზაურს, ან ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის წარმმართველი იყო. ხშირად მათი მოღვაწეობა ენებდა მოგზაურსა და მის გამოკვლევას, რადგან არსებობდნენ ისეთი მოგზაურებიც, რომლებიც სიმხდალის, სიზარმაცის, არაკომპეტენტურობის ან უბრალოდ გულუბრყვილობის გამო მთლიანად ეყრდნობოდნენ თანმხლები პირის, თარჯიმნის ინფორმაციას, მოსაზრებას, შთაბეჭდილებას. ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურაში დროგმანი, იგივე გიდ-ინტერპრეტატორი, სათანადოდაა გამოკვლეული და მისი მოღვაწეობა მოგზაურთა და მკვლევართა მიერ უმრავლეს შემთხვევაში უარყოფითადაა შეფასებული: „გიდ-ინტერპრეტატორის კონტრაქტზე ხელის მოწერისთანავე მოგზაური თავის ბედ-იღბალს მას აბარებს. რა თქმა უნდა, მოგზაურობისას აუცილებელია თარჯიმანი, განსაკუთრებით ევროპელი მოგზაურებისათვის, რომლებმაც ხშირად არ იციან აღმოსაელური ენები. აღმოსაელეთელი თარჯიმნები, ფუნქციის მიხედვით, ახლოს დგანან აღმოსაელეთთან, ინტელექტით კი, სამწუხაროდ, ძალზე შორს. დროგმანები განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენდნენ რომანტიკოს მოგზაურებზე თავიანთი ნაამბობით აღმოსაელეთზე, რომელიც სიცრუეს უფრო ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს“ [32].

მოგზაურები თავიანთ ნაწერებში უკმაყოფილებას გამოთქვამენ თარჯიმანთა მორალურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობაზე და მოიხსენიებენ მათ, როგორც მოხეტიალე, გამოუსადეგარ, ლაქლაქა ადამიანებს. ცნობილი ფრანგი მკვლევარი ჟ.სეარი (Jean Ceard) მოუწოდებს მოგზაურებს განთავისუფლდნენ მავნე გიდ-ინტერპრეტატორებისაგან და გახდნენ თავიანთი გონებისა და გრძნობების ბატონ-პატრონნი: „დროგმანი, იგივე თანმხლები პირი, არა მხოლოდ ტექნიკური მთარგმნელია, არამედ უფლებამოსილია შეასრულოს მედიატორის როლი. მიეკუთვნება რა ორ კულტურას, იგი აღვიევებს უნდობლობას და ეჭვს ურთიერთობაში... რა ვქნათ?! ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა ვთქვათ თარჯიმნის (ტრუშმანის) პერსონაჟზე და როგორმე თვითონ შევძლოთ ამ მხრივ საკუთარი თავის მომსახურება. დიდი სიამოვნებაა აღმოსავლეთის ქვეყნების ხილვა, მაგრამ თუ მანძილი ძალზე გრძელი გეჩვენებათ, გამძლეობა არა გაქვთ, თვალი არ გიჭრით და მარცხის გეშინიათ, ჩემი რჩევაა, ნუ გაუდგებით შორეულ გზას“ [33].

ზემოაღნიშნულთან ერთად თუ მხედველობაში მივიღებთ აღმოსავლეთის ქვეყნების მღელვარე სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, რომლის პირისპირ რჩებოდა მოგზაური არასანდო, არაკომპეტენტური ინტერპრეტატორის თანხლებით, აგრეთვე იმასაც, რომ არსებობს ცრუ მოგზაურის ტიპი, რომელიც „რეალობაზე უფრო საკუთარ ფანტაზიას გვთავაზობს, ან, რაც ნახა, იმას უმატებს, რაც შეიძლებოდა ენახა“, იოლი მისახვედრია, თუ რატომ არის XV-XVIII საუკუნეების ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურაში საქართველოს სახე ბუნდოვანი, უფერული და ხშირად არაობიექტურიც.

ჩვენ მიერ მოკვლეული XIII-XVIII საუკუნეების ფრანგ მოგზაურთა: გ.რიუბრიუკის (Guillaume de Rubruk), ჟ.დე გაიფონტენის (Jean de Gaillefontaine), ჟ.ლე ბუვიეს (Gil le Bouvier) (XIII-XV), ფრ. დე ლა ბულეი ლე გუს (François de la Bouley le Gouz), დ’ერბელო დე მოლანვილის (D’Herbelot de Molainville) (XVII), ფერიერ-სოვბეფის (Ferrieres-Sauveboeuf),

აბე გოდეროს (L'abbé Gaudereau), გ.დე ლილის (Guillaume de L'isle), შ.დე პეისონელის (Charles de Peyssonel) (XVIII) და სხვათა რელაციები, რომლებიც პირველად ჩვენს მიერაა თარგმნილი ქართულად, ვფიქრობთ დააინტერესებს ჩვენს მკითხველ საზოგადოებას.

მიუხედავად ხსენებულისა და სხვა ზოგიერთი უზუსტობისა, მაინც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ XIII-XVIII საუკუნეების ფრანგმა მოგზაურებმა, რომელთა შორის არიან სხვადასხვა წარმოშობის, პროფესიის, მიზნების, ინტერესების და გემოვნების ადამიანები, აღწერეს და დაგვიტოვეს საინტერესო მასალები ჩვენი ქვეყნის შესახებ, რომელიც, როგორც მოგზაურული ნაწარმოებები, წარმოადგენს ფრანგული ლიტერატურის ისტორიის საყურადღებო ნაწილს.

საქართველოს სახე მისიონერულ მოძრაობაში

არაქრისტიანული სამყაროს ევანგელიზაცია დასავლეთ ევროპის ძლიერი ქვეყნების ხელისუფალთა აზროვნებაში უკვე XI საუკუნის ბოლოს გაჩნდა.

ლათინური ეკლესიის განსაკუთრებული მისიონერული აქტივობა იერუსალიმის აღებიდან (1187) შეინიშნება. XII საუკუნეში ლათინური ეკლესიებისა და აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანებისთვის დაწყებული მოძრაობა მთელი მსოფლიოს ქრისტიანების გაერთიანებისათვის ბრძოლაში გადაიზარდა. ამ შემთხვევაში მისიონერები, კათოლიკური ეკლესიის სხვადასხვა ორდენის წარმომადგენელნი რომის პაპის ყველაზე აქტიურ ძალას წარმოადგენდნენ. XIII საუკუნის დასაწყისში მრავალი მისიონერი რელიგიური თუ პოლიტიკური დავალებით შავი ზღვის ჩრდილოეთის, სამხრეთის და ბიზანტიის სახელმწიფოებისაკენ მიაღწევდნენ [34].

ისტორიული ცნობების მიხედვით ჯერ კიდევ ჯვაროსნული მოძრაობის პერიოდში ჯვაროსანთა ურთიერთობამ საქართველოს მეფეებთან საფუძველი ჩაუყარა ევროპელ მისიონერთა მოღვაწეობას საქართველოში. ევროპისათვის

ცნობილი იყო, რომ საქართველო XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დასაწყისში ძლიერი, ვრცელი და გავლენიანი სახელმწიფო იყო. ამასთანავე, XII საუკუნიდან სხვადასხვა ქვეყნებთან კონტაქტების დამყარება ქრისტიანთა გაერთიანებისათვის იერუსალიმში მცხოვრებ და მოღვაწე ქართველთა შუამდგომლობით ხდებოდა. 1211 წელს მათ თხოვნით მიმართეს პაპს ინოცენტი III-ს (Innocent III), რათა იგი მიშველებოდა საქართველოს მეფეს იერუსალიმში ლათინური სამეფოს დასაცავად. 1221 წელს კი რომის პაპის ელჩს მოუწოდებია ქართველებისათვის სარკინოზების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობისაკენ. ამგვარად იგი ხელს შეუწყობდა ჯვაროსანთა შემდგომ სალაშქრო ოპერაციებს ეგვიპტეში. კათოლიკური ეკლესიის მესვეურებს და საფრანგეთის მეფეებს არაერთხელ უგრძნიათ ქართველთა თანადგომა ჯვაროსნულ ბრძოლებში, თუმცა თავად ქართველი მეფეები ხშირად დარჩენილან მათგან გაწბილებულნი. ამას მოწმობს რუსუდან დედოფლის წერილი – „უწმიდეს პაპს, ყოველთა ქრისტიანთა მამას და მეუფეს, უნეტარეს პეტრეს ტახტზე მჯდომს“, რომელშიც ატყობინებდა, რომ მონგოლთა მოულოდნელი და გამანადგურებელი თავდასხმის გამო შეუძლებელი გახდა ქართული ლაშქრის წარგზავნა სარკინოზების წინააღმდეგ. წერილი პაპისათვის გადასაცემად ანის ეკლესიის პატრიარქს დავიდს მიანდეს [35]. უცნობია, რატომ ვერ მიაღწია დროულად დედოფლის წერილმა პაპამდე. ქართველები ამაოდ უხმობდნენ დახმარებისათვის ფრანგ ჯვაროსან თანამოლაშქრეებს, რათა მონგოლთა რისხვისაგან თავი დაეღწიათ.

როდესაც ამ სასტიკი და გამანადგურებელი ბრძოლების შესახებ ცნობებმა სხვადასხვა გზებით დასავლეთსა და ბიზანტიის ლათინურ აღმოსავლეთ ნაწილებშიც შეაღწია, პაპმა შეიტყო, სხვა ქრისტიანულ ქვეყნებთან ერთად, ქართველთა საბედისწერო მდგომარეობა. მან გულისტკივილი გამოთქვა. ქართველ დედოფალს კი აუწყა, რომ მაშველი „საეკლესიო ჯარი“ უკვე დანაწილებული და გაგზავნილი იყო სხვა ქვეყნებში და საქართველოს დასახმა-

რებლად უკვე აღარავინ ჰყავდა, თუმცა ქართველი დედოფალი გაამხნევა და მოუწოდა კათოლიკური სარწმუნოებისადმი ერთგულებისაკენ [36].

ლათინური და ქართული ეკლესიის გაერთიანების იდეით შეპყრობილ პაპს ინოცენ III-ს ბევრად უფრო გვიან (1233), მონგოლთა მიერ უკვე დაპყრობილ საქართველოში მოუვლინებია ფრანცისკელი ბერი ჟაკ რუსიანი (Jacques Russian) და მისი რამდენიმე თანამოძმე კათოლიკური ეკლესიის სადიდებლად. ქართველ დედოფალს ისინი სათანადო პატივით მიუღია და დიდი პატივისცემა გამოუხატავს ამ რელიგიური ორდენის მიმართ, ხოლო 1240 წელს მისივე ბრძანებით რვა დომინიკელი ბერიც ჩამოუსახლებია საქართველოში. მათ ტფილისში მონასტერიც აუგიათ, მაგრამ, ეტყობა, სახელდახელოდ აგებულმა ჟამთა სიავეს ვერ გაუძლო და განადგურდა. ამგვარად, 1257 წელს ჩამოსულ ბერებს მისი კვალიც კი ვერ უპოვიათ.

რვა დომინიკელ ბერს შორის, როგორც მასპინძელი, ფიგურირებს გიშარ კრემონი (Guichard de Crémone), რომელიც საქართველოში 1246 წელს ჩამოსულ მისიონერებს ყოველმხრივ ეხმარებოდა – აბინავებდა, აწვდიდა ინფორმაციას და საჭიროების მიხედვით თარჯიმანსაც აშველებდა, მაგალითად, დომინიკელი ბერების ჯგუფს მორჩილი ძმის ნ.ასელენის ხელმძღვანელობით, ჟან პლან დიუ კარპენს, სიმონ დე სენ-კანტენს, გიიომ დე რიუბრიუკს და სხვ.

მონგოლებთან წარგზავნილ ფრანგ ელჩებსა და მისიონერებს, რომლებიც გზად საქართველოსაც ეწვეოდნენ, ქართველი სამეფო და საეკლესიო პირნი დიდი სიხარულით და მოწიწებით ხვდებოდნენ, რადგან მათში ქართველი ხალხი ქრისტიანული სარწმუნოების გადარჩენის იმედს ხედავდა.

ძველი ცნობების მიხედვით, მოქადაგე ძმები ტფილისში XIV საუკუნეშიც მოღვაწეობდნენ და ისევე დაუზარებლად მასპინძლობდნენ ევროპელ მოგზაურებს, აცნობდნენ მათ დაპყრობილი ქვეყნის მძიმე რელიგიურ და სოციალურ

მდგომარეობას, როგორც მათი წინამორბედნი. საფრანგეთის მეფის წერილებით და პაპის მიმართვებით აღჭურვილი მოგზაურები ქართველ წარჩინებულებს საეკლესიო გაერთიანებისაკენ მოუწოდებდნენ. ზოგი მათგანი აღიარებდა ქართველთა შემართებას და მუდამ მზადყოფნას „წმინდა მიწის“ დასაცავად. XIV საუკუნის დასასრულისათვის ფრანცისკელებისა და დომინიკელების რეზიდენცია ტფილისში უკვე აღარ არსებობდა. XV საუკუნის დასაწყისში ახალციხეში საფუძველი ჩაეყარა რომისადმი დამორჩილებულ ეპარქიას. მაგრამ ამ პერიოდის ლათინური დოქტრინების შემოსვლა საქართველოში ჩვენთვის პრაქტიკულად უცნობია [37].

საქართველო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყანაა შუა საუკუნეების მისიონერთა მოძრაობის ისტორიაში. ის ჩანს, როგორც ქრისტიანული რელიგიისათვის თავდადებული, გმირული სულისკვეთების ქვეყანა. ამას ადასტურებს მისიონერთა ნაწერები და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მკვლევრები. მაგალითად, ფრანგი მისიონერი ჟურდენ დე კატალანი აღნიშნავს, რომ ქართველები მოწოდებულნი არიან წმინდა ადგილების დასაცავად. შორი მანძილის მიუხედავად ისინი ვალდებულების გრძნობით ებმებიან ჯვაროსნულ ლაშქრობებში და ძალიან უკვირთ დასავლეთელი მეფეების არასერიოზული დამოკიდებულება ამ მოძრაობის მიმართ, რადგან ხშირად ისინი სხვას მოუწოდებდნენ და თვითონ არ იღებდნენ მონაწილეობას ამ წმინდა ბრძოლებში. მაგალითად, 1332-1333 წლებში ფრანგმა ჯვაროსნებმა სარკინოზების წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობის პირობა დაარღვიეს [38].

XI და XIV საუკუნეების დასავლეთის ლიტერატურას თუ გადავხედავთ დავრწმუნდებით, რომ მასში აღმოსავლეთსა და ყოველივე აღმოსავლურს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული, რადგან განუზომელი იყო დასავლეთელთა ცნობისმოყვარეობა აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი. შუა საუკუნეების ავტორებმა აღმოსავლეთის თემას მრავალი სიმღერა, სათავგადასავლო მოთხრობა და რომანი მიუძღვნეს.

პირველ ჯვაროსნულ მოძრაობას მოჰყვა ლიტერატურულ ნაწარმოებთა პირველი ნაკადი, თვითმხილველთა წერილები, მემუარები და მოთხრობები, რომლებიც აღწერდა ჯვაროსანთა საქმიანობას, ადიდებდა ქრისტიანული სარწმუნოებისათვის მათ თავგანწირვას. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს (1214-1219) დასავლეთელთა თვალსაწიერი აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართულებით საგრძნობლად გაფართოვდა. თუკი აქამდე ისინი მოიაზრებოდნენ სასწაულების ქვეყნებად, არარეალურ სამყაროდ და ა.შ., დადგა დრო, როდესაც პაპები, ჯვაროსანთა ბელადები, თანმხლები პირნი უკვე ცდილობდნენ აესახათ რეალური ვითარება აღმოსავლეთის იმ მხარისა, სადაც უნდა გაშლილიყო ჯვაროსანთა ექსპედიციის მუშაობა. მათ დახმარებას და შუამავლობას უწევდნენ სხვადასხვა მიმდინარეობის ქრისტიანები, რომლებიც იქ საეკლესიო მისიით იმყოფებოდნენ. სწორედ მათ უნდა უმადლოდეს დასავლეთის საზოგადოება ამ მხარის ქვეყნებში მოპოვებული პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური პროცესების ამსახველი ცნობების არსებობას, რომელსაც ისინი წლების მანძილზე აწვდიდნენ მას. გარდა ქრისტიანული რელიგიის ქადაგებისა, საეკლესიო მისიონერთა მიზანი – დაემყარებინათ კონტაქტი აღმოსავლეთის ქრისტიან მეფეებთან და მთავრებთან, მოეკვლიათ ორიგინალური მასალები აღმოსავლეთის შესახებ - მრავალი წლის მანძილზე გარკვეული წარმატებით ხორციელდებოდა. იმ პერიოდში, როცა მონგოლები წალეკვით ემუქრებოდნენ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას და სიტყვა „თათრები“ დასავლეთ ევროპელი ხალხის ყველა სოციალური კლასისათვის ძრწოლისა და შიშის მომგვრელი იყო, მონგოლთა თავდასხმის თავიდან ასაცილებლად პაპმა ინოცენ IV-მ მონგოლთა ბელადთან ელჩები აფრინა. მას საფრანგეთის მთავრობამაც მიბაძა და წარგზავნილთა რაოდენობა თანდათან გაიზარდა. მეფისა და პაპის მოსაზრებით მიელინებულთა სვლა უნდა გაგრძელებულიყო მანამდე, სანამ თათრები ქრისტიანულ სარწმუნოებას არ აღიარებდნენ, ამის შემდეგ კი გაერთიანებული ქრისტიანები ეგვიპტის

სულთნის წინააღმდეგ გაილაშქრებდნენ. საფრანგეთის იმ პერიოდის მეფეს ლუი IX-ს, წმინდა ლუიდ წოდებულს, სწამდა ეს გულუბრყვილო პროექტი და ძალ-ღონეს არ იშურებდა მის განსახორციელებლად. ისტორიულად ცნობილია, რომ ლუი IX თავად იღებდა მონაწილეობას ქრისტიანული რელიგიის განვითარებასა და გავრცელებისათვის ბრძოლებში. იგი ავალებდა წარგზავნილებს, ელჩებსა თუ მისიონერებს, გამოეკვლიათ მონგოლთა, ამ უძლეველ დამპყრობელთა წარმომავლობა, ხასიათი, ცხოვრების წესი, შეესწავლათ, აგრეთვე, მათ მიერ დაპყრობილი ქრისტიანული ქვეყნები, რადგან უდიდესი იყო როგორც მთავრობისა და ეკლესიის, ისე საზოგადოების ინტერესი ამ ხალხის მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო მოგზაურული ლიტერატურის საფუძვლიანი თხზულებების შექმნა, როგორიცაა ცნობილი მოგზაურის ვენსან დე ბოვეს (Vincent de Beauvais) მიერ 1250 წელს გამოქვეყნებული შუა საუკუნეების დიდი ენციკლოპედია "Speculum historiale...", რომელშიაც შედის სწორედ მეფისა და პაპის მიერ წარგზავნილი ელჩებისა და მისიონერების - სიმონ დე სენ-კანტენის (Simon de Saint-Quentin), ჟან დიუ პლან კარპენის (Jean du Plan Carpin), ჟურდენ კატალანის (Jourdain Catalani de Severac), გიიომ დე რუბრიუკისა (Guillaume de Rubruk) და სხვათა თხზულებები მონგოლების შესახებ. ამ მოგზაურ-მისიონერთა ვრცელ ნაწარმოებებში რამდენიმე თავში აღწერილია მონგოლთა მიერ დაპყრობილი ქვეყნების, მათ შორის საქართველოსა და ქართველების ცხოვრება.

ელჩების, მისიონერების თუ ცნობილი მოგზაურების მნიშვნელოვანი მოთხრობების გარდა არსებობდა ურიცხვი ტრაქტატები, ჯვაროსანთა პროექტები, გეგმები, ვაჭრების, პილიგრიმების (მიმლოცველების) თუ გიდების ნაამბობი, რომლებიც მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებდა ამგვარი სახის ცნობებით დაინტერესებულ პირებს.

აღმოსავლეთის შესახებ ამ მრავალფეროვან ლიტერატურაში გაჩნდა კიდევ ერთი მიმართულება წარმოსახვითი მოგზაურული მოთხრობებისა და რომანებისა. ამ მიმართუ-

ლების სულისჩამდგმელი შუა საუკუნეების მწერალი ჟან დე მანდევილია (Jean de Mandeville). მან პირველმა შესთავაზა მკითხველს თავისი ნაწარმოები – "Voyage de Sir John Mandeville en Orient en 1492" – წარმოსახვითი მოგზაურობის შესახებ.

მოგზაურული ნაწარმოებების მრავალფეროვნება და სიუხვე გვიჩვენებს, რომ ორიენტალიზმის თემამ თავისი პოპულარობა უკვე შუა საუკუნეებიდან დაიმკვიდრა. აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები მკითხველი საზოგადოებისათვის იდუმალ სამყაროში შეღწევის ერთგვარ საშუალებას წარმოადგენდა, ამავე დროს, მოგზაურთა მიერ მოწოდებული მაღალი ღირებულების ინფორმაცია დასავლეთის საზოგადოების თვალსაწიერის გაფართოებას, ცოდნის ამაღლებას ემსახურებოდა. წარმოსახვითი მოგზაურული ნაწარმოებებიც კი, რომელთა სიუჟეტი ძირითადად პილიგრიმების, გიდებისა და სხვათა ნაამბობზე იყო აგებული, მაინც იძლეოდა გარკვეულ ცოდნას ამ მხარის შესახებ. ამდენად, არარეალური სიუჟეტის გამო არ გაუფერულებულა მათი მნიშვნელობა.

როგორც აღინიშნა, მოგზაურული ლიტერატურის დიდი ნაწილი აღმოსავლეთის შესახებ მონგოლთა მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე გამოჩენის შედეგად შეიქმნა, შესაბამისად იმძლავრა მკითხველი საზოგადოების ცნობისმოყვარეობამ ამ ლიტერატურისადმი უკვე XII საუკუნის II ნახევრიდან.

შუა საუკუნეების მოგზაურული ნაწარმოების ხასიათი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადმოსცემს მოგზაური თავის გამოცდილებას, განცდებს, ემოციებს. მოგზაურთა ერთი ნაწილი გატაცებულია თავგადასავლების თხრობით, მისთვის საკვირველი მოვლენების აღწერით, მეორე ნაწილი მიმართავს კოსმოგრაფიულ, ანუ სამყაროს აღწერის მანერას. თუმცა მათ მიერ მსოფლიოს სურათის წარმოდგენა ხშირად ქვეყნების ბუნებისა და ადამიანების გარეგნობის აღწერით შემოიფარგლება. მაგალითად, საეკლესიო მოგზაურები დაწვრილებით აღწერენ ამა თუ იმ ქვეყანაში რელიგიურ მდგომარეობას, მათ სიწმინდეებს,

ღვთის მორჩილების ხარისხს, ამავე დროს არ ავიწყდებათ საუბარი თავიანთი მოღვაწეობის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე [39].

პირველი მოგზაური პილიგრიმები (pèlerins), ძირითადად, გზამკვლევს ადგენდნენ. ეს მოკლე სამოგზაურო ცნობარი მომავალი თაობის პილიგრიმებისათვის სამოგზაურო ანბანს წარმოადგენდა. შემდეგი პერიოდის მისიონერები და დიპლომატები, მაგალითად, სიმონ დე სენ კანტენი (Simon de saint Quentin), ჟან დიუ პლან კარპენი (Jean du Plan Carpin), ჟურდენ კატალანი დე სევერაკი (Jourdin Catalani de Severac), გიიომ დე რიუბრიუკი (Guillaume de Rubruk), ჟან დე გაიფონტენი (Jean de Gaillfontaine) და სხვები ძირითადად დასავლეთისათვის ძვირფასი ცნობების მოკვლევით იყვნენ დაკავებულნი, ისინი წერდნენ აღწერილობით, ინსტრუქციული ხასიათის მოთხრობებს და ნაკლებ დროს უთმობდნენ რელიგიური ადგილებისა და სიწმინდეების შესწავლას.

შუა საუკუნეების მოგზაურულ ლიტერატურას არ აქვს გამოკვეთილი მიმართულება, აკლია სისრულე, რაც კარგად ჩანს ამ პერიოდის მცირერიცხოვანი ნაწარმოებებიდან. ჯვაროსანთა ნაამბობი არ არის იმ გეგმით აგებული, როგორც კოსმოგრაფიული თხზულება, არც ავტოგრაფიული მოთხრობა მიესადაგება პილიგრიმების „გიდის“ მოდელს.

ამ პერიოდის მოგზაური თავისი გამოცდილების თუ შთაბეჭდილების გამოსახატავად მიმართავდა ორ საშუალებას – კოსმოგრაფიულ მანერას ან აღწერის ხელოვნურ მანერას, ე.ი. მოგზაურობის ეტაპობრივ აღწერას, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული საკუთარი დადებითი თუ უარყოფითი ემოციების გამომწვევი საგნები და მოვლენები.

შუა საუკუნეების მოგზაურულ ლიტერატურაში მრავალ ნაკლთან ერთად ნათლად ვხედავთ მის ღირებულებასაც. ამ პერიოდის მოგზაურული მოთხრობები სისტემური ფორმით გვაწვდის ისტორიულ ცნობებს. მაგალითად, პლან-კარპენმა თავი მოუყარა მასალებს მონგოლთა იმპერიის შექმნის შესახებ, სიმონ დე სენ-კანტენმა სათათრეთის ისტორიის გარდა დაწერა თურქეთის ისტორია, იმ დროისათვის ნაკლებად ცნობილი მასალების საფუძველზე-

გ.რიუბრუკიც ასევე გვაწვდის სხვადასხვა ეპიზოდებს მონგოლთა ისტორიიდან. ამ ტიპის მოგზაურთა ღვაწლი ღირსეულად იქნა დაფასებული მათივე სიცოცხლეში თავიანთი ქვეყნის მთავრობისა და წარჩინებული საზოგადოების მიერ.

შუა საუკუნეების მოგზაურული თხზულებები თავისი ხარისხით ვერ თავსდება ლიტერატურული ქმნილებისათვის შესაფერის ჩარჩოებში, მაგრამ ამან ვერაფერი დააკლო მათ უდიდეს პოპულარობას იმ ეპოქის მკითხველ საზოგადოებაში, რადგან ეს იყო პირველი სუსტი ძაფები, რაც მას მსოფლიოს ყველა წერტილთან აკავშირებდა.

XIV საუკუნის ბოლოს თემურ-ლენგის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენამ და მისმა დამპყრობლურმა გეგმებმა კიდევ ერთხელ შეძრა მსოფლიო. საფრანგეთის და კასტილიის ხელისუფლებმა უმალვე გადაწყვიტეს დაემყარებინათ კავშირი აზიის ახალ მბრძანებელთან. ამის გამო გაჩნდა ელჩების ახალი ტალღა. კავკასიის ქვეყნები, მათ შორის საქართველო, ამჯერადაც განსაკუთრებულად აქტიური ზონა იყო ქრისტიანული რელიგიის დაცვის თვალსაზრისით. ეს მისია პაპმა კლემან VII-მ (Clement VII) დომინიკელ ბერებს დააკისრა, რომლებსაც ტფილისსა და ახალციხეში მონასტრები უნდა აეგოთ, ექადაგათ ქრისტიანული სარწმუნოება და ფლორენციის დეკრეტის მიხედვით ეღვაწათ აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანებისათვის. ერთ-ერთმა მათგანმა ლუი სეევრი დე ბოლონმა (Luis Severie de Bologne) დაახლოებით XV საუკუნეში ეკლესიის მესვეურებს სიამაყით აცნობა, რომ სასულიერო წინამძღვრის გარეშე დარჩენილ დაღესტნისა და საქართველოს ქრისტიანებს დიდი ნდობა გამოუმჟღავნებიათ დომინიკელებისა და ფრანცისკანელების მიმართ [40].

XV საუკუნე ოტომანური იმპერიის გაბატონების ხანაა. ფრანგმა მოგზაურებმა მრავალი ახალი ცნობით გაამდიდრეს მოგზაურულ-გეოგრაფიული ლიტერატურა. ფრანგ მოგზაურებს, რომლებმაც ამ საუკუნეში შემოიარეს აღმოსავლეთის რეგიონები – სომხეთი, საქართველო და სხვა

ქვეყნები – ინფორმაციების მიწოდების გარდა სხვა უპირატესობაც აქვთ. ისინი ზოგჯერ მემატიანეზე მეტად საინტერესონი არიან არა მარტო მათ თვალწინ მომხდარი ცინცხალი მოვლენების, ჩვეულებრივი თუ არაჩვეულებრივი საგნების და მათ ირგვლივ მიმდინარე პროცესების, სხვადასხვა ეროვნების ადამიანების გარეგნობისა თუ ცხოვრების აღწერის გამო, არამედ მკვეთრად გამოხატავენ თავიანთ სულიერ და ინტელექტუალურ დამოკიდებულებას ყოველივე ამის მიმართ. მსოფლიოს შესწავლით დაინტერესებულ პირებს აღარ აკმაყოფილებდათ მემატიანის მშრალი განმარტებები აღმოსავლეთის ქვეყნებზე, რომელიც ისტორიული ფაქტებით იყო გამყარებული და სიამოვნებით ეტანებოდნენ წყაროებს – ისეთ სპონტანურს, გულუბრყვილოს, ზოგჯერ სასაცილოსაც კი, როგორიცაა მოგზაურული მოთხრობები. თანამედროვე უნგრელი მკვლევარი ნ.იორგა (N.Iorga) [41] აღნიშნავს, რომ შუა საუკუნეების მოგზაურებმა ისტორიკოსთა შეგნების შეურაცხყოფამდე არაზუსტი ცნობები მოგვაწოდეს. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ შეუძლებელია თვითმხილველმა მოგზაურმა ცივი გონებით, უშეცდომოდ რეალურად შეაფასოს სხვადასხვა ხასიათის საკითხები, როგორიცაა ურდოების იერიშები, ცივილიზაცია, ბარბაროსული ბანდები, სახელმწიფოთა შექმნისა თუ დაშლის მიზეზები, თურქთა სისხლიანი თავდასხმები, სარწმუნოება, ქრისტიანული რელიგიის გავრცელება და ა.შ. რასაკვირველია, კათოლიკური სარწმუნოების ფარს უკან მდგომი შუა საუკუნეების დომინიკელი და ფრანცისკანელი ორდენის წარმომადგენლები, რომელთა სასულიერო განათლება ქრისტიანული სარწმუნოების მსახურებასა და გავრცელებას არ სცილდება, ვერ შეძლებდნენ ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური, ისტორიული ძვრების არსში წვდომას.

XV საუკუნის ბოლოს მკაფიოდ შეინიშნება მოგზაური ლიტერატურის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ცვლილება – თითქმის მივიწყებას მიეცა რელიგიისა და რელიგიურისადმი გადაჭარბებული ზრუნვა, რაც ასე დამახასიათებელი იყო წინა საუკუნეების მოგზაური

ლიტერატურისათვის. ამ პერიოდში ჩნდებიან მოგზაურები, რომელთა მისიამ სხვა ხასიათი შეიძინა. მათი თვითმიზანი აღარ არის მხოლოდ რელიგიური სიწმინდეების შესწავლა და რელიქვიების მოპოვება, ისინი აღარ ცდილობენ როგორმე მიიღონ ქრისტეს ჯვარცმისა ან სხვა საეკლესიო შინაარსის სუვენირი უცხო ქვეყნის იმპერატორის თუ მეფისაგან. ასევე აღარ ეძებენ ისეთ ეკლესიას, სადაც ყველაზე მეტი წმინდა სხეული ინახება. მოგზაურობამ თითქმის შეიძინა თავისი საუკეთესო მნიშვნელობა – მოგზაურობა უბრალოდ მოგზაურობისათვის, ტკბობისათვის, თვალსაწიერის გაფართოებისათვის. ეს კი შესაბამისად აისახა ამ პერიოდის მოგზაურულ ნაწარმოებებში. ამის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დასახელდეს წიგნი „მოგზაურული ჩანაწერების კრებული“, რომლის ავტორია ჟილ ლე ბუვიე (Gille le Bouvier) იგივე ბერი (Berry). 1402 წელს მან იმოგზაურა მსოფლიოს გაცნობის, მოგზაურობით ტკბობის მიზნით მრავალ ქვეყანაში, აგრეთვე, საქართველოში. მოგზაური თავისი თხზულების „ქვეყნების აღწერის წიგნის“ შესავალში მიმართავს იმ ადამიანებს, რომლებსაც არასოდეს უმოგზაურიათ: „მსურს მოგზაურობისას ისეთივე სიამოვნება განიცადოთ, როგორც მე საოცარი ქვეყნებისა და სასწაულებრივი მოვლენების ხილვისას. შესაძლოა მოგზაურობა ყველას არ ძალუძს ან არ სურს. ამ შემთხვევაში ის, რაც ამ წიგნშია წარმოდგენილი, უსათუოდ დაგაინტერესებთ“.

უნდა აღინიშნოს, რომ სასულიერო პირთა წმინდა ადგილებში მოგზაურობა, მართალია, საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ არ შეწყვეტილა, წმინდა ქალაქებში წესისამებრ მუდმივად მსახურობდნენ კაპუცინები, ბერ-მონაზვნები, რომლებიც თავის მხრივ ცდილობდნენ მოგზაურთა ყურადღება გადაეტანათ ისევ და ისევ საეკლესიო რელიქვიებისაკენ. ზოგჯერ მათ ავალდებულებდნენ კიდეც რელიგიური სიწმინდეების მონახულებას და აღწერას.

XVI საუკუნეში წარმოიშვა მოგზაურთა ახალი ტალღა აღმოსავლეთისაკენ. იესოს საზოგადოების წევრებმა – იეზუიტმა მამებმა ააღორძინეს მოგზაურობაში ღვთისმსა-

ხურების იმგვარივე მისიები, როგორიც იყო დომინიკელთა და ფრანცისკანელთა რელიგიური სვლები შუა საუკუნეებში. იეზუიტთა ჯგუფებმა გეზი აიღეს იერუსალიმისაკენ, ეგვიპტისაკენ, ევროპის იმ რეგიონებისაკენ, რომლებიც თურქეთის სულთანს ემორჩილებოდნენ – ადრიატიკიდან კონსტანტინოპოლამდე.

მათი მისია – აღმოსავლეთის ქვეყნებში რელიგიის დაცვა და გავრცელება – მათივე ქვეყნის პოლიტიკაზე იყო დამყარებული. საფრანგეთის მთავრობა თვლიდა, რომ მისი ქვეყანა, აღმოსავლეთის კათოლიკური სამყაროს მფარველი, ვალდებული იყო ამ მხარის ახალ ავტორიტეტებთან ელჩებად მიევლინა საეკლესიო მსახურები, რომელთა მეშვეობით იგი ინფორმირებული იქნებოდა აღმოსავლეთის ამ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ვითარების შესახებ.

რელიგიური ომების გამო გაციებდა ურთიერთობა საფრანგეთსა და ოტომანურ იმპერიას შორის. აღმოსავლეთში მოღვაწე ელჩები ძალიან მძიმე, თითქმის შეურაცხმყოფელ პირობებში აღმოჩნდნენ და იძულებულნი იყვნენ მოგზაურებისა თუ თავგადასავლების მაძიებელი თანამემამულეებისათვის ეთხოვათ დახმარება. მათი პრესტიჟი დაეცა. ფრანგ მოგზაურთა ლტოლვა აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ შენელდა. შესაბამისად, თითქმის არ არსებობს ამ პერიოდის ფრანგული მოგზაურული მოთხრობაც [42].

შუა საუკუნეების მოგზაურები საქართველოს შესახებ

XIII საუკუნის თათართა ძლიერმა და გამანადგურებელმა ბრძოლებმა აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნების წინააღმდეგ შეძრა და შეაშფოთა დასავლეთის კათოლიკური ეკლესიის მესვეურები, რომელთა მთავარი საზრუნავი იყო როგორმე შეეჩერებინათ ეს საშინელი დამპყრობლური წინსვლა ევროპისაკენ. პაპმა ინოცენტი IV-მ გადაწყვიტა სასწრაფოდ გაეგზავნა ბარბაროსებისათვის ორი რელიგიური ხასიათის მიმართვა – დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ თავიანთი არაადამიანური ქმედებანი და მი-

ღოთ ქრისტიანული სარწმუნოება. 1246 წელს ინოცენტი IV-მ საგანგებო მისიით სათათრეთში მიაელინა ფრანცისკელი და დომინიკელი ბერები. მათ შორის ჟან დიუ პლან კარპენი, ნ.ასელენი (N.Ascelin), სიმონ დე სენ კანტენი, მოგვიანებით კი გ.რიუბრიუკი. ქრისტიანული რელიგიის ქადაგების გარდა მათ უნდა შეესწავლათ ყოველი წვრილმანი, რაც სათათრეთთან, თათრებთან, მათ ადათ-წესებთან და ხასიათებთან იყო დაკავშირებული, აგრეთვე უნდა აღეწერათ განუწყვეტელი ბრძოლებით განადგურებული ქრისტიანული ქვეყნების მდგომარეობა.

მისიონერთა ჯგუფი ნ.ასელენის ხელმძღვანელობით მედგრად გაუდგა გზას მრისხანე მტრის ურდოებისაკენ. ბოჰემიის, სილეზიის და პოლონეთის, კიევის, რომელიც მაშინ რუსეთის დედაქალაქი იყო, გაელით ისინი მოხვდნენ დნეპრისპირა ურდოებში, სადაც პირველად შეხვდნენ მონღოლებს. შემდეგ გადაკვეთეს რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე, გაუყვნენ შავი ზღვის სანაპიროს, მიაღწიეს ყივჩაღთა ტერიტორიამდე, რომელიც მაშინ ბათუყაენის მიერ იყო დაპყრობილი. რამდენიმე მოგზაურმა ციმბირამდეც კი გააგრძელა გზა. მოგზაურები გენუის, პიზისა და ვენეციის ვაჭრებთან ერთად ყველას გასაოცრად უვნებელნი დაბრუნდნენ ევროპაში. თვით მისიონერებიც არ მოელოდნენ ამ სახიფათო მოგზაურობიდან თავის დაღწევას. „პირველ რიგში ჩვენ თათრებს მივაშურეთ, რადგან სწორედ მათგან მოდიოდა ის დიდი საფრთხე, რომელიც ქრისტიანულ ეკლესიას და სარწმუნოებას ემუქრებოდა, მაგრამ ძალიან გვეშინოდა, რადგან შესაძლო იყო ან თათრებს და სხვა მოთარეშე ველურ ადამიანებს დავეხოცეთ, ან მონობა, შიმშილი, სიცხე და წყურვილი არ აგვცდომოდა მოგზაურობის თექვსმეტი თვის მანძილზე“ [43].

როგორც ჩვენთვის ცნობილია, შუა საუკუნეების ფრანგი მოგზაურებიდან რამდენიმე თუ სწვევია საქართველოს და აღუბეჭდია მისი ტრაგიკული ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები. მიმდინარე კვლევების შედეგად შესაძლოა მათი რიცხვი გაიზარდოს. ამჟამად კი გვსურს წარმოგიდგინოთ საქართველოს ცხოვრებით მეტ-ნაკლებად დაინტე-

რესებული რამდენიმე ფრანგი მოგზაური-მისიონერი და მათი მოთხრობები ჩვენი ქვეყნისა და ხალხის შესახებ.

სიმონ დე სენ-კანტენი

სიმონ დე სენ-კანტენი (Simon de Saint-Quentin) დომინიკელი ბერია, რომელიც მორჩილი ნ.ასელენის მეთაურობით 1247 წელს მიელინებულ იქნა მონგოლთა ურდოში და ორი თვე გაატარა მათი ბელადის ბანაკში. ის იყო ერთერთი პირველი დომინიკელი მისიონერი, რომელიც მოღვაწეობდა წმინდა მიწისა და საბერძნეთის პროვინციებში, აგრეთვე სხვა ბერებთან ერთად ასრულებდა თავის მისიას ევროპაშიც. ამ ვარაუდის საშუალებას იძლევა მისი მოგზაურული თხზულება, „თათართა ისტორია", რომელშიაც საკუთარი შთაბეჭდილებებისა და ნააზრევის გარდა შედის სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწე სხვა ევროპელი ბერების ნაამბობი ადგილობრივ მცხოვრებლებზე, იქ მიმდინარე მოვლენებზე, რომელიც მან მოგზაურობისას ჩაიწერა. მაგალითად, თავის თხზულებაში „თათართა ისტორია" ავტორი აღწერს საქართველოს მდგომარეობას ტფილისში დაფუძნებული დომინიკელი ბერების ვერსიების გამოყენებით. ტფილისის მონასტერი, რომელიც 1240 წელს დაარსდა, იმთავითვე გამხდარა დომინიკელთა მყარი და სამომავლო საყრდენი აღმოსავლეთის მიწაზე. იქ მოღვაწეობდნენ ბერები: გიშარ დე კრემონი, პიერ ლე მანჟორი, მორჩილები: ალექსანდრე, ალბერი და სხვ. სიმონ დე სენ-კანტენის მოგზაურობის დროს ისინი უკვე რამდენიმე წლის წინ იყვნენ დაფუძნებული საქართველოში და კარგად მოეხსენებოდათ მონგოლთა ბატონობის პერიოდში ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ-რელიგიური მდგომარეობა. სენ კანტენის თხზულებიდან ირკვევა, რომ ავტორი დიდი ნდობით ეკიდებოდა, აგრეთვე, იმ პირთა ინფორმაციებს, რომლებიც კარგად იცნობდნენ აღმოსავლეთს, რაც დაეხმარებოდა მას სათათრეთის დაწერილებით შესწავლაში, თურქებისა და თათრების ურთიერთდამოკიდებულების საკითხების გარკვევაში და სხვ.

სიმონ დე სენ-კანტენის მოგზაურული თხზულების – „თათართა ისტორია“ („Histoire des Tartares“) – ხელნაწერი ორიგინალი გაფანტულა. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხალნაწერების ფონდში დაცულია ნაწარმოების არასრული ხელნაწერის ასლები: ხელნაწერი 4900, რომელიც XIII საუკუნის ბოლოს ეკუთვნის, და ხელნაწერი 11728, დათარიღებული 1267 წლით. ეს ხელნაწერები მსგავსია ტექსტობრივად.

სიმონ დე სენ კანტენის მოგზაურული ნაწარმოების („თათართა ისტორია“) ნაწილი პირველად მისი თანამედროვის, მოგზაურისა და მკვლევარის ვენსან დე ბოვეს წიგნში "Speculum historiale" გამოქვეყნდა 1248 წელს. გამოცემის თარიღი სავარაუდოა. ვენსან დე ბოვემ სათათრეთის შესწავლას თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მიუძღვნა. ამ ქვეყანაში მრავალი წლის მანძილზე მოგზაურობდა და ურთიერთობდა თათრებთან, აგრეთვე, მათ მიერ დაპყრობილ ხალხებთან, აქვე ხვდებოდა პაპის ინოცენტი IV-ის მისიონერებს: ჟან პლან დიუ კარპენს, სიმონ დე სენ-კანტენს, გიშარ დე კრემონს და სხვებს. ვენსან დე ბოვემ თავის ნაშრომში შეიტანა, აგრეთვე, ჟან დიუ პლან კარპენის, რიუბრიუკისა და სხვათა რელაციების ის ნაწილები, რომელიც პასუხობდა "Speculum"-ის მოთხოვნებს და ამავე დროს გაამდიდრებდა მის ენციკლოპედიური ხასიათის ნაწარმოებებს. "Speculum historiale" (ისტორიის სარკე) გამოირჩევა მოგზაურთა საინტერესო დაკვირვებებით სათათრეთზე, მის ისტორიაზე, თათართა ადათ-წესებზე, ხასიათზე, ჩვეულებებზე და სხვაზე, თუმცა ვენსან დე ბოვემ (Vincent de Beauvais) მონგოლების უკეთ წარმოსადგენად წიგნში – "Speculum historiale" უპირატესობა მხოლოდ ორ ავტორს და თანამოგზაურს – ჟან დიუ პლან კარპენსა და სიმონ დე სენ-კანტენს – მიანიჭა, რომელთა ნაწერები, მისივე აღნიშვნით, უნიკალური წყარო იყო მონგოლთა შესახებ.

სიმონ დე სენ-კანტენსა და მის თხზულებაზე მრავალი გამოკვლევა არსებობს, მაგრამ ფრანგი ისტორიკოსის ჟან რიშარის (Jean Richard) მიერ პარიზში 1965 წელს გამო-

ქვეყნებული წიგნი, შეიძლება ითქვას, ყველაზე სრულყოფილი გამოკვლევაა [44]. ჟ.რიშარის მოსაზრების მიხედვით სიმონ დე სენ-კანტენს თავის ნაწარმოებში ერცლად ექნებოდა გადმოცემული არა მარტო მონგოლთა დამპყრობლური თავდასხმების განვითარება, არამედ საერთოდ მათი გამოჩენა ისტორიულ სცენაზე. ის დარწმუნებულია, რომ სიმონ დე სენ-კანტენის თხზულების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც არ არის შეტანილი ვენსან დე ბოვეს წიგნში "Speculum...", დაკარგულია, რადგან არ შეიძლებოდა მოგზაურს არ აღეწერა თავის მგზავრობასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებული დეტალები, როგორიცაა დომინიკელ ბერებთან შეხვედრა, მონგოლთა ბანაკში შელწევა, რაც მთავარია, მოგზაურობა სომხეთში, თურქეთში და საქართველოში ტფილისის გავლით. ცხადია, რომ სენ-კანტენი გაცილებით მეტს დაწერდა საქართველოს შესახებ. ის, რაც ჩვენს ხელთაა, ბევრად ნაკლებია სომხეთის მონაცემებზე. ბუნებრივია, ეს ეჭვს ბადებს, რადგან მოგზაურს საქართველოზე უხვ მასალას მიაწვდიდნენ იქ მოღვაწე მორჩილი გიშარ კრემონი, აგრეთვე ტფილისის სხვა დომინიკელი ბერები, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ქართულ წრეებთან და კარგად იცნობდნენ სიმონ დე სენ-კანტენსაც. ეს უკანასკნელი კი ამ ახლობლობას აუცილებლად გამოიყენებდა და მათი ცნობებით მეტ დამაჯერებლობას შესძენდა თავის მოგზაურულ გამოკვლევას. როგორც ჩანს, სიმონ დე სენ-კანტენი ძალზე ცნობისმოყვარე მოგზაურია, ის ამჟღავნებს მოვლენების ცოცხლად და ხატოვნად გადმოცემის უნარს. მისი ნაწარმოების ნაწილი, რომელიც ვენსან დე ბოვემ შემოგვინახა, შუა საუკუნეების მოგზაურული ლიტერატურის საუკუთესო ნიმუშია. თანამედროვე ევროპელი მკვლევრები აღიარებენ მის ისტორიულ და ლიტერატურულ ღირსებას და არ კარგავენ თხზულების დაკარგული ნაწილის მოკვლევის იმედს.

ქართველთა განადგურების შესახებ (თათართა ისტორიიდან)

ხსენებულ წელს, ე.ი. უფლის ინკარნაციიდან 1221 წელს თათრები შეიჭრნენ საქართველოში და დაიწყეს მისი აოხრება. ერთი უბირი ქართველი ცოლთან და ვაჟი-შვილთან ერთად კასპიის მთისკენ გაიქცა თავის გადასარჩენად. იმ გზაზე, საერთო საზღვართან ახლოს სამი თათარი უიმედოდ დაძრწოდა ნადავლის ხელში ჩასაგდებად, რადგან ეეჭვებოდათ, რომ რაიმეს მაინც მოიხელთებდნენ. ამ დროს ერთმა მათგანმა გზაზე შენიშნა ქართველისა და მისი ცოლ-შვილის ნაკვალევი, მიჰყვა მას და შეიპყრო ისინი თავიანთი ბარგი-ბარხანით. წინასწარი შეთანხმებით თათარმა დატყვევებულები თავის თანამზრახველებთან მიიყვანა. მათ ჰყარეს წილი ნივთებზე და ადამიანებზე. ერთს ერგო ეს დოყლაპია ქართველი, მეორეს – მისი ვაჟი, მესამეს – ოქრო, ხოლო ქალი გასაყიდად საერთო მფლობელობაში დაიტოვეს. ის, ვისაც ბიჭი ხვდა წილად, განაწყენდა: „ეს ძაღლის ლეკვი რად მინდა, რომ ვაჭამო? მომაშორეთო!“ მაშინ მოითათბირეს, ბიჭი და მამა მოეკლათ და ოქრო ერთმანეთში გაენაწილებინათ, ქალი კი გაეყიდათ. ასეც მოიქცნენ. ამგვარად, საბრალო ქალმა თავისი თვალით იხილა ქმარ-შვილის დახოცვა. ამის შემდეგ იგი საქართველოში მონაზვნად აღიკვეცა და მთელი ცხოვრება მონასტერში გაატარა.

თათრები თავის გამარჯვებასა და დიდებას დახოცილ მტერთა განსაზღვრულ რაოდენობას უკავშირებდნენ, ათასი კაციდან ერთს (მეათასეს) თაეიანთი ჩვეულების თანახმად თავდაყირა, ფეხებით ზემოთ აშვერილს, გამორჩეულ ადგილას აღმართავდნენ.

საქართველოს დედაქალაქის – თბილისის აოხრების დროს, როგორც ირწმუნებიან, მათ მიერ მოკლული 7000 კაციდან შეიდი თავდაყირა შვიდ სხვადასხვა ამაღლებულ ადგილას ჩაარჭვეს. იმავე ქალაქში ცოტა ხნით ადრეც იქნა მოკლული, როგორც ზემოთ ითქვა, 7000 კაცი ხვარაზმელების მიერ. ეს იყო თათართა შემოსევამდე.

ქართველთა მირონცხებისა და შეცდომების შესახებ

საქართველო ძველთაგანვე ანტიოქიის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა არმენიასა და კაბადოკიასთან ანუ თურქეთთან ერთად. თურქეთში დიდი ომი გაჩაღდა და ქართველებმა ვერ შეძლეს თურქეთის გზით ანტიოქიაში მოხვედრა, რათა პატრიარქს სწვეოდნენ და უშუალოდ მას მოთათბირებოდნენ. ამიტომ შეთანხმდნენ გაეგზავნათ თავიანთი ელჩები კონსტანტინეპოლის ზღვით ანტიოქიის პატრიარქთან თხოვნით, რომ მათთვის გამოეგზავნა ერთი კათოლიკოსი, ე.ი. საყოველთაო ეპისკოპოსი, რომელიც პატრიარქის ადგილს დაიკავებდა. ანტიოქიის პატრიარქმა გაუგზავნა მათ პატარა შუშა ქარიზმატით (მირონი) და შეუთვალა, რომ იგი ყოველ შვიდ წელიწადში შეევსოთ ახალი ზეთით. ყოველივე ეს ეპისკოპოსის თანდასწრებით უნდა შესრულებულიყო. როგორც ამბობენ, ეს ქარიზმა საქართველოში იმ დღიდან მოყოლებული აქამდე აქვთ შენახული. პატრიარქმა ამასთან ერთად გაუგზავნა წერილები ერთ არქიეპისკოპოსს, რომელშიც ეწერა, რომ მას უნდა შეერჩია ვინმე და ვისაც აირჩევდა მას კათოლიკოსის დამტკიცების კანონიერი უფლება ექნებოდა. ასეც მოხდა. რახან პატრიარქი ქართველებს ასე რიგიანად მოექცა, პასუხად მას 100 სამოსახლო უბოძეს. ამის შემდეგ იერუსალიმის პატრიარქი გაღარიბებული ეახლა ანტიოქიის პატრიარქს, რომელსაც შესჩივლა თავისი უმწეო მდგომარეობა. მაშინ ანტიოქიის პატრიარქმა მას და უფლის საფლავის ძმებს ის 100 სამოსახლო ადგილი უბოძა, რომელიც ქართველებმა წინათ მას აჩუქეს. ადგილ-მამულების მიღებისთანავე იერუსალიმის არქიდიაკონი, უფლის სამარხის ძმობის წევრი, იერუსალიმის პატრიარქისა და უფლის სამარხის ძმობის წევრების განკარგულებით გაგზავნილ იქნა საქართველოში, როგორც ამ ადგილების მფლობელი. მაგრამ თათრები ამ საქმეში მას ისევე, როგორც სხვებს წინ აღუდგნენ და ხელი შეუშალეს.

საქართველოში არის ეპისკოპატი, ასევე არქიეპისკოპატი, სულ 18 კათოლიკოსი, ანუ საყოველთაო ეპისკოპოსი აკურთხებს თანაეპისკოპოსებს, მათი მეშვეობით ის ქარიზმას და სხვა სიწმინდეებს ყიდის. გარკვეული საზღაურის ფასად იგი უნაყოფო ქალს, უშვილობის მიზეზით, გვირგვინს ახდის (განაქორწინებს). მონაზვნების მიერ შესყიდული კანკელარეები (საეკლესიო ნივთები) შემდეგ ხალხის საკუთრება ხდება.

ჟან პლან დიუ კარპენი

ჟან პლან დიუ კარპენი, ფრანცისკელი ორდენის წევრი, დაიბადა დაახლოებით 1220 წელს. 1246 წლიდან, როგორც საეკლესიო მისიონერი, ის მოღვაწეობდა მონგოლთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებში და თვეების მანძილზე ცხოვრობდა მონგოლების გვერდით, სწავლობდა მათი ცხოვრების წესს, ქვეყნის ისტორიას, პოლიტიკას, რელიგიას და სხვა. პლან კარპენს იქ იცნობდნენ, როგორც ბათუ-ყაენის სტუმარს, თუმცა მასთან შეხვედრა მან ვერა და ვერ მოახერხა. მტრული გარემოცვითა და ცხოვრების გაუსაძლისი პირობებით გაწბილებული მისიონერი იძულებული გახდა გასცლოდა სათათრეთს. მან მრავალი ქვეყანა, ყველაზე რთული მხარე – ციმბირიც კი მოინახულა და თავისი ხანგრძლივი და მძიმე მოგზაურობა თხზულებაში „მოგზაურობა აზიაში“ აღწერა.

ფრანგი ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ „ჟან დიუ პლან კარპენი პირველი მოგზაურია, რომელმაც სხვა მოგზაურებთან შედარებით უფრო რეალური ცნობები დაგვიტოვა მონგოლების შესახებ, თუმცა რაც ავტორს თავისი თვალით არ უხილავს, უთუოდ მოითხოვს შემოწმებას“ [45].

სამშობლოში დაბრუნებულ ჟან დიუ პლან კარპენს დიდი პატივისცემით შეხვდა საფრანგეთის მთავრობა და მთელი საზოგადოება, როგორც გმირსა და იშვიათი ცნობების მომპოვებელს. მისი ჯერ კიდევ დაუსრულებელი მოგზაურული რელაციები ცალკე ფურცლებად ვრცელ-

დებოდა მკითხველთა შორის, რადგან იმ მრისხანე ეპოქაში ყველას აინტერესებდა მონგოლთა ისტორია, მათი ადათ-წესები, ჩვეები, ბრძოლის მანერა და ხერხები, რომელთა გათვალისწინებით დასავლეთელი მეფეები ცდილობდნენ შეემუშავებინათ თავდაცვის საშუალებები და მტერთან დაახლოების გზები. ამდენად, ყოველი მისიონერის ინფორმაცია ძალზე ძვირფასი იყო მათთვის. ჟან დიუ პლან კარპენის რელაცია აღწერს მრავალ ისტორიულ მოვლენას, პოლიტიკურ პროცესებს, მასში ეპიზოდურად ჩართულია პატარა საინტერესო მოვლენების ამსახველი მოთხრობები და ავტორისეული დაკვირვებები თათართა ცხოვრების წესის, მათი ქცევის და ხასიათის შესახებ: „თათრები მეტისმეტად დიდებისმოყვარე და ამპარტავანი ხალხია. მათ სძულთ ყველა სხვა ჯიშის ადამიანი. ჩვენ შევხვდით იმპერატორის სასახლეში უცხო ქვეყნების დიდებულებს: რუსეთის დიდი ჰერცოგისა და ქართველი მეფის ვაჟიშვილს, რომლებსაც თათრები განზრახ უდიერად ეპყრობოდნენ - არაწარჩინებულებს მათზე წინ აყენებდნენ და ხშირად არასაკადრისი ქცევით ცდილობდნენ მათ დამცირებას. საერთოდ, თათრებისაგან სამართალსა და სიმართლეს ნუ ელი, ისინი მრისხანე, გაიძვერა და ბინძური ხალხია როგორც ჭამის დროს, ისე ადამიანებთან ურთიერთობისას“ [46].

ჟან დიუ პლან კარპენის ვრცელი ნაწარმოების „მოგზაურობა აზიაში“ ერთ-ერთი ეპიზოდი მოგვითხრობს ქართველი უფლისწულების შესახებ, რომლებსაც სათათრეთში ყოფნისას შეხვდა. ავტორი, როგორც თვითმხილველი, აშკარად გამოხატავს უსიამოვნო განწყობას თათრების მიმართ.

„უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ, რომ თათრები არავის ინდობენ, რადგან ისინი მისდევენ ჩინგის-ხანის ბრძანებას – დაიმორჩილონ მსოფლიოს ყველა ერი. ომში მოხვეჭილ სიმდიდრეს, ნივთია ეს თუ ადამიანი, ბელადები თავის მეომრებს შორის ანაწილებენ, მათ შორის ქალიშვილებსაც, რომლებიც მეომართა საკუთრება, მათი მონები ხდებიან. თათარი მეომარი – ბელადია თუ უბრალო მეო-

მარი – უმალლეე დაპყრობილი ქალაქის მბრძანებელი ხდება დაპყრობილი ქვეყნის პატრონი კი – მისი ხელქვეითი. დაპყრობილი ქვეყნის მკვიდრმა ყოველი წვრილმანი თათარ მბრძანებელთან უნდა შეათანხმოს, ხოლო წესებისა და კანონების გასარკვევად დიდძალი ოქრო-ვერცხლით დატვირთული იმპერატორს უნდა ეახლოს. ამას წინათაც ასე მოხდა. თათართა იმპერატორის სასახლეს ქართველი მეფის ორი ვაჟიშვილი ეწვია. ერთს, კანონიერ ვაჟიშვილს მიხეილი ერქვა, მეორეს, უმცროსს და უკანონოს – დავითი. აი, რა იყო მათი მოსვლის მიზეზი: უფლისწულების მამას, საქართველოს მეფეს სიკვდილის წინ უმცროსი და უკანონო ვაჟისათვის – დავითისათვის – მიწის ნაკვეთი უანდერძებია. ის დედასთან ერთად ეახლა ხანს. მეფის კანონიერი ვაჟიშვილის მიხეილის დედა, რომელიც სამეფო გვარის შთამომავალი იყო, როგორც მის ღირსებას შეეფერებოდა, იმპერატორთან სეფე-ქალების თანხლებით მიემგზავრებოდა, მაგრამ მძიმე და ხანგრძლივი მგზავრობა ვერ გადაუტანია და გზაში გარდაცვლილა.

ორივე უფლისწულს ძვირფასი ძღვენი მიჰქონდათ იმპერატორთან, განსაკუთრებით, კანონიერ ვაჟს, მიხეილს. ის ითხოვდა იმ ქონების დაბრუნებას, რომელიც მამამ - საქართველოს მეფემ არაკანონიერ ვაჟს დაუტოვა, რადგან ეს უკანასკნელი ცოლ-ქმრული ერთგულების დარღვევის, მრუშობის შედეგად იყო დაბადებული. მეფის უკანონო ვაჟიშვილი დავითი კი ნაანდერძევი ქონების დასაცავად თავის მიზეზებს ასახელებდა. ეს სადავო საქმე თათრებმა უფლისწულებს თავისებურად და იოლად გადაუწყვიტეს, რადგან მათი კანონის მიხედვით კანონიერ და არაკანონიერ შვილს შორის განსხვავება არ არსებობს. ამგვარად, მიიღეს გადაწყვეტილება არაკანონიერი უფლისწულის სასარგებლოდ, რომელსაც დაუმტკიცდა თავის საკუთრებაში მამის დანატოვარი. სამწუხაროდ, ქართველი მეფის კანონიერმა ვაჟიშვილმა მიხეილმა, თათრების კანონების მიხედვით, წააგო სასამართლო პროცესი და ამავე დროს დაკარგა ის არაჩვეულებრივი სიმდიდრე, რომელიც ძღვენის სახით იმპერატორს მიართვა [47].

გიიომ დე რიუბრიუკი

გიიომ დე რიუბრიუკი (Guillaume de Rubruk) იგივე რიუბრიუკისი წარმოშობით ფლამანდიელია, მისი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი (1215-1256) მიახლოებითია. უცნობია სად და როდის გახდა იგი საეკლესიო მსახური, მაგრამ განსაკუთრებით ცნობილია მისი მოღვაწეობის პერიოდი, როდესაც ის მოგზაურობს წმინდა ადგილებში, როგორც ქრისტიანული სარწმუნოებისთვის მზრუნველი. მონგოლთა შემოსევის დროს რომის პაპმა და საფრანგეთის მეფემ ლუი IX-მ (Louis IX) საგანგებოდ მიავლინეს ელჩები მონგოლთა ბელადებთან თხოვნით, შეეწყვიტათ ომი და მიეღოთ ქრისტიანული სარწმუნოება. ამ მოწოდებას რომ მონგოლთა მხრიდან დადებითი გამოძახილი არ ექნებოდა თვითონაც კარგად მოეხსენებოდათ. საფრანგეთის მთავრობას სურდა რაც შეიძლება მეტი სცოდნოდა ამ იდუმალებით მოცულ ხალხზე, მათ ხასიათზე და განზრახვებზე. ამ მხრივ კი ბევრი რამ მისიონერებზე იყო დამოკიდებული. გიიომ დე რიუბრიუკი ამ მხარეში ჟან პლან დიუ კარპენის მოგზაურობიდან ხუთი წლის შემდეგ გაგზავნეს. ფრანცისკელი ბერი გიიომ დე რიუბრიუკი წმინდა მიწის ერთ-ერთი პროვინციის ეკლესიაში მოღვაწეობდა იმ დროს, როცა საფრანგეთის მეფემ ლუი IX-მ ბრძანა მისი გამგზავრება მონგოლთა ბელადებთან [48].

მივლინების მიზეზად სრულიად მოულოდნელი რამ შეარჩიეს – თითქოსდა მონგოლთა ერთ-ერთ ბელადს მაჰმადიანობაზე უარი უთქვამს და ქრისტიანული სარწმუნოება მიუღია. ეს ამბავი საფრანგეთის მეფემ გამოიყენა გ.დე რიუბრიუკის მონგოლთა ურდოებში გასაგზავნად. როგორც ცნობილია, ის გაემგზავრა ჯერ კონსტანტინოპოლში, შემდეგ შავი ზღვით სოლდაიას პორტში, იქიდან კი – სათათრეთში. „ჩვენ გავუდექით გზას ოთხი დატვირთული ურმით, ორი გადახურული ოთხთვალით, რომელშიც ლოგინი გვქონდა, და ხუთი უნაგირიანი ცხენით. მე თან მახლდა სულიერი ძმა ბარტლემი დე კრემონი,

მებარგულე და ძღვენის დამტარებელი გოზე, კარგი თურქმენი თარჯიმანი, მოსამსახურე ბიჭი ნიკოლა, რომელიც კონსტანტინოპოლში ვიყიდე, და ორი კაცი, რომელიც ურმებს უვლიდა, შოულობდა თივას კამეჩებისა და ცხენებისათვის“ [49]. გ.დე რიუბრიუკმა ურთულესი გზა გაიარა სოლდაიადან დნეპრის, დონისა და ვოლგისპირეთის გადაკვეთით და ბოლოს ეახლა ბათუ ყაენის ვაჟს სარტაშს, რომელსაც, როგორც გაირკვა, ფიქრადაც არ მოსვლია ქრისტიანული სარწმუნოების მიღება. გიიომ დე რიუბრიუკი და მისი თანმხლები ფრანცისკელი ბერები ამაოდ ცდილობდნენ სათათრეთში ქრისტიანული რელიგიის ქადაგებისათვის ნებართვის მოპოვებას. 1254 წლის 4 იანვარს გ.რიუბრიუკი წარსდგა დიდი ყაენის წინაშე თარჯიმანთან ერთად და ეცადა მისი დახმარებით გარკვევით აეხსნა სუვერენისათვის მათი ჩამოსვლის მიზანი, მაგრამ, სამწუხაროდ, თარჯიმანმა ენის არცოდნის გამო ვერ შეძლო რიუბრიუკის ნათქვამის თარგმნა და ვერც რიუბრიუკს გააგებინა დიდი ხანის ნაბრძანები. საფრანგეთის მეფის არაბულ და სირიულ ენებზე თარგმნილმა წერილმა, რომელიც მან მოწიწებით გადასცა დიდ ხანს, მისი უდიდებულესობის მრისხანება გამოიწვია, მაგრამ მალე დაცხრა და შეშინებულ მისიონერებს ნება დართო მკაცრი ზამთარი მის სასახლეში გაეტარებინათ. გამგზავრებისას გ.რიუბრიუკმა უკანასკნელად სცადა ქრისტიანული რელიგიის გავრცელების უფლება მანგუ-ყაენისაგან მაინც მიეღო, მაგრამ მანაც სასტიკი უარი განუცხადა. უფრო მეტიც, მისიონერებს ქედმაღლური, მუქარით აღსავსე საპასუხო წერილი გაატანა საფრანგეთის მეფის ლუი IX-სათვის გადასაცემად. რიუბრიუკმა ნოემბრის თვეში ვოლგისპირეთში იმოგზაურა, შემდეგ კი 1254 წლის დეკემბრის თვეში სომხეთსა და საქართველოსაკენ აიღო გეზი. მისი გზა სირიამდე გაგრძელდა. გიიომ რიუბრიუკი თავის ყოველ ნაბიჯს წერილების საშუალებით ატყობინებდა მეფე ლუი IX-ს. წერილი უამრავია და ძირითადად შეიცავს ავტორის მისიასთან დაკავშირებულ ამბებს – მისი წარმატების, მარცხის, წამების, შიმშილის, ათასგვარი ხიფათის

თუ შეურაცხყოფის შესახებ. მიუხედავად მძიმე პირობებისა მოგზაური ახერხებს უცნობი და ნაკლებად ცნობილი ტერიტორიების გეოგრაფიული მდებარეობის აღნიშვნას, იქ განლაგებული ქვეყნების სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური მდგომარეობის ასახვას. ვ.დე რიუბრიუკი განსაკუთრებულად დიდ ადგილს უთმობს სათათრეთს, დეტალურად აღწერს თათართა საცხოვრებელს, გარეგნობას, ტანსაცმელს, საკვებს, ადათ-წესებს, ქალებსა და კაცებს, მათ საქციელსა და ჩვევებს.

წერილები ლათინურ ენაზეა დაწერილი და პირველად 1958 წელს გამოიცა ლონდონში (in folio) 3 ტომად. გ.რიუბრიუკის წერილების ფრანგული ვარიანტი პ.ბერჟერონმა შეიტანა სხვა მოგზაურთა რელაციებთან ერთად წიგნში „მოგზაურობანი აზიაში“, რომელიც გამოიცა პარიზში 1634 წელს [50].

რიუბრიუკი საფრანგეთის მეფისადმი გაგზავნილ უამრავ წერილთა შორის ერთ-ერთში ხელისუფალს აცნობს კავკასიის იმ ნაწილს, რომელსაც ის ეწვია. მოგზაური მოიხსენიებს სომხებს, ქართველებს, ჩერქეზებს, მოკლედ აღწერს დერბენტს (Derbent), შემახეს (Samach), ტფილისს, განჯას (Gange) და ა.შ. როგორც მრავალი მოგზაური გ.დე რიუბრიუკიც ვერ ასცდა რიგ უზუსტობებს, თუმცა მოგზაურული ლიტერატურის მკვლევრები მიიჩნევენ, რომ გ.რიუბრიუკის შთაბეჭდილებები დიდი ნიჭითა და უნარით არის შედგენილი. მისი წერილები მიჩნეულია მოგზაურული ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებად, სადაც ავტორი დაწერილებით აცნობებს მეფეს ყოველივეს, რაც მონგოლებთან არის დაკავშირებული, აგრეთვე დეტალურად აღწერს მონგოლთა მეთაურებთან მოლაპარაკების პროცესს. გ.რიუბრიუკი უფრო მისიონერია, ვიდრე ელჩი, რადგან მისი შორეულ ქვეყანაში გამგზავრების წმიდათაწმინდა მისია ძირითადად ურწმუნოთა შორის ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება იყო [51].

გ.რიუბრიუკმა დაღესტნის მთების გადალახვის შემდეგ გაიარა დერბენტი, შემახე და საქართველოსაც ეწვია. მისი განმარტებები ჩვენს ქვეყანაზე მოკლე და ქაოსურია. რო-

გორც ჩანს, საქართველო მოგზაურის მისიაში არ ფიგურირებდა. აქვე გთავაზობთ ამ მცირე ნაამბობის ქართულ თარგმანს:

„დღეს ჩამოვედით დიდ ქალაქში, რომელსაც შემახე (Samach) ეწოდება. მეორე დღეს ერთ დიდ სოფელ მოანში (Moan) ჩავედით, სადაც მდინარე მტკვარი მოედინება. ეს სახელი მას შეარქვეს კორჟელებმა (Curgiens) თუ კურჟებმა (Curges), რომლებსაც ჩვენ ქართველებად (Géorgiens) მოვიხსენიებთ. მდინარე მტკვარი (Cur) ტფილისის მშვენიერ მიდამოებს კვეთს. ტფილისი ქართველების დედაქალაქია. მდინარე მტკვარი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიედინება და კასპიის ზღვას უერთდება. მტკვარი მდიდარია თევზებით და განსაკუთრებით უხვია ორაგულებით. ამ სოფელს მდინარე არაგვიც კვეთს, რომლის სათავე დიდ სომხეთშია...“ „არარატის მშვენიერ ველს დასავლეთით საქართველოს ის ნაწილი ესაზღვრება, სადაც წარსულში ხვარაზმელები ცხოვრობდნენ და მაღალი მთების ძირში მდებარე დიდი ქალაქი განჯა მათი დედაქალაქი იყო. ხვარაზმელები მთებში მცხოვრებ ქართველებს დაბლობზე ჩამოსვლას უკრძალავდნენ და საბრალო ხალხს სოფლებში გადაადგილების საშუალებას არ აძლევდნენ.

ჩვენ არაგვის გასწვრივ გავაგრძელეთ გზა და ვნახეთ მდინარის ორივე მხარეს ჯაჭვით გაბმული ტივტივა ხიდი, რომელიც გადასროლილი იყო იმ მონაკვეთში, სადაც მდინარე არაგვი მდინარე მტკვარს უერთდება. სწორედ ამ ადგილას კარგავს მტკვარი თავის სახელს“ [52].

ჟურდენ კატალანი დე სევერაკი

როგორც აღვნიშნეთ, მოგზაურული ლიტერატურა ადრე გეოგრაფიულ ლიტერატურად მოიხსენიებოდა, თუმცა მისი კვლევით დაინტერესებული იყვნენ არა მარტო გეოგრაფები, არამედ აგრეთვე ფილოლოგები, ისტორიკოსები, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ გეოგრაფიულ საზოგადოებაში. ამ საზოგადოების ძალისხმევით მრავალი მოგზაურის ნაწარ-

მოები – რელაცია, წერილი, მემუარი, მოთხრობა ითარგმნებოდა სხვადასხვა ენებზე და პერიოდულად ქვეყნდებოდა როგორც წიგნად, ისე სტატიის სახით სხვადასხვა გამოცემებში.

გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტმა ანრი კორდიემ (Henri Cordier) პირველმა მიაკვლია ჟურდენ კატალანი დე სეევერაკის (Jourdain Catalani de Severac) მოგზაურობის ჩანაწერებს „აზიის საოცრებანი" ("Les merveilles de l'Asie") ლათინურ ენაზე, რომელიც მან გადათარგმნა ფრანგულად და გამოაქვეყნა პარიზში 1925 წელს.

ჟურდენ კატალანი დე სეევერაკი XIV საუკუნის დომინიკური ორდენის წევრია. ის მოღვაწეობდა ცეილონის კუნძულის დედაქალაქ კოლომბოში ეპისკოპოსად. დომინიკელი ეპისკოპოსი აზიის თითქმის ყველა ქვეყანას სწვევია საეკლესიო მისიით – ქრისტიანული რელიგიის ქადაგების მიზნით. მისიონერის ჩანაწერები მოხსენებითი ბარათების მსგავსია და მიმართულია მისი უწმიდესობისადმი.

თუმცა გულადი და მიზანდასახული მისიონერი იყო, რამდენადაც მძიმე, დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში მოგზაურობდა აღმოსავლეთში, მაგრამ ის ყურადღებით არ დაჰკვირვებია ამა თუ იმ ქვეყნისა და ხალხის სოციალურ, პოლიტიკურ თუ რელიგიურ მდგომარეობას, მისი ჩანაწერები შეზღუდულია და ნაკლებად მეტყველი. მაგალითად, XIV საუკუნის 30-იან წლებში ჟურდენ კატალანი დე სეევრაკს საქართველოში უმოგზაურია და ასეთი ნაჩქარევი ჩანაწერი დაგვიტოვა: „საქართველოს შესახებ ვიტყოდი, რომ ის ძალიან ჰგავს ჩვენ ქვეყანას. ქართველი მამაკაცები საუკეთესო მეომრები არიან. ამ ქვეყნის მკვიდრნი ქრისტიანები არიან. ტფილისის მცხოვრები სომეხი დემეტრიუსი ქრისტიანული სარწმუნოების გამო მონგოლებმა წამებით მოკლეს 1321 წლის 9 აპრილს. ამ ქვეყანაში ყველა ქრისტიანი თავისი სარწმუნოების ერთგულია" [53].

ჟან დე გაიფონტენი

ჟან დე გაიფონტენი (Jean de Gaillefontaine) XIV საუკუნის ფრანგი მოგზაური და პოლიტიკური მოღვაწეა. თავდაპირველად მას, როგორც დომინიკური ორდენის წევრს, მოღვაწეობა დაუწყია გაიფონტენის XI საუკუნის ეკლესიაში, რომელიც საფრანგეთის ნეფშატელის (Neufchatel) ოლქში მდებარეობს; როგორც ჩანს, მისი ფსევდონიმი – დე გაიფონტენი – აქედან მომდინარეობს [54]. 1377 წელს პაპმა გრეგორ XI-მ (Grégoire IX) ჟან დე გაიფონტენი ეპისკოპოსად აირჩია, ხოლო 1398 წელს პაპმა ბონიფაციუს IX-მ იგი არქიეპისკოპოსად აკურთხა რომში და იმავე წელს სპარსეთს მიაელინა. ეს მისიონერი ზედმიწევნით უზრუნველყვეს მისიისათვის საჭირო სახსრებით, რადგან მასზე დაკისრებული მოვალეობა – ქრისტიანული რელიგიის დაცვა თემურ-ლენგის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში (სომხეთში, საქართველოში და ა.შ.), დანგრეული ეკლესიების აღდგენა და ქრისტიანი ტყვეების გამოსყიდვა – დიდ სულიერ და მატერიალურ სიძლიერეს მოითხოვდა.

XIX საუკუნის ფრანგი მეცნიერი სილვესტრ დე სასი გამოკვლევის შედეგად ადასტურებს, რომ 1402 წელს სპარსეთის სულთანის ეპისკოპალური კრებული (le siege) მართლაც იყო დაკავებული დომინიკელი ბერის, სახელად ჟან IV-ის მიერ 1398 წლიდან.

ჟან დე გაიფონტენმა მონგოლთა ხელისუფლების ისეთი ნდობა დაიმსახურა, რომ თემურ-ლენგისა და მისი ვაჟის პირად ელჩად დანიშნეს და პირველივე მისიით ევროპაში წარგზავნეს. მას ევალებოდა თემურ-ლენგის წერილების საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების ხელმწიფეებისათვის გადაცემა (ერთ-ერთი წერილი საქართველოს მეფის გიორგი VII-სათვის იყო განკუთვნილი [55].

XX საუკუნის ცნობილი ფრანგი მეცნიერი ჟან რიშარი თავის წიგნში „აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობები შუა საუკუნეებში“ აღნიშნავს, რომ კონტაქტები ლათინური ეკლესიისა აღმოსავლეთის ქვეყნებთან, რომე-

ლიც ძირითადად მისიონერთა მეშვეობით მყარდებოდა და გულისხმობდა ქრისტიანული ქვეყნების აღდგენასა და გაერთიანებას, ერთგვარად ხელს უწყობდა კომერციის განვითარებასაც, მაგრამ მონგოლთა განუწყვეტელი თავდასხმების შედეგად არსებული კავშირები დროდადრო ირღვეოდა. უზარმაზარი ტერიტორიების დაპყრობის შემდეგ თემურ-ლენგმა გადაწყვიტა ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა დასავლეთის ქვეყნებთან და მოუწოდა ევროპის ქვეყნების მესვეურებს მასთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებისაკენ. ამ მიზნით ჟან დე გაიფონტენმა შეადგინა დასავლეთის ქვეყნების სავაჭრო საქონლის ისეთი ჩამონათვალი, როგორიც თემურ-ლენგს აინტერესებდა, და 1403 წლიდან მისივე დავალებით დაიწყო მოგზაურობა ევროპის სხვადასხვა სამეფო ქალაქებში. თავდაპირველად ის პარიზისაკენ გაეშურა და სულთანის წერილი საფრანგეთის მეფეს შარლ VI-ს წარუდგინა, შემდეგ ინგლისის მეფეს ჰენრი IV-ს, ბიზანტიისა და ტრაპზონის იმპერატორებს, ასევე კვიპროსისა და საქართველოს მეფეებს და ა.შ. მისი მოგზაურობა 1409 წლამდე გაგრძელდა. პოლიტიკური მოღვაწეობის გარდა მან მრავალი წელი მიუძღვნა ქრისტიანული რელიგიის სამსახურს და რა თქმა უნდა მოგზაურობას. ჟან დე გაიფონტენი კარგად ფლობდა აღმოსავლურ ენებს, რაც მას ეხმარებოდა ამ მხარის ადამიანების ცხოვრების ადათ-წესებისა და ხასიათების შესწავლაში, აგრეთვე ისეთი ინფორმაციის მოპოვებაში, რომელიც ენების არმცოდნე პირებისათვის მიუწვდომელი იქნებოდა. მოგზაურული ჩანაწერების საფუძველზე ჟან დე გაიფონტენმა შექმნა ვრცელი თხზულება ლათინურ ენაზე „Libellus de Notitia Orbis“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1938 წელს გრაცის უნივერსიტეტის პროფესორის პ.კერნის მიერ. მან 137 ფოლიოსაგან შემდგარ ხელნაწერს (№1221) ამავე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მიაკვლია. ხელნაწერზე მითითებულია ავტორი (johannes iv de Gaillefontibus O.P.Erzbischofs von Sulthanieh) [56] იოანე დე გაიფონტენი. ხელნაწერი სხვადასხვა ხელითაა შესრულებული და XIV საუკუნის II ნახევრით თარიღდება.

ჟან დე გაიფონტენი ტიპიური შუა საუკუნეების მოგზაური მწერალია. მის თხზულებაში, ისევე როგორც მის თანამედროვეთა ნაწერებში, ხშირად ვკითხულობთ გადაუმოწმებელ ამბებს, სხვა მოგზაურებისაგან დასესხებულ ინფორმაციებს. ის იმეორებს ყოველგვარ მონაჭორს ამა თუ იმ რეგიონების ადათ-წესებზე, რომელიც შესაძლოა თვალითაც არ უნახავს და თავს არიდებს საკუთარი მოსაზრების გამოთქმას ამა თუ იმ საგანზე ან მოვლენაზე.

აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეების მოგზაურებთან შედარებით ჟ.დე გაიფონტენი უფრო ვრცლად წერს საქართველოზე, ქართველებზე, მათ ჩვეულებებზე, ხასიათებზე და სხვ., თუმცა უნდა ითქვას, რომ ავტორი მეტისმეტად არაობიექტურია და გულგრილი საქართველოს მიმართ. იოანე დე გაიფონტენის შეხედულებებს ზუსტად განმარტავს ცნობილი უნგრელი მეცნიერი ლაიოშ ტარდი, რომელმაც არაერთი წერილი მიუძღვნა ამ მოგზაურის და მისი თხზულების კვლევას [57]. „საერთოდ ავტორს ობიექტურობა არ ახასიათებს, რაც ყველაზე ნათლად ჩანს მის მიერ აღწერილ საქართველოს მდგომარეობის დამაკნინებელ ეპიზოდებში. ჯერ ერთი, არქიეპისკოპოსი ჟანი თემურ-ლენგის ელჩი იყო იმ დროს, როცა მისი ჯარი საქართველოს უწყვეტი თავდასხმებით ავიწროებდა, მეორეც, ქართველები არიან სქიზმატიკოსები, რომლებსაც შემორჩენილი აქვთ წარმართობის ზოგიერთი ელემენტებიც და არ იყვნენ განწყობილნი უფრო მეტი სიმპათიებით კათოლიკური ფუძის პრელატისადმი, ვიდრე თემურ-ლენგისადმი, რომელიც ისლამს ქადაგებდა“.

იოანე დე გაიფონტენის მოთხრობა საქართველოს შესახებ მისი მოგზაურული თხზულების „Libellus brevis de Notitia orbis“ [58] ერთ-ერთი თავია სათაურით „საქართველო 1404 წლის ქრონიკის მიხედვით“ ("Rapport sur la Géorgie d'une chronique de l'année 1404").

საქართველო 1404 წელს

ავტორი მოგვითხრობს, რომ პატარა და მთიანი აფხაზეთი, რომელიც ჩერქეზეთს ესაზღვრება, მდიდარია ცხოველებითა და კარგი ღვინით. აქაური მცხოვრებნი პურისა და ხორბლის ნაცვლად თიხის ქოთანში უმარილოდ მოხარშულ დაფქულ ფეტვს შეექცევიან. როცა რომაელთა იმპერატორმა ეს ქვეყანა დაიპყრო, იქაურ ხალხს ქვეშევრდომობის ნიშნად საკუთარი ტერფის ანაბეჭდი გაუგზავნა, რომელიც თითოეულ მათგანს დღემდე აქვს თავზე დამაგრებული. აფხაზები სულიერად დაუხვეწავი და უხეშები არიან, მაგრამ ამას თვითონ ვერ გრძნობენ. ისინი რელიგიით ქართველებს ბაძავენ. მათ შესანიშნავად ეხერხებათ მაუდის, ტილოსა და აბრეშუმის წარმოება.

აფხაზეთის აღმოსავლეთით გადაშლილია სამეგრელოს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია. მეგრელები თავის ენაზე მეტყველებენ, ხოლო დამწერლობა და სარწმუნოება ისეთივე აქვთ, როგორც ქართველებს. აქ დაბლობს დიდი ადგილი უკავია, თუმცა ხშირია მაღალი მთებიც, რომელიც აფხაზეთის მთებს უერთდება და კავკასიონამდე გრძელდება. მეგრელები, ისევე როგორც მათი მეზობლები, ცრუ და სამარცხვინო რწმენით არიან შეპყრობილნი — ისინი აღმერთებენ ციურ დედოფალ დიანას, რომელიც თითქოს თავის მეგობარ ნიმფებთან და სატირებთან ერთად იმ მაღალ მთებში ცხოვრობს და ისინი დღესა და ღამეს ლხინში ატარებენ. მათ სწამთ, რომ ვინც რა უნდა სთხოვოს ქალღმერთ დიანას, ყველაფერს უსრულებს და თუკი ვინმე ძღვენს მიართმევს, სანაცვლოდ, დაახლოებით ოც დღეში, ქვეყანას ყოველგვარი გაჭირვებისაგან დაიხსნის. თუმცა ეს საბრალო ადამიანები იმასაც ამბობენ, რომ თუ დიანამ თავის სამფლობელოში ნადიმი გადაიხადა, მოსავალი განადგურდება და მოსახლეობას შიმშილობა არ ასცდება... ასევე გვარწმუნებენ, რომ ამ მაღალ მთებში ქალღმერთთან წასული ადამიანი მისგან უხვად ნაწყალობევი დაბრუნებულა ხოლმე და ნიმუშად იშველი-

ებენ ერთი კაცის თავგადასავალს, რომელიც დიანას და მის მეგობრებს ღვინით დაუსაჩუქრებია, მაგრამ რახან საბრალოს მათი წესები ბოლომდე ვერ დაუცავს, ყველაფერი დაუკარგავს და შინ ხელცარიელი დაბრუნებულა. აი როგორ არიან გაბრიყვებული დიანას რწმენით ეს საბრალო ადამიანები.

მთების ირგვლივ სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს, როგორც მეგრელი, ისე სვანი, ფრანგი და სხვ., რომელსაც თავისი ენა აქვს, მაგრამ ქართველთა სარწმუნოებას იზიარებს.

სამეგრელოსა და შავი ზღვის სანაპიროს მცხოვრებნი ბევრს სვამენ, რადგან დიდი რაოდენობის ღვინო აქვთ. ისინი ხორბლის პურით არ იკვებებიან, მაგრამ ხორბალი მოჰყავთ უცხო ქვეყნებში გასაყიდად. აქაურები ძირითადად თიხის ქოთანში მოხარშული ან გამომცხვარი ფეტვით, ხორცითა და თევზით საზრდოობენ. ისინი ბერძნებზე მეტად იზღუდავენ საკვებს, თუმცა მარხვის წესებს არ იცავენ და ეს ცოდვადაც არ მიაჩნიათ.

ამ ქვეყნის აღმოსავლეთით გადაჭიმულია საქართველო, რომელიც აზიის თოთხმეტ პროვინციაში შედის. საქართველო ვრცელი ქვეყანაა, მაგრამ მრავალ მოზრდილ ერთეულადაა დაყოფილი. როგორც აღვნიშნეთ, ეს მხარე იწყება დასავლეთიდან, კავკასიის დიდი მთებით ან იალბუზით, სამხრეთით მისი მეზობელი სომხეთი და სპარსეთია, აღმოსავლეთით მას ბაქოს, ანუ კასპიის ზღვა, ხოლო ჩრდილოეთით სათათრეთი ესაზღვრება.

საქართველო ორ ნაწილადაა გაყოფილი. გარეთა ნაწილს აღმოსავლეთისაკენ ჰქვია ივერია, ხოლო შიდა ნაწილს აფხაზეთი. ამბობენ, რომ საქართველოს ერთი მეფე ჰყავს, თუმცა ქვეყანა განაწილებულია რამდენიმე ხელისუფალს შორის, რომელნიც ერთმანეთთან ვერასდროს მორიგდებიან.

ქართველები ღვთის მორწმუნე და გულღია ხალხია. ბევრი მათგანი უყოყმანოდ ეზიარა კათოლიკურ სარწმუნოებას. ამდენად, ამ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში დაფუძ-

ნებულ დომინიკელებსა და ფრანცისკელებს, ღვთის შემწეობით მრავალი მრევლი გაუჩნდათ.

ქართველებს საკუთარი ენა და დამწერლობა აქვთ და ანბანი 38 ასოსაგან შედგება. მათ ბევრი რამ აქვთ ბერძნებისაგან გადმოღებული. ქართველი მეფე პატრიარქს, რომელსაც აქ კათოლიკოსს უწოდებენ, თავისი ნება-სურვილით ირჩევს ან გადაირჩევს. მათ სამ სხვადასხვა კუთხეში ერთი დამოუკიდებელი კათოლიკოსი ჰყავთ.

ქართველები კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დიდი რწმენითა და მოწიწებით არიან გამსჭვალულნი. ქართველი ხალხი ნაკლებად განათლებულია და არც ცდილობს ცოდნის შეძენას. მათ ბიბლია სრული სახით არ აქვთ. ამის გამო ისინი საეკლესიო ცერემონიალის დროს მხოლოდ ფსალმუნების წიგნით, ევანგელეთი, პავლეს წერილებით და ბიბლიის მცირე ნაწილით სარგებლობენ. სხვათა შორის ამ ხალხის საეკლესიო ცერემონია შესამჩნევად ხანმოკლეა, რადგან მათ ამისათვის სათანადო ცოდნა არ გააჩნიათ. ქართველთა განათლება ვერც მოციქულებმა და ვერც სწავლულმა სქოლასტიკოსებმა ვერ შეძლეს. ეს მხოლოდ მათმა მოწაფემ ნინომ მოახერხა, როდესაც ისინი იესო ქრისტეს სარწმუნოებას აზიარა.

თვითონ ქართველები კმაყოფილნი არიან თავიანთი სარწმუნოებრივი განათლებით. მიაჩნიათ, რომ ამ მხრივ ისინი კარგად არიან გათვითცნობიერებულნი. როდესაც ნინო თავის მოწაფეებთან ერთად შემოვიდა საქართველოში, რომელსაც ძველად იბერია ერქვა, მაშინ იქ კერპთაყვანისმცემლობა და მრავალი სხვა სიბეცე იყო გამეფებული. ამიტომ ღმერთმა მათ სასჯელად თემურ-ლენგი მოუვლინა, რომელმაც სამჯერ დაიპყრო და ააოხრა ეს ქვეყანა. მან ტყვედ წაიყვანა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი და დაანგრია ოცდაათზე მეტი ბრწყინვალე არქიტექტურის დიდებული ეკლესია (ისეთივე, როგორიცაა წმინდა სოფიას ეკლესია), რომლის ზღურბლზე დღიდან აგებისა ფეხი არ დაუდგამს ბიწიერსა თუ სარკინოზს. მონგოლებმა დაატყვევეს ამ ქვეყნის მეფე, დედოფალი, მათი ერთ-ერთი ვაჟი და ასი ათასი ადამიანი კათოლიკების ჩათვლით.

ეკლესიის ერთი ოთახი სამეფო განძისათვის იყო განკუთვნილი, სადაც ინახებოდა მსოფლიოში განთქმული უძვირფასესი და უმშვენიერესი მარგალიტი. ეს საიდუმლო ცნობილი გახდა თუმურ-ლენგისათვის, რომელმაც განიზრახა დაპატრონებოდა ამ იშვიათ თვალს. მან შეუთვალა ქართველებს, რომ მარგალიტის სანაცვლოდ გაათავისუფლებდა მეფეს, დედოფალს და დანარჩენ ტყვეებსაც. ამ ამბავმა უკიდურესად შეაშფოთა მეფის ვაჟი და ქართველი ხალხი, რადგან ეს ძვირფასი თვალი უდიდესი მოწიწების ნიშნად ღვთისმშობლის ხატზე, წმინდა ქალწულის მკერდზე იყო დასმული. საერთოდ, ქართველები ძვირფას თვლებს წმინდანთა გამოსახულებებზე და ჯვრებზე სვამდნენ. პირადად მე ვიხილე ლალი, ბადახში, საფირონი და სხვა წმინდა ქალწულის ხატზე. მათ შორის გამოირჩეოდა ძალიან ძვირად ღირებული ლალი. ამ სიწმინდეების შეხება სასტიკად იყო აკრძალული, მაგრამ რა გაეწყობოდა, თუკი მეფეს, დედოფალს და მათ მხლებლებს სიკვდილი ემუქრებოდათ. ქართველებმა გაუგზავნეს ძვირფასი თვალი თემურ-ლენგს, რომელმაც პირობის თანახმად დაუყოფნებლივ გაანთავისუფლა ტყვეები.

თვითმხილველთა გადმოცემით, თემურ-ლენგს ეს ძვირფასი მარგალიტი მისი სანაგძურის ერთ-ერთი უძვირფასესი თვალის გვერდით დაუდევს და აღტაცებულა მათი მსგავსებითა და მშვენიერებით. ამ წყვილს „სოლტარია“ და „სოლა“ უწოდეს, რადგან ასეთი სიდიდისა და ხარისხის თვლები მთელ ქვეყანაზე არ მოიძებნებოდა. თემურლენგს სიხარულით ხელები ცისაკენ აღუპყრია და ღმერთისათვის მადლობა შეუწირავს.

მონგოლებმა მესამეჯერ ააოხრეს და დაიპყრეს საქართველო. როგორც თემურ-ლენგმა ბრძანა, არავითარი სასჯელი არ ჰყოფნის ამ ხალხს ცოდვებისაგან თავის დასახსნელად, რადგან ისინი, ისევე როგორც მეგრელები, მაინც ციურ დედოფალ დიანას აღმერთებენ და მის მისნურ წესებს მისდევენო.

ქართველების უცნაური წესით მეფე უფლებამოსილია ჩაიდინოს ყველაზე სასტიკი დანაშაული, რომელიც მას შეცოდებად არ ჩაეთვლება.

საქართველოს ტერიტორია სიგრძით დაახლოებით ოცი დღის სავალია. ქვეყანა არ არის მჭიდროდ დასახლებული. აქ ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, როგორც ქართველები, ისე სომხები, სარკინოზები და ებრაელები. ეს უკანასკნელნი, ძირითადად, ვაჭრობას მისდევენ. ქვეყნის საზღვართან, მთებში დვალები, ალანები, ოსები და სხვა ჯურის ხალხი ცხოვრობს. დიდი ხანია, რაც ამ მხარეში თანდათან ვრცელდება სიტყვა ღვთისა დომინიკელებისა და ფრანცისკელების ძალისხმევით, რომლებმაც ბევრი ახლადდასახლებული თუ აქაური მკვიდრი გაანათლეს და აზიარეს ქრისტეს რჯულს.

საქართველოს კვეთს დიდი მდინარე კურა (მტკვარი), რომელიც ჩაედინება კასპიის ზღვაში და სათავეს სომხეთის მთებში იღებს, ისევე, როგორც ტიგრი და ევფრატი.

ჟილ ლე ბუვიე

XV საუკუნის I ნახევრის ფრანგი მოგზაური მემატიანე ჟილ ლე ბუვიე (Gille le Bouvier) [ფსევდონიმი ბერი (Berry)] [59] საფრანგეთის მეფის შარლ VII-ს (Charles VII) არმიის პირველი მაცნე იყო, რომლის მოვალეობას, ძირითადად, შეადგენდა ომის დაწყება-დამთავრების აღნიშვნა, ცნობების მოკვლევა და არსებული პოლიტიკური და სოციალური ვითარების ზუსტი მიმოხილვა. მეფის სამსახურში მყოფ ჟილ ლე ბუვიეს თავისი ძირითადი საქმიანობის გარდა გულდასმით შეუსწავლია საფრანგეთის მეფის შარლ VII-ს პიროვნება და მისი მოღვაწეობა, აგრეთვე, შარლ VII-ს მეფობის პერიოდის საფრანგეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, რასაც დაწვრილებით აღწერს თავის ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებში: „ქრონიკა და ისტორია შარლ VII-ს შესახებ 1402 წლიდან 1455 წლამდე"; „საფრანგეთის აღწერა" და, აგრეთვე, „უტყუარი ცნობები ყველა ქრისტიანული თუ არაქრისტიანული სამეფოს საერ-

თო ვითარების შესახებ". ჟილ ლე ბუვიეს დასახელებული შრომები ხელნაწერის სახით დაცულია საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა დეპარტამენტში (Fr. 5873).

ჟილ ლე ბუვიეს ხელნაწერის „უტყუარი ცნობები ყველა ქრისტიანული თუ არაქრისტიანული სამეფოს საერთო ვითარების შესახებ" ერთ-ერთი თავია „საქართველო, სომხეთი და თურქეთი XV საუკუნეში". ეს ნაშრომი დღემდე არ გამოქვეყნებულა როგორც მისი სხვა ნაწერები.

ჟილ ლე ბუვიე უჩვეულოდ, თუმცა საინტერესოდ აღწერს XV საუკუნის საქართველოს, არ იმეორებს წინამორბედ თანამემამულეთა, ანუ წინა საუკუნეების ფრანგ მოგზაურთა ნაამბობს. ჟილ ლე ბუვიეს XV საუკუნის I ნახევარში ფრანგულ ენაზე შედგენილ უძველეს ენციკლოპედიას (ცნობარს) მსოფლიოს ქვეყნების და მათ შორის ჩვენი ქვეყნის შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ისტორიის შესწავლისათვის.

ეს უძველესი ხელნაწერი-ცნობარი საუკუნეების მანძილზე ინახებოდა საფრანგეთის სამეფო ბიბლიოთეკაში და უცხო ქვეყნებით დაინტერესებული მრავალი წარჩინებულისათვის ძვირფას საინფორმაციო წყაროს წარმოადგენდა. ჟილ ლე ბუვიე თავისი ნაშრომით თითქოსდა ეგზოტიკურ წარმოდგენას უქმნის ფრანგ საზოგადოებას ჩვენი ქვეყნისა და ხალხის შესახებ.

ჟეორჟია (საქართველო) [60] ხორბლის, ღვინის, სხვადასხვა ჯიშის ცხოველების, ფრინველების და ზეთისხილის ქვეყანაა. იქ ძალიან ცხელა. ქართველები „სარტყელიანი ქრისტიანები" არიან: სახელდობრ, ამ ქვეყანაში ინახება „ღვთისმშობლის სარტყელი". ყოველ ქართველ მღვდელს აქვს თავისი სარტყელი, რომელიც ღვთისმშობლის სარტყელს არის შენახები. ამ სარტყელს მღვდელი ახალშობილს შემოაკრავს და ისე ნათლავს მამის, ძის და ღვთისმშობლის სახელით. ღვთისმშობლის სარტყელის გამო „ჟეორჟიას" (საქართველოს) მცხოვრებთ „სარტყელიანი ქრისტიანები" უწოდეს.

ქართველების ჩაცმულობა ისეთივეა, როგორც სარკინოზების, რომლებთანაც ერთად ისინი წარმატებით ვაჭრობენ სარკინოზების ქვეყანაში. მათ სამოსში ერთი განმასხვავებელი დეტალი შეინიშნება: „ქართველები, სარკინოზებისაგან განსხვავებით, თავზე შავ ტილოს იხვევენ, რომელსაც თავსაბურავს უწოდებენ, ხოლო სარკინოზების ჩალმა დიდი თეთრი ტილოა“.

მრავალი ქართველი ცხოვრობს კაიროში და სარაცინების ქვეყნის სხვა ქალაქებში. ისინი იხდიან ბეგარას ისევე, როგორც ებრაელები უხდიან ქრისტიანებს. ქართველები ისე ლაპარაკობენ არაბულად, როგორც სარკინოზები.

ქართველთა მეფე არის ჟეორჟიის (საქართველოს) მეფე. მის ტერიტორიას ეკვრის პიტზონდის მხარე, რომლის მაცხოვრებელნიც ასევე „სარტყელიანი ქართველები“ არიან, იგივე წარმოშობის და ენის, როგორც ქართველები. გარდა ქართულისა აქაც არაბული ენაა გავრცელებული. ამ კუთხეს ესაზღვრება: დასავლეთით – თურქეთი, სამხრეთით – სომხეთი და აღმოსავლეთით – თემურ-ლენგის ქვეყანა.

პიტზონდის მცხოვრებლებს ჰყავთ თავისი იმპერატორი, რომელსაც ასევე პიტზონდი ჰქვია. მისი ქალიშვილი შეირთო კონსტანტინოპოლის იმპერატორმა და, ამგვარად, პიტზონდის იმპერატორი და საქართველოს მეფე საფრანგეთის სამეფოზე უფრო ვრცელ ქვეყანას ფლობენ.

პიერ დავიტი

ცნობილი ფრანგი მოგზაური და ისტორიკოსი პიერ დავიტი (Pierre Davity) (1573-1635) [61] მრავალი ნაწარმოების ავტორია. მან პირველად ლიტერატურულ ჟანრში სცადა ბედი, მაგრამ ამაოდ, მისმა 1599 წლამდე დაწერილმა ნაწარმოებებმა: „შერეულ თხზულებათა კრებული“ („Recueil de ses oeuvres mêlées“), „სამუშაო შრომის გარეშე“ („Les traveaux sans travail“) და სხვამ ავტორს წარმატება არ მოუტანა. პიერ დავიტიმ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარ-

მოებები ბევრად უფრო გვიან დაწერა: „საფრანგეთის მორწმუნეთა ურყევი მდგომარეობა“ ("Etat certain de ceux de la religion en France"), პარიზი, 1625 წ., „მსოფლიოს სახელმწიფოები თუ იმპერიები" ("Etat ou empires du monde"), პარიზი, 1626 წ., „მთელი საქრისტიანოს რაინდულ ორდენთა წარმომავლობა, 1635 წ." ("Origine de tous les ordres de chevalerie de toute la chrétienté 1635" in folio). ეს ისტორიული თხზულება დღემდე საინტერესოა. გამორჩევით გვინდა აღვნიშნოთ მისი ვრცელი ენციკლოპედიური ნაშრომი „აზიის საერთო აღწერა" ("Description générale de l'Asie"). როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, პიერ დავიტი საფრანგეთის ეკლესიის მიერ წარგზავნილი ყოფილა აზიის ქვეყნებში რელიგიური მდგომარეობის შესასწავლად და აღსაწერად. ავტორი ცდილობს ასახოს იმდროინდელი აზიის საერთო გეოგრაფიული, ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური სახე. ნაწარმოებში წინა პლანზეა წამოწეული სხვადასხვა რელიგიის ხალხი, მათი საერო და საეკლესიო ადათ-წესები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს არ არის მხოლოდ ავტორის მიერ აზიის ქვეყანაში მოგზაურობისას ჩატარებული გამოკვლევის შედეგი, ეს არის ისევ და ისევ სხვადასხვა მხრიდან შეგროვებულ მასალებსა და მოგზაურთა და საკუთარ შთაბეჭდილებებზე აგებული ნაშრომი. პიერ დავიტის თავისი ქვეყნის მთავრობისაგან ევალებოდა შეექმნა აზიის საერთო რელიგიური სურათი და გამოეკვლია აზიაში დაფუძნებულ კათოლიკურ მისიათა მიღწევები, რასაც წარმატებით გაართვა თავი. საფრანგეთის მთავრობამ სათანადოდ შეაფასა პიერ დავიტის მრავალმხრივი მოღვაწეობა და მას სამეფო პალატის წარჩინებულის წოდება მიანიჭა.

როგორც აღვნიშნეთ, პიერ დავიტი პალესტინაში მოღვაწეობდა. ის წმინდა მიწაზე მცხოვრებ ქართველებს შეხვედრია, დაინტერესებულა მათი წარმომავლობით, რელიგიით, წეს-ჩვეულებებით. ყოველივეს, რაც კი გაუგონია ან უნახავს, ის წერს თავისი ვრცელი წიგნის – „აზიის საერთო დახასიათება" – ერთ-ერთ თავში – „თურქეთის

ქვეყნები აზიაში" ("Estats du Turc en Asie") ქვესათაურით – „ქართველები" (Des géorgiens").

ქართველები [62]

წმინდა მიწაზე სქიზმატურ ერებს შორის ქართველებსაც შეხვდებით. მათ ქართველებს უწოდებენ, რადგან ცხოვრობენ და მრავლდებიან საქართველოს პროვინციაში, რომელიც ამჟამად თურქეთის ძალაუფლებაშია. ქართველთა რელიგიური სექტა თავის უზენაეს მოძღვრად კონსტანტინოპოლის ბერძენთა პატრიარქს მიიჩნევს და მხოლოდ მას ემორჩილება. ქართველებს მეტი შეცდომები აქვთ, ვიდრე ბერძნებს, მაგრამ ეს პატრიარქი მათ ერთნაირად უტევებს. ქართველები გარეგნულად ძალიან გვანან ბერძნებს. მსგავსია ასევე მათი საეკლესიო ცერემონიები, პრელატთა და რელიგიის მსახურთა სამოსიც, ღვთისმსახურებაც კი ბერძნულ ენაზე მიმდინარეობს. წმინდა მიწაზე მცხოვრები ქართველები ერთხმად აღიარებენ იერუსალიმელი ბერძნების პატრიარქს, ესწრებიან ყველა საეკლესიო ცერემონიალს და უსმენენ წირვას მათ ეკლესიაში. ისინი აქ მხოლოდ სალოცავად არიან. ქართველებს არ უნდათ მიატოვონ ის წმინდა ადგილები, რომლებსაც მანამდე ფლობდნენ. ეს არის გოლგოთის მთაზე აშენებული სალოცავი, სადაც ადრე ჩვენი მაცხოვრის ჯვარი იდგა. ეს სალოცავი მათ მიიღეს მაშინ, როცა იმპერატორი სოლომონი იერუსალიმში შევიდა. ადრე კი ეს ჩვენი რელიგიური ორდენისა იყო. ქართველებმა, ასევე, დატოვეს წმინდა ჯვრის მონასტერი, რომელიც იერუსალიმიდან ნახევარი ლიეთია დაშორებული. ეს მონასტერი აგებულია იმ ადგილას, სადაც ადრე ხე ამოუთხრიათ ჯვრის გასაკეთებლად. ის ორმო ჯერ კიდევ შემორჩენილია, ოღონდ ჩვენი მეუფის საკურთხევლის ქვეშაა მოქცეული. ქართველებმა წმინდა ჯვრის მონასტერი ბერძნებს გადასცეს გირაოდ, დიდი თანხის ფასად. ეს თანხა ბერძნების პატრიარქს ქართველების მაგივრად თურქებისა და ებრაელებისათვის მიუცია.

ასე რომ ქართველების სექტა გაუქმდა და ახლა ისინი ბერძნებთან ერთად არიან.

სქიზმატური ერებიდან არ მინდა გამორჩეულად ქართველების შეცდომებზე ვილაპარაკო. ისინი მთელი არსებით მიჯაჭვულნი არიან თავიანთ მამა-პაპურ ადათ-წესებს თუ სხვა სიძველეებს. ქართველები გვეწინააღმდეგებიან, არ გვისმენენ, არ ცდილობენ შეითვისონ, ან გამოსცადონ მაინც რამდენიმე ჩვენებური, ძალზე დადებითი, ყველასათვის მისაღები და შესაფერისი კანონი. ქართველების რელიგიური წესები თუ ცერემონიების ჩატარების მანერა იმდენად უხეშია და დაუხვეწავია, რომ შორიდანაც კი მკაცრი გვეჩვენება, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს, მაინც ქრისტიანული რელიგიის ნაწილს წარმოადგენს. თუმცა ყოველივე ეს მიგვანიშნებს, რომ ქართველები ნაკლებად სულიერნი არიან. მათმა უმრავლესობამ, რომლებმაც ასე თუ ისე იცის წერა-კითხვა, შეამჩნია კიდეც თავისი რელიგიის შეცდომები, მაგრამ ეშმაკისეული ცბიერება, ყალბი მორცხვობა და შეუპოვრობა ამ ხალხს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. ეს კი ძალზე სამწუხარო და საჯალალოა მათთვის.

„ჩვენ კი, კათოლიკეებმა, ვადიდოთ ღმერთი, ვიყოთ მუდამ მისი მადლიერნი, რადგან მან გაგვაჩინა მის ერთგულ მორწმუნეებად და არა ამ უბადრუკ ცოდვილებად, რომელთა საბრალო მდგომარეობა მართლაც რომ ცრემლების ღირსია. მით უფრო, რომ მათ ეს ცოდვიანი არსებობა შემდეგ ისეთ საშინელებაში ჩაითრევს, რომელსაც დასასრული არ ექნება“.

* * *

საფრანგეთის ქალაქ ლიონში შემდგარმა საეკლესიო შეკრებამ პაპ ინოკენტი IV-ს (1243-1254) თაოსნობით საფუძველი ჩაუყარა მომავალ დიდ რელიგიურ და კომერციულ მოძრაობას, რომელმაც თითქმის ასი წლის განმავლობაში იარსება და აზიის უკიდურეს საზღვრებს მიაღწია. XIII საუკუნის დასაწყისიდან ამ საეკლესიო ორდენის მსახურებმა საეკლესიო და სახელმწიფოებრივი მისიის შესასრულებლად გმირული შემართებით იწყეს სვლა აღმოსავ-

ლეთისაკენ. საბედნიეროდ, ისტორიამ შემოგვინახა მოგზაურობის პიონერთა სახელები, როგორებიც არიან ზემოხსენებული პლან კარპენი, რიუბრიუკი, სიმონ დე სენ-კანტენი, უან დე გაიფონტენი, ჟურდენ კატალანი დე სევერაკი, ჟ.ბუვიე, პ.დავიტი და სხვ., რომლებმაც მისიის შესაბამისად შემოგვინახეს მსოფლიოს ქვეყნების უძველესი სახე, თითოეულის წარსული ცხოვრების ანარეკლები და სხვადასხვა უცნაური ან ჩვეულებრივი მოვლენები. შუა საუკუნეების მოგზაურების მოღვაწეობა მართლაც დასაფასებელია და მათ რელაციებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოგზაურული ლიტერატურის ისტორიაში, მიუხედავად მრავალი შეცდომისა, რომლის შესახებ გამუდმებით წერდნენ მსოფლიოს ცნობილი მკვლევრები.

შუა საუკუნეების მოგზაურების არაობიექტურ დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ ალბათ მხოლოდ მათი გულგრილობით, ზერელობით და უინტერესობით ვერ აგხსნით. შესაძლოა, ფრანგი მოგზაურის მისიაში, რომელსაც მთლიანად განაგებდნენ საფრანგეთის მთავრობისა და ეკლესიის მესვეურები, საქართველოს ცალკე შესწავლის საკითხი სრულებითაც არ ფიგურირებდა, მით უმეტეს, რომ მის გვერდით საუკუნეების მანძილზე ჩნდებოდნენ ძლიერი და დამპყრობელი სახელმწიფოები, რომელთა საკუთრებად ჩვენი ქვეყანა დროდადრო ითვლებოდა და რომლებიც მათთვის ბევრად უფრო საინტერესო, საჭირო და ანგარიშგასაწევი იყო. შუა საუკუნეების ფრანგი მოგზაურები არ დაინტერესებულან საქართველოს წარსულით და, რასაკვირველია, მათ ვერ შესძლეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური მდგომარეობის სათანადოდ აღქმა და ასახვა.

„ჟორჟიენი (jorjens) იგივეა, რაც ჟეორჟიენი (géorgien), ხალხი, რომელსაც ქრისტიანობის ელფერი გადაჰკრაეთ" [63] – ამ სიტყვებით გააცნო საქართველო ევროპის საზოგადოებას ფრანგმა მოგზაურმა ბენჟამენ დე ტუდელმა ჯერ კიდევ 1173 წელს, მსოფლიოს გარშემო მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ. არა და ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველო ევროპელ ჯვაროსნებთან ერთად

გმირულად იბრძვის ქრისტიანული რელიგიისა და სიწმინდეების დასაცავად. ისტორიის მიხედვით, XII-XIII საუკუნეებში საქართველოსა და საფრანგეთს შორის საკმაოდ ახლო ურთიერთობა აღინიშნება. „დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოს გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა ჯვაროსნებთან. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენა იყო. ჯვაროსნებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ევროპისა და წინა აზიის ქვეყნებსა და ხალხებზე... შემორჩენილია ცნობები, რომლებიც პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ დავით აღმაშენებლის ლაშქარი ჯვაროსნებთან იბრძოდა იერუსალიმისათვის" [64].

„V ჯვაროსნულმა ლაშქრობამ ლაშა-გიორგის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა: საქართველოს სამეფო კარს თავიდანვე განუზრახავს ჯვაროსნულ მოძრაობაში მონაწილეობა. 1219 წელს ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. 1219 წლის ნოემბერში დამიეტა აღებულ იქნა. იდგა კაიროს ჯერი. სწორედ ამ დროს ადგილი აქვს საქართველოს და ჯვაროსანთა შორის დიპლომატიურ კონტაქტებს..." [65].

საკვირველია, რომ ფრანგი მისიონერები, რომლებიც ქრისტიანული რელიგიის დაცვისა და გავრცელების მიზნით მოგზაურობდნენ და იღვწოდნენ აღმოსავლეთში, არ მოიხსენიებენ ჯვაროსნულ მოძრაობაში ქრისტიანული რელიგიისათვის მედგრად მებრძოლ საქართველოს, რომლის მეფეებს საუკუნეების მანძილზე ჰქონდათ დიპლომატიური ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან. პოლიტიკური ურთიერთობები, რომლებიც შუა საუკუნეებში ფრანგ მეფეებს ჰქონდათ ქრისტიანული ქვეყნების მეფეებთან, შესანიშნავადაა გამოკვლეული და შესწავლილი ქართველი და უცხოელი ისტორიკოსების მიერ. XIX საუკუნის ცნობილი მკვლევარი ა.რემიუზა (M.Abel-Remusat) სხვა ევროპელ მედიევისტებთან შედარებით მეტი გულისყურით მოჰკიდებია საქართველოს საკითხს მონგოლთა დამპყრობლური ომების ეპოქაში, საფუძვლიანად გასცნობია იშვიათ ისტორიულ წყაროებს და თავის მნიშვნელოვან ნაშრომში – „მემუარები ქრისტიანი მეფეების მონგოლეთის იმპერატორთან

პოლიტიკური ურთთიერთობის შესახებ" ("Memoires sur les relations politiques des princes chrétiens et partiqulièrement des rois de France avec les empreurs Mogols") აღწერს, თუ როგორი ძლიერი და შეუდრეკელი იყო საქართველო და ქართველი ერი ამ პერიოდში.

„მთელ აღმოსავლეთში, ქრისტიანი მეფის ძალაუფლებაში მყოფ ქვეყნებს შორის იმ დროს ყველაზე ძლიერი საქართველო იყო. XIII საუკუნეში ქართველი მეფეები განაგებდნენ ვრცელ ტერიტორიას – შავი ზღვის სანაპიროდან ტრაპზონსა და ყირიმს შორის, დერბენდის გადასასვლელამდე, არაგვისა და მტკვრის შესართავამდე, ანუ კოლხიდას, სამეგრელოს, აბაზების ქვეყანას, თვით საქართველოს, ჩრდილოეთ სომხეთს და, აგრეთვე, მცირე სასაზღვრო ოლქებს.

ქართველები მუსულმანებთან ბრძოლებში გამობრძმედილი ერია. ხშირი გამარჯვებით გაამაყებული გულადი და შეუდრეკელი ქართველი მეომრები, რა თქმა უნდა, გულგრილნი ვერ დარჩებოდნენ სირიაში ფრანკთა ექსპედიციებისადმი, თუმცა იქამდე დიდი მანძილი იყო და ისინი ყოველთვის ჩვეულ აქტივობას ვერ იჩენდნენ. მიუხედავად ამისა, ფრანკებსა და ქართველებს შორის საერთო ინტერესებისა და სარწმუნოების ნიადაგზე დამყარდა მეგობრული ურთიერთობა: ცნობილია, რომ პაპმა სხვა ქრისტიან მეფეებთან ერთად, საქართველოს მეფეს, ლაშა-გიორგის სთხოვა დახმარება და თანადგომა წმინდა მიწის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ეპისკოპოსის მიწვევა ქართველმა მეფემ უყოყმანოდ მიიღო და გაემგზავრებოდა კიდეც, რომ არა თათრების სასტიკი თავდასხმა, რის გამოც იგი იძულებული გახდა ხელი აეღო ამ განზრახვაზე. თათართა გამუდმებული შეტევების გამო საქართველო გახდა ავან-პოსტი სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით. ამიტომ, მტრის დასაძლევად, რაშიც დაინტერესებული იყო აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის ქრისტიანული სახელმწიფოები, და მათ შორის საფრანგეთიც, ქართველებს, უფრო მეტად, ვიდრე სხვას, სჭირდებოდათ გამჭრიახობა, ძალა, წინდახედულობა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის

ქვეყნების ასეთი დიდი დაინტერესება ამ ტერიტორიაზე თათრების მრავალრიცხოვანი თავდასხმების მიმართ გახდა მიზეზი პირველი ოფიციალური სახის მოლაპარაკებისა, რომელიც წამოიწყეს თათრებმა ქრისტიან პრინცებთან.

რუსუდანი, რომელიც თავისი ძმის გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ გახდა საქართველოს დედოფალი, ხედავდა, როგორ ახლოვდებოდა და ძალას იკრებდა ომის ქარიშხალი. ამის შესახებ აღმოსავლეთის ქვეყნების ქრისტიან ხელისუფალთა შორის, პირველმა მან გაუზიარა თავისი მოსაზრებები ჰონორიუს III-ს (Honorius III, 1216-1227). მისი წერილი პაპს ანის ეპისკოპოსმა დავიდმა აახლა. რუსუდან დედოფალი მწუხარებით ატყობინებს პაპს თავისი ძმის გიორგი მეფის გარდაცვალებას. ეს წერილი, სავარაუდოდ, დათარიღებულია 1224 წელს. ამ პერიოდში მონგოლები კავკასიონზე გადადიოდნენ, რათა შეერთებოდნენ ჩინგის-ყაენის ვაჟს ყივჩაღეთში, რომელსაც, თავის მხრივ, დამპყრობლური ომები ჰქონდა გაჩაღებული. ფრანგ მკვლევარს ა.რემიუზას ძალზე საინტერესოდ აქვს შეპირისპირებული შუა საუკუნეების სომეხი მწერლის ვერსია და ჰონორიუს III-სადმი რუსუდან დედოფლის წერილი მონგოლების საქართველოზე თავდასხმის შესახებ.

სომეხი ისტორიკოსები: ვართან განძაკელი (de Gandsak) (გარდაიცვალა 1280 წელს) და მისი თანამედროვენი კირაკოზი და მალაქია (Giragos et Malachia) თავიანთ ისტორიულ თხზულებაში „მემუარები სომხეთზე" [66] გვიამბობენ, თუ როგორ გააბრიყვეს მონგოლებმა თავისი ეშმაკური ოინებით ქართველები. „მონგოლებმა ქრისტიანი მღვდლის ტანსაცმელი გადაიცვეს და დიდი ჯვრით ხელში დაუბრკოლებლად შევიდნენ ქვეყანაში. მათ ბრძოლის ხაზი ისე გადალახეს, რომ ქართველები გონსაც ვერ მოეგნენ და კარგა ხანს ყოყმანობდნენ, შებრძოლებოდნენ მათ თუ არა. როცა მიხვდნენ, რომ ისინი ქრისტიანი მღვდლები არ იყვნენ, მტერს უკვე ქართველების ექვსი ათასიანი ლაშქარი ჰყავდა განადგურებული" [67].

ეს ამბავი სულ სხვაგვარადაა აღწერილი რუსუდან დედოფლის ჰონორიუს III-სადმი გაგზავნილ წერილში.

„მივხვდი, რომ ისინი ქრისტიანები არ იყვნენ, შეეებრძოლეთ და ოცი ათასი მეომარი მოვკალით, ბევრი დავატყვევეთ და ნაწილი უკუვაქციეთო". რუსუდან დედოფალი წერს, აგრეთვე, რომ მან ახლახან შეიტყო იმპერატორის განზრახვა სირიაში ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ, რასაც სიამოვნებით ეთანხმება და ჰპირდება პაპს, რომ დაუყოვნებლად გაგზავნის ქართველ მეომრებს, რომლებიც დედოფლის ბრძანებას ელოდებიან, რათა წმინდა ჯვრის ქვეშ, ღირსეულად დაიცვან წმინდა საფლავი. ფრანგი მკვლევარი ასკვნის, რომ „როგორც წერილიდან ჩანს, დედოფალი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს თათართა თავდასხმებს, რახან ის ჰპირდება პაპს ჯვაროსანთა რაზმების გაგზავნას სირიაში. ჩინგიზ-ყაენის სიკვდილით ქართველმა ქვეყნებმა ერთხანს ამოისუნთქეს, თუმცა ქართველები ახალ დიდ საფრთხეს ელოდებოდნენ. ამას მოწმობს ის, რომ რუსუდან დედოფალმა ვეღარ გაგზავნა სირიაში მაშველი ლაშქარი, რომელიც ეპისკოპოსს აღუთქვა, რადგან მონგოლთა ახალი ძლიერი, მრავალრიცხოვანი ჯარი, მეომართა ცოლ-შვილის თანხლებით, მიიწევდა წინ საქართველოსა და სომხეთისაკენ" [68].

ზემოთ მოხსენიებული შუა საუკუნეების სომეხ ისტორიკოსთა ცნობები გვაფიქრებინებს, რომ ისტორიულ წყაროებშიც კი შეიმჩნევა ავტორის სუბიექტივიზმი და არაკომპეტენტურობა, რაც შემდგომ მკვლევართა კამათისა და დაპირისპირების საგანი ხდება.

მართალია, შუა საუკუნეების მოგზაურული ლიტერატურა ვერ დაედება ერთადერთ ან მთავარ საფუძვლად ამ ეპოქის მეცნიერულ კვლევას, რადგან ის აგებულია მოგზაურთა მიერ უცხო გარემოსა და მოვლენების თავისებური აღქმის შედეგად გამოწვეული ემოციებით შექმნილ შთაბეჭდილებებზე, სადაც მართლაც რომ ძნელია გამოირიცხოს სუბიექტივიზმი და უზუსტობანი, მაგრამ მოყვანილი მასალები საფუძველს იძლევა დასკვნისათვის, რომ შუა საუკუნეების მოგზაურული ლიტერატურის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა იმდროინდელი მსოფლიოს, როგორც მინიმუმ, ერთი მაინც რეგიონის ისტორიის, გეოგრა-

ფიის და, შესაძლოა, აგრეთვე არაერთი სხვა ეითარების მეტნაკლებად სრულყოფილი გააზრება.

XVII საუკუნის ფრანგი მოგზაურები საქართველოს შესახებ

XVII საუკუნის ფრანგი მოგზაურები არ მიეკუთვნებიან რომანტიკული მოწოდების მოგზაურთა იდეალურ ტიპს, მთავრობისა და ეკლესიის მესვეურთა დავალებით წარგზავნილნი, როგორც თავდადებული ჯარისკაცები, ისინი პირნათლად ასრულებდნენ მეტად სახიფათო მისიას, რომელიც ბრძოლას უფრო ჰგავდა, ვიდრე მოგზაურობას. მათ მართლაც საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებში უხდებოდათ დავალების შესრულება – ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება მტრულად განწყობილ მუსულმანურ სამყაროში, დიპლომატიური მოლაპარაკებები ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა პირებთან, ცნობების მოკრება მეომარი ქვეყნების პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ვითარების შესახებ. ამავე დროს ისინი ვალდებულნი იყვნენ სამუშაო ადგილიდან ფარულად გაეგზავნათ თავისი ქვეყნისა და ეკლესიის მთავარ პირთათვის ცნობები მისიის მსვლელობის შესახებ.

მისიის სპეციფიკური სირთულის გარდა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საერთოდ მოგზაურობა არ არის ყოველთვის თავგადასავალი კეთილი დასასრულით – ფიზიკური საფრთხე აჩრდილივით თან სდევს მოგზაურს მდინარის, ზღვის, უღელტეხილის, ღრმა ხევის გადალახვისას, ისევე როგორც გზის აბნევა, ავადმყოფობა, ავაზაკთა თავდასხმები, ცუდი მასპინძელი და ა.შ. - ეს ყოველივე მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ხიფათისა, რომელიც მუდამ ელოდება მოგზაურს. ამიტომაა, რომ XVII საუკუნის მოგზაურები თავიანთ ნაწერებში მგზავრობასთან დაკავშირებულ სირთულეებზე ბევრს საუბრობენ. ამ მხრივ მათ არც კომერსანტები ჩამორჩებიან, თუმცა საეკლესიო თუ სხვა მისიით წარგზავნილებთან შედარებით, ისინი მგზავრობისას ნაკლებად იტანჯებიან, რადგან მათ აქვთ ოდით-

განვე გაკვალული კარგად ათვისებული გზა, გამოცდილება, ურთიერთდახმარების იმედი, ქარავანი, პროფესიონალური ინტერესი, მატერიალური უზრუნველყოფა და სხვ. [69].

საეკლესიო თუ სხვა მისიის წარმომადგენელნი აღმოსავლეთისაკენ მოგზაურობას ქარავანთან ერთად ამჯობინებდნენ, რომელიც, ძირითადად, კომერსანტების განკარგულებაში იყო. ქარავნის მოძრაობის მარშრუტში იგულისხმებოდა იმ პერიოდში არსებული ყველა სახის სახმელეთო თუ საზღვაო ტრანსპორტი: ტვირთმზიდი ცხოველები – ცხენები დიდებულთათვის, აქლემები უდაბნოს ვაჭრებისათვის, ურიკები, ოთხთვალები და, რა თქმა უნდა, ხომალდები.

მრავალრიცხოვანი და კარგად აღჭურვილი ქარავანი გამოუცდელ მოგზაურთათვის მეტად ხელსაყრელი იყო, თუნდაც პრაქტიკული უნარ-ჩვევების ასათვისებლად, რადგან მათი ცოდნა აღმოსავლეთის შესახებ რამდენიმე გეოგრაფიული ენციკლოპედიითა და ცნობილ მოგზაურთა ცნობებით შემოიფარგლებოდა, რაც რეალურად საკმარისი არ იყო.

აღწერების მიხედვით ირკვევა, რომ სპარსეთის მიმართულებით XVII საუკუნიდან არსებობდა ხუთი გზა [70]: მოსკოვის, წითელი ზღვის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის და იმედის კონცხის გავლით. სპარსეთის მიმართულებით საქართველოზე გამვლელ XVII საუკუნის ფრანგ მისიონერებს კონსტანტინოპოლის გზას ურჩევდნენ მიუხედავად იმისა, რომ ის სავსე იყო მოულოდნელობითა და ფათერაკებით, თუმცა არც კონსტანტინოპოლიდან ისპაჰანამდე მიმავალი გზა იყო ნაკლებად სახიფათო, პარიზიდან კონსტანტინოპოლამდე მგზავრობა შესაძლებელი იყო ზღვით და ხმელეთით. კონსტანტინოპოლში ჩამომსხდარ მოგზაურებს რამდენიმე დღე სჭირდებოდათ გადაუდებელი საქმეების მოსაგვარებლად. ეს საქმე იყო სურსათის მომარაგება, საზღვარზე გადასვლისათვის საჭირო საბუთის შედგენა, სარეკომენდაციო წერილების მოპოვება, გიდის და თარჯიმანის დაქირავება და სხვ. კონსტანტინოპოლი-

დან სპარსეთისაკენ ასევე ორი გზა მოქმედებდა – სამეგრელოსი და ანატოლიისა.

სამეგრელოს გზით მოსარგებლე შავ ზღვას გადალახავდა, ტფილისს გადაკვეთდა, შემდეგ ერევნის, თავრიზის, ყასბენის და კაშხანის გაელით ისპაჰანში ჩავიდოდა. მოგზაურების აზრით, ეს გზა ყველაზე მოკლე და მოსახერხებელი იყო, რომ არა გაუთავებელი გარეშე და შინაური ომები, დანგრეული გზები, მოულოდნელი თავდასხმები და სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები. ამ მძიმე ვითარებაში სპარსეთისაკენ მიმავალ ფრანგ მოგზაურებს დიდ დახმარებას უწევდნენ კომერსანტები – ჯერ ქარავნით, შემდეგ კი ყველა სხვა შესაძლო საშუალებებით. მთავარ სავაჭრო ქალაქებში მგზავრობისას, სადაც კი მათ უხდებოდათ შეჩერება. აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურთა ნაწერებში ხშირად მოიხსენიებიან სომეხი ვაჭრები, რომლებსაც დიდი კავშირები ჰქონდათ იმ დროისათვის მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრებში (კონსტანტინოპოლი, ანატოლია, სმირნა და სხვა) მცხოვრებ და მოსაქმე მრავალრიცხოვან თანამემამულეებთან: „ჩვენ ექვსი მისიონერი ვცხოვრობთ და ვიღვწით აღმოსავლეთის ქვეყნების მთავარ ქალაქებში, თითოეულში ორმოცი ათასზე მეტი სომეხი, ამდენივე ებრაელი და ევროპის სხავადასხვა ქვეყნისა და რჯულის მონა ცხოვრობს. მათთვის ჩვენი ეკლესიის კარი მუდამ ღიაა“ [71] – აღნიშნავს მისიონერი სანსონი. საფრანგეთის სახელმწიფო მრჩევლის ბატონ რუილისადმი გაგზავნილ წერილში. მოგზაურობაში გამობრძმედილი კომერსანტები, განსაკუთრებით სომხები, აქტიურად მფარველობდნენ ფრანგ რელიგიურ მისიონერებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მშობლიური ენის გარდა სხვა ენას არ ფლობდნენ. სხვადასხვა ზრახვების გარდა სომეხ ვაჭრებს თავიანთი პოლიტიკურად და რელიგიურად განადგურებული ქვეყნის ინტერესი და მისიონერებისაგან დახმარების იმედი ამოძრავებდათ. ისინი ყოველ ღონეს მიმართავდნენ, რათა დაერწმუნებინათ ფრანგი მისიონერები, რომ მათი ქვეყანა, ისტორიულად და რელიგიურად ყველაზე მნიშვნელოვანი და მტრებისაგან ყველაზე დაზა-

რალებული, აუცილებლად უნდა გამხდარიყო მათი განსაკუთრებული შესწავლის და ზრუნვის საგანი. კავკასიისაკენ გზას დამდგარ, პატივნაცემ მისიონერებს ისინი გიდს მიამაგრებდნენ, რომელიც ერთდროულად მათი მსახური, თარჯიმანი და ინფორმატორი იქნებოდა. მაგრამ აქ მთავარი იყო სომეხი ვაჭრის სარეკომენდაციო წერილი, რომელსაც ჯადოსნური ძალა ჰქონდა – რომელ ქალაქშიც არ უნდა წასულიყო მისიონერი, იგი ისევ სომეხი მასპინძლის ოჯახში, თბილ კერასთან აღმოჩნდებოდა [72], მადლიერებით აღვსილი მოგზაურები საპასუხოდ ყოველმხრივ ეხმარებოდნენ მათ. მისიონერთა მიერ ქვეყნის მთავრობისადმი თუ ეკლესიისადმი გაგზავნილ წერილებში ჩანს მათი განსაკუთრებული სიმპათიები სომეხი ხალხის მიმართ: „სომხები ძალზე სადა და მოკრძალებული ხალხია; ისინი განსაკუთრებული მოწიწებით გვეპყრობიან, შესანიშნავად გვხვდებიან. მათ აქვთ თავიანთი ეკლესია, რომლის წესები ლათინურს უფრო ჰგავს, ვიდრე ბერძნულს. ჩვენ გადავწყვიტეთ წავიკითხოთ სამჯერ კვირაში სომეხი მიტროპოლიტის ეკლესიაში ლოგიკის კურსი და ვისწავლოთ სომხური ენა, რათა უფრო გაგვიიოლდეს მათთვის დახმარების გაწევა“ [73].

მოგზაურები თავს ვალდებულად თვლიან თავიანთი თხზულებების დიდი ნაწილი დაუთმონ სომხეთის ისტორიას, რელიგიას, მის ხალხს და ჩვეულებებს: „მე ვალდებული ვარ ეს თავი მივუძღვნა სმირნის სომხური ეკლესიის დიდებას, წამებულ სომეხ ხალხს და მის შვილს სამოცი წლის გიორგის“ [74].

სომეხ კომერსანტთა, თარჯიმანთა თუ სხვათა ძალისხმევას ამაოდ არ ჩაუვლია. ამ საუკუნის მოგზაურებმა უხვი მასალა დაუტოვეს მსოფლიოს სომხეთის შესახებ. XVII საუკუნის ფრანგ მოგზაურებზე მასალების მოკვლევისას აღმოჩნდა, რომ სომხეთს ეწვია და მრავალი თხზულება მიუძღვნა 100-ზე მეტმა ფრანგმა მოგზაურმა [75], ხოლო საქართველომ დააინტერესა დაახლოებით 15-მდე მოგზაური, რომლებიც მას რამდენიმე სტრიქონზე ან გვერდზე თუ მოიხსენიებენ, თანაც ეროგვარი ყოყმანით,

თითქოს თვითონვე არ არიან დარწმუნებულნი ამ ცნობების სიზუსტეში. მათ თხრობას ხშირად ემჩნევა სხვისი აზრი და თვალთახედვა, თუმცა საკუთარი თვალით ნანახსაც მეტწილად ისე მშრალად და უშურველად გვიამბობენ, რომ ძალაუნებურად ჩნდება ეჭვი – ხომ არ ხდებოდა ყოველივე ეს სომეხი კომერსანტების, ეკლესიის მსახურების და, რაც მთავარია, გიდ-თარჯიმნების გარკვეული მეცადინეობით, რათა მოგზაურთა მთელი გულისყური და ძალისხმევა მხოლოდ მათკენ ყოფილიყო მიმართული, არ გამოვრიცხავთ, აგრეთვე, სომეხ, ებრაელ ან ბერძენ მედიატორთა გაუთვითცნობიერებლობას ჩვენი ქვეყნის შესახებ.

მაგალითისათვის წარმოგიდგენთ რამდენიმე ფრანგ მოგზაურს კავკასიაში, რომლებიც დიდ ინტერესს იჩენენ სომხეთის მიმართ და იქვე მოჰყავთ უფერული ცნობები საქართველოზე. წმინდა სამების ეკლესიის მსახურმა მამა ფილიპემ თავისი ნაწარმოები ("Voyage d'Orient du Réverend Père Philippe de la très-sainte Trinité") რელიგიური მისიის შესახებ აღმოსავლეთში ლათინურად დაწერა, რაც სავსებით მიღებული იყო იმ დროის საეკლესიო პირთათვის. წიგნი გადაითარგმნა ფრანგულად საფრანგეთის ეკლესიის მიერ და პირველად გამოქვეყნდა 1652 წელს. მოგზაური ბევრს საუბრობს თავის წარმატებებზე რელიგიის გავრცელების საქმეში. ამავე დროს აღწერს მრავალ ქვეყანას, იქაურ ცხოვრებას და წეს-ჩვეულებებს. ავტორმა ერთი ვრცელი თავი სომხეთის ისტორიას, მის სოციალურ-პოლიტიკურ და რელიგიურ მდგომარეობას დაუთმო. ხოლო წიგნის II ნაწილის მეცხრე თავში „სპარსეთის იმპერია" ("De l'empire de Persana") ძალზედ მოკლედ შეეხო საქართველოს, როგორც მასში შემავალ ერთ-ერთ სამეფოს:

„იბერიის ქრისტიანთა მიწას გურჯისტანს უწოდებენ. ცოტა ხანია მას შემდეგ, რაც მისი მეფე დამარცხდა და ამ იმპერიას შეუერთდა. მოგვიანებით სპარსეთმა თავისი მომიჯნავე სომხეთის ნაწილიც დაიპყრო. ამგვარად, მან გაზარდა თავისი იმპერია ჩრდილოეთით და მიადგა მთა-

ვარ ქალაქ ტფილისს... [76]. იბერიელები ქრისტიანები არიან და კასპიის ზღვასთან ახლოს ცხოვრობენ. მათ მეზობლად სხვა ხალხებიც არიან, მაგალითად, ჩერქეზები. ორივეს სახელი ბერძნებისაგან შეცდომითაა გადმოტანილი. სანამ სპარსელები დაამარცხებდნენ მეფეს და დაიპყრობდნენ მის სატახტო ქალაქს, იბერია დამოუკიდებელი იყო. ეს ქვეყანა დაყოფილია რამდენიმე სამთავროდ. მისი მცხოვრებნი ძალზე გულადი და მამაცი ჯარისკაცები არიან, ამიტომაც სპარსეთის მეფეს 12 ათასი ქართველი მონა ჰყავს, რომლებიც მისი ჯარის მთავარ ნერვს წარმოადგენენ" [77].

საქართველოს შესახებ ასეთივე სიტყვაძუნწია ფრანგი ორიენტალისტი პეტის დე ლა კრუა (ვაჟიშვილი) (Petis de la Croix, fils) [78], რომელიც საფრანგეთის მაშინდელი სახელმწიფო მინისტრის კოლბერის (Jean-Baptise Colbert) მიერ 1676 წელს გაგზავნილ იქნა აღმოსავლეთის ქვეყნების ენებისა და ზნე-ჩვეულებების შესასწავლად. აღმოსავლეთის ქვეყნებში მრავალგზისი და ხანგრძლივი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს პეტის დე ლა კრუა წერილების სახით რეგულარულად აცნობებდა თავისი ქვეყნის მთავრობასა და ხალხს. გარდა ამისა, მას აქვს რამდენიმე სხვა სახის ნაშრომი: „სპარსეთის მდგომარეობა" ("Etat de Perse"), „სომხური და ლათინური ლექსიკონი" ("Dictionnaire arménien et latin"), „ძველი და ახალი იერუსალიმი" ("Jérusalem ancienne et moderne"), „სომეხი მამის პირომალის ქრისტიანული რელიგიის ჭეშმარიტების განმარტება" ("Une traduction de la verité de la religion chrétienne de l'armenien de P.Piromale") და სხვა.

პეტის დე ლა კრუას წიგნი „მოგზაურობა აღმოსავლეთში" ("Voyage en Orient") 1694 წელს გამოიცა პარიზში. მისი XX ნაწილის II ქვეთავში ავტორი ძალზე მოკლედ გვიამბობს საქართველოს მეფის შაჰ-ნავაზის შესახებ:

„1676 წლის 29 აგვისტოს თავრიზიდან ქარავნით გავემგზავრე, იქედან რვა ლიეს მოშორებით დავინახე სპარსეთისაკენ მიმავალი, სპარსეთის მოხარკე საქართველოს

მეფე შაჰ-ნავაზ ხანი. როგორც შარდენი აღნიშნავს, საქართველოს მეფისნაცვალს შაჰ-ნავაზ ხანი ჰქვია. ეს არის საქართველოს უკანასკნელი ხელმწიფის შთამომავალი. მან მაჰმადიანობა სპარსეთის ბატონობის დროს მიიღო, რათა გამხდარიყო თავისი ქვეყნის მეფისნაცვალი. მას მხოლოდ ორი კანონიერი ცოლი ჰყავს და ორივე - ქრისტიანი. შაჰ-ნავაზ ხანი თავის გასამართლებლად სპარსეთის მეფის წინაშე უნდა წარმდგარიყო. მას ბრალი ედებოდა საქართველოში მისივე სურვილით თურქების შემოყვანაში. მეორე მძიმე დანაშაული ის იყო, რომ მისი ვაჟები ურჩ მეამბოხეებად იყვნენ აღიარებულნი და მამის დაუკითხავად თურქეთს გადახვეწილან. შაჰ-ნავაზი ათი ათას რჩეულ ვაჟკაცს მეთაურობდა, გვერდით ედგა ერთგული ძმადნაფიცი იტალიელი კაპუცინი და ახლდა ოთხი მსახური, ხუთი ცხენითა და შესანიშნავი ბალდახინით“ [79].

ქრისტიანული რელიგიის საქადაგოდ და მაჰმადიანთა მიერ შევიწროებულ ქრისტიანთა სანუგეშოდ კათოლიკური ბერ-მონაზვნური ორდენის „იესოს საზოგადოების” ("Compagnie de Jesus") წევრების ანუ იეზუიტების სვლა აღმოსავლეთისაკენ ცნობილია ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან. მუსულმანური ქვეყნების მუდმივი თავდასხმის გარემოცვაში მყოფი ქართველი მეფეები ქრისტიანული რელიგიის გადარჩენას სწორედ ამ მისიონერებს სთხოვდნენ, მაგრამ ხშირად ამაოდ. სპარსეთში, რუსეთსა თუ ოსმალეთში გამოგზავნილი და იქ დაფუძნებული საფრანგეთის კათოლიკური ეკლესიის მისიონერები უარის სათქმელად დამაჯერებელ მიზეზს ყოველთვის გამოძებნიდნენ ხოლმე. ერთერთი მათ შორის არის XVII საუკუნის ფრანგი საეკლესიო მისიონერი ფრანსუა პიკე (François Piquet), რომელიც მრავალი წლის მანძილზე წარმატებით მოღვაწეობდა აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში და იყო საფრანგეთისა და ჰოლანდიის კონსული სირიის ქალაქ ალეპოში. ბოლოს, სამოციქულო ქორეპისკოპოსის (vicaire apostolique) მისიით, ის მიაღწევინეს სპარსეთს. მისი მოწყალება და კეთილსინდისიერება ქრისტიანული რელიგიის დაცვასა და გავრცელებაში მისაბაძი იყო ყველა მისიონერისათვის.

ფრანსუა პიკე სხვა მრავალი მოგზაური მისიონერის მსგავსად გარშემოხვეული იყო პატივისმცემელი სომხებით. ის მადლიერებით იგონებს თუ როგორ შეუმსუბუქეს სომეხმა ეპისკოპოსებმა და უბრალო ქრისტიანებმა მოგზაურის მწარე ხვედრი. მისი ვრცელი მოთხრობიდან სომხეთის შესახებ ჩანს, რომ მას კარგად შეუსწავლია ეს ქვეყანა და მზადაა მის დასახმარებლად, ხოლო რაც შეეხება საქართველოს, მის შესახებ ფრანსუა პიკეს ერთი საინტერესო ფაქტი აქვს აღნიშნული. დაახლოებით 1680 წელს მას დროებით უნდა დაეტოვებინა ისპაჰანი, რათა სხვადასხვა მხარეებში გადასახლებული ქრისტიანებისათვის მიეწვდინა სულიერი და მატერიალური საზრდო. ამის შესახებ შეიტყო ტფილისის (Viceroy) მეფისნაცვალმა (იგულისხმება სპარსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში მეფის მოვალეობის შემსრულებელი) [80], რომელიც თაყვანს სცემდა ფრანსუა პიკეს, როგორც ცეზარპოლისის (Cesarpole) და ბაბილონის სამოციქულო ქორეპისკოპოსს, და დიდად აფასებდა მის ღვაწლს მუსულმანურ სამყაროში ქრისტიანული რელიგიის დაცვის საქმეში. ქართველმა მეფისნაცვალმა გაითვალისწინა სულიერი მამის სათნოება, კეთილშობილება და მზრუნველობა ყველა დევნილი ქრისტიანისადმი, გაგზავნა კათოლიკე კაპუცინი და შეევედრა ჩამოსულიყო საქართველოს რომელიმე კუთხეში, რადგან მეფისნაცვალს და ქართველ ხალხს ჰაერივით სჭირდებოდა მისი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევა, ასევე რჩევა, თუ როგორ წარემართათ ქრისტიანული ცხოვრება ურწმუნოთა შორის და მათ უღელქვეშ. ფრანსუა პიკემ ქართველ მეფისნაცვალს პასუხად შეუთვალა: „მე, როგორც ღვთისმსახური, წარგზავნილი ვარ მეფის მიერ ჰამადანს და სინანულს გამოვოქვამ, რომ ვერ შევძლებ საქართველოში ჩამოსვლას, თუმცა, ცოტა ადრე რომ მიმეღო მოწვევა, აუცილებლად შევასრულებდი ქართველი მეფისნაცვლის თხოვნას". აღსანიშნავია, რომ 1684 წლიდან ფრანსუა პიკე კვლავ ისპაჰანს დაბრუნდა რამდენიმე ფრანგ საეკლესიო მისიონერთან ერთად და კიდევ დიდხანს გააგრძელა ქრისტიანული რელიგიის დაცვა და გავრცელება მეზობელ

ქრისტიანულ ქვეყნებში, მათ შორის სომხეთში, მაგრამ საქართველოში ჩასვლა მაინც ვერა და ვერ „მოახერხა".

დე ბრევი

ფრანგი მოგზაურის დე ბრევის (De Brève) ვინაობა უცნობია, ცნობილია მხოლოდ, რომ ის XVII საუკუნის 60-იან წლებში ეწვია თურქეთს ქვეყნის წარსულისა და თანამედროვე პოლიტიკის შესწავლის მიზნით. თურქეთში მან თითქმის ორი წელი დაჰყო და მოიკვლია ბევრი საინტერესო ცნობა ამ ქვეყნის ისტორიის და პოლიტიკის შესახებ, რაც გამოქვეყნდა სათაურით „Discours abbrégé des asseures moyens d'anéantir et ruiner la monarchie des Princes ottomans" („მოკლედ ოსმალთა მეფეების დამხობისა და განადგურების სარწმუნო ცნობების შესახებ") [81]. ამ ნაწარმოების ერთი მონაკვეთი გაკვრით ეხება საქართველოს, როგორც თურქეთსა და სპარსეთს შორის ხშირი ომითა და აგრესიით დაზარალებულ ერთ-ერთ ქვეყანას:

„თურქეთის იმპერიას საერთოდ ოტომანთა იმპერიას უწოდებენ. მისი პირველი მეფე ოტომანის ოჯახს მიეკუთვნებოდა და მას შემდეგ მისი შთამომავალი ფლობს ამ სახელმწიფოს. ამჟამად ამ ოჯახის მეთხუთმეტე თაობა ხელმწიფობს. ათეული წლების მანძილზე მათ გააფართოვეს თავიანთი ქვეყნის საზღვრები დაპყრობილი ტერიტორიის სამეფოებისა და მდიდარი პროვინციების შემოერთებით.

ამის შედეგად ისინი გახდნენ ევროპის, აზიის, ასევე აფრიკის დიდი ნაწილის ხელისუფალნი. ოსმალები გაჰყვნენ შავი ზღვის სანაპიროს ევროპის მხრიდან და კაფასთან მოიმწყვდიეს თათართა მეფე. ისინი თათრებს ისე ეპყრობოდნენ, როგორც ჩვენ, ფრანგები, შვეიცარიელებს.

შავი ზღვის სანაპიროს მეორე, აზიის მხრიდან ოსმალები უხეშად შეიჭრნენ სამეგრელოს მეფის ტერიტორიაზე და ქართველთა მეზობლად აღმოჩნდნენ. ამჟამად ერთიც და მეორეც მისი მოხარკეა.

ოსმალეთის ხელმწიფეს თავის მორჩილებაში ევროპის, აზიის და აფრიკის ქვეყნების ორმოცდახუთი მეფისნაცვალი ჰყავს, მათ თურქული სახელები აქვთ შერქმეული. ქართველთა მეფე ბერძნული სარწმუნოებისაა. ის ისეთი მამაცი და ძლიერია, რომ იოლად ვერაფერს დააკლებ, მაგრამ სამწუხაროდ, ისიც დაპყრობილთა ბედს იზიარებს".

ანდრე დულიე-დელანდი

ანდრე დულიე-დელანდი (André Doulier-Deslandes) თავისუფალი ფრანგი მოგზაური იყო და მხოლოდ თავის მისწრაფებისა და ინტერესის მიხედვით შეარჩია სპარსეთის მხარე. 1664 წელი მან სპარსეთში გაატარა და ვრცელი თხზულება მიუძღვნა ამ ქვეყანაში მოგზაურობას. წიგნი „Les beauté de la Perse" [„სპარსეთის მშვენიერებანი (სილამაზე)"] [82] პარიზში 1673 წელს გამოიცა. ავტორის მიხედვით მასში აღწერილია სპარსეთის ყველაზე ლამაზი ადგილები და საინტერესო მოვლენები. წიგნს ერთვის ქვეყნის რუკა და იგი გამდიდრებულია გრავიურებით, რომლებზეც გამოსახულია ქვეყნის თვალწარმტაცი ხედები და ნაგებობები.

ბატონი ანდრე დულიე-დელანდი საინტერესოა მითაც, რომ მას ცნობილ მოგზაურ ჟან ბატისტ ტავერნიესთან ერთად მოუხდა მოგზაურობა. ამ ფაქტით გამოწვეულ კმაყოფილებას ის უზიარებს თავის მკითხველს წიგნის შესავალში: „მინდა გადმოგცეთ ყველაზე უცნაური და ღირსშესანიშნავი, რაც 1664 წელს ვიხილე სპარსეთში, სადაც ბატონ ტავერნიესთან ერთად ვმოგზაურობდი. ამ ცნობილ მოგზაურთან ურთიერთობამ ბევრი რამ მასწავლა და შემამჩნევინა. ყოველივე ეს თქვენთვის უცხოა და შორეული და დიდ სიამოვნებასაც მოგანიჭებთ".

ანდრე დულიე-დელანდი გაოცებულია სპარსეთის გრანდიოზულობით, მასში შემავალი პროვინციების სიმრავლით, თუმცა აღნიშნავს, რომ ეს პროვინციები იყო დამოუკიდებელი ქვეყნები საკუთარი მეფეებით, სანამ

სპარსეთი დაიპყრობდა და თავის ტერიტორიას შეუერთებდა. ისევე, როგორც ჟ.ბ.ტავერნიე, ანდრე დულიე-დელანდიც დიდ სიმპათიებს ამჟღავნებს სპარსეთისადმი, მისი ხელისუფლისადმი: „1665 წელს სპერსეთის მეფე შაჰ-აბასი, ოცდათოთხმეტი წლის შესანიშნავი აღნაგობის ახალგაზრდა იყო. მას ძალიან უყვარდა უცხოელები და უპირატესობას თავის ქვეყანაში მცხოვრებ სომხებს ანიჭებდა. შაჰმა ბატონი ტავერნიესაგან სამოცი ათასი ეკიუს ღირებულების ძვირფასი თვლები იყიდა, კარგად გადაუხადა და შემდეგ ხუთ თუ ექვს ფრანკთან (ასე უწოდებდნენ აზიის ქვეყნებში ყველა ევროპელს) ერთად ნადიმზე მიგვიწვია, რომელიც დილის ცხრა საათიდან დაიწყო. სუფრაზე მოიტანეს სხვადასხვა ფერის ბრინჯით საავსე ლანგრები, ქათმის და საქონლის ხორცის სადილები და სხვადასხვა სახის ნუგბარი" [83].

მოგზაური არ საუბრობს შაჰ-აბასის დამპყრობლურ პოლიტიკაზე, მისი თავდასხმებისაგან განადგურებულ ქრისტიანული ქვეყნების ბედზე, სპარსეთის პროვინციებს შორის ის ყველაზე მეტს წერს სომხებზე, სომხეთის ქალაქებსა და ეკლესიებზე, ხოლო საქართველოზე მოკლე განმარტებით იფარგლება: „ტფილისი საქართველოს დედაქალაქია. ამჟამად ეს ქვეყანა სპერსეთის ძალა-უფლებაში იმყოფება. საქართველოში ყველა ქრისტიანია და ნახევრად ბერძნულ და ნახევრად სომხურ სექტას ეკუთვნის. იტალიელ კაპუცინებს ტფილისში თავისი მონასტრები აქვთ. ქართველი ქალები მეტისმეტად ლამაზები არიან და მათი სპარსეთიდან გაყვანა სასტიკად აკრძალულია. სპარსელების უმრავლესობას ქართველი ცოლები ჰყავს. გაჭირვებული ქართველები იძულებულნი არიან თავიანთი შვილები მონებად გაყიდონ ისპაჰანში".

სილვესტრ დე სეზი

XVII საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთის ქვეყნებში მიმდინარე მძაფრმა პოლიტიკურმა პროცესებმა, კერძოდ, სპარსეთ-თურქეთის ბრძოლებმა და ამ ფონზე რუსეთში,

პოლონეთში, უნგრეთსა და სხვა ევროპულ ქვეყნებში შექმნილმა რთულმა პოლიტიკურმა, სოციალურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ საფრანგეთის მთავრობაში გარკვეული შიში გამოიწვია. საფრანგეთის მეფეს ლუი XIII-ს სჭირდებოდა სწორი ამამწურავი ინფორმაცია ამ ქვეყნებზე, ხალხზე და იქ არსებულ რეალურ სიტუაციაზე. მეფის არჩევანი ბატონ სილვესტრ დე სეზიზე შეჩერდა, რომელიც საფრანგეთის მეფის კარზე ცნობილი იყო როგორც კეთილშობილი და განათლებული პიროვნება.

სილვესტრ დე სეზი (Silvestre de Cesy) საფრანგეთის მეფის ლუი XIII-ის ბრძანებით გაემგზავრა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამ მოგზაურობის შედეგები გამოქვეყნდა 1624 წელს პარიზში სათაურით „Voyage en Levant" („აღმოსავლეთში მოგზაურობა") [84]. ავტორი შესავალშივე გვატყობინებს მოგზაურობის მიზეზსა და მიზანს: „როგორც კი მივიღე მეფის ბრძანება აღმოსავლეთში მოგზაურობის შესახებ, რა თქმა უნდა, უყოყმანოდ დავემორჩილე, მით უმეტეს, რომ მე, როგორც გამოცდილს, მევალებოდა ჩამენიშნა ჩემი დაკვირვებები და მოსაზრებები – არა მარტო რომელიმე ქვეყნის ღირსშესანიშნაობანი, არამედ მე უნდა მიმეწოდებინა ჩვენი ბრწყინვალე მეფისათვის რაიმე ახალი და მნიშვნელოვანი სახელმწიფოებზე, ქალაქებზე, ხელისუფალთა ინტერესებზე, პოლიტიკაზე, რელიგიაზე და ა.შ." სილვესტრ დე სეზის მოგზაურობის მარშრუტი არ არის დატვირთული, ის მარსელიდან კონსტანტინოპოლს ეწვია, შემდეგ იერუსალიმისაკენ გაემართა, იქიდან კი გეზი სპარსეთისაკენ აიღო. მოგზაური ბეჯითად ასრულებს მეფის მოთხოვნებს. იგი ცდილობს ღრმად ჩაიხედოს აღმოსავლეთის უძლიერესი ქვეყნების პოლიტიკურ, სოციალურ თუ რელიგიურ ცხოვრებაში და გაეცნოს ძლევამოსილი ქვეყნების ინტერესებს. მაგალითად, თხზულების ერთ-ერთ თავში სათაურით „Des intérêts du Grand Duc de Moscovie" („მოსკოვის დიდი ჰერცოგის ინტერესები") სილვესტრ დე სეზი წერს:

„მოსკოვის დიდი ჰერცოგი ისეთივე შეწუხებული იყო თათრების თავდასხმებისაგან, როგორც პოლონეთის მეფე

ჰერცოგის (duc) ტერიტორია შავ ზღვას არ ესაზღვრება, თათრების გასანადგურებლად იგი ვერც დიდი მბრძანებლის ტერიტორიას გადალახავდა. სამაგიეროდ, მან თავის საზღვარზე ისე განალაგა მრავალრიცხოვანი კავალერია, რომ თათრები ბრძოლის გარეშე მას ვეღარ გადაკვეთდნენ. თუმცა რამდენიმე შეტაკება სცადეს, მაგრამ დიდი ზარალი განიცადეს და კარგა ხნით დაივიწყეს მათკენ გზა.

ეს რუსი მეფე ძალზე თავისებური ხელისუფალია, ასეთი ვინმე ჯერ არ გვინახავს. მას ხშირად გადაჰყავდა თავისი ხალხი ოჯახებით ერთი ადგილიდან მეორეზე, ზოგიერთები დიდი სათათრეთის საზღვრებზეც, რათა შეჩვეოდნენ და დაუფლებოდნენ იქაური ხალხის ბრძოლის წესებს. ის, აგრეთვე, აგზავნიდა მეომრებს პატარა სათათრეთის საზღვრებზე მტრის დაშინების მიზნით, მაგრამ საქმე თათრების ძლიერებაში კი არ იყო, არამედ მათ სისწრაფეში, რადგან ბრძოლის ძალა მათ უკვე დიდი ხანია აღარ შესწევდათ.

ჩერქეზებს, სამეგრელოსა და საქართველოს მეფეებს ხელს არ აძლევთ მოსკოვის დიდი ჰერცოგისა და თურქეთის მბრძანებლის დაახლოება, მათი მოსალოდნელი პოლიტიკური ურთიერთშეთანხმების შიშით, რადგან როცა სჭირდებათ დიდი ხალიფას მრისხანებისაგან თავის დაღწევა, ისინი მფარველობას მოსკოვს სთხოვენ. მაგრამ ამის გამო თურქებს მოსკოვისადმი საყვედური არასოდეს გამოუთქვამთ.

საქართველოსა და სამეგრელოს მეფეების ქვეყანა მდებარეობს შავ და კასპიის ზღვებს შორის. ისინი ბერძნულად ცხოვრობენ და აღიარებენ დიდ მბრძანებელს, რომელსაც, მართალია, ხარკს არ უხდიან, მაგრამ სხვადასხვა შემთხვევასთან დაკავშირებით ძღვენს მიართმევენ ხოლმე. ამ მეფეებს მისი გავლენის ქვეშ ყოფნას მოსკოვის დიდ ჰერცოგთან შეერთება ურჩევნიათ, რადგან ერთი სარწმუნოებისანი არიან.

არ დამაიწყდეს აქვე შეგატყობინოთ, თუ რა საქმიანობას ეწევიან ეს ქრისტიანები. ისინი შეუგნებლად, გამორჩენის მიზნით, ჰყიდიან თავიანთ შვილებს, უკეთეს

შემთხვევაში კი იმ იმედით, რომ მათი შვილები მდიდარი ადამიანის ხელში მოხვდნენ და ჰქონდეთ ის, რისი მიცემაც მათმა მშობლებმა ვერ შეძლეს. მაგრამ სამწუხაროა, რომ ისინი შვილებს თურქებზე ჰყიდიან, რომლებიც მათ მაშინვე უცვლიან სარწმუნოებას".

სანსონი

ფრანგი საეკლესიო პირი სანსონი (Mr. Sanson) 1684-1687 წლებში მოღვაწეობდა სპარსეთში. ნიჭიერმა ახალგაზრდამ გონიზრახა შეესწავლა სპარსული, თურქული და სომხური ენები, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ამ ენების ცოდნის გარეშე სასურველ შედეგს ვერ მიაღწევდა.

ახალგაზრდა სანსონს კარგად ჰქონდა გააზრებული თავისი უპირველესი მისია – მუსულმანურ სამყაროში ქრისტიანული რელიგიის ქადაგება, ქრისტიანთა განათლება და ნუგეშისცემა – მაგრამ ამავე დროს არ ივიწყებდა სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან მოვალეობას და დიდი მონდომებით იკვლევდა ამ საინტერესო ქვეყნებს, მეფეებს, ხალხის ადათ-წესებს. საფრანგეთის მეფის სარეკომენდაციო წერილის წყალობით სანსონი მიღებულ იქნა სპარსეთის მეფის სასახლეში სტუმრის სტატუსით. როგორც საფრანგეთის მეფის, ლუი XIV-ის აგენტსა და მოციქულს, მას შეეძლო ნებისმიერ დროს შესულიყო შაჰის სასახლეში და დასწრებოდა ნებისმიერ წვეულებას. ამგვარი უფლებებით მხოლოდ იქაური დიდებულები თუ სარგებლობდნენ. სამაგიეროდ სპარსეთის მეფემ სანსონს დაავალა დაეწერა სასიამოვნო შთაბეჭდილებები სპარსეთზე, მის ხელისუფალზე, სპარს ხალხზე და გაეგზავნა საფრანგეთის მეფისათვის, ოღონდ მის გაგზავნამდე პირველად თვითონ უნდა გადაეკითხა. თუ მოეწონებოდა, მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი ნაწერის საფრანგეთში გაგზავნა და გამოქვეყნება.

ამგვარად, საფიქრებელია, რომ სანსონის მოგზაურული რელაცია „Voyage ou relation de l'état présent du royaume de Perse" („სპარსეთის სამეფოს ახლანდელი მდგომარეობა")

სპარსეთის მეფის სოლიმანის მიერ შემოწმებულია და ნებადართული სხვა პირთათვის გასაცნობად. ნაწარმოები ათი წლის შემდეგ, 1694 წელს გამოქვეყნდა პარიზში. მის მიხედვით ირკვევა, რომ მოგზაური საქართველოს არ სწვევია, თუმც კი წერს თავის შეხედულებას ქართველებზე, ქართველ დიდებულებზე, რომლებიც სპარსეთის სამეფო სასახლეში უნახავს. სანსონის მოთხრობის გაცნობისას ჩნდება ეჭვი, თუ რამდენად ობიექტური იქნებოდა სპარსეთითა და მისი მეფით მოხიბლულ ფრანგ მისიონერთა შეხედულებები ამ ქვეყანაზე, მის ლმობიერ დამოკიდებულებაზე დაპყრობილი ქვეყნების მიმართ, რამდენად სრულყოფილი იქნებოდა მისიონერთა მიერ ქრისტიანული რელიგიის ქადაგება, დამონებული ქრისტიანების ნუგეში და დახმარება „კეთილ" მუსულმანურ გარემოცვაში. მისიონერთა ასეთი ცნობების საფუძველზე ექნებოდათ თუ არა საფრანგეთის საეკლესიო მესვეურთ სპარსეთის პროვინციებში მცხოვრებ ქრისტიანთა რელიგიური მდგომარეობის რეალური სურათი. ჩვენთვის ძვირფასია ყოველი სტრიქონი, რაც ჩვენს ქვეყანას შეეხება. ამდენად, წარმოგიდგენთ სპარსეთის მეფის დახასიათებიდან ერთ-ერთ მონაკვეთს:

„სპარსეთის მეფის ძალაუფლებაში თორმეტი ერცელი სამეფოა. ყოველი მათგანი ცნობილია თავისი სახელოვანი წარსულით. მეფეს რომელიც ამჟამად განაგებს ქვეყანას, ადრე, მისი ტახტზე ასვლის დროს, შაჰ-სეფი ერქვა, მაგრამ ამბობენ, თითქოს ებრაელებს მისთვის ჯადო გაუკეთებიათ, საცოდავი მეფე სიკვდილის პირამდე მისულა. პირველ მინისტრს დაუძლურებული მეფისათვის სახელის გამოცვლა ურჩევია, რათა გამოეცალა ძალა ჯადოსათვის და შემდეგ იქნებ მისგან გათავისუფლების საშუალებაც ეპოვა. იმ დღიდან მეფეს დაუვიწყებია თავისი ბრწყინვალე შაჰ-სეფის გვარი და გადაურქმევია სოლიმანად (Soliman). ის ამჟამად 48 წლისაა და 27-ე წელია, რაც ხელმწიფობს. მეფე მშვენიერი გარეგნობისაა. მას შესანიშნავი ვაჟკაცური აღნაგობა აქვს, მის თაფლისფერ პირისახეს მეტყველი თვალები და შავი წვერ-ულვაში ამშვენებს.

მეფე სოლიმანს უყვარს ქრისტიანები და არ ავიწროებს რელიგიის გამო, უფრო მეტიც, გმობს იმათ, ვინც ძალმომრეობით ცდილობს დანერგოს მაჰმადიანური სარწმუნოება. რამდენიმე წლის დაკვირვების შედეგად შემიძლია ვაღიარო, რომ სოლიმან მეფე ხშირად დიდსულოვნად დათანხმებულა იმ ადამიანების ქრისტიანული სარწმუნოებისაკენ მობრუნებაზე, ვისაც ადრე იძულებით მიაღებინეს მაჰმადიანობა. მას გულწრფელად არ მოსწონს, როცა მისივე დიდებულები კმაყოფილებით უამბობენ, თუ როგორ თმობს უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ქრისტიანი თაეის რჯულს და აღიარებს მაჰმადიანობას.

სოლიმან მეფე არ ბეგრავს ადგილობრივ და უცხოელ ნეგოციანტებს, რომლებიც მის სახელმწიფოში ვაჭრობენ. თურქეთის სულთანი კი, პირიქით, ამ მხრივ მეტისმეტ სიმკაცრეს იჩენს. ქრისტიანები თურქეთის იმპერიის კაბალით იტანჯებიან და სიმართლეს ვაღიარებ, რომ ეს საცოდავები თავისუფლების სიტკბოს სპარსეთში იგრძნობდნენ, წასელა რომ შეეძლოთ.

მეფე ფრანგი საეკლესიო მისიონერების მიმართაც ლმობიერია. ისინი სარგებლობენ ყველა უფლებით, რაც აქვს მინიჭებული ამ ქვეყნის საპატიო სტუმარს.

სპარსეთის მეფის ხელგაშლილობა აშკარაა სხვა ქვეყნის მეფეების და დიდებულების მიმართ, მაგალითად, ქართველი დედოფლების, დიდგვაროვანი მანდილოსნების, ქართველი მეფეებისა და წარჩინებულების, ასევე ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან წარგზავნილთა მიმართ, რომლებიც მეფის სტუმრის ტიტულით ცხოვრობენ ამ დიდებულ სასახლეში. მათ განკარგულებაშია მდიდრულად გაწყობილი ბინები და ისინი სარგებლობენ მეფის წყალობითა და კეთილგანწყობით. მეფე წამსვლელ სტუმარს არნახული გულუხვობით ასაჩუქრებს, ეს იქნება ფული, თუ მისივე მანუფაქტურის აბრეშუმისა და ფარჩის ქსოვილები. ჩინებულია სოლიმან მეფის პოლიტიკა ქართველების მიმართ. ქართველები მას დიდ საფრთხეს შეუქმნიდნენ, გაერთიანებულნი რომ იყვნენ, ანუ შინა ერთობა რომ ჰქონდეთ. მაგრამ სოლიმან მეფე გონიერია და დროულად მიხვდა,

როგორ მოევლო მათთვის. მან დაჰყო ქართველები თავიანთი ინტერესების მიხედვით. ამის გამო მათ საწინააღმდეგო ინტერესები აღმოაჩნდათ, ერთმანეთს დაშორდნენ და დაუპირისპირდნენ. შემდეგ სოლიმან მეფემ რამდენიმე ქართველი დიდგვაროვანი ისე დააწინაურა, რომ მათ საერთოდ დაივიწყეს სამშობლო, რელიგია და თავდადებული ბრძოლა სარწმუნოებისათვის. სოლიმან მეფისთვის მთავარია, რომ ქართველები მუდამ ხელში ჰყავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არ ექნებათ ადგილი სამეფო მეჯლისში და არც საჩუქრები მეფის საგანძურიდან. ამრიგად, ორივე მხარე მშვიდადაა. ქართველები კი სარგებლობენ და ტკბებიან სტუმრის პრეროგატივით და მეფის თანამესუფრეობით" [85].

თვალსაჩინოებისათვის ჩვენ გაგაცანით რამდენიმე მოგზაური, რომლებმაც შემოგვთავაზეს ჩვენი ქვეყნის წარსულის პატარა ფრაგმენტები, და აღარ შეეჩერდებით იმ მოგზაურებზე, რომლებიც საქართველოს გაკვრით მოიხსენიებენ, როგორც გზად შემხვედრ ქვეყანას ლამაზი ბუნებითა და რთული გეოგრაფიული მდებარეობით.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ, რასაკვირველია, არ ვცდილობთ დავაბრალოთ სომეხ კომერსანტებს, ეკლესიის მსახურებს და გიდ-მედიატორებს, რომლებიც მოგზაურთა თხზულებებში წამდაუწუმ თვალში გვხვდებიან, ფრანგ მოგზაურთა ერთგვარი უყურადღებობა და გულგრილობა ჩვენი ქვეყნის მიმართ. ეს დამოკიდებულება შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო, როგორც მათივე მოგონებებში ვკითხულობთ, საქართველოში მიმდინარე შიდა პროცესებთან – ურთიერთდაპირისპირებაზე სამთავროთა შორის, გვართაშორის გამანადგურებელ ომებზე, აწიოკებულ სოფლებზე და ქალაქებზე, დანგრეულ გზებზე, თავდასხმებზე, ტყვეთა გაყიდვასა და სხვა უბედურებებზე. მოგზაური, რომელსაც გეზი ძლიერი და მნიშვნელოვანი ქვეყნისაკენ (სპარსეთი, თურქეთი...) ჰქონდა აღებული, ამ სახიფათო ვითარების შემსწრე, ხშირად იძულებული ხდებოდა შეეცვალა წინასწარ შემუშავებული მარშრუტი და გვერდი აევლო ამ მშფოთვარე ქვეყნისათვის.

XVII საუკუნე საქართველოს ისტორიის უმძიმესი პერიოდია, ქვეყანაში ამ დროს დამანგრეველი პროცესები მიმდინარეობდა: ირან-ოსმალეთს შორის გაუთავებელ ბრძოლებს მსხვერპლად საქართველო ეწირებოდა. მათ შორის 1626 წელს დადებული ზავის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველო ირანის, ხოლო დასავლეთ საქართველო თურქეთის უღელქვეშ აღმოჩნდა. ამ ორი დამპყრობლის წინააღმდეგ დაუმორჩილებელი ქართველი მეფეების ბრძოლებს, რომლებიც რაოდენობრივი უთანასწორობის გამო ხშირად მარცხით მთავრდებოდა, მოჰყვებოდა სრულმასშტაბიანი ბრძოლები ირანის (აღმოსავლეთ საქართველოში) და თურქეთის (დასავლეთ საქართველოში) წინააღმდეგ, ქართველების ტყვედ წაყვანა და საქართველოში არაქრისტიან მომთაბარე ტომთა ჩამოსახლება. საქართველომ დაკარგა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სახე: დაშლილი, დასუსტებული ქვეყანა, დანგრეული ციხე-ქალაქები, გადამწვარი სოფლები, შეურაცხყოფილი სარწმუნოება, შიმშილი, ქაოსი, ტყვეთა გაყიდვა. ეს საზარელი სურათი შემაძრწუნებელი იყო ყველასათვის, მათ შორის მოგზაურებისათვისაც. მრავალი მათგანისათვის ამ საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში გარკვევა მიუწვდომელი იყო. მაგრამ, საბედნიეროდ, იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც სათანადო ინტერესი გამოავლინეს, გაცილებით უკეთ გაიცნეს და აღწერეს ჩვენი ქვეყანა. ჩვენ აქ განგებ არ შევეხებით საქართველოში კარგად ცნობილ XVII საუკუნის მოგზაურებს: შარდენს, ტავერნიეს და ტურნეფორს და გაგაცნობთ ამავე პერიოდის სხვა არანაკლებ საინტერესო და თითქმის უცნობ მოგზაურებს.

ლუი გრანჟე

ცნობილია, რომ კათოლიკური ეკლესიის „იესოს საზოგადოება", იგივე იეზუიტთა ორდენი 1534 წელს შეიქმნა პარიზში და ყველა სხვა კათოლიკურ ორგანიზაციებთან შედარებით ყველაზე უფრო სოლიდური იყო. ის, როგორც

მძლავრი იარაღი კონტრრეფორმაციისა, კათოლიკური ეკლესიის საფუძვლებისა და რომის პაპის ხელისუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა. იეზუიტთა ორდენის პრინციპებით – ცენტრალიზაციით, ავტორიტეტის მიხედვით უმცროს-უფროსული დამორჩილებით და სხვა – აიხსნება მისი მუდმივი მზადყოფნა აღმოსავლეთის ქვეყნებში მოღვაწეობისათვის სახელმწიფო და საეკლესიო ბრძანების შესასრულებლად. იეზუიტების მისია აღმოსავლეთში, მათ შორის კავკასიაშიც, სხვათა შორის ევროპის კაპიტალის კოლონიზაციურ ინტერესებსაც ემსახურებოდა. ისინი, სხვა კათოლიკური ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, ცდილობდნენ თავიანთი ორდენის მისიონერული მოქმედების მხოლოდ საუკეთესო მხარე გამოეჩინათ. ამდენად, მათ მონათხრობებში მოხერხებულადაა შენიღბული მისიის პოლიტიკური მხარე და ხაზგასმულადაა აღწერილი ღმერთის სადიდებლად თავგადადებული მსახურის სახიფათო ცხოვრება მუსულმანთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებში; საკუთარ თავგადასავალზე გადაჭარბებული მბობა და ქვეყანაში მომხდარი მოვლენების ცალმხრივად გაშუქება – ესაა ძირითადად მათი თხრობის მანერა. ამ მხრივ საინტერესოა გავეცნოთ ფრანგი მოგზაურის ლუი გრანჟეს (Louis Granger) ეპისტოლურ მოთხრობას, რომელიც ეხება საქართველოს მდგომარეობას 1614-1615 წლებში.

იესოს საზოგადოების (la compagnie de Jesus) ანუ იეზუიტთა ორდენის წევრი მამა ლუი გრანჟე [86] საეკლესიო მისიით კონსტანტინოპოლში იყო მიწვეული. 1614 წელს საფრანგეთის მეფის ბრძანებით იმდროინდელმა საფრანგეთის ელჩმა კონსტანტინოპოლში იქ მოღვაწე საეკლესიო მისიონერთა შორის შეარჩია ლუი გრანჟეს კანდიდატურა იესოს საზოგადოების მისიის დაფუძნებისა და კათოლიციზმის პროპაგანდისათვის სამეგრელოში. ამ რთული და საპასუხისმგებლო დავალების შესასრულებლად ლუი გრანჟეს დამხმარედ მოუყვანეს ღვთის მსახური მამა ეტიენ ვიო და ახალგაზრდა სომეხი თარჯიმანი. ამ ფათერაკიანი მოგზაურობისა და ნაწილობრივ სამეგრელოში მოღვაწეობის შესახებ ლუი გრანჟე აღწერს იეზუიტთა ორდენის

ფუძემდებლის უწმიდესი მამისადმი კლოდ აკვავისადმი (Réverend Père Claude Aquaviva) სამეგრელოდან, კერძოდ, მოქვიდან 1615 წლის 2 მარტს გაგზავნილ წერილში. ლუი გრანჟეს ეს წერილი პირველად გამოქვეყნდა პარიზში 1869 წელს ო.კარეიონის (Auguste Carayon) წიგნში „იესოს საზოგადოების უცნობი მასალები" ("Relations inedites des missions de la compagnie de Jesus...") [87] (XXIV დოკუმენტი). ამ წერილის ერთი ნაწილი შეგვიძლია ვიხილოთ წიგნის „Tamarati" 491-494 ფურცლებზე, ხოლო მისი არასრული რუსული თარგმანი – 1915 წელს „კავკასიის უწყებანის" („Кавказские ведомости") IV გამოცემაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსული თარგმანი დედნისაგან განსხვავებულია და შეიცავს მთელ რიგ უზუსტობებს.

წარმოდგენილი ქართული თარგმანი შესრულებულია ო.კარეიონის წიგნის მიხედვით [88]. ჩვენ ვეცადეთ ზუსტად დაგვეცვა ფრანგული ორიგინალის ტექსტი და ავტორისეული ენით გადმოგვეცა მისი შთაბეჭდილებები იმ პერიოდის საქართველოზე. ამ ვრცელი ეპისტოლური მოთხრობის სრული ქართული თარგმანი პირველად ქვეყნდება.

„ჩვენო უწმიდესო მამაო, თქვენ, ალბათ, შეიტყეთ კონსტანტინოპოლში მოღვაწე მამებისაგან, რომ ჩვენი ღრმად ქრისტიანი მეფის უბრწყინვალესი ელჩი ძალზე კეთილგანწყობილია ჩვენს მიმართ და თავდადებით იბრძვის კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებისათვის. ამ მიზნით ის ხშირად ხვდება სამეგრელოს მეფის წარმომადგენელს კონსტანტინოპოლში, რომელიც შემდეგ, თავისთან ახლოს, ჩვენს თანაშემწედ მოიყვანა და ამგვარად იხსნა მოსალოდნელი უბედურებისაგან.

1614 წელს, გაზაფხულის პირს გაგვაფრთხილეს, რომ უკვე გამგზავრების დრო დადგა და ჩვენც სასწრაფოდ შევუდექით შორი და რთული გზისათვის მზადებას. გეგმის მიხედვით, კონსტანტინოპოლიდან ტრაპზონში და იქიდან სამეგრელოში უნდა წავსულიყავით ონეზ-ფაშასთან (Onèze-Phacha) ერთად, რომელიც სულთნის ბრძანებით და მისი სახელით უნდა წარმდგარიყო საქართველოსა და სამეგრელოს პრინცების, გურიელისა და დადიანის წინაშე

მეტად მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად. მისმა უბრწყინვალესობამ, ჩვენმა ელჩმა არაფერი დაზოგა ამ ექსპედიციისათვის: ამ მისიისათვის განკუთვნილი 500 ოქროს და ძვირფასი საჩუქრის წყალობით მან ფაშასთან მთავარი და აუცილებელი საქმე მოაგვარა — ფაშამ თავის მეორე ხომალდზე აგვიყვანა და დაცვის მიზნით ორი იანიჩარი მოგვამაგრა, რადგან მისი პირველი ხომალდი, რომელიც კონსტანტინოპოლიდან პირდაპირ ტრაპზონში მიემგზავრებოდა, უკვე დატვირთული იყო სავაჭრო საქონლითა და სამხედრო მოსამსახურეებით. ამრიგად, ფაშას მეორე ხომალდით შევიღიდით ვარნაში (Varna) სურსათსანოვაგის შესაძენად, ხოლო შემდეგ ტრაპზონში. იანიჩარებს ევალებოდათ ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველყოფა მგზავრობის დროს. მოკლედ, კონსტანტინოპოლში მივაღწიე სამ სასულიერო პირთაგან მე. ყველაზე მდაბიო და ნაკლებად გამოსადეგი მისიონერთა რეზიდენციისათვის, გამამწესეს სხვაგან ჩემი მოვალეობის შესასრულებლად, დამხმარედ კი მომამაგრეს წმინდა ძმა ეტიენ ვიო და ახალგაზრდა სომეხი თარჯიმანი. ჩვენი ბრწყინვალე ელჩის გულუხვობამ მოლოდინს გადააჭარბა. მან მოგვამარაგა მოგზაურობისათვის საჭირო ნივთებით ყოველი წვრილმანის ჩათვლით და წმინდა სამების დღესასწაულის ჩატარების შემდეგ ვემთხვიეთ ჩვენს წმინდა მამებს, ჩავსხედით ნავებში და მივაღწიეთ ჩვენს ხომალდამდე, რომელიც ასზე მეტ სხვა ხომალდთან ერთად ზურგის ქარს ელოდებოდა კონსტანტინოპოლის სრუტეში მძვინვარე ზღვის გადასალახავად. ამინდის მოლოდინში გავიდა 8 დღე, რომელიც ამ მხარის კოშკებისა და მრავალ სხვა სიძველეთა დათვალიერებას მოვანდომეთ. 3 ივნისს, როგორც იქნა, ამოვარდა სამხრეთ-დასავლეთის ქარი და ყველა ხომალდი დაიძრა ზოგი აღმოსავლეთისაკენ, ზოგიც ჩრდილოეთისაკენ. იმავე დღეს ჩავედით ვარნაში... 15 ივნისს ვიყავით ბითინის ჰერაკლეში (Heraclée de Bithynie), 22 ივნისს — კორდილში (Cordyle), ხოლო მეორე დღეს უკვე ტრაპზონში ჩავედით. აქ ჩვენ მოვინახულეთ კათოლიკური ეკლესიის არქიეპისკოპოსი, რომელიც აგერ

უკვე 14 წელია, რაც თავდადებულად და პატიოსნად ემსახურება ჩვენს საზოგადოებას. მან დიდი ყურადღება და სითბო გამოიჩინა ჩვენს მიმართ და მითხრა, რომ ტრაპზონში იყო წმინდა პაპის ბენუას სახელზე, მის სადიდებლად აგებული ეკლესია, რომელიც ადრე ლათინურ წეს-ჩვეულებებს იცავდა, ამჟამად კი ბერძნულ წესებს მისდევს. მისი უწმიდესობა დაგვპირდა, რომ სიამოვნებით დაგვითმობდა ამ ეკლესიას, თუკი შევძლებდით სხვებთან ერთად სამოციქულო სამსახურს სამეგრელოსა და საქართველოში.

სენ დომინიკეს მრევლი, ათასობით ქრისტიანი, საზღვრის პირას არიან განლაგებულნი და ამ მხარეში მცხოვრები რამდენიმე მღვდელი ვერ აუდის მათ მომსახურებას. ჩვენ, რა თქმა უნდა, შევთავაზეთ ჩვენი რელიგიური სამსახური და დავეხმარეთ კიდეც. შემდეგ მივწერე იქაურ ეპისკოპოსს, რომ თუ დავჭირდებოდით, უეჭველად დავეხმარებოდით სამეგრელოშიც კი, რომელიც აქედან არც ისე შორსაა. მათ ასევე შეეძლოთ მიემართათ ჩვენი მისიიდან კონსტანტინოპოლში მოღვაწე სხვა წმინდა მამებისათვის.

ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში ყოფნისას ჩვენ ვგრძნობდით, რომ დადიანსა და გურიელს შორის მოლაპარაკება უეჭველად გაჭიანურდებოდა, რაც დიდ დროს წაგვართმევდა. ასეც მოხდა. საქმის გართულება დაიწყო ამ მთავართა მოციქულების დატყვევებით. ფაშამ გვირჩია, თუ მეგრელებთან დავრჩებოდით, ეჭვის თავიდან ასაცილებლად უნდა გვემგზავრა და გვეცხოვრა ცალ-ცალკე. ამიტომ ვარჩიეთ ისევ ფაშას გავყოლოდით და 20 ივლისს გავემგზავრეთ ტრაპზონიდან რიზეში, სადაც ჩვენი მეგობარი ფაშას ოჯახი ცხოვრობდა.

რიზე ლაზების ქვეყანაა. ის გადაჭიმულია ტრაპზონიდან სამეგრელომდე. ტრაპზონის მხარე ლაპარაკობს ბერძნულად, საქართველოს მხარე კი — მეგრულად. აქ ალანებისა (alains) და ლაზების (lazes) ფართო დასახლებაა. ისინი არიან სამეგრელოს მცხოვრებნი. ძველად ქრისტიანები იყვნენ, ახლა კი თანდათან იღებენ მაჰმა-

დიანურ სარწმუნოებას. ისინი დიდი ხანია, რაც იტანჯებიან ქრისტიანული სარწმუნოების გამო – ხარკით ქანცგაწყვეტილები, მონურ პირობებში იძულებულნი იყვნენ არა თუ თვითონ მიეღოთ მაჰმადიანური სარწმუნოება, თავიანთი ბავშვებიც კი გაეგზავნათ თურქებთან დასაცვეთად. მხოლოდ ამ გზით თავისუფლდებოდნენ ისინი ბეგარისაგან. ყმაწვილი ქალები მამის სიცოცხლის შესანარჩუნებლად ცოლად მიჰყვებოდნენ იანიჩარებს. ამ გზით რამდენიმე მათგანმა შეინარჩუნა ქრისტიანის სახელი და ნათლობის ხსოვნა. უბედურება ისაა, რომ არ ვიცით, როგორ ეუშველოთ ამ საბრალო ხალხს. მაგრამ ჩვენმა სიფრთხილემ და იმან, რომ მეგრელების შესახებ უკვე ცოტა რამ ვიცოდით, გვიხსნა მძიმე მდგომარეობიდან და მოგვეცა საშუალება დავხმარებოდით მოსახლეობის ერთ ნაწილს, განსაკუთრებით ბავშვებს, რომლებსაც შევასწავლეთ ჩვენი წმინდა სარწმუნოების პირველი ჭეშმარიტება. ჩვენ გავაცანით თავიანთი მოვალეობა რამდენიმე ქრისტიან ქალს, რომლებიც თურქებზე იყვნენ გათხოვილნი, მოვიპოვეთ უფლება მოგვენათლა 18 წლის მონა, რომელმაც მშობლებისაგან იცოდა, რომ არასდროს მონათლულა, უფრო მეტიც, ქრისტიანი დედის თანხმობით მოვნათლეთ თურქი ბავშვი და თურქი მონა.

დრო სწრაფად გავიდა. ფაშამ რიზეში ამოგვაკითხა და მისივე ბრძანებით ავედით სატვირთო ხომალდზე, რომელიც გურიელსა და დადიანთან ზავის დადების შემთხვევაში ფაშას ხომალდს უნდა გაჰყოლოდა. ზავზე შეთანხმება გვიანდებოდა და აგვისტოს ბოლოს ფაშა პონტევქსინის ქალაქ გურნიეპში გაემგზავრა, ჩვენ კი გეზი ქალაქ მაკრიალისაკენ ავიღეთ.

ორი თვის განმავლობაში ელჩები ამაოდ ირჯებოდნენ სამშვიდობო ზავის მისაღწევად. გაჩერებული ხომალდები ძნელად უძლებდა პონტევქსინში (Pont-Euxin) ამოვარდნილ სექტემბრის ქარიშხალს. ფაშა არავის აძლევდა ზღვაში გასვლის უფლებას, სანამ მშვიდობა არ დამყარდებოდა, თუმცა არც ის უნდოდა, რომ გადაგვეფიქრებინა და უკან დაებრუნებულიყავით. მაშინ გურიელსა და დადიანს ჩვენი

ხომალდიდან დიდი რაოდენობის საქონლის მიღების იმედი გაუცრუვდებოდათ და მშვიდობიან მოლაპარაკებაზე უარს იტყოდნენ. ამასობაში ჩვენ სამეგრელოს ნაპირების შორიახლოს დიდხანს ვებრძოდით აღელვებული ზღვის ზვირთებს და ვგრძნობდით, რომ უსათუოდ დავიღუპებოდით. ღამით ძლიერი ქარი ამოვარდა და ჩვენი ორი ტვირთით სავსე ხომალდი ნაფოტივით წაიღო წყალქვეშა კლდეებისაკენ. მეზღვაურების შეუპოვარი ბრძოლით ხომალდი კლდეებს ასცდა, მაგრამ სიძველის გამო სტიქიას ვერ გაუძლო და სერიოზულად დაზიანდა. შეუძლებელი გახდა ტრიუმის წყლისგან გათავისუფლება და ხომალდის დაზიანებული კედლების შეკეთება. საქონელი წყალში ცურავდა და შემდეგ მგზავრებთან ერთად ტალღებქვეშ იძირებოდა. ვინც მოასწრო, აიღო, რაც ყველაზე ძვირფასი ჰქონდა ან რაც ხელში მოხვდა, და გამოცურა ჩვენი ხომალდისაკენ. ქარი უფრო და უფრო გაძლიერდა. ბოლოს ძლიერი ტალღა დაასკდა წყლით სავსე ხომალდს და ტვირთიანად ზღვაში ჩაიტანა. ჩვენს ხომალდს კი ერთი ღუზა შერჩენოდა, ყველანი მივხვდით, რომ ღვთის ანაბარა დავრჩით. კაპიტანმა როგორღაც შეძლო ფაშასთვის შეეტყობინებინა ჩვენი მოსალოდნელი დაღუპვის შესახებ და ითხოვა თავის შესაფარებლად ნაპირზე გადასვლის უფლება, მაგრამ არც მეორე ხომალდის დაღუპვას და არც ჩვენს უბედურებას ფაშა არ გამოხმაურებია. 7 ნოემბერს დასავლეთის ძლიერ ქარს წვიმა და გულისშემაღონებელი სეტყვა დაემატა. შუაღამისას ზღვა უფრო აბობოქრდა, ღუზები დაამტვრია და მეზობლად მდგომი, კაფადან 8 დღის წინათ ჩამოსული, ჩვენი მისიონერების ხომალდი კლდეს მიახეთქა. ქარიშხალმა 9 სხვა ხომალდიც წალეკა და, წყლით დატბორილი, ლაზების მხარეს წაიღო. ამ სტიქიას ჩვენმა ხომალდმა მყარი ღუზისა და ბორტზე მყოფი მრავალრიცხოვანი მეზღვაურების წყალობით უფრო გაუძლო, მაგრამ, როცა ქარიშხალმა ორმაგი ძალით შემოგვიტია, ზოგმა ზღვაში გადაყარა თავისი საქონელი, ზოგი წყალში გადავარდა ან გადახტა და ცურვით თუ

პატარა ნავით მიაღწია ნაპირამდე. ბევრი კი ჩვენს თვალწინ დაიღუპა.

ჩვენ გადავრჩით, მაგრამ საქონელი, სურსათი და, რაც მთავარია, ხომალდი ქარიშხალმა იმსხვერპლა.

როგორც ჩანდა, დადიანი და გურიელი კიდევ კარგა ხანს გააჭიანურებდნენ მშვიდობაზე მოლაპარაკებას. ჩვენ კი, თავშესაფრის გარეშე დარჩენილებს, გვეშინოდა დამტვრეულ გემზე ასვლა. უმრავლესობის აზრით გადაწყდა წავსულიყავით სანაპიროზე ნარჩენებისა და ნამტვრევების ასაკრეფად, რაც იქნე, ბერძნულ სოფელში დროებითი თავშესაფრის ასაგებად გამოგვადგებოდა.

ქარიშხალმა ყველაფერი გაანადგურა: წიგნები, საჭირო ნივთები, ძვირფასი საქონელი, ფული... ჩვენ ყველაზე მეტად განვიცადეთ ტანსაცმლისა და ორნამენტიანი წმინდა ჭურჭლის დაკარგვა, მაგრამ ღმერთს მადლობას ვწირავეთ გადარჩენისათვის.

მეგობრების რჩევით სამეგრელოში შესვლის ნებართვისათვის ისევ ფაშას მივმართეთ, რომელსაც ჩვენს დანახვაზე გული აუჩუყდა, მაგრამ თხოვნაზე უარი გვითხრა, რადგან სულთანს კატეგორიულად აუკრძალავს სამეგრელოს საზღვრის გადალახვა დადიანისა და გურიელის სამშვიდობო მოლაპარაკებამდე. სამაგიეროდ, მან უყოყმანოდ მოგვცა კონსტანტინოპოლში დაბრუნების საშვი, თუმცა ღმერთმა სხვაგვარად ინება: ის იყო, ჩავსხედით კაპიტანთან ერთად პატარა გემში კონსტანტინოპოლში გასამგზავრებლად, რომ შიკრიკმა ამბავი მოიტანა გურიელის სამშვიდობო მოლაპარაკებაზე და ხარკის გადახდაზე დათანხმების შესახებ. ეს ზავი თავადსა და ფაშას მოციქულს შორის დაიდო საქართველოს პორტში, ბათუმში, წმინდა ლუის დღეს. ამ ამბავმა ჩვენი განზრახვა შეცვალა და ისევ ფაშას მივაშურეთ. მან ამჯერად ძალზე გვასიამოვნა და მოგვცა უფლება, რომლის ძალითაც შეგეძლო გადაადგილება, სადაც კი მოვისურვებდით. და აი, ჩვენი გამოსვლიდან 7 თვის თავზე, ორი დღის მგზავრობის შემდეგ, ჩავედით საქართველოს ქალაქ სატრაპეზანში.

სანაპიროზე სეირნობისას დავინახეთ ჩვენსკენ მომავალი ქართველების ჯგუფი, მათ შორის იყო გურიელის ვეზირი, რაზმის მეთაური და ამ მხარის გამგებელი. შეგვნიშნა თუ არა, მაშინვე ჩამოხტა ცხენიდან, ქუდი მოიხადა, ერთი მუხლი დადო მიწაზე ამ ხალხის ჩვეულების თანახმად და ძალზე თავაზიანად მოგვესალმა, ჩვენც დიდი პატივისცემა გამოვხატეთ. როცა შეიტყო, რომ ფრანგები ვიყავით და დადიანთან მივდიოდით, იქ წასვლამდე გურიელთან მიგვიწვია და სამგზავროდ ცხენები შემოგვთავაზა. ჩვენ მადლობა გადავუხადეთ კეთილმეგობრული შეხვედრისათვის და დავპირდით, რომ სატრაპელაში ლაზების არქიეპისკოპოსთან შეხვედრის შემდეგ, დიდი სიამოვნებით ვესტუმრებოდით მეფე გურიელს, თუკი ეს დრო მისთვის მისაღები იქნებოდა. მათ მოიწონეს ეს გადაწყვეტილება და კმაყოფილებმა დაგვტოვეს.

ის ღამე ჩვენ ღია ცის ქვეშ, ზღვის სანაპიროზე გავატარეთ. მეორე დღეს გავემგზავრეთ მიტროპოლიტისაკენ, რომელმაც ძალზე უბრალოდ, მაგრამ გულთბილად მიგვიღო.

შობის დღესასწაულის აღსანიშნავად გურიელმა ჩვენი მასპინძელი არქიეპისკოპოსი თავის სასახლეში მიიწვია. ის დაუყოვნებლივ წავიდა და დაგვპირდა, რომ თავადს შეატყობინებდა ჩვენი ჩამოსვლის შესახებ და, თუ ის მოისურვებდა ჩვენს მიღებას, იმთავითვე გვაცნობებდა. გურიელმა მეორე დღესვე მიგვიწვია თავისთან. მოციქული ჩვენს წასაყვანად ცხენებით გვეახლა. მსახურებმა დიდი პატივით მიგვაცილეს ბაილამდე (Bayles), სადაც თავადი ოჯახთან და სასახლის კარის წარჩინებულებთან ერთად აღნიშნავდა ბრწყინვალე შობის დღესასწაულს, მაგრამ ჩვენ ნადირობიდან დაბრუნებულ გურიელს შევხვდით მეზობელ სახლში. როგორც კი შეიტყო ჩვენი მისვლა, მაშინვე შეგვიხმო დიდ დარბაზში, რომელიც თავისი ქვეშევრდომების განსასჯელად იყო განკუთვნილი. ჩვენ მოწიწებით მივესალმეთ თავადს. ის მყისვე წამოდგა ტახტიდან, ქუდი მოიხადა, თავი დახარა, ერთი მუხლი მიწას დააყრდნო და გვიპასუხა სალამზე. შემდეგ ის და

ყველა მისი ქვეშევრდომი ხელზე გვემთხვივნენ. თავადმა დაგვსვა თავისთან ახლოს და დაგვისვა მრავალი შეკითხვა. ჩვენ, რა თქმა უნდა, სრულად გავეცით პასუხი. ბოლოს თავადმა გეთხოვა დაგველოცა მისი ოჯახი. ჩვენ ყველა დავლოცეთ, თავმდაბლად დავემშვიდობეთ და დავბრუნდით ბაილში (Bayles).

თხუთმეტი დღის განმავლობაში თავადი განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენდა ჩვენს მიმართ. ის ზნეკეთილი და თავაზიანი ადამიანია, რაც იშვიათია ამ მხარისათვის. რაც მთავარია, თავადი დიდ პატივისცემას ამჟღავნებს რომაული ეკლესიისა და რომის პაპის მიმართ. მან ხმამაღლა განაცხადა, რომ კონსტანტინოპოლის იმპერიისა და ეპისკოპოსთა რეზიდენციის დაცემა, ეს არის რომის პაპისადმი ურჩობის შედეგად მიღებული სასჯელი. წმინდა პეტრემ მოიპოვა ზეციური სამეფოს გასაღები, ის არის მორწმუნეთა საერთო მამა და ყველა მას უნდა დაემორჩილოსო. რახან საუბარი ამ საკითხს შეეხო, მე მაშინვე ვკითხე თავადს, დაგვეთანხმდებოდა თუ არა, რომ მისი ამგვარი გრძნობები და რწმენა გვეცნობებინა რომის პაპისათვის, რაზედაც სიხარულით დაგვეთანხმა და თან დასძინა, რომ მას ძლიერი სურვილი აქვს მისწეროს რომის პაპს უმორჩილესი თხოვნა – აპატიოს ყველა ცოდვა, რაც კი თავის სიცოცხლეში ჩაუდენია, და მზად არის აღსარებაც წერილობით გაუგზავნოს. ჩვენ ავუხსენით თავადს, რომ არ შეიძლება წერილობით აღსარება და ცოდვების მონანიება. რომის პაპმა ჩვენ მოგვანიჭა უფლებამოსილება, შევუნდოთ ყველა მორწმუნეს და დავიცვათ ქრისტიანული სარწმუნოება. სწორედ ამ მიზნით გამოგვგზავნა შორეულ ქვეყნებში მისიის დასაფუძნებლად. თუკი ასეა, ნუღა აყოვნებთ, წყალიც აქვეა, მომნათლეთ, მზადა ვარ აღსარებისათვისო – თქვა თავადმა და მეც სიამოვნებით მივიღე მისი ცხოვრების აღსარება ჩვენი თანმხლების, სომეხი თარჯიმანის დახმარებით. თუ მომთხოვთ ავხსნა რელიგიურ დახმარებას სრულიად მოკლებული თავადის ძალზე ქრისტიანული გრძნობები, მე ამაზე გიპასუხებთ წმინდა პავლეს ოდნავ შეცვლილი სიტყვებით:

„ქართველმა მღვდელმა, რომელიც თორმეტი წელიწადი ცხოვრობდა რომში, დათესა საღი მარცვალი ამ მადლიან მიწაზე. ჩვენ მოვედით, რომ მოვრწყოთ ეს მარცვალი და ღვთის ლოცვა-კურთხევით გამოვაღებინოთ მას კეთილი ნაყოფი".

წმინდა ეპიფანეს (L'Epiphanie) დღე - 6 იანვარი გავიდა და გურიელს ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა ჩვენი გასტუმრება, მაგრამ დაკავებაც ვერ გაბედა. საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ მიიღო, როცა შევპირდით, რომ კვლავ დავბრუნდებოდით, და თუ ესიამოვნებოდა ჩვენი მამებიდან რამდენიმეს დავტოვებდით სამუშაოდ მის ქვეყანაში. მან გვითხრა: „ეს ჩემთვის არამცთუ სასიამოვნოა, უფრო მეტიც, მე ჩემს თავზე ავიღებ, რომ მათ აქ კარგად იგრძნონ თავი, ჰქონდეთ საცხოვრებელი სახლი, ეკლესია და ყოველივე, რაც აუცილებელი იქნება მათი საქმიანობისათვის. გამგზავრებისას თავადმა ფული შემოგვთავაზა, ჩვენ მტკიცედ ვიუარეთ. მაშინ სასახლის წარჩინებულთა დასწრებით ხოტბა შეასხა ჩვენს სამოციქულო დაწესებულებას. ამ ამბავმა სამეგრელოს თურქების ყურამდეც მიაღწია და ისინიც მოჰყვნენ ჩვენს ქება-დიდებას მთელ სამეგრელოში.

გურიელმა დიდი პატივით დაგვაბრუნა სატრაპელაში და დაავალა თავის მსახურებს, მივეცილებინეთ ნავით სამეგრელომდე თავის სიმამრთან კორტუგასთან (Cortuga), რომელიც იყო დადიანის პირველი ვეზირი. რაკი ეს პიროვნება არ ჩქარობდა გამგზავრებას, 3 თებერვალს, როგორც კი გამოიდარა, ჩვენ გავემგზავრეთ სატრაპელოდან იმ თურქებთან ერთად, რომლებიც იყვნენ სამშვიდობო მოლაპარაკების შუამავალნი და ჩვენი ახლობლები. იმ დღესვე შევედით ფაზისში, სამეგრელოს მთავარ მდინარეში, და მეორე დღეს უკვე ერენშანში (Herainchan) (Heraclée) ჰერაკლეიაში ჩავედით.

ჩვენ იმთავითვე შევატყობინეთ თავად დადიანსა და კათოლიკეების არქიეპისკოპოსს ჩვენი და სამშვიდობო მოლაპარაკების შუამავლების ჩასვლის შესახებ. პასუხი

ცოტა დაგვიანებით მივიღეთ და გავუდექით გზას მარგულასაკენ (Margoula) თავადთან შესახვედრად.

ცხრა თვის შემდეგ, თითქმის დასასრულს მიუახლოვდა გემის დაღუპვითა და მრავალი ტანჯვა-წამებით დატვირთული მოგზაურობა. როგორც იქნა, შევხვდით ნადირობით მუდამ დაკავებულ დადიანს, შევესწარით თეიმურაზ-ხანის (Tebris-Khsn) დაბრუნებას (ეს არის საქართველოს პრინცი, რომელიც სპარსეთის მეფემ წინა წელს განდევნა თავისივე სამეფოდან), და კონსტანტინოპოლში გასაგზავნი ხარკის მომზადებას. სამწუხაროდ, ამ დროს თარჯიმანი აღარ გვყავდა და დიდხანს ვერ მოვახერხეთ დადიანთან ოფიციალური შეხვედრა. ამ ხნის მანძილზე ძალიან გაგვიჭირდა და ჩვენმა ახლობელმა თურქებმა ყოველმხრივი შემწეობა გაგვიწიეს, თავიანთ ლუკმასაც კი გვიყოფდნენ.

ჩვენ სანამ დადიანთან ვიზიტის გზებს და საშუალებებს ვეძებდით, შევხვდით კორტუგას (Cortuga), თავად გურიელის სიმამრს. რომელსაც გურიელი აგზავნიდა თავად დადიანთან და ატანდა სარეკომენდაციო წერილებს. მან დაგვამშვიდა, რომ ყველაფერი რიგზე იქნებოდა და უეჭველად მოაგვარებდა ჩვენს საქმეს სამეგრელოს თავადთან, რადგან მას გაუგია, რომ გასულ წელს კონსტანტინოპოლში თავადის დესპანისათვის დიდი და კეთილი სამსახური გაუწევია ჩვენი ღრმად ქრისტიანი მეფის წარმომადგენელს.

ჩვენ იქვე შევხვდით მოშაორიოს (Mochaorio), კათოლიკურ ეპისკოპოსს, კეთილგონიერ ადამიანს, რომელიც, ისევე როგორც კორტუგა (Cortuga), დადიანის ვეზირი, დიდი გაელენით სარგებლობდა ამ მხარეში. ჩვენ მათ თარჯიმნის დახმარებით მოვუყევით მისიონერთა ინსტიტუტის შესახებ. ამ დაწესებულების შესახებ ვესაუბრეთ, აგრეთვე, თეიმურაზ-ხანსა და მისი ქვეყნის არქიეპისკოპოსს (le Metropolitain), რომლებსაც შევხვდით ეკლესიაში, და მათ თავისთან სტუმრად წაგვიყვანეს. ისინი გაოცებას ვერ ფარავდნენ, როგორ გავცვალეთ ამ უდაბნოზე ეს ჩვენი ნაყოფიერი ევროპული მხარე ისე, რომ მცირედი გასამრჯელოს

იმედიც კი არა გვაქვს. ამის შესახებ მათ თურმე თურქებმა შეატყობინეს და ისინი ამ ფაქტს აღიქვამდნენ, როგორც რაღაც გრანდიოზულს, წარმოუდგენელს. მასპინძლებმა განიზრახეს, სანამ შედგებოდა დადიანთან ჩვენი მოლაპარაკება, მანამ შევხვედროდით ან დავკავშირებოდით საფრანგეთის ელჩს და გაგვეგზავნა მისთვის ნობათი კონსტანტინოპოლში.

როგორც იქნა, შევხვდით დადიანს და მის ბიძას ლიპარტრს (Lipartra), რომელიც იყო დადიანის რეგენტი მხოლოდ ცოტა ხნით. თავადმა დადიანმა მოგვახსენა, რომ მას ბევრი რამ სმენია ჩვენი ქვეყნის შესახებ და ჩვენ მისი ქვეყნის ნანატრი სტუმრები ვართ, მან აგრეთვე გვითხრა, რომ კარგად იცნობდა ჩვენს გეგმებს და ერთ მშვენიერ დღეს უფრო დაწვრილებით, ხანგრძლივად ისაუბრებდა ჩვენთან დასავლეთის ამბებზე, საფრანგეთის მეფესა და მის ელჩზე კონსტანტინოპოლში. ბოლოს დაგვპირდა ყოველმხრივ დახმარებას და ჩვენი თავი ეპისკოპოს მოშაორიოს (Mochaorio) მიანდო. პრინც დადიანთან და მის სიმამრთან გამომშვიდობების შემდეგ ჩვენ დავბრუნდით ეპისკოპოსის რეზიდენციაში, სადაც დაგვხვდა თეიმურაზ-ხანის, არქიეპისკოპოსისა და მთელი მისი ამალისადმი მიძღვნილი ნადიმი. თეიმურაზ-ხანი, არქიეპისკოპოსი და ეპისკოპოსი მოშაორიო გაგვიმასპინძლდნენ ყველაფრით, რაც კი რამ ებადათ. ეს ამ ქვეყანაში მაღალი ყურადღების ნიშანია. თეიმურაზ-ხანმა თავისთან მიგვიხმო და მრავალგვარი შეკითხვა დაგვისვა. საერთოდ, ამ ქვეყანაში მიღებულია სადილობის დროს სუფრასთან სიმღერა. ჩვენც მიგვიწვიეს სასიმღეროდ, ჩვენი უარის და ბოდიშის გაგონებაც კი არ ისურვეს. ყველამ, და მათ შორის გურიელმა, ძალიან გვთხოვა გვემღერა. რა გაეწყობოდა, ვიმღერეთ ჰიმნი „Pange lingua gloriosi“, რომელმაც მონადიმეთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ამის შემდეგ ძლივს მოვახერხეთ სუფრიდან წამოსვლა, რადგან ამ ქვეყნის წეს-ჩვეულების მიხედვით ლხინი შუაღამეს გადასცდებოდა.

ჩვენ დავფუძნდით ეპისკოპოს მოშაორიოს ადგილ-მამულში. მან იქვე აგვიგო პატარა ქოხი და ეკლესია, შეძ-

ლებისდაგვარად დაგვეხმარა ყველაფრით, რაც კი საჭირო იყო ჩვენი არსებობისათვის. მზად ვართ მთელი ჩვენი დრო დავუთმოთ მეგრული ენისა და ამ მხარის დიალექტების შესწავლას იმ იმედით, რომ, თუ ღმერთი ინებებს, არ ვინანებთ ჩვენს მიერ გაწეულ შრომაზე.

ამჯერად ჩვენ და ეპისკოპოსი მოშაორიო ვაგზავნით ჩვენს თარჯიმანს საფრანგეთის ელჩთან კონსტანტინოპოლში და ვატანთ წერილებს მასთან და ევროპელ მამებთან. დაე, მათ იცოდნენ, დედამიწის რომელ ნაწილში ვცხოვრობთ, გვიშველონ და დაგვეხმარონ: ჯერ ერთი, მოგვამარაგონ ისეთი ნივთებით, რომელიც ამ მხარეში ფულის მაგივრობას გასწევს, აქ ხომ ფული არ გამოიყენება! მეორე, ჩამოვიდნენ და გაიყონ ჩვენი სამუშაო. იმედი გვაქვს, რომ დადგება დრო და ჩვენ აქ ხორბლის უხვ მოსავალს ავიღებთ.

გევედრებით, თქვენო წმინდა მამობავ, იყავით ჩვენი მეოხი ღმერთთან და ჩვენი ლოცვების დროს შეავედრეთ მას ეს ახალი ვაზი ღვთისა და ის, ვინც მას უანგაროდ უვლის".

თქვენი მონა-მორჩილი ლუი გრანჟე

ლა ბულეი ლე გუ

„მოგზაურობა ქმნის ადამიანებს, ადამიანები კი მეგობრებს". ეს სიტყვები ცნობილ მოგზაურს ფრანსუა დე ლა ბულეი ლე გუს (François de la Boulaye le Gouz) ეკუთვნის. ფრანსუა ლე გუ [89], ბულეისა და გევრის ბატონი, დაიბადა 1610 წელს სავარაუდოდ, თავის ადგილ-მამულში, რომლის სახელსაც ის ატარებდა. XVI საუკუნის ბოლოს მისი ოჯახი ანჟუში დასახლდა, ამიტომ ის ანჟუელ ბატონადაც მოიხსენიება. ცნობილია, რომ ლე გუმ დაამთავრა იეზუიტთა კოლეგიუმი (Collège de la Flèche), შეისწავლა აღმოსაელური ენები და აღმოსავლეთის ქვეყნები. შორეული მოგზაურობით დაინტერესებულმა ახალგაზრდამ მიაკვლია აღმოსავლეთისაკენ სხვადასხვა საქმეების საწარმოებლად მიელენილ კომპანიას და შესთავაზა თავისი სამსახური.

1643 წელს მან დატოვა საფრანგეთი, დაიწყო მოგზაურობა ინგლისით და დაასრულა აღმოსავლეთის ქვეყნებით. ლე გუმ ცხოვრების თითქმის ნახევარი უცხო ქვეყნებში გაატარა და დაასრულა კიდეც. იგი გარდაიცვალა სპარსეთში. იტალია, საბერძნეთი, ანატოლია, სირია, სპარსეთი, პალესტინა, კარამენია (Karamenie), ქალდეა (Kaldée), დიდი მონგოლეთის ქვეყანა, ბიჟაპური (Bijapour), აღმოსავლეთ ინდოეთი, პორტუგალია, არაბეთი, ეგვიპტე, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი, ისლანდია, დანია, პოლონეთი... ეს არის იმ ქვეყნების არასრული ჩამონათვალი, სადაც ლე გუს უმოგზაურია. მაგრამ ყველაზე მეტად მას სპარსეთი იზიდავდა და დიდი დრო მოანდომა ამ ქვეყნისა და ხალხის პოლიტიკის, რელიგიის, ადათ-წესებისა და ხასიათის შესწავლას. მოგზაური სპარსეთის შაჰის საუკეთესო სტუმარი იყო. ლე გუ სწორედ სპარსეთში მოგზაურობისას 1645 წელს გაეცნო საქართველოს ზღვისპირა ტერიტორიას. სომხეთის პატრიარქის გულითადმა მასპინძლობამ ზამთრის სიცივისა და შიმშილისაგან დასუსტებულ მოგზაურს საშუალება მისცა კარგად დაჰკვირვებოდა და აღეწერა სომეხთა ცხოვრება, რელიგია, საეკლესიო წეს-ჩვეულებები.

ფრანსუა დე ლა ბულეი ლე გუ ცნობილი იყო აზიაში იბრაჰიმ-ბეის, ევროპაში – „კათოლიკე მოგზაურის" სახელით. სამშობლოში ცოტა ხნით დაბრუნებულმა მოგზაურმა, მეფისა და საზოგადოების თხოვნით, გადაწყვიტა დაეწერა მოგზაურული შთაბეჭდილებები, რომელიც პარიზში გამოქვეყნდა პირველად 1650 წ., მეორედ, 1657 წ. სათაურით „ანჟევენელი კეთილშობილის დე ლა ბულეი ლე გუს მოგზაურობა და დაკვირვებები" ("Les voyages et observations du sieur de la Boullaye Le-Gouz, Gentil-Homme d'Angevin"). ავტორმა და ნაწარმოებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. „ყველაზე მიმზიდველია მოგზაურის ორიგინალურობა, ცნობისმოყვარეობა, მომხიბვლელობა და უცხო ქვეყნების ზნე-ჩვეულებების შეთვისება. ამ თვისებებით ის გახდა თავისი დროის პირველი ტურისტი" [90].

სამწუხაროდ, ვერ გავიზიარებთ ლა ბულეი ლე გუს და მისი წიგნის „მოგზაურობა და დაკვირვებანი“ ესოდენ მაღალ შეფასებას, როდესაც წავიკითხავთ ნაწარმოების XXX თავს სათაურით „ქართველები” ("Des Géorgiens"), სადაც ავტორის მიერ გადმოცემულია მწირი, ზერელე და დაუზუსტებელი ცნობები ჩვენი ხალხის შესახებ.

ქართველები [91]

გურჯისტანს ანუ საქართველოს ესაზღვრება ჩრდილოეთით – მოსკოვი, დასავლეთით – შავი ზღვა, სამხრეთით – სომხეთი და მედიე (Medie), აღმოსავლეთით – კასპიის ზღვა. ქვეყანას განაგებს შვიდი მეფე, მათგან სამეგრელოს მეფე სულთანის მოხარკეა, ტეფლისის მეფე – შაჰის, ბაშიაჩუკის, დადიანის და ჩერქეზეთის მეფეები ძლიერები არიან და ნაკლებად ემორჩილებიან მუსულმანებს. თურქები და სპარსელები ფლობენ მხოლოდ რამდენიმე რეგიონს.

გურჯებს თავის წინა მხარეს ხშირი ქოჩორი უმშვენებს, ხოლო თავის უკანა მხარე გაპარსული აქვთ და ახურავთ დიდი ბეწვის ქუდი, როგორც პოლონელებს და თათრებს. მათ აცვიათ გრძელი სამოსი. ქართველები ძალზე მარჯვე და გულადი ვაჟკაცები არიან, მაგრამ არ ესმით რა არის რწმენა და რელიგია. ქრისტიანობა მათთვის სახელია და მეტი არაფერი. მშობლები ჰყიდიან თავიანთ შვილებს თურქეთსა და ირანში, სადაც ისინი ხდებიან მუსულმანები. სულთანის და შაჰის ყველაზე ლამაზი პაჟები ქართველი ბავშვები არიან. თურქეთსა და ირანში კარგი გარეგნობის მამაკაცებიდან თითქმის ყველა ქართველია. ეს იმიტომ, რომ ქართველების სისხლი საუკეთესოა მთელ აზიაში. ახალგაზრდა ქართველი ქალები, მათი სრულყოფილი მშვენიერების გამო, დიდად ფასობენ მუსულმანებში.

ქართველი ხალხი სქიზმატურია და მისდევს ბერძნულ წეს-ჩვეულებას, თუმცა ბერძნებისათვის სრულიად უცხო ცრურწმენაც აქვთ: ისინი სალოცავად ეკლესიაში არ

დადიან და განსაკუთრებულ წეს-ჩვეულებას ატარებენ, სანამ ღვინის კასრს გახვრეტენ. ამ ხალხის ენა განსხვავებულია აზიის სხვა ხალხების ენებისაგან. სამეგრელოსა და ჩერქეზეთში ფული არ არის და აბრეშუმისა და სხვა ნედლეულის გაცვლით ვაჭრობენ.

კონსტანტინოპოლში ხშირად ვხვდებოდი სამეგრელოს ელჩს, რომელსაც თავისი მეფისაგან ყოველწლიურად ჩამოჰქონდა ქსოვილები და ჩამოჰყავდა 30 თუ 40 მონა დიდი თურქისათვის ხარკის სახით მისართმევად. ზოგ მათგანს ის ჰყიდდა საკუთარი თავის გასატანად და, თუ ფული შემოაკლდებოდა, მისი მდივნისათვის გადანახულ ტყვეებსაც ზედ მიაყოლებდა, ბოლოს კი მარტო ბრუნდებოდა თავის ქვეყანაში მომავალ წლამდე.

პულე

XVII საუკუნის ფრანგი მოგზაურის პულეს (Poullet) ბიოგრაფია უცნობია ისევე როგორც სხვა მრავალი მოგზაურისა, ცნობილია მხოლოდ ერთი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან, რომელიც ასახულია თავისსავე მოგონებებში. კერძოდ, 1654 წლიდან, საფრანგეთის პარლამენტმა ხანგრძლივი დროით მიავლინა პულე აღმოსავლეთში, მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ ინფორმაციის რეგულარულ მომწოდებლად. პულე პარიზიდან გაემგზავრა ჯერ კონსტანტინოპოლში, შემდეგ სმირნაში, იქ შეუერთდა ქარავანს და გააგრძელა გზა სპარსეთისაკენ. 1659-1660 წლებში მან იმოგზაურა ქურთისტანში, სირიასა და პალესტინაში და ბოლოს დაბრუნდა იტალიაში. 1662 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე პულე რომში ცხოვრობდა. დიდი და საინტერესო მოგზაურობის შემდეგ მან შეკრიბა მრავალრიცხოვანი წერილები, ცნობები, სხვადასხვა ჩანაწერები სათაურით „Nouvelles relations du Levant“ („ახალი ამბები აღმოსავლეთიდან“) და გამოაქვეყნა ორ ტომად პარიზში 1668 წელს. ავტორის თქმით, მისი თხზულება შეიცავს ბევრ ახალ და საინტერესო ისტორიას სხვადასხვა ეროვნების ადამიანების, მათი რე-

ლიგიის, წეს-ჩვეულებების და საქმიანობის შესახებ, აგრეთვე მცირე აზიის, ანატოლიის ორივე სომხეთის, გურჯისტანის, დიარბეკისა (Diarbek) და სპარსეთის სამეფოს დაწერილებით აღწერას, ხოლო, მკვლევართა აზრით, მისი ნაშრომი უხვიერო ნაწერია და ნაკლებად დაფასებული [92].

წიგნი იწყება პულეს წერილით პარიზის პარლამენტის პირველი პრეზიდენტის გიიომ ლამუანიესადმი: „... შემოვიარე დედამიწის მნიშვნელოვანი ნაწილი — მისი აღმოსავლეთი მხარე. თავს უფლებას ვაძლევ მოგიძღვნათ ორ ტომად შეკრული ჩემი მოგზაურული მონათხრობები, რომელშიც შედის საკუთარი დაკვირვებები და განმარტებები უცნაურ საგნებსა და მოვლენებზე. ცხრა, ათი წელი ვიცხოვრე ამ მხარეში და მსურს გაგაცნოთ მისი ახალი ისტორია, პოლიტიკა, მთავრობა და რელიგია. იმედი მაქვს უკმაყოფილო არ დარჩებით“.

გრძელი გზა ტანჯვად რომ არ გადაჰქცეოდა, პულემ არჩია ვაჭრების ქარავანს გაჰყოლოდა, რადგან ყოველგვარ გასაჭირს, როგორც წესი, ქარავნის თვითოეული წევრი თანაბრად ინაწილებდა.

არზრუმის მონახულების შემდეგ მოგზაურს ყარსის საბაჟო უნდა გაევლო და საქართველოს უნდა სწვეოდა, მაგრამ საზღვრის გადალახვისას დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ფრანგი მოგზაური ქართველებმა შეიფარეს და იხსნეს თურქი მებაჟეებისაგან. ამ ამბავს ის ნაწარმოების IX თავში [93] გვიამბობს. აგრეთვე, აღწერს სპარსეთის უღელქვეშ მყოფ ქართველთა აუტანელ ცხოვრებას. აქ ჩანს ავტორის თანაგრძნობა, სიმპათია ქართველების მიმართ და აღშფოთება ჩვენი ქვეყნის დამპყრობლებისადმი.

„ქარავანში, რომელსაც მე მივყვებოდი, ქართველ ვაჭრებს შორის ორი ახალგაზრდა ქართველი ქალი და ერთი პატარა გოგონა მგზავრობდა. გაირკვა, რომ მე და მათ საერთო გზა გვქონდა გასაელელი. ქაროველ ქალებს მამაკაცის ტანსაცმელი ეცვათ, რადგან თურქები ქალებს საზღვარზე არ უშვებდნენ. თუ გაატარებდნენ, მხოლოდ ლტოლვილს ან მონას ფულის გამოძალვის მიზნით. საერ-

თოდ, თურქ მებაჟეებს შეუძლიათ უმნიშვნელო რამეზე შემოგედავონ და არ გაგიშვან, სანამ საკმარის თანხას არ შესთავაზებთ, მაგრამ თუ ასიამოვნებთ, ანუ კარგად გადაუხდით, არ გაგჩხრეკენ და უხმოდ დაგეხსნებიან. ასე, რომ ქართველი ქალებისა და ჩემი ფრანგი ეროვნების გამო ცხადი გახდა, რომ თურქ მებაჟეებთან დიდი შეხლა-შემოხლა გველოდებოდა. ქართველი მექარავნეები დაგვეხმარნენ და ერთ პატარა მდინარის ახლოს ხეობაში გადაგვმალეს, თან გაგვაფრთხილეს, სანამ არ მოგვაკითხავდნენ, არსად წავსულიყავით. მე ასეთი ნაღვლიანი და უსუსური არასოდეს ვყოფილვარ. ქართველ ქალებთან საუბარში სევდა თანდათან გამიქრა. ისინი მეტისმეტად ლამაზები იყვნენ მამაკაცის ტანსაცმელში, სახეს ვერ მალავდნენ და მეც ვტკბებოდი მათი მშვენიერებით.

მთელი დღე დავეხეტებოდით თურქეთის გვალვით გადახრუკულ, საზღვრისპირა, ხალხმრავალ სოფლებში. ეს საბრალო ხალხი თურქეთიდან მოდიოდა, მოჰყავდა ცოლ-შვილი, ეზიდებოდა ბარგს, მოერეკებოდა საქონელს და შეშინებული სხვადასხვა მხარეს იფანტებოდა. ეს არეულობა გამოწვეული იყო სპარსეთის არმიის მიერ, რომელიც იდგა საქართველოს საზღვრებთან და დაუნდობელი თავდასხმებით ცდილობდა მოედრიკა ქართველი ხალხი და მისი მეფე. სპარსეთის ხელმწიფე უკანონოდ და არაღირსეულად მოითხოვდა მათ მორჩილებას.

ქართველები იმ ესპანელთა შთამომავალნი არიან, რომლებიც თავიანთი ხმლისა და ძალის გამოსაცდელად ჩამოვიდნენ გმირ ქვეყანაში, სადაც ოდესღაც არგონავტები ცხოვრობდნენ, მათ შეძლეს და დაიპყრეს მისი ტერიტორიის ნაწილი, იქ დასახლდნენ და სახელად იბერია დაარქვეს, რომელიც მათი ადრინდელი სამშობლოს სახელია. ესპანეთს წინათ ხომ იბერია ერქვა.

ქართველები_წეს-ჩვეულებებით სომხებს ჰგვანან. მაგრამ მეტ კეთილგანწყობას იჩენენ სხვების მიმართ. აზიელთა შორის ყველაზე გულადები, სპარსელთა და თურქთა განუწყვეტელი აგრესიის მსხვერპლნი, ისინი მუდამ პოულობდნენ ძალას დაეცვათ თავისუფლება და დღესაც,

ნამდვილი მეფის დაკარგვის შემდეგ, იბრძვიან მის შესანარჩუნებლად. თუმცა უნდა ითქვას, ქართველი მეფეები არ არიან იმდენად დამოუკიდებელნი, რომ ხარკი არ გადაიხადონ.

სპარსეთის მეფე შაჰ-აბასი ხომ მუდამ ეძებს მიზეზს, რომ მასზე სუსტი დაჩაგროს. ვერ აიტანა მასთან შედარებით სუსტი მეზობლის, საქართველოს ავტორიტეტი და ძალაუფლებისა და დასჯის მიზნით თავს დაესხა საქართველოს მრავალრიცხოვანი ჯარით: აიღო დედაქალაქი ტფილისი, განდევნა მეფე თეიმურაზი და დასვა მეფისნაცვალი, რომელიც მისი სახელით მართავდა ქვეყანას. ვერც ამის შემდეგ შეძლო შაჰ-აბასმა ქართველების სრული დამორჩილება, ვერ აღმოფხვრა მათში თეიმურაზხანისადმი, როგორც თავიანთი ნამდვილი მეფისადმი, პატივისცემის გრძნობა და ვერ ჩააქრო მათი სიყვარული მეფის შვილებისადმი. თეიმურაზ მეფის გარდაცვალების შემდეგ ქართველი ხალხი ისეთივე მოწიწებით ეპყრობოდა მის ქერივს, როგორც მეფის სიცოცხლეში. ეს ამბავი ჩემს თვალწინ ხდებოდა, როდესაც სპარსეთში ვიმყოფებოდი. სპარსეთის მეფე სეფი (Sephi) დარწმუნდა, რომ ქართველების ძლიერი სიყვარული რელიგიისა და მეფისადმი სერიოზულ დაბრკოლებას უქმნიდა მისი ძალაუფლების სრულად დამკვიდრებას საქართველოში და მიმართა სასტიკ ხერხს – გაგზავნა თავისი ჯარი ამ ქვეყნის დასამხობად. თავზარდაცემული ქართველები თავშესაფარს დაეძებდნენ. ჩვენც გვხვდებოდნენ ლტოლვილთა ჯგუფები, რომლებიც გაურკვეველი მიმართულებით, ზოგი მთებში, ზოგიც ტყეში იხიზნებოდა. სპარსეთის მეფე კატეგორიულად მოითხოვდა ქართველებისაგან უკანასკნელი, აწ გარდაცვლილი მეფის ქვრივს, რომელიც საქართველოში ახლადდანიშნული მეფისნაცვლისათვის უნდა შეერთო. შაჰ-აბასი დარწმუნებული იყო, რომ ამ გზით მიაღწევდა იმას, რაც ბრძოლით ვერ შეძლო.

მე კი ვფიქრობ, რომ იგი ჯერ კიდევ დიდხანს ვერ შეძლებს საზარელი ზრახვების განხორციელებას საქართველოში. ქართველები მამაცი ხალხია, მთებში გაიხიზ-

ნებიან, სადაც არაერთხელ გაუნადგურებიათ სპარსეთის მეფის ჯარი. ქართველები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, უკიდურეს გაჭირვებასაც არ შეუშინდებიან, ოღონდ თავიანთი მეფის ქვრივი არ ჩავარდეს სპარსი მეფისნაცვლის ხელში და ამ მიზეზით არ გახდეს ის მათი მეფე.

მექარავნეების მოლოდინში ღამე გავატარე მდინარის პირას ქართველ ქალებთან ერთად. იქვე, სომხეთის მხარეს იდგა პატარა სამლოცველო, ლამაზად აგებული და კარგად შემონახული, მაგრამ, სამწუხაროდ, ღმერთის სამსახურის ნაცვლად მას საჯინიბოდ იყენებდნენ.

მეორე დღეს მოვიდნენ ჩვენი თანამოგზაურები. მე დავემშვიდობე ჩემს მხსნელ ქართველებს, რომლებიც ქარავნის დიდ ნაწილს შეადგენდნენ. მათ გადაიარეს პატარა ბორცვი და დასავლეთისაკენ აიღეს გეზი. ჩვენ კი, დანარჩენები სეფის სამფლობელოსაკენ გავეშურეთ“.

ბარტელები დ'ერბელო დე მოლენვილი

XVII საუკუნის ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი ბარტელები დ'ერბელო დე მოლენვილი (D'Herbelot de Molainville), იგივე თარჯიმანი-ფუკიე [94] (1625-1695 წწ.), შესანიშნავად ფლობდა ებრაულ, სირიულ, არაბულ, სპარსულ და თურქულ ენებს და დიდ ინტერესს იჩენდა ყოველი საკითხისადმი, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებს ეხებოდა.

ბარტელები დ'ერბელო საგანგებოდ გაემგზავრა იტალიაში, რათა დაკავშირებოდა აღმოსავლელ ვაჭრებს და მოგზაურებს, რომლებიც იმ პერიოდში გენუის, ლივორნოსა და ვენეციის პორტებში იყვნენ თავმოყრილნი. მას სურდა შეესწავლა აღმოსავლეთისაკენ მიმავალი საზღვაო გზა თავისი მომავალი მოგზაურობისათვის. სამწუხაროდ, არ არის ცნობილი ბ.დ'ერბელომ განახორციელა თუ არა თავისი ოცნება და იმოგზაურა თუ არა აღმოსავლეთის რომელსამე ქვეყანაში. მაგრამ ვიცით, რომ ის, როგორც აღმოსავლური ენების შესანიშნავი მცოდნე, საფრანგეთის სამეფო კარზე მდივან-თარჯიმნად მიიწვიეს.

1666 წელს კი ტოსკანის დიდმა ჰერცოგმა ფერდინანდ II-მ დიდი პატივისცემით მიიწვია ბ.დ'ერბელო სასახლის კარზე, აღმოსავლური ენების კოლექციაზე სამუშაოდ. მაგრამ საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრის კოლბერის ბრძანებით იგი მალე ისევ გაწვეულ იქნა თავის სამშობლოში. საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის მხარდაჭერით ის დასახელებული იქნა საფრანგეთის ცნობილ კოლეჯში ძველი ასურული ენის პროფესორად. მეფე ლუი XIV დიდ პატივს სცემდა დ'ერბელოს სიბრძნეს, განათლებას და არაერთხელ უსაუბრია მასთან აღმოსავლეთთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე.

ბარტელები დ'ერბელო წიგნის „აღმოსავლური უნივერსალური ბიბლიოთეკის" ავტორია, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ დაასრულა მისმა კოლეგამ ა.გალანმა და გამოსცა პარიზში 1697 წელს. ეს წიგნი ხელმეორედ დაიბეჭდა მასტრიხში 1776 წელს სათათრეთის ისტორიით, აღმოსაელური ანდაზებითა და სიტყვა-თქმებით რამდენადმე გამდიდრებული. ეს სერიოზული ნაშრომი აღმოსავლეთის სარწმუნოების ისტორიას, მითოლოგიას, გეოგრაფიას, ხალხების ადათ-წესებს და სხვა მრავალ საინტერესო საკითხს შეიცავს. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ბარტელები დ'ერბელომ კვლევისათვის სამი ძლიერი ქვეყანა - არაბეთი, სპარსეთი და თურქეთი — აირჩია.

„აღმოსაელური ბიბლიოთეკა ანუ უნივერსალური ლექსიკონი" [95] წარმოადგენს, აგრეთვე, ორმოცდაათზე მეტ მუსულმანურ ხელნაწერს, დალაგებულს ანბანის მიხედვით. წიგნი ჯერ შედგენილია ავტორის მიერ არაბულ ენაზე, შემდეგ კი გადაკეთებულია ფრანგულად. მისი წყარო ძველი არაბული ლექსიკონებია.

მიუხედავად იმისა, რომ ბარტელები დ'ერბელოს წიგნმა „აღმოსაელური ბიბლიოთეკა" აღიარება ჰპოვა ევროპელ მოაზროვნეთა შორის, როგორც იმ დროისათვის იშვიათი ჟანრის ნაწარმოებმა და მნიშვნელოვანმა წყარომ აღმოსაელეთის ძლიერი ქვეყნების შესასწავლად, იგი მაინც ვერ ასცდა ზოგიერთი კოლეგის მწვავე კრიტიკას [96]. ფრანგ მკვლევართა აზრით, წიგნის ავტორი გვთავაზობს

მუსულმანთა ნააზრევს თავიანთ თავზე და მეზობელ ქვეყნებზე, ამავე დროს არ ცდილობს გაარკვიოს მათი სიზუსტე ან თუნდაც შეადაროს და შეათანხმოს ისინი ევროპისა და აზიის სხვა ხალხთა მოსაზრებებს. ცნობილი ფრანგი მოგზაური, აღმოსავლეთმცოდნე სილვესტრ დე სასი (Silvestre de Sacy) აღნიშნავს, რომ თუ პიროვნება იღვწის ჰუმანურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის, რასაკვირველია, მისი გამოკვლევა რეალურ უმცდარ მასალაზე უნდა იყოს აგებული. ამისათვის მკვლევარის უპირველესი საზრუნავი საკუთარი შეცდომების დროული აღქმა და შესწორება უნდა იყოს, რათა მომავალი თაობის ნაშრომში ეს უზუსტობა არ განმეორდეს. მაგალითად ის ასახელებს ბატონ დე გინს, რომელიც თავისი ცნობილი ნაშრომის - „ჰუნების ისტორია“ ერთ-ერთ თავში საქართველოს შესახებ სიტყვა-სიტყვით იმეორებს ბარტელები დ'ერბელოს მიერ დაშვებულ შეცდომებს:

პირველი – კურჟი, გურჯი, კურჟისტანი, გურჯისტანი, კარდუელი;

მეორე – ტსარი, ანუ მეფე რუსულ ენაზე, რომელიც ქართველი მეფის საკუთარ სახელადაა მოხსენიებული ავტორის მიერ. ამასთან, სილვესტრ დე სასი აღნიშნავს, რომ საერთოდ ბარტელები დ'ერბელო ძალზე ზედაპირულად მიმოიხილავს ამ და სხვა ქვეყნების ცნობილ მეფეებს თუ მოვლენებს. ამავე დროს ის ასკვნის, რომ დ'ერბელომ მისი ენციკლოპედია ჰონდემირის მიხედვით შეადგინა, ხოლო ჰონდემირის წიგნი მამის მირჰონდის ერცელი ისტორიის მოკლე შინაარსს წარმოადგენს...“ [97].

ამგვარად, ბარტელები დ'ერბელოს წიგნს „აღმოსავლური ბიბლიოთეკა“ ძველ არაბულ ლექსიკონამდე მიეყავართ. ავტორი ძველი არაბი ისტორიკოსებისაგან აღებულ მასალას ბევრად უფრო ამდიდრებს და მხატერულ ელფერსაც აძლევს. ის დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ მისი ერცელი ორტომიანი წიგნი „Bibliothèque Orientale...“ შეიცავს ყოველივეს, რაც კი აუცილებელია აღმოსავლეთის შესწავლისათვის – ამ მხარის როგორც ნამდვილი, ისე

მოგონილი ამბები, ტრადიციები, რელიგია, სექტები, სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, სამართალი, ადათ-წესები, რევოლუციები და იმპერიები, ხელოვნება, მეცნიერება, თეოლოგია, მედიცინა, მითოლოგია, მაგია, მორალი, ფიზიკა, მათემატიკა, ბუნება, გეოგრაფია, ასტროლოგია, გრამატიკა, რიტორიკა, წმინდანთა ცხოვრება, ფილოსოფოსები, პოეტები, ისტორიკოსები და მათი გამოკვლევები არაბულ-სპარსულ და თურქულ ენებზე.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სრულებით არ იგრძნობა მისი, როგორც მოგზაურის ხედვა, განცდები, გამოცდილება, რაც ეჭვს ბადებს, რომ აღმოსავლური ენის, ლიტერატურის, კულტურისა და სხვ. თაყვანისმცემელი აღმოსავლეთის ქვეყნებს არ სწვევია.

გურჯი და კურჯი – ქართველები, გურჯისტანი, საქართველო (Gurge et Kurge-les Géorgiens, Gurgistan, la Géorgie) [98].

ქართველები ცხოვრობენ კავკასიონის ირგვლივ, კასპიის ზღვის დასავლეთით. ისინი მუდამ ქრისტიანები იყვნენ, თუმცა მუსულმანებით არიან ყოველი მხრიდან გარშემორტყმულნი.

სამანიდთა (Samanides) მმართველობის პერიოდში საქართველოს მეფემ აბუ ნასერმა (Abou Nasser), რომელიც მანსურის (Mansor) ვაჟის სულთან ნუჰის (Nouh) მონობის ქვეშ იყო, ხელისუფლება თავის ვაჟს შაჰ შარს (Schah Schar) გადასცა, განერიდა სასახლის კარს და ცხოვრობდა განმარტოებით.

ღაზნევიდების (Gaznevides) სულთანმა სებექტეღინის (Sebecteghin) ვაჟმა მაჰმუდმა ომი გააჩაღა შაჰ შარის წინააღმდეგ. არმიის გენერალმა ალტუნ ტაშმა (Altun Tasch) ბრძოლა მოიგო და დატყვევებული შაჰ შარი მაჰმუდს (Mahmud) გაუგზავნა. მაჰმუდმა ის გაათავისუფლა, უფრო მეტიც, აღუდგინა ძალაუფლება თავის სამეფოში იმ პირობით, რომ მისი ერთგული ვასალი გამხდარიყო. რამდენიმე თვის შემდეგ შაჰ შარი აჯანყდა სულთანის წინააღმდეგ, მაგრამ სასტიკად დამარცხდა და ისევ შეიპყრეს. მეორედ მიჰგვარეს სულთან მაჰმუდს, რომლის ბრძანებით შაჰ

შარი გაამათრახეს, როგორც გაქცეული მონა, და დაამწყვდიეს ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეში, სადაც მან განლია თავისი წუთისოფელი. ამგვარად დასრულდა შარის დინასტია. ჰონდემირის (Khondemir) აღნიშვნით, შარი საერთო სახელია ყველა ქართველი მეფისათვის, როგორც, მაგალითად, კეისარი. შარი შეიძლება დამახინჯებულიც იყოს ისევე, როგორც მოსკოველების კზარი (ცარი).

საქართველოში შარის დინასტია ისევ აღდგა, წელში გაიმართა და გადაიტანა მრავალი ბრძოლა სელჯუკებთან, ღაზნევიდების შთამომავლებთან, მაგრამ სელჯუკთა მთავარსარდალმა ალფ არსლანმა (Alp Arslan) დაძლია ქართველები. მან ქართველთა დიდი ნაწილი დაიმორჩილა, მრავალი ტყვედ წაიყვანა, სარწმუნოება შეუცვალა და, ნიშნად ამისა, ყურზე ცხენის ნალი ჩამოჰკიდა. ქართველებთან ბრძოლა ამავე რასის სულთანმა მალეკ შაჰმა (Malek Schah) გააგრძელა და გამარჯვებაც მოიპოვა. მან აიღო მირიამ ნიშენის (Miriam Nischin) ციხე-სიმაგრე.

ხვარაზმელებმაც (Khovarezmiens) სელჯუკებს მიჰბაძეს და შეებნენ ქართველებს, მაგრამ მთლიანად ვერასოდეს დაიმორჩილეს.

ჯალალედინმა (Galaleddin), სულთან მუჰამედ ხორეზმ-შაჰის (Mohamed Khovarezme-Schah) უფროსმა ვაჟმა დიდი გმირობა გამოიჩინა საქართველოსთან ბრძოლაში. ჰიჯრის წელთაღრიცხვით 652 წელს თათრების რისხვას გადარჩენილმა სულთანმა გადაწყვიტა საქართველოს დაპყრობა. ქართველთა მეფე შემზადებული იყო ამ სასტიკი ბრძოლისათვის და თავისი მრავალრიცხოვანი, ძლიერი ჯარით გაემართა ბრძოლის ველისაკენ. ჯალალედინი ერთ მაღალ მთაზე აცოცდა ქართველების ჯარის დასათვალიერებლად და შეამჩნია, რომ ჯარის მოწინაეე ხაზზე ხაზარები იყვნენ განლაგებულნი. ეს ხალხი, რომელსაც სპარსელები ყივჩაღებს უწოდებენ, კასპიის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს მიმდებარე ველზე ბინადრობს. ყივჩაღები სულთან მუჰამედის ხელმწიფობის დროს აჯანყდნენ. დამარცხების შემდეგ, მოსალოდნელი სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, ისინი ეახლნენ სულთან მუჰამედის ვაჟს, რომელ-

მაც აჯანყებულები შეიწყალა. ამჯერად ჯალალედინმა ისარგებლა ამ შემთხვევით და ყივჩაღებს პურ-მარილი გაუმართა. ამით მან შეახსენა ის სიკეთე, რომელიც თავის დროზე გაუწია დასასჯელებს. ჯალალედინის მახვილგონიერულმა ოინმა გაჭრა. ყივჩაღებს შერცხვათ შებმოდნენ თავიანთ კეთილისმყოფელს, ქართველები მიატოვეს და გაიქცნენ სულთანის ბანაკში. ამ ოინის შემდეგ ჯალალედინმა გაგზავნა შიკრიკი და აცნობა ქართველებს, რომ მას სრულებითაც არ სურდა ყივჩაღთა მოღალატეობით სარგებლობა და ამით უპირატესობის მოპოვება. ამიტომ მან შესთავაზა ქართველებს დროებითი ანუ ერთდღიანი დაზავება შეთანხმებაზე მოსალაპარაკებლად. ამასობაში ორივე ბანაკიდან ყველაზე მამაცი მეომრები დაწინაურდნენ და წესისამებრ, გამოიწვიეს ერთმანეთი საომრად. ჯალალედინმა მოინდომა ამ საბრძოლო შეტაკებაში მიეღო მონაწილეობა ისე, რომ არავის ეცნო. ამისათვის მან გადაიცვა უბრალო სამხედრო ტანსაცმელი, შორი გზიდან შემოუარა და ფრთხილად გაერია მეომრებში. მიუხედავად ამისა, ის შეუმჩნეველი მაინც არ დარჩენილა. კარგ ცხენზე ამხედრებული ერთი ქართველი მყისვე მიიჭრა მასთან, მაგრამ ჯალალედინმა შუბის ერთი დარტყმით მიწაზე დაანარცხა, მერე კი, სამი დარტყმით მისი სამივე ვაჟიც ზედ მიაყოლა. ამ ბრძოლის შემდეგ ერთი ვეებერთელა ტანის გაუგონარი ძალის ქართველი ვაჟკაცი, რომელიც გოლიათს უფრო ჰგავდა, ვიდრე მეომარს, მოულოდნელად წინ აღუდგა ჯალალედინს და მძიმე დარტყმით კინაღამ ცხენთან ერთად წააქცია. ჯალალედინმა ეს შეტევა გმირულად გადაიტანა, რადგან ის დიდი ღონით და საკვირველი სიმარჯვით იყო დაჯილდოებული. ამ პატარა ინციდენტის გამო ჯალალედინი ცხენიდან ჩამოხტა და ფეხზე მყარად დამდგარი შეეგება ბუმბერაზ მტერს. უკანასკნელი იერიში გადაიტანა თუ არა, დრო იხელთა და შუბით გაუგმირა შუბლი ქართველ გოლიათს, რომელიც მის ფეხებთან უსულოდ დაეცა.

ამ ორთაბრძოლის შემდეგ ჯარის ორივე მხრიდან გაისმა აღტაცებისა და ქების შეძახილი. ყველამ ერთხმად

აღიარა, რომ გამარჯვებულ მეომარს რკინის მკლავი აქვს, ანუ ის სპილოს წაქცევასაც შეძლებსო. ჯალალედინი საყოველთაო ხოტბას და აღიარებას არ აჰყვა. მან მისი გმირობით გამოწვეული მტრის გაკვირვება და გაოცება კარგად გამოიყენა და, სანამ ქართველები გონს მოეგებოდნენ, უბრძანა თავის ჯარს იერიშზე გადასულიყვნენ. ამგვარად, მან სრული გამარჯვება მოიპოვა და გახდა საქართველოს ბატონ-პატრონი. ყოველი მისი გამარჯვება ხელს უშლიდა მონგოლებსა და თათრებს, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ხორასნელები, რადგან ვეღარ აიტანეს ამ სასტიკი და თავაშვებული ხალხის განუწყვეტელი თავდასხმები.

აბულ-ფარაჯს სურს, რომ გურჯები, ანუ ქართველები ხაზარები იყვნენ, მაგრამ ეს ხომ ორი ძალზე განსხვავებული ნაციაა. ხაზარები ცხოვრობენ კასპიის ზღვის ჩრდილოეთით და ემიჯნებიან აღმოსავლეთ თურქებს, ანუ თათრებს. არაბული ნუსხის მიხედვით მათი ქვეყნის დედაქალაქია ბალანჯარი, ხოლო ქართველების სამეფო ქალაქი ტფილისია.

ფილიპ ავრილი

ფრანგი სასულიერო პირი, ფილიპ ავრილი (Le Père Philippe Avril) (1654-1698 წწ.) [99] თექვსმეტი წლის ასაკიდან კათოლიკური ეკლესიის ყველაზე უფრო რადიკალური ორდენის წევრი იყო და წლების მანძილზე ასწავლიდა მათემატიკას იეზუიტთა კოლეჯში. 1685 წელს იეზუიტთა ორდენმა დაავალა მას გაეკვალა და შეესწავლა სახმელეთო გზა ჩინეთისაკენ სათათრეთის გავლით, რადგან აღმოსავლეთისაკენ ადრე წარგზავნილ მისიონერთა მგზავრობა თითქმის მთლიანად ზღვასთან იყო დაკავშირებული და ამას დიდი ხიფათი და მატერიალური დანაკლისი მოსდევდა.

საფრანგეთის მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ჩინეთისაკენ სახმელეთო გზის გაკვლევას, რაც შესაძლებელს გახდიდა პოლიტიკური, კომერციული და

რელიგიური მიზანდასახულობის მისიათა ახალი ნაკადის მშვიდობიან დინებას აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ. ამ მიზნით საგანგებოდ იქნა შერჩეული რამდენიმე განათლებული მისიონერი, მათ შორის მათემატიკოსი, იეზუიტი მამა ფილიპ ავრილი.

1685 წელს მან დაიწყო მოგზაურობა წინასწარ შესწავლილი, მაგრამ მაინც სავარაუდო მარშრუტით: იტალია, სირია, ქურთისტანი, სომხეთი, გურჯისტანი, სპარსეთი, ასტრახანი, სამარყანდი, ბუხარა და ა.შ. ჩინეთამდე. აღსანიშნავია, რომ ფილიპ ავრილი და რამდენიმე ეკლესიური მამა ერთხანს არზრუმში ცხოვრობდნენ. ბრძანების მიხედვით მათ იეზუიტთა მისია დააფუძნეს.

1686 წელს ფილიპ ავრილი სპარსეთში გაემგზავრა, შემდეგ ასტრახანში. იქ სამარყანდსა და ბუხარისაკენ მიმავალ ქარავანს შეუერთდა. უკან დაბრუნებისას კი მოგზაურმა ვოლგისაკენ აიღო გეზი, მაგრამ მოსკოვის მთავრობამ მას, როგორც მისი ქვეყნისათვის არასასურველი მისიის მქონეს, უბრძანა რუსეთის ტერიტორიის დატოვება. ფილიპ ავრილი იძულებული გახდა პოლონეთისათვის მიემართა. პოლონეთის სეიმის (la Diète) დიდმა გენერალმა, თავადმა პ.იაბლონოვსკიმ (le prince Jablonovski) დიდსულოვნად შეიფარა რუსეთისათვის არასანდო მისიონერი, უფრო მეტიც, ხელი შეუწყო ემოგზაურა მოლდავეთსა და კონსტანტინოპოლში და ბოლოს დაბრუნებულიყო საფრანგეთში. მოგზაურობა თითქმის ექვსი წელი გაგრძელდა. 1692 წელს ფილიპ ავრილმა გამოაქვეყნა თავისი რელაცია „მოგზაურობა აზიისა და ევროპის ქვეყნებში (ჩინეთისაკენ ახალი გზის შესწავლის მიზნით)" ("Voyage en divers états d'Europe et d'Asie (enterpris pour découvrir un nouveau chemin à la Chine"), რომელიც მადლიერების ნიშნად გენერალ პ.იაბლონოვსკის მიუძღვნა. სახმელეთო გზის მკვლევარი და იმ დროისათვის საკმაოდ ცნობილი მისიონერი 1698 წელს, მეორედ მოგზაურობისას, ზღვაში დაიღუპა [100].

მართალია, ფილიპ ავრილმა ჩინეთამდე ვერ მიაღწია, მაგრამ მან მაინც შეძლო იეზუიტთა ორდენისათვის მდიდარი, სრულფასოვანი ცნობების მიწოდება მის მიერ

გაკვლეული და შესწავლილი გზის შესახებ. აგრეთვე, მან, როგორც მზვერავმა, დიდი ყურადღება დაუთმო მოგზაურობის ტექნიკურ მხარეს, გზის ხასიათს, მარშრუტს, სატრანსპორტო საშუალებებს, ვაჭრობის ინტენსივობას ქალაქებს შორის. მან, როგორც საეკლესიო პირმა, ასეთივე წარმატებით გამოიკვლია რელიგიის მდგომარეობა ამა თუ იმ ქვეყანაში, სხვადასხვა ჯურის ადამიანთა საეკლესიო და საერო წეს-ჩვეულებები [101].

ფილიპ ავრილის წიგნი „მოგზაურობა ევროპისა და აზიის ქვეყნებში...“ [102], როგორც გზამკვლევი და ცნობარი, ამ მხარეებისა და ხალხების შესახებ ძვირფასი მასალა იყო როგორც მომავალ მოგზაურთათვის, ასევე მკითხველი საზოგადოებისათვის. უპირველეს ყოვლისა, გამოცდილი მოგზაური უზიარებს მათ თავის უსიამოვნებას, გამოწვეულს ქრისტიანი გიდის, კერძოდ, სომეხი გიდის მიერ: „ძალიან გვიან მივხვდი, რომ სხვადასხვა გიდებს შორის, რომელთა სამსახურსაც, ჩვეულებრივ, აღმოსავლეთში მოგზაურობისას გეთავაზობენ, ჯობს თურქი აირჩიო, ვიდრე იმ მხარეში მცხოვრები ქრისტიანი, რომელსაც აკლია ეაჟკაცობა, რომ დაგიცვას თავდამსხმელისაგან. მას არც ერთგულება შეუძლია. თუ კარგ მომსახურებას დაგპირდა და დასარწმუნებლად თავისი თავი დაიფიცა, სწორედ მაშინ არ უნდა ენდო. ალეპოში (Alep) წასვლისას სომეხი გიდი მომამაგრეს. ევფრატზე გადასვლისას უკვე ვიგრძენი, რომ მისი ყურადღება სულ სხვაგან იყო. როცა დასახმარებლად მოვიხმე, მან მომიგო, რომ მისი საქმე უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ჩემზე ზრუნვა. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მთელ თურქეთში მდინარეებზე გადასასვლელი გზა ყველაზე კრიტიკული მონაკვეთია, განსაკუთრებით ევროპელ მოგზაურთათვის, როცა მთავარი ამოცანაა მთელი ქონების უვნებლად გადატვირთვა. ჩემმა გიდმა წინასწარ გათვალა საკუთარი გამორჩენა და ჩემს საზარალოდ თავი დაიძვრინა მისი სავაჭრო საქონლის გადასახადისაგან. მე კი, თუმცა კარგად ვიყავი შენიღბული, მაგრამ თურქებმა მაინც გაიგეს ვინც ვიყავი,

გადამახდევინეს დიდძალი თანხა და ჩამომართვეს მრავალი წვრილმანი, ძველი ტანსაცმლის ჩათვლით [103].

ფილიპ ავრილის წიგნს „მოგზაურობა ევროპისა და აზიის ქვეყნებში...“ წინ უძღვის ვრცელი წერილი პოლონეთის სეიმის დიდი გენერლის, თავად პ.იაბლონოვსკისადმი. ავტორი სიამოვნებით უამბობს გენერალს მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, ზედმიწევნით და ვრცლად აღწერს ერევნის ღირსშესანიშნაობებს, შემდეგ მოკლედ საქართველოსაც ეხება. ის წერს, რომ, ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილმა, ორ სომეხ თანმხლებთან ერთად 1686 წლის 23 აპრილს საქართველოს საზღვრები გადაკვეთა. ქართული ტანსაცმელი იმ პერიოდში მოგზაურთა თავდაცვის ერთ-ერთი საშუალება ყოფილა: „ამ ტანსაცმლისა ყველას ეშინია მთელ სპარსეთში“ – კმაყოფილებით აღნიშნავს მოგზაური თავის მოგონებაში, ხოლო რაც შეეხება თურქეთის მხარეს, იქ ქართული სამოსი საუკეთესო გამოსავალი ყოფილა უცხოელი მოგზაურისათვის: „თურქები დაუფარავად ამჟღავნებენ ზიზღს ჩვენი ე.ი. ფრანგი რელიგიური მისიონერების მიმართ. მათ შეუძლიათ განწყობის მიხედვით გაგატარონ ან დაგაკავონ ხანგრძლივი დროით. მათ ამ ტანსაცმელში ვერ შეგვიცნეს და ისე კარგად მოგვექცნენ, რომ გაოცებისაგან დიდხანს გონს ვერ მოვეგეთ“.

საქართველოში მოგზაურობისას ფილიპ ავრილმა მთელი თავისი ყურადღება ბუნებას დაუთმო. ის მოხიბლულია ჩვენი ქვეყნის მთებით, ტყეებით, ფერების სიუხვით და სიამოვნებით უზიარებს თავის შთაბეჭდილებებს პოლონეთის გენერალს: „გურჯისტანში შესვლამ დიდი სიამოვნება მომგვარა, გზად გვხვდებოდა მჭიდროდ დასახლებული, მწვანეში ჩაფლული სოფლები, სადაც თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვპოულობდით გრილ და ჩრდილიან ადგილებს დასასვენებლად. ირგვლივ ქრისტიანები ტრიალებდნენ და, სიარულით გადაღლილებს, შეძლებისდაგვარად გვიმსუბუქებდნენ მგზავრობას. საოცარი მრავალფეროვნება ვიხილე ამ ქვეყანაში. ბორცვებისა და მთების დასასრულს მოულოდნელად უზარმაზარი კალმახებით საცე ტბას წავა-

წყდით. შემდეგ გავყევით მთების ლაბირინთს, რომელიც ყოფს სპარსეთს საქართველოსაგან. გზა არ გვაძლევდა მოწყენის საშუალებას – დავრწმუნდებოდით თუ არა, რომ მთებში ყოველმხრივ ჩავიკეტეთ, მოულოდნელად ბორცვებს შორის, ჩვენ თვალწინ გაიშლებოდა ულამაზესი ჭალა, რომელშიც იყო შეფარებული სხვადასხვა ფრინველი, მათ შორის ხოხბებიც, რომელსაც გზადაგზა სიამოვნებით შევეჭცეოდით".

ბუნების სილამაზით მოხიბლულმა მოგზაურებმა სელა შეანელეს. განჯამდე რამდენიმე სოფელი იყო დარჩენილი, როცა გლეხებმა ურჩიეს მათ დროზე გასცლოდნენ იქაურობას, რათა თავიდან აეცილებინათ ორმოცამდე ბანდიტის თავდასხმა. „ჩვენ დავუჯერეთ ამ კეთილ ხალხს და გზა დილიჟანსით გავაგრძელეთ. უეცრად აღმოვჩნდით შეიარაღებული სომხების გარემოცვაში. ჩვენ ავუხსენით მათ, რომ საეკლესიო მისიონერები ვიყავით და მივდიოდით სათათრეთში, ქრისტიანული რელიგიის გასავრცელებლად. შეიტყვეს რა ჩვენი მოგზაურობის მიზანი, სომხებმა დიდი პატივით მიგვიღეს, გვიმასპინძლეს და გვიამბეს, რომ თურმე რამდენიმე ქართველი თავადი ტფილისის ხანის წინააღმდეგ აჯანყებულა და აგერ უკვე თხუთმეტი დღეა, რაც სპარსელების დამსჯელ რაზმს ებრძვიან. ამ საცოდავ სომხებს სახლ-კარი მიუტოვებიათ და თავი ტყისთვის შეუფარებიათ, რადგან დამსჯელი რაზმი ხანდახან მათაც თავს ესხმის და გამკლავების ძალა არ შესწევთ" [104].

ფილიპ აერილი საქართველოს ბუნების აღწერისას მდინარე მტკვარსაც არ ივიწყებს: „მტკვარი სათავეს საქართველოში იღებს და კასპიის ზღვაში ჩაედინება. ეს ლამაზი მდინარე მრავალ სოფელსა და ქალაქს რწყავს და უხვად ამარაგებს მოსახლეობას სხვადასხვა სახის იშვიათი თევზებით, განსაკუთრებით ზუთხით" [105].

ეს წერილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავტორის თხზულების „მოგზაურობა ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში..." დასაწყისშია მოთავსებული. ფილიპ აერილი წიგნის ბოლოს კიდევ უბრუნდება საქართველოს თემას. მოთხრობა სათაურით „ივერიის დედოფალი ათავისუფ-

ლებს თავის მეუღლეს საპყრობილედან" ("Princesse d'Iverie delivre son mari de prison"), რომელიც მან არჩილ მეფეს მიუძღვნა, ამ ვრცელი ნაწარმოების ერთ-ერთი თავია, სადაც აღწერილია ივერიის მეფის ცხოვრების უმძიმესი პერიოდი, მისი ფიქრები და ოცნებები საქართველოს ეროვნულ და სარწმუნოებრივ გაერთიანებაზე.

ივერიის დედოფალი ათავისუფლებს მეუღლეს საპყრობილიდან [106]

კათოლიკური ეკლესიის უმაღლესობისაგან ახლახან მიღებული ბრძანების მიხედვით სასწრაფოდ დავუკავშირდი აღმოსავლეთისაკენ წარგზავნილ მისიონერთა მორიგ ნაკადს, რომელიც თანაბრად განაწილდებოდა პოლონეთში, სპარსეთში, ჩინეთსა და სიამში. საფრანგეთის პროვინციები თითქმის დაცარიელდა სასულიერო პირთაგან, რადგან ყველა მობილიზებული იყო ჩინეთსა და სიამში ახლახან შექმნილი მისიონერთა ორგანიზაციების გასაძლიერებლად. სწორედ ასეთი გაჭირვების ჟამს საეკლესიო უმაღლესობას შეატყობინეს ივერიის მეფის არჩილის თხოვნა, რამდენიმე გონიერი იეზუიტის მის ქვეყანაში გაგზავნის შესახებ.

მეფე არჩილი რამდენიმე ხნით განდევნილი იყო სამშობლოდან. მან თავისი კანონიერი სამეფოები – ივერია და სამეგრელო – მაშინ დაიბრუნა, როცა მაჰმადიანობა მიიღო, თუმცა ის ქართველი ქრისტიანია. სპარსეთის შაჰი მანამ იყო კეთილგანწყობილი მის მიმართ, სანამ ქართველი მეფე თავის სარწმუნოებას, ქრისტიანობას დაუბრუნდებოდა. თავდაპირველად შაჰმა ეს ფაქტი თითქოს არც შეიმჩნია, მაგრამ მისი დამოკიდებულება არჩილ მეფისადმი განსაკუთრებული აღარ იყო, ისეთივე გახდა, როგორც მასზე დაქვემდებარებული სხვა პატარა მეფეებისადმი. მალე შაჰმა მტრობა და სიძულვილი არჩილ მეფის მიმართ საშინელი ფორმით გამოამჟღავნა – შაჰი ცნობილია თავისი აღვირახსნილობითა და ქალებისადმი უზნეო ლტოლვით. მას ხშირად სმენია არჩილ მეფის

მეუღლის არაჩვეულებრივი სილამაზის შესახებ და მტკიცედ გადაწყვიტა ნებით თუ ძალით მისი მოპოვება. ამ ამბავმა საწყალი მეფე არჩილი ისე შეაძრწუნა, რომ შაჰს აქამდე უფრთხის და ემალება. შაჰმა კი მოსვენება დაკარგა, რა ხერხს არ მიმართა. ტკბილი მოპყრობისა და მაცდური დაპირებების შემდეგ მუქარაზე და ძალდატანებაზე გადავიდა. არჩილ მეფემ არ იცოდა, რა ეღონა. ისე ძლიერი არ იყო, რომ შაჰის მრავალრიცხოვან ჯარს გამკლავებოდა, არადა უარით შეურაცხყოფილი შაჰი უკვე სასტიკ შეტევაზე გადავიდა. მეფე არჩილი მეუღლესთან ერთად თავისი პატარა სამეფოს ბოლოს, სპარსეთისაგან შორს, გადაიხვეწა, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მათი ფარული ცხოვრება — გაშმაგებულმა იმპერატორმა დახმარებისთვის მიმართა თურქეთის დიდ სინიორს, რომლის ქვეყანა შავი ზღვის მხრიდან ესაზღვრება ივერიის მეფის ქვეყანას. თურქმა რაზმელებმა მალე იპოვეს გადამალული ქართველი მეფე და თურქეთის ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეში დაატყვევეს.

ქართველებმა დედოფალი კიდევ უფრო შორს გადამალეს, მეტისმეტად ფრთხილობდნენ, არავის გაეგო მისი ადგილ-სამყოფელი. დედოფალი არ შედრკა, შეკრიბა ქართველი გულადი ვაჟკაცები, ჩაუდგა მათ სათავეში, შეუტია მოძალადეებს და, მიუხედავად თურქი ჯარისკაცების დიდი წინააღმდეგობისა, მათ იერიშით აიღეს ციხე-სიმაგრე. დედოფალმა გაუგონარი სიმამაცე გამოიჩინა თავისი მეუღლის გამოსახსნელად. ასეთი გაბედული მოქმედების შემდეგ ორივემ კარგად იცოდა, რომ სამშობლოში დაბრუნება დაღუპვის ტოლფასი იქნებოდა. მეფე იძულებული გახდა კიდევ ერთხელ დაეტოვებინა თავისი სამეფო. მეფე არჩილმა და დედოფალმა, ორი წარჩინებული პირის დახმარებით, თავი მოსკოვს შეაფარეს. რუსეთის იმპერატორმა გულთბილად მიიღო ისინი და დააბინავა იმპერიის დედაქალაქის ერთ-ერთ სასახლეში, სადაც უზრუნველად ცხოვრობდნენ სამი წლის მანძილზე.

ამ პერიოდში მეფე არჩილმა იგრძნო ჭეშმარიტი ბედნიერება იმ მეფისა, რომელსაც ქრისტიანი ქვეშევრდომები

ჰყავს, დაინახა, თუ როგორი მოწიწება აქვთ მოსკოველებს თავისი იმპერატორის მიმართ, მას თაყვანს სცემენ, როგორც ღმერთს და სჯერათ მისი. მეფე არჩილი დარწმუნდა, რომ ქრისტიანობა, რომელსაც ის სამეფო ტახტის დაუფლების გამო განუდგა, არის ყველაზე ძვირფასი, რაც კი შეიძლება ჰქონდეს ადამიანს. ამ რწმენით აღვსილმა მეფემ მოწიწებით სთხოვა მოსკოვის პატრიარქს გამოეძებნა მისთვის რამდენიმე კეთილგონიერი მისიონერი, რომელთა დახმარებით ეცდებოდა თავისი ქვეყნის სარწმუნოებრივად გაცოცხლებას და რელიგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას. მით უფრო, რომ საქართველოში დაბრუნების დრო მოახლოვდა – მზადდებოდა აჯანყებულ ქართველთა შეტევა სპარსელი მეფის წინააღმდეგ. ქართველი ხალხი იხმობდა არჩილ მეფეს, რათა თავის თავზე აეღო ქვეყანაზე ზრუნვა.

რუსეთის სასახლის ცხოვრებაზე დაკვირვების შედეგად მეფე არჩილი დარწმუნდა, რომ მოსკოველებსა და წარჩინებულთა შორის კეთილი დამოკიდებულება არის ამ სახელმწიფოში რელიგიის ერთიანობისა და მისი სიმტკიცის შედეგი. მან მიზნად დაისახა განავითაროს და განამტკიცოს ქრისტიანული ერთმორწმუნეობა მთელ იევრიაში და სამეგრელოში, სადაც დღემდე არსებობს სხვადასხვა სექტა (differente Sectes). ის იმედოვნებდა, აგრეთვე, რომ გააერთიანებდა ყველას ერთი რწმენის ქვეშ, როგორც ერთ ძლიერ ციხე-გალავანში მეზობელი ქვეყნების შემოსევებისაგან თავდაცვისათვის.

ქართველები მხოლოდ ასე შეძლებენ დამოუკიდებლობის დაბრუნებას, როგორც რუსებმა შეძლეს და ამის შემდეგ დაე ემსახურონ ერთგულად ქრისტიანულ სარწმუნოებას. რუსეთში ყოფნისას მეფე არჩილმა სთხოვა წმინდა წიგნი მოსკოვის პატრიარქს. როგორც ჩანს, ის ცუდად იცნობდა რუსი პატრიარქის სულს, განწყობას და ძალზე გაწბილებული დარჩა, როცა პატრიარქმა მას მღვდლებისა და სხვა სასულიერო პირთა მიერ შეკოწიწებული საეკლესიო წიგნი შესთავაზა, თითქოს მთელ მოსკოვში ევანგელე არ მოიძებნებოდა. ასეთი უარის შემდეგ არჩილ

მეფემ მოსკოვში მოღვაწე გერმანელ იეზუიტებს მიმართა, რომლებმაც ასევე თავი არ შეიწუხეს და მეფეს თხოვნა არ შეუსრულეს. ვფიქრობ, პატრიარქისა და სასულიერო პირების გულგრილობა უფრო მტკივნეული იქნებოდა არჩილ მეფისათვის, ვიდრე ევანგელეს გარეშე სამშობლოში დაბრუნება.

ფრანსუა კარე

XVII საუკუნის II ნახევრის მოგზაური ფრანსუა კარე (იგივე კარონ) [107] წარმოშობით ფრანგია, თუმცა ჰოლანდიაში დაიბადა და მისი პირველი მოგზაურობაც იქიდან დაიწყო. მოგზაურობით გატაცებულმა, ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა შეძლებულმა ოჯახიშვილმა იაპონიაში მიმავალ გემზე მზარეულის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა, თუმცა მაინც ახერხებდა მოგზაურობას და ოკეანისპირა ქვეყნების თუ ველური ადგილების აღწერას. მემუარები სათაურით „იაპონიის აღწერა" მან საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრს ჟან-ბატისტ კოლბერს გაუგზავნა, რომელსაც ამ დროს განზრახული ჰქონდა აღმოსავლეთ ინდოეთში ფრანგ მისიონერთა კოლონიის დაფუძნება და ამ ექსპედიციაში მას მხოლოდ დამსახურებული და სანდო პიროვნება ესაჭიროებოდა. ახალბედა მოგზაურის მემუარებმა „იაპონიის აღწერა" ("Une description du Japon") ჟ.ბ.კოლბერის ყურადღება იმდენად მიიპყრო, რომ მან ფრანსუა კარეს ამ ექსპედიციის ხელმძღვანელობა და აღმოსავლეთ ინდოეთში საფრანგეთის კომერციის მმართველობა დაავალა, ამასთანავე, პირობა ჩამოართვა, რომ მოგზაურობის ყოველ წერილმანსაც კი შეატყობინებდა. მან აღუთქვა ბატონ მინისტრს, რომ როგორც წინა მოგზაურობისას, ამჯერადაც უეჭველად აცნობებდა ყოველივეს რაც კი მეტ-ნაკლებად საინტერესო იქნებოდა მისი მოგზაურობის დროს.

1666 წლის ზაფხულში მისიონერებმა მაგადასკარისა და ბურბონის კუნძულებს მიაღწიეს. ფრანსუა კარემ გადაწყვიტა მისიონერთა კომპანია ქალაქ სურატში (Surate)

შეექმნა, რამაც დიდი დრო და ძალისხმევა მოითხოვა. ამასობაში მოგზაურმა კარგად შეისწავლა ქალაქი, მისი შემოგარენი და ვალმოხდილმა მისიონერმა უცნობი სახმელეთო გზით საფრანგეთში დაბრუნება გადაწყვიტა. მას მიეცა შემთხვევა, გზად ენახა ბაღდადი, გადაეკვეთა უდაბნო, სწვეოდა ალეპოს (Alep), შემდეგ სირიას და ლიბანს. აღმოსავლეთ ინდოეთის სხვადასხვა ქალაქებში საქმიანობით ფრ.კარემ დიდი სიმდიდრე შეიძინა, მაგრამ, მასზე გავრცელებული ჭორებითა და საჩივრებით სახელგატეხილი, მთავრობამ მოგზაურობიდან გამოიხმო. ბრძანების თანახმად ფრ.კარე დაუყოვნებლივ გაემგზავრა გემით საფრანგეთისაკენ, მაგრამ მან გზაში შეიტყო მოსალოდნელი საფრთხე, რომელსაც სამშობლოში მტრები უმზადებდნენ, და შეშინებულმა გეზი ლისაბონისაკენ აიღო. მაგრამ საუბედუროდ, გემი პორტში შესვლამდე მოულოდნელად დაიღუპა. ფრანსუა კარეს დაღუპვის ამბავი დიდხანს ვერ გაიგეს. ამდენად, მისი გარდაცვალების თარიღი ცნობილი არ არის.

1699 წელს პარიზში გამოქვეყნდა ფრანსუა კარეს სახმელეთო მოგზაურობის შთაბეჭდილებები ორ წიგნად [108], რომელშიაც ავტორი აღწერს მნიშვნელოვან ქალაქებს: ბენდერ-აბასს (Banderabassy), ბაღდადს (Bagdad), ალეპოს (Alep), სირიის ტრიპოლის (Tripoli de Syrie), საიდას (Seide) და სხვას, მათ ადგილმდებარეობას და სილამაზეს; განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობს სურატისა (Surate) და სურატიდან საფრანგეთამდე სახმელეთო გზას.

ნაწარმოებში მრავალი კურიოზული ისტორიებია ჩართული. ზოგიერთ მოთხრობაში XVII საუკუნის ფრანგული რომანის გავლენაც კი შეიმჩნევა, რომელიც ავტორის თქმით ნამდვილ ამბავზე ან რეალურ მოვლენებზეა დამყარებული, რაც ალბათ უფრო გაამახვილებდა ეპოქის მკითხველის ცნობისმოყვარეობას.

ფრ.კარეს მოგზაურული შთაბეჭდილებები ეგზოტიკური ისტორიების მოყვარულ ევროპელ მკითხველს უფრო მიიზიდავდა, ვიდრე გეოგრაფებსა და მოგზაურებს. ავტორი თავს დიდად არ იტვირთავს უცხო ქვეყნებისა და

ქალაქების აღწერით. ამას თვითონვე აღიარებს: „ადგილები, რომელსაც მე ჩემს წიგნში არ განვიხილავ, ისედაც ცნობილია და მრავალჯერაა მოცემული სხვა მისიონერების მიერ; ვფიქრობ, უსარგებლოა მათზე აქ საუბარი".

როგორც გაირკვა, ფრანსუა კარე საქართველოს არ სწვევია, მაგრამ სრულიად მოულოდნელად მის თხზულებაში წავაწყდით ერთ მოთხრობას სათაურით: „ორი მშვენიერი ქართველი ქალის თავგადასავალი", რომლის შესავალში ავტორი [109], როგორც თვითმხილველი, დიდი ემოციებით გვიამბობს, სად და როგორ გაიცნო ეს ორი მშვენიერი არსება, განსაკუთრებული მღელვარებით აღწერს მათთან შეხვედრასა და განშორებას:

„სამშობლოში დასაბრუნებლად სახმელეთო გზა ავირჩიე და სპარსეთისაკენ მიმავალ კომერსანტთა ქარავანს შევუერთდი. ამ რთულ გზაზე ერთ-ერთი მდიდარი სპარსელი ვაჭარი, რომლის ვინაობასაც არ გავამხელ, დიდ გულისხმიერებასა და მზრუნველობას იჩენდა ჩემს მიმართ, შეიძლება ითქვას, ბევრჯერ მიხსნა განსაცდელისაგან. საგზლის შესაძენად სურატში შევჩერდით, სასტუმროში ერთად დავბინავდით და გადავწყვიტე, მადლიერების ნიშნად, ჩემი მხსნელი სადილად მომეწვია. უცნაური ის იყო, რომ მოგზაურობის დროს ეს ვაჭარი თავის აურაცხელ ძვირფას ბარგს ისე არ უფრთხილდებოდა, როგორც ერთ ვეებერთელა გალიას, რომელიც აქლემზე ჰქონდა შედგმული და უცხო თვალისა და მზისაგან დაცვის მიზნით ზედ დიდი ხალიჩა ჰქონდა გადაფარებული. როცა ვაჭარი გზად რომელიმე სასტუმროში გაჩერდებოდა მალულად, ციმციმ შეატანინებდა ხოლმე მსახურებს გალიას თავის ოთახში და იქ საგულდაგულოდ ჩაკეტავდა. იმ დღეს სტუმრად მოწვეული ვაჭარი მოულოდნელად ორ ულამაზეს ქალთან ერთად გამომეცხადა. თურმე, ნუ იტყვით, და სწორედ ისინი ჰყოლია იმ უზარმაზარ გალიაში გადამალული. ეტყობა, ვაჭარი ძალიან მომენდო, რახან თავისი ყველაზე დიდი საიდუმლო გამოამჟღავნა.

ჩემს წინაშე თავდახრილი იდგა ორი მშვენიერი ქალი. მათ სახეს ერთდროულად მწუხარება და სიმშვიდე დაჰ-

კრავდა, რაც მეტ მომხიბვლელობას ანიჭებდა მათ სილამაზეს. გონს მოვუხმე და სტუმრები ოთახში შევიწვიე. ქალებს ხელში ყვავილებითა და ძღვენით სავსე კალათები ეჭირათ და ყველაფერი ჩემს ფეხებთან ხალიჩაზე მიმოაბნიეს. ალბათ, მათ ქეყანაშია ასეთი წესი. სადილის გამზადებამდე მსახურს მოვატანინე მსუბუქი შესაქცევი სტუმრებისთვის: ხილი, მურაბა და ტკბილი დრაჟეები, რომელიც იქვე სურატში მოვიმარაგე. მე შევამჩნიე, რომ ორი მშვენიერი ქართველი ასული მამაკაცების საზოგადოებაში უხერხულობისაგან დაიბნა, და ვთხოვე სპარსელ ვაჭარს ისინი თავიანთ ოთახში დაებრუნებინა. განვუმარტე, რომ ასეთი მშვენიერი ყმაწვილი ქალები მამაკაცებს აღაგზნებენ და ამას შეიძლება დიდი უსიამოვნება მოჰყვეს-მეთქი. მან ჩემი რჩევა მიიღო და უბრძანა მსახურებს წაეყვანათ ისინი თავიანთ ოთახში. მე მათ მურაბა და ხილი გავატანე. ცოტა ხნის შემდეგ კი ძალიან ხმადაბლა, ისე რომ სპარსელ ვაჭარს არ გაეგო, ჩემს ერთ-ერთ მსახურს დავაყალე მათ მიერვე მორთმეული ნობათიც — ხმელი ხილითა და სხვადასხვა ნუგბარით სავსე კალათები - მიეტანა მშვენიერი ასულებისათვის. როგორც მსახურმა გადმომცა, მათ თავაზიანად მიუღიათ ჩემი საჩუქარი და შემომითვალეს, რომ ხშირად გამომიგზავნიან ყვავილებს მადლიერების ნიშნად. მსახურმა მათი დანაბარები, სპარსელ ვაჭარს რომ არ გაეგო, პორტუგალიურ ენაზე მომახსენა, რითაც ძალზე ნასიამოვნები დავრჩი და გადავწყვიტე კიდევ ერთხელ მეხილა ქართველი ქალების სილამაზე.

სპარსელი ვაჭარი და მისი მხლებელნი კმაყოფილები დარჩნენ ჩემი მასპინძლობით. როცა წყურვილი მოიკლეს და ღვინის წრუპვაზე გადავიდნენ, შეზარხოშებულმა ვაჭარმა გამანდო მშვენიერი ქართველი ქალების საიდუმლო, რომლებიც მას თავის ჰარამხანაში მიჰყავდა. „ხომ მოიხიბლეთ მათი სილამაზით, უფრო მოიხიბლებით, როცა მათ ამბავს შეიტყობთ, რომელიც ამ მშვენიერ ქალთაგან უფროსის გამზრდელმა მიამბო, და ახლა მინდა მისი მონათხრობი თქვენ გადმოგცეთ თუნდაც იმიტომ, რომ მე მსიამოვნებს მათი თავგადასავლის მოყოლა, თქვენ კი,

როგორც გატყობთ, მისი მოსმენა. დარწმუნებული ვარ, მსგავსი რამ არასოდეს გაგიგონიათ. ორი ქალის კეთილმეგობრულ ურთიერთობაში არაფერია გასაკვირი, მაგრამ როცა ისინი ამ ურთიერთობას შესწირავენ მამაკაცის სიყვარულს, ეს მართლაც სასწაულია! აი, რა ქნა ამ ორმა მშვენიერმა ქართველმა ქალმა. ამ თვისების გამო ჩემს თვალში ისინი უფრო ღირსეულნი და დაფასებულნი არიან, ვიდრე მთელი ჩემი ჰარამხანა".

სპარსელი ვაჭრის ნაამბობმა დამაინტერესა და გამიორმაგა ამ ორი ქართველი ქალის ნახვის სურვილი. სპარსელმა ვაჭარმა თავისდაუნებურად მომცა ამის საშუალება. ის ისე გამოთვრა, რომ თავის ოთახში დაბრუნება ვეღარ შეძლო და ჩემთან დარჩა. მეორე დღეს კი ვერაფრით გაიხსენა, რატომ იყო აქ და რა მოხდა წინა ღამეს. როცა შეიტყო, ძალიან შეწუხდა, მაგრამ დავამშვიდე და გულთბილად გამოვეთხოვე. გამგზავრებისას კიდევ შევხვდი ქართველ ქალებს, მივუახლოვდი ორივეს, გავუღიმე და შევამკე ქათინაურებით. სპარსელმა ვაჭარმა მთხოვა გადამედო ჩემი გამგზავრება და გაგვეგრძელებინა წინა დღის ლხინი. მის თხოვნას ქართველი მანდილოსნებიც შეუერთდნენ, გულწრფელად მთხოვეს დავრჩენილიყავი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელი იყო. მშვენიერმა ქალებმა ზედმიწევნით დახვეწილი მანერით გამოხატეს თავიანთი სინანული. მე გაოცებით შევყურებდი ამ ორ მშვენიერ არსებას და გონებაში გავატარე მათი ხვედრი, ყოველივე ის, რაც სპარსელმა მიამბო. მიუხედავად იმ საშინელებისა, რომელსაც მონობა ჰქვია, მათ სახეზე კეთილგანწყობისა და სიმშვიდის სხივი შეიმჩნეოდა და მე მივხვდი, რომ მათ თავსდატეხილი უბედურების გადასატანად მეგობრობა და ერთად ყოფნა ამხნევებდა. ისინი იმდენ სითბოს და იმედს აძლევდნენ ერთმანეთს, რამდენიც არ შეეძლო მამაკაცის სიყვარულს მიენიჭებინა.

ამის შემდეგ მე ბევრი ვიმოგზაურე, მაგრამ ამ მშვენიერი ქალების გარდა სხვა ვერავინ და ვერაფერი ვნახე აღსანიშნავი".

ორი ქართველი ქალის ამბავი [110]

მშვენიერი ქართველი ქალები, რომლებიც სპარსელმა ვაჭარმა გამაცნო, წარმოშობით დიდგვაროვანი და მდიდარი ოჯახის შვილები ყოფილან. უფროსს იგზა (Ixa) ერქვა, უმცროსს კი ზუმა (Zuma). იგზას მამა მთელ საქართველოში განთქმული დიდი ბატონიშვილი ყოფილა, დედა, წარჩინებული გვარის ლამაზი და სათნო ქალი, ძალიან ახალგაზრდა გარდაცვლილა. პატარა იგზა მამის ანაბარა დარჩენილა სწორედ იმ დროს, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა დედის მზრუნველობა. მეუღლის დაკარგვით გამოწვეულმა ტკივილმა ახალგაზრდა კაცს სიცოცხლე მოუსწრაფა. იგზა უპატრონოდ დარჩებოდა, რომ არა დედის წინდახედულება. სიკვდილის წინ მას მოუხმია ახლო ნათესავი ქალი, კეთილი და ღირსეული ადამიანი, და უთხოვია აღეზარდა პატარა იგზა საუკეთესო ადამიანური თვისებებით, რომელიც მას სხვებისაგან გამოარჩევდა. ქალს აღუთქვამს, რომ გოგონას აღზრდისათვის არაფერს დაიშურებდა. მამის გარდაცვალების შემდეგ ობოლი იგზა დედობილს თავის სასახლეში გადაუყვანია, სადაც მას პირველად უნახავს ზუმა, რომელიც ამ კეთილი ადამიანის ძმისშვილი იყო.

ვისაც იგზა არ უნახავს, იტყოდა, ზუმაზე ლამაზი ქალი ქვეყნად არავინ არისო. მართლაც რომ გასაოცარია ამ ორი ქართველი ასულის სილამაზე: იგზას ჰქონდა ქათქათა თეთრი კანი და ლურჯი თვალები, რაც იშვიათია შავთმიანი ქალისათვის. ზუმას ფერები, მართალია, ნაკლებად ნათელია, სამაგიეროდ სწორი ნაკვთები, სახის ლამაზი ფორმა და ნაზი იერი მის გარეგნობას განსაკუთრებულ ეშხს ანიჭებს. ამ ორი განსხვავებული სილამაზის ქალში ერთი მსგავსება იყო — ორივეს ერთნაირად სიყვარული. გოგონები მუდამ ერთად ხელსაქმობდნენ ან ერთობოდნენ მზრუნველი დედობილის მეთვალყურეობის ქვეშ და მათ შორის ისეთი მტკიცე, მეგობრული სიყვარული გაჩნდა, რომ მამაკაცისადმი ძლიერმა გრძნობებმაც კი ვერ ჩააქრო.

მათი გათხოვების დრო დადგა და იმ ქვეყნის ყველა წარჩინებული მამაკაცი ამ ლამაზი ქალების გულის მონადირებას ცდილობდა, მაგრამ იგზას და ზუმას არავინ მოსწონდათ, იცინოდნენ და ხარხარებდნენ. გაწბილებულ თაყვანისმცემლებს განსაკუთრებით ზუმას გულცივობა აოცებდათ, რაც სრულებით არ ნიშნავს, რომ ამ მშვენიერ ქალებს მამაკაცისადმი ლტოლვა არ ჰქონიათ, მათი გული სულ სხვა სიყვარულს ელოდა.

იგზას და ზუმას არაჩვეულებრივი მეგობრობა ჰქონდათ, თუ ახალგაზრდა კაცი ერთ-ერთის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას გამოიჩენდა, ეს მათში იოტისოდენა ეჭვს არ აღძრავდა. თუ ვინმეს ამ ორი ქალის დაშორება შეეძლო, ეს ბატონიშვილი სელიმი (Selime) იყო, მოხდენილი ახალგაზრდა ცოცხალი მეტყველი თვალებით, ხშირი თმებით, მეფური მანერებითა და ხელგაშლილობით, რომელმაც იგზა პირველად სასახლის წვეულებაზე ნახა. მასზე მშვენიერი იქ არავინ იყო. სელიმი პირველივე შეხვედრაზე მოიხიბლა მშვენიერი ასულით და გულახდილად გაუმჟღავნა თავისი გრძნობები. იგზასაც მოეწონა კეთილშობილი ახალგაზრდა და ზუმასაგან ფარულად ხვდებოდა მას. ზუმას მათი დამოკიდებულება შეუმჩნეველი არ დარჩენია, მაგრამ ის იმდენად გულუბრყვილო იყო, რომ არც კი დაიჯერა მისი ერთგული იგზა თუ სიყვარულს დაუმალავდა, და ქალ-ვაჟის ურთიერთობა უბრალო ახლობლობით ახსნა.

მეგობარი ქალები მუდამ ერთად სეირნობდნენ, ამდენად სელიმი ძალაუნებურად ორივეს ხვდებოდა და იგზას სიყვარულის დასაფარავად ორივეს მიმართ ერთნაირ ყურადღებას ამჟღავნებდა. ისე ჩანდა, თითქოს სელიმი ორივეს ერთნაირად ეტრფოდა. ზუმა გამოცოცხლდა, ცდილობდა სელიმის ყურადღება მისკენ უფრო მიეზიდა. მალე ასეც მოხდა. ახალგაზრდა კაცი დაიბნა, აღარ იცოდა, რომელ ქალზე შეჩერებულიყო, გული იგზასაკენ, ხოლო გონება ზუმასაკენ მიუწევდა.

მეგობრებმა იგრძნეს, რომ ერთი მამაკაცი შეუყვარდათ და შეწყვიტეს საუბარი სელიმის შესახებ. ისინი გაურ-

ბოდნენ ერთმანეთთან შეხვედრას, კეთილ დედობილს განცდები არ გაუზიარეს. თავდაპირველად თითოეულს სურდა ცალკე გაერკვია თავისი გრძნობები სელიმის მიმართ. მათი განწყობილება კი რეალურად ასეთი იყო: იგზას უფრო ნაკლებად უყვარდა სელიმი, ვიდრე ზუმას, რომელსაც იმდენად გაუძლიერდა გრძნობები, რომ შეშინებული ელოდებოდა, უპასუხებდა თუ არა სელიმი მის მგზნებარე სიყვარულს. იგზას მეტწილად გონება მართავდა, იცოდა, რომ სელიმის ცოლობით სახელსა და სიმდიდრეს მოიხვეჭდა, თუმცა გული მაინც სხვაგვარად უცემდა.

ბევრი ფიქრის შემდეგ შეყვარებული ქალები ერთმანეთისაგან ჩუმად, ცალ-ცალკე შეჰხვდნენ სელიმს და გაუმჟღავნეს თავიანთი გრძნობები. სელიმი ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა, არცერთის დაკარგვა არ ჰსურდა და ღმერთს შეევედრა, მხოლოდ ერთზე გადაეტანინებინა მისი ფიქრი და გონება, მაგრამ ვერა და ვერ შეძლო.

ზუმამ პირველმა დაარღვია დუმილი, უთხრა იგზას, რომ სელიმი შეუყვარდა და, თუ იგზა არ აპირებდა მის ცოლობას, თვითონ ამაზე უარს არ იტყოდა. ამ სიტყვებმა იგზა ძალიან ააღელვა, მაგრამ ზუმას ეს არ შეუმჩნევია, რადგან თვითონ მეტად იყო აღგზნებული. მალე იგზა გონს მოეგო, დაამშვიდა მეგობარი, უთხრა, რომ ის საერთოდ არ ფიქრობდა სელიმზე და ამის შემდეგ მასთან უფრო თავდაჭერილი იქნებოდა. მეგობრობა განახლდა. ისინი შეთანხმდნენ, რომ არჩევანი სელიმისთვის მიენდოთ და ძველებურად გულახდილნი ყოფილიყვნენ ერთმანეთთან. ამგვარად, ვერავინ შეძლებდა მათ დაშორებას.

როგორც ჩანს, გადაწყვეტილების მიღება უფრო იოლი იყო, ვიდრე მისი შესრულება, ისინი სიყვარულისა და ეჭვებისაგან ვერ გათავისუფლდნენ.

დღეები გადიოდა, შეყვარებული ქალების ენებათა-ღელვა არ ცხრებოდა. იგზა ვერ მოერია მოზღვავებულ გრძნობებს, ვერ შეურიგდა სელიმის დაკარგვას და ისევ ზუმას გაენდო: „მრცხვენია, მაგრამ ჩემს მეტოქედ გთელი, ჩემი ბედნიერების გასაღები შენ ხელთაა და მეჩვენება,

რომ სელიმს შენ უფრო უყვარხარ. თუმცა შენი კეთილსინდისიერების მჯერა, მაგრამ მაინც ვშიშობ".

ზუმა მიხვდა, რომ მეგობარი სელიმის სიყვარულს სთხოვდა, წყენა დაფარა და საოცარი სიმშვიდით უთხრა: „მე ძალა არ შემწევს, სიყვარულში ხელი გაგიმართო, არც შენზე გაბრაზება შემიძლია. გპირდები, წინ არ აღვუდგე შენს ინტერესებს, და იცოდე, რომ მე უპირატესობას მეგობრობას ვანიჭებ და არა ვნებებს". ამ სიტყვებით იგზა გონს მოეგო, თავისი სულმოკლეობისა და უნებისყოფობის შერცხვა და განიზრახა სელიმს საერთოდ გარიდებოდა.

სელიმმა ბევრი ფიქრის შემდეგ იგზა აირჩია და ცოლობა შესთავაზა. იგზამ არ უსაყვედურა ვაჟს, ზუმასადმი სიყვარულიც რომ ედო გულში, ცივი ქედმაღლური იერით შეხვდა და მისი მხურვალე წინადადება უპასუხოდ დატოვა. გაწბილებული სელიმი მიხვდა, რომ ქალების ცბიერების მსხვერპლი გახდა. იგზა კი, პირიქით, კმაყოფილი იყო თავის თავზე გამარჯვებით. სჯეროდა, რომ სწორად მოიქცა, რადგან ზუმა იგივე გრძნობებს სწირავდა მეგობრობას.

იგზას მოესურვა ზუმას ნახვა, რათა ეამბნა რა მოხდა და როგორ უნდა მოიქცნენ ამის შემდეგ. ზუმამ ყურადღებით მოუსმინა მეგობარს და თქვა, რომ „მთელს ქვეყანაზე ვერავინ შეძლებდა ამის გაკეთებას, რაღა უნდა დაგვემართოს, რომ უარი ვთქვათ ჩვენს მეგობრობაზე, რომელიც ჩვენთვის ასე ძვირფასი იყო და არის. ამბობენ, ვისაც უყვარს, ის გონიერებას არ ემორჩილება. არ უნდა ავყვეთ სიყვარულს, მან შეიძლება უბედურება მოგვიტანოს".

იგზამ მეგობარს სიტყვა გააწყვეტინა და სცადა გაქცევის აუცილებლობაში მისი დარწმუნება. „წარმოიდგინე, თუ სელიმი შენი იქნება, ვერ შეგიძულებ, თუ მე შემირთო, ვერც შენ დამკარგავ. ჰო და, რა მოხდება ბოლოს? ეჭვები მუდმივად ჩვენში დარჩება, არასოდეს გაქრება და ეჭვებით აღვსილებს რა ურთიერთობა შეგვრჩება? ამიტომ, ჩემო ძვირფასო ზუმა, გავიქცეთ შორს სიყვარულისაგან და თავი შევაფაროთ ჩვენს მეგობრებს".

ამ წინადადებამ ზუმას თავზარი დასცა და ცხარედ ატირდა. თურმე რა ძნელი ყოფილა სიყვარულის უარყოფა! იგზას გული აუჩუყდა, შეეცოდა მეგობარი და ტკბილი სიტყვებით გაამხნევა. გასაოცარია ასეთი თანაგრძნობა! მოვალეობისა და სიყვარულის გრძნობას დამორჩილებულმა ორმა მშვენიერმა ქალმა დიდხანს ღვარა ცრემლები, ბოლოს დამშვიდდნენ და შეურიგდნენ სელიმთან განშორებას.

ამასობაში სელიმმა მეფისაგან ბრძანება მიიღო, სასწრაფოდ გამგზავრებულიყო ქვეყნის საზღვრისპირა პროვინციაში, სადაც მტრის თავდასხმას ვარაუდობდნენ და საომრად ჯარი უნდა მოემზადებინათ. მიუხედავად იგზას ცივი დამოკიდებულებისა, სელიმი ისევ შეეცადა მისი სიყვარულის მოპოვებას. ომში წასვლამდე მან გადაწყვიტა ამ მშვენიერ ქალზე დაქორწინება და იგზას ხელის სათხოვნელად მის დედობილთან მივიდა, რომელიც, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არ იყო, ოღონდ კარგად დაებინავებინა მისი შვილობილი. იგზამ ეს ამბავი სასწრაფოდ ზუმას შეატყობინა, ოღონდ არ გაუმხილა, რომ სელიმისადმი სიყვარული მას ჯერაც არ ჩაქრობია. მაგრამ ზუმამ ეს მის თვალებში ამოიკითხა და იგრძნო, თუ რა ძნელი იყო იგზასათვის ასეთი მსხვერპლის გაღება.

მეგობრები გაპარვის გეგმას აგებდნენ, როცა ზუმა გაიხმეს. სელიმის მსახურმა მას ბატონის წერილი გადასცა. სელიმი ზუმას სწერდა, რომ იგზასადმი მისი სიყვარული ჩაქრა. მისი გული იგზას ქედმაღლობით გაცივდა და ახლა მხოლოდ ზუმაზე ოცნებობდა, რომელსაც სთავაზობდა მშვიდ და ტკბილ ცხოვრებას იმ მხარეში, სადაც მეფის ბრძანებით უნდა გამგზავრებულიყო.

ზუმამ სელიმის მსახური გაუშვა, დაჰპირდა, რომ პასუხს მალე გაუგზავნიდა, ხოლო მეგობარს სელიმის წერილი არ გაუმხილა, იცოდა, რომ ამით მას გულს ატკენდა. მხოლოდ უთხრა: „ნუღარ გადაივდებთ წასვლას, სელიმის სიყვარული მე და შენ უსიამოვნების და წუხილის მეტს არაფერს მოგვიტანს. ვერც კი წარმოიდგენ, როგორი ქარაფშუტა ყოფილა". იგზა მიხვდა, რომ სელი-

მის შესახებ მან რაღაც შეიტყო და დაჟინებით სთხოვა ეამბნა. რაღა უნდა ექნა და დაწვრილებით გააცნო წერილის შინაარსი.

მეგობარმა ქალებმა იმ დღესვე მოაგროვეს აუცილებელი ნივთები და ღამით ფრთხილად, ისე რომ არავის გაეგო, სახლიდან გაიპარნენ. მათ თან ახლდათ ერთი მონა, მოხუცი ქალი, რომელიც, მათი წასვლის ამბავი საიდუმლოდ რომ შეენახა, კარგად დაასაჩუქრეს.

ძალზე სახიფათოა ორი ახალგაზრდა მშვენიერი ქალის მოგზაურობა. მათ ჯერ დაბურული ტყე უნდა გაევლოთ, შემდეგ კიდევ რამდენიმე ლიე, სანამ დედათა მონასტრამდე მიეიდოდნენ. სწორედ იქ აპირებდნენ დაბინავებას. დიდი ხნის სიარულის შემდეგ, როცა თითქმის ტაძრამდე მიაღწიეს, მათ თავს დაესხნენ ავაზაკები. იმ ქვეყანაში ხშირი იყო გატაცების შემთხვევები. ყაჩაღებმა ნახეს, რომ უმშვენიერესი ნადავლი ჩაიგდეს ხელში, და, კმაყოფილებმა, ისინი სპარსეთში წაიყვანეს გასაყიდად. სწორედ იქ ვნახე პირველად ეს ქართველი ქალები და, სიმართლეს გეტყვით, მათზე მშვენიერი ჯერ არავინ მინახავს. მე ისინი თავის მსახურ ქალთან ერთად ვიყიდე, რადგან მივხვდი, რომ ასე უფრო მშვიდად იგრძნობდნენ თავს.

XVIII საუკუნის ფრანგი მოგზაურები საქართველოში

XVIII საუკუნეში მოგზაურული ლიტერატურა უფრო ღრმად შეიჭრა მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორიცაა ისტორია, არქეოლოგია, გეოლოგია, ბიოლოგია, ეკონომიკა, პოლიტიკა და სხვა. ფრანგ მოგზაურთა განათლებისა და გამოცდილების დონე შედარებით ამაღლდა და შესაბამისად მათი ნაწერები მრავალფეროვანი და უფრო საინტერესო გახდა; იქმნებოდა უფრო შინაარსიანი და სანდო პოლიტიკური, რელიგიური, გეოგრაფიული, მეცნიერული თუ მხატვრული ნაწარმოებები, რამაც კიდევ უფრო მეტად გაამდიდრა და გააუმჯობესა მოგზაურული ლიტერატურა.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთში არსებული რთული რელიგიური, ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის შესწავლა საფრანგეთისათვის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენდა, ხოლო სპარსეთის, იმ დროს ძლიერი და მდიდარი ქვეყნის, მიმართ ის განსაკუთრებულ ინტერესსა და სიმპათიას ამჟღავნებდა. ამგვარად, კიდევ უფრო გაიზარდა იმ მოგზაურთა რიცხვი, რომლებიც საკუთარი მისწრაფების გარდა სახელმწიფოს დავალებით წლების მანძილზე მოღვაწეობდნენ სპარსეთში. მათ შორის იყვნენ ცნობილი ფრანგი მოგზაურები: მღვდელი გოდერო (Abbé Gaudereau), იურისტი და არქეოლოგი შარლ დე პეისონელი (Charles de Payssonel), პოლიტიკური მოღვაწე ფერიერ-სოვბეფი (le comte de Ferrieres-Sauveboeuf) და სხვანი, რომლებმაც სპარსეთის გარდა მის მეზობელ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც იმოგზაურეს და შეძლებისდაგვარად გაეცნენ იქ არსებულ უმძიმეს რელიგიურ, პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებას. ისინი, წინა საუკუნეების მოგზაურებისაგან განსხვავებით, ფლობენ უხვ ფაქტობრივ და კონკრეტულ ისტორიულ მასალებს, მკვეთრი შტრიხებითა და ფერებით ასახავენ ჩვენი ქვეყნის სინამდვილეს და უფრო ლაღად, საინტერესოდ გადმოგვცემენ საკუთარ ხედვას იმ პერიოდში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენებისას. ქვემოთ გაგაცნობთ XVIII საუკუნის ფრანგ მოგზაურებს, რომლე-

ბიც მოღვაწეობდნენ ჩვენს ქვეყანაში, და მათ ნაწერებს, სადაც ვრცლადაა განხილული საქართველოსა და ქართველი ხალხის სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური ცხოვრება. წარმოგიდგენთ, აგრეთვე, რამდენიმე ფრანგ მეცნიერს და მათ გამოკვლევებს, რომლებიც, ვფიქრობთ, არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის წარსულის უკეთ წარმოსახვისათვის.

აბე გოდერო (დე ლა ფორეს დე ბურგონ)

მოგზაურულ ლიტერატურაში ეპისტოლურ ჟანრს ჯერ კიდევ რენესანსის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი. მან განვითარების მრავალი საფეხური განვლო, დაიხვეწა, შეიძინა სტილისტური და შინაარსობრივი მრავალფეროვნება. ამ მხრივ საეკლესიო მისიონერებს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით, რადგან მათი წერილები, რომლებიც უშუალობით, ჰუმანურობით და ბუნებრიობით ხასიათდება, თავისებურ ელფერს აძლევს მოგზაურულ ლიტერატურას. საეკლესიო მისიონერთა მიერ აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნიდან გამოგზავნილ წერილებს მკითხველი საზოგადოება დიდი სიამოვნებით ეცნობოდა. ფრანგი საეკლესიო მისიონერის სინიორ აბე გოდეროს იგივე, დე ლა ფორეს დე ბურგონ (Abbé Gaudereau, ou De La Forest de Bourgon) მოგზაურული თხზულება „საფრანგეთში მეგობრისადმი მიწერილი მოთხრობები სპარსეთზე" [111] (1701 წ.) ეპისტოლური ჟანრისაა. აბე გოდერო სწორედ იმ საეკლესიო მისიონერებს მიეკუთვნება, რომლებსაც საფრანგეთის ეკლესია აგზავნიდა აღმოსავლეთის ქვეყნებში რელიგიური ვითარების შესასწავლად. მან ირანში 10 წელი დაჰყო იქაურ ქრისტიანთა შესაწყნარებლად და ნუგეშსაცემად. ღვთისმსახური გოდერო მოღვაწეობდა XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში. აღმოსავლეთის ქვეყნებში ხანგრძლივი ცხოვრებითა და იქაურ ქრისტიანთა ტანჯვა-წამებით გადაღლილი ღვთისმსახურისათვის პარიზში მეგობრისადმი წერილების გაგზავნა ერთადერთი ძაფი იყო, რომელიც მას თავის ქვეყანასთან

აკავშირებდა. მეგობრის დუმილის მიუხედავად, მას მაინც არ ემეტებოდა ამ ცალმხრივი კავშირის გაწყვეტა: „მრავალი წერილის გამოგზავნის შემდეგ თქვენგან პასუხად ერთი სიტყვაც არ მიმიღია, მაგრამ მე მაინც მივცემ თავს უფლებას და დავარღვევ თქვენს დუმილს, რადგან არ მსურს ხელიდან გაუშვა უცხო ქვეყნებზე შექმნილი შთაბეჭდილებების გამჟღავნების სიამოვნება... მინდა მოგწეროთ ცოტა რამ ქრისტიანთა ცხოვრების შესახებ იმ უზარმაზარ ქვეყნებში, სადაც განგებამ სამუშაოდ მომავლინა. მე, როგორც ბაბილონის ეპისკოპოსის სამოციქულო მისიონერი, მევალება ვაწარმოო კერძო მიწერ-მოწერა აქ მცხოვრებ ქრისტიანებთან...“

როგორც ჩანს, ავტორს შეუკრებია ბევრი საინტერესო ამბავი, რომელსაც წერილების სახით სთავაზობს თავის მეგობარს. იგი თხრობას იწყებს მესოპოტამიასა (Mesopotamie) და ქალდეასადმი (Chaldée) მიძღვნილი წერილით, სადაც მან ერთი წელი დაჰყო. მომდევნო წერილები ეთმობა არაბებს, სომხებს, თათრებს, ქართველებს და ა.შ. სინიორ აბე გოდეროს თხზულების ხელნაწერი სრული სახით დაცულია პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. ხელნაწერის დასაწყისში, სათაურშივე, მითითებულია ავტორი და თარიღი: „Relation de Perse écrite à un amy en France par Sen.L'Abbé Gaudereau, missionaire en Perse“, 1701 წ. ავტორმა ერთ-ერთი წერილი საქართველოსაც დაუთმო.

1702 წელს პარიზში გამოქვეყნდა ფრანგი ღვთისმსახურისა და მოგზაურის დე ლა ფორეს დე ბურგონის მიერ შედგენილი წიგნი: „სპარსეთის აღწერა, აღმოსავლეთის ყველაზე ვრცელ ნაწილში რელიგიის მდგომარეობის შესახებ“ [112]. წიგნში აბატ გოდეროს და სხვა უცნობ მისიონერთა რამდენიმე თხზულებაა მოთავსებული. შესავალში დე ლა ფორეს დე ბურგონი მოკლედ აცნობს მკითხველს წიგნის გამოქვეყნების ისტორიას: „მის უწმინდესობას აგატოფალიის ეპისკოპოსს (l'Evêque d'Agathople) კარგად მოეხსენებოდა გეოგრაფიისა და ისტორიისადმი ჩემი ცხოველი ინტერესი და სამოგზაუროდ წასვლამდე

რამდენიმე თვით ადრე გადმომცა ამ საუკუნის დასაწყისში სპარსეთში წარგზავნილ საეკლესიო მისიონერთა წერილები... ჯერ ჩემთვის გადავინახე, არ მინდოდა გამევრცელებინა, მაგრამ წაკითხვისას წავაწყდი მრავალ საინტერესო მოსაზრებას სამ მთავარ სქიზმისა, კერძო სექტების, დოგმებისა და პოლიტიკის შესახებ, აგრეთვე, ძალზე უცნაურ თავგადასავლებს, და საჭიროდ მივიჩნიე ყოველივე ეს გამეცნო მეგობრებისათვის, მკითხველი საზოგადოებისათვის".

ამგვარად, არსებობს აბე გოდეროს თხზულების ხელნაწერი და ნაბეჭდი ტექსტი. მათი შედარებისას გაირკვა, რომ დე ლა ფორეს დე ბურგონის მიერ გამოქვეყნებულ კრებულში მოთავსებული რამდენიმე წერილი საქართველოს შესახებ (გვ. 41), რომელთა ავტორი არ არის მითითებული, ტექსტი სიტყვა-სიტყვით ემთხვევა პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულ ტექსტს საქართველოს შესახებ (გვ. 29), რომლის ავტორი არის ფრანგი მოგზაური, რელიგიური მისიონერი სენიორ აბე გოდერო.

გთავაზობთ გოდეროს ხელნაწერთა იმ ნაწილის ჩვენეულ თარგმანს, რომელიც საქართველოს ეხება. ტექსტი ქვეყნდება პირველად და, ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება.

„სპარსეთის ქრისტიანთა შორის ქართველებს ყველაზე ნაყოფიერი მიწები უჭირავთ. ისინი სომხების მსგავსად არ არიან გაბნეულნი ამ უდიდესი სახელმწიფოს სხვადასხვა პროვინციებში, სადაც სპარსელები დიდად ვერ ავრცელებენ თავიანთ გავლენას. განსაკუთრებით კი სპარსელები თავიანთ გავლენას ვერ ავრცელებენ საქართველოში. თუმცა, აგერ უკვე ერთი საუკუნეა, რაც სეფი (იგულისხმება სეფევიდების დინასტია. მ.ი.) ამ ქვეყნის ბატონია, მაგრამ მან აქამდე ვერ გაბედა თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, მეჩეთის აგება. ქართველებმა ქრისტიანობა მიიღეს III საუკუნის ბოლოს წმინდა ნინოსა და წმინდა მარიამის კურთხევით. წმინდა ქალწულებმა ლოცვითა და

ვედრებით განწმინდეს და სარწმუნოებრივად გარდაქმნეს ქართველი მეფე, რის შესახებ მაშინვე აცნობეს წმინდა გრიგოლ განმანათლებელს, რომელმაც მეფისა და მისი კარის მირონცხებისათვის წარგზავნა მათთან ეპისკოპოსი და მღვდლები. ქრისტეს რჯულის აღიარების შემდეგ პაპმა სილვესტრმა სასულიერო იურისდიქციით საქართველო დაუქვემდებარა წმინდა გრიგოლ ნაძიანძელსა და მის მიმდევართ მანამ, სანამ კონსტანტინოპოლის პატრიარქები ქართველებსა და აღმოსავლეთის სხვა ხალხებს ჩაითრევდნენ რომის პაპის წინააღმდეგ ამბოხებაში და აზიარებდნენ ბერძნების მცდარ წეს-ჩვეულებებს, თუმცა ისინი მთლად არ აჰყვნენ ამ უკანასკნელთ დასავლეთის საეკლესიო საზოგადოებისადმი სიძულვილში. ქართველები აზიის ჭეშმარიტი ქრისტიანები არიან და სხვებზე მეტად აფასებენ იურისდიქციას, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ნესტორიანელთა შემდეგ ისეთი გაუნათლებელი სქიზმატიკოსი, როგორიც ქართველთა უმრავლესობაა, საერთოდ არ მინახავს. მათ ღვინის სმისა და ღორის ხორცით კვების გარდა არავითარი საერთო არ აქვთ ქრისტიანებთან და სჯერათ, რომ მაჰმადიანიც კი გაქრისტიანდება, თუ ის ღვინოს ან ღორის ხორცს მიეტანება. ნათლობის დროს მათი მღვდლები, რომლებსაც არავინ უსმენს, იფარგლებიან მხოლოდ რამდენიმე ფრაზის წაკითხვით, რომლის დროსაც ისინი ხშირ-ხშირად სვამენ ბავშვს წყლიან ემბაზში. მაღალი წოდების პირთა განბანა ხდება ღვინით. ეს რიტუალი ძალზე ფეხმოკიდებულია მათთან. თუკი რაიმე ფათერაკი შეემთხვათ, თავის დასახსნელად მათ გათურქებაც არ გაუჭირდებათ და როცა საშიშროება აღარ ელით, ხელახლა ინათლებიან, რათა რაც შეიძლება მალე აღმოფხვრან მაჰმადიანური სარწმუნოების კვალი. ამგვარი უმეცრება არა მარტო მდაბიოთა ფენაშია გავრცელებული - ამჟამინდელი მეფისნაცვალი ირაკლიუსი განუდგა ქრისტიანულ სარწმენოებას, რომლის სანაცვლოდ მან დაიბრუნა წოდება, მდგომარეობა და ურწმუნოთა მსგავსად, აღავსო ცოლებითა და საყვარლებით თავისი სასახლე, თუმცა არ აკლდება არცერთ წირვასა და

ქრისტიანულ დღესასწაულს. მიუხედავად მათი ქმედების ევანგელეს არსთან ძალზე ცოტა მსგავსებისა (დაპირისპირება რომ არა ვთქვათ), ამ ერის სასარგებლოდ შეიძლება აღინიშნოს, რომ იმ ბედნიერმა ნაწილმა, რომელმაც შეიცნო და იწამა ჭეშმარიტება, იმთავითვე გაიაზრა, რომ ემსახუროს მხოლოდ ორ უფალს და სარწმუნოებისათვის ის უყოყმანოდ გაწირავს თანამდებობას და ყოველივე სიკეთეს, რაც კი გააჩნია.

მე მქონდა ბედნიერება გამეცნო და ისპაჰანის ტყვეობიდან დამეხსნა მრავალი წამებული ქართველი, მათ შორის წარჩინებული პირიც. უფრო მეტიც, არაერთხელ მქონია პატივი მენახა და მესაუბრა საქართველოს სამეფო გვარის პიროვნებებთან, რომელთა შორის განსაკუთრებით თვალსაჩინოა ლეონ მირზა (Léon-Mirza), ქართველთა აჯანყების სულისჩამდგმელისა და მეთაურის გურგენ ხანის (Gourguincan) ძმა. მან მტკიცე უარი განაცხადა მაჰმადიანური სარწმუნოების მიღებაზე, რის გამოც სპარსეთის მეფის ბრძანებით ის შეპყრობილ იქნა ციხე-სიმაგრეში, სადაც მოლების გარდა ვერავის ხვდებოდა. იქ მან ათი წელი დაჰყო. ერთ-ერთი წამების შემდეგ სეფიმ მოიხმო თავადი სასახლეში და განცვიფრებული დარჩა, რადგან ის ამჯერად უფრო მტკიცე და ურყევი იყო, ვიდრე ოდესმე. მაშინ ხელმწიფემ გადაწყვიტა ცბიერებით აღესრულებინა ის, რაც ძალით ვერ შეძლო - მან მიიწვია თავადი ლეონ მირზა მეჯლისზე და დაათრო, გონდაკარგული მიიყვანეს მაჰმადიანური ადათის აღმსრულებელთან, დააწვინეს მაგიდაზე და წინადაცვითეს. გამოფხიზლებულმა თავადმა შეამჩნია თუ არა მაჰმადიანობის დაღი თავის სხეულზე, თავზარი დაეცა და მძიმე განცდებით რამდენიმე თვეში გარდაიცვალა.

საქართველოს უკანასკნელმა დედოფალმა ელენემ (Heleine), თბილისის მეფისნაცვლის ირაკლიუსის (Iraclius) დედამ, ქრისტიანული სარწმუნოებისათვის არანაკლები სიმამაცე და სიმტკიცე გამოიჩინა: ხანგრძლივი, დამანგრეველი ომისა და მრავალი ჭირ-ვარამის შემდეგ, ცარის (Sczar) ჩარევით საქართველოში თითქოს სიტუაცია დამ-

შეიდდა. ეს ქვეყანა შედგება გურჯისტანის, სამეგრელოს, აფხაზეთის, ჩერქეზეთის, კომანიისაგან (Comanie). იგი მთლიანად დაპყრობილია სპარსეთის მეფის მიერ, რომელიც არის გურჯისტანის ბატონ-პატრონი 1639 წლიდან. დედოფალი თავის ვაჟთან ერთად სპარსეთის ხელმწიფის კარს აახლეს. მეფე სოლეიმანი (Soliman) ხან დაყვავებით, ხან კი მუქარით აიძულებდა დედოფალს განდგომოდა იესო ქრისტეს. როცა ვერაფერს გახდა, განრისხებულმა ხანჯალი იშიშვლა. დედოფალმა, რომელიც მუდამ გულგრილი იყო ურწმუნოს მიერ შემოთავაზებული მოგობრობისა და მტრობისადმი, აღმართა მის წინაშე მკერდი და შეაგულიანა კიდეც: „დამკარით ხელმწიფევ, თორემ თქვენი ბრწყინვალებისათვის უღირსი საქციელი იქნებოდა ხანჯლის ამაოდ გაშიშვლება".

მე პირადად ვესაუბრე მის კეთილშობილებას, შევთავაზე კიდეც ქართველი კათოლიკეების სამსახური, რომლებთანაც წერილობითი კავშირი მქონდა. ღრმადმორწმუნე დედოფალი უდიდეს სიამოვნებას ამჟღავნებდა, როცა შეიტყობდა თურქებზე ქრისტიანი მეფეების გამარჯვების შესახებ. როგორც კი პაპის სახელს წარმოვთქვამდი, იგი მუხლმოდრეკილი გამოხატავდა მოწიწებას წმინდა პეტრეს მიმდევრებისადმი. ხუთი წელია, რაც ეს ბრწყინვალე დედოფალი გარდაიცვალა ისპაჰანში, 90 წლის ასაკში. აქედან 50 წლის მანძილზე იგი მედგრად იცავდა თავის სარწმუნოებას და ისეთი სიმკაცრით იზღუდავდა საკვებს, რომ რძესა და თევზსაც კი პირს არ აკარებდა.

ქართველი აღმოსავლეთში ყველაზე გულადი ვაჟკაცია. სეფის ძალიან შეეშინდებოდა ქართველების, რომ არა მისი ცბიერი პოლიტიკა - მან შეიმუშავა ორი ხერხი, რათა თანდათანობით და შეუმჩნეველად გაენადგურებინა ისინი.

პირველი — საქართველოს სამეფო კარის ორ შტოდ გაყოფა და მათი ურთიერთწაქეზება. მას კარგად მოეხსენებოდა, თუ როგორ ჩამოეგდო ურთიერთშორისი შუღლი და მტრობა: ჯერ ერთმანეთს წაჰკიდებდა, მერე ორივეს დააშოშმინებდა, შემდეგ ხან ერთს სწყალობდა განსაკუთრებულად, ხან ორივეს ერთდროულად. მისი აზრით, ქარ-

თველები მუდმივად ამით უნდა ყოფილიყვნენ დაკავებულნი, რომ არაქათგამოცლილებს აზრადაც არ მოსვლოდათ გაერთიანებულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. მათ ერთმანეთისადმი შურისა და შუღლისათვის უნდა შეეწირათ თავისი ერის დარჩენილი სისხლი და ძალა.

მეორე – ორივე სქესის მცირეწლოვანი ქართველი ბავშვების 2 წლის ასაკიდან გატაცება. ქართველებს მსოფლიოში საუკეთესო სისხლის მქონე სახელი აქვთ, რაც ბევრს უბიძგებს ძალმომრეობისაკენ – არა მხოლოდ თურქი და სპარსი, არამედ თათრები და ინდოელებიც კი ყიდულობდნენ საქართველოში მონებს. ვინ შეიძლება წარმოიდგინოს ამაზე საშინელი სურათი: დილიჟანსით მიმავალთ ხშირად დაუნახავთ საქართველოს ტყეებსა და მთებში მიმოფანტული ბავშვთა გვამები. აუწერელია ბარბაროსობა, რასაც მათ მიმართ სჩადიან - დედის მკერდიდან გლეჯენ ბავშვებს. განუზომელია მათი მწუხარება და სასოწარკვეთილება. ყველაზე სასტიკი სინამდვილე გახლავთ ის, რომ თვით მშობლები ზოგჯერ იძულებულნი არიან თავისი ნებით ან იძულებით დაკარგონ ყველაზე ლამაზი შვილი. არის შემთხვევები, რომ თვითონ მიმართავენ უცხოელებს საკუთარი შვილის, სისხლისა და ხორცის გასაყიდად და ამისათვის მათ მცირე გასამრჯელოც კი აკმაყოფილებთ.

ჯერ-ჯერობით სულ ესაა, ბატონებო, რისი მოწერის დროც გამიჩნდა. პირველივე შემთხვევაში ვეცდები მოგაწოდოთ სხვა უცხო ამბები, რომელმაც, შესაძლოა, კიდევ მეტად მიიპყროს თქვენი მაღალი ყურადღება“.

შარლ დე პეისონელი

შარლ დე პეისონელის (Charles de Payssonel) თხზულება „სპარსეთისა და საქართველოს ახლანდელი მდგომარეობა“ (Essai sur les troubles actuels de Perse et de Géorgie) ფრანგული ესეს ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია. მოგზაური თვითმხილველის საკმაოდ დაკვირვებული თვალით აღწერს საქართველოს სინამდვილეს. მისი ინტერესი ქვეყნის წარ-

სულსაც სწვდება. ამ შემთხვევაში ავტორი უხვად იყენებს სხვა მეცნიერთა თუ მოგზაურთა გამოკვლევებს. ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოგზაურული მასალებისა და საკუთარი დაკვირვებების მეშვეობით ცდილობს საშუალება მისცეს მკითხველს წარმოიდგინოს 1747-1753 წლების საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების მეტნაკლებად სრული სურათი.

შარლ დე პეისონელი [113] – ფრანგი დიდგვაროვანი იურისტი, არქეოლოგი, პოლიტიკური მოღვაწე, მოგზაური - დაიბადა მარსელში 1700 წლის 17 დეკემბერს. 23 წლის ასაკში მას უკვე ჰქონდა იურიდიული განათლება და ადვოკატად მუშაობდა მშობლიურ მარსელში, სადაც თავს იყრიდნენ მოგზაურები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. ახალგაზრდა პეისონელი ხედავდა, რომ მრავალი მოგზაური დიდი განცდებით ტოვებდა მარსელს და ბრუნდებოდა შთაბეჭდილებით აღსავსე. მისი ამგვარი ცნობისმოყვარეობა მოგზაურობისადმი გატაცებით დასრულდა. მან გადაწყვიტა მსოფლიოს, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქვეყნების გეოგრაფიის, ისტორიის, არქეოლოგიის შესწავლა, მეცნიერთა გამოკვლევების, მოგზაურთა დაკვირვებებისა და შთაბეჭდილებების გაცნობა. დე პეისონელისათვის მალე ცხადი გახდა, რომ მოგზაურობა აუცილებელი იყო მისი, როგორც შორეული ქვეყნების მკვლევრის, სულიერი და ინტელექტუალური სრულყოფისათვის. თუმცა კარგად მოეხსენებოდა, რომ ამ გადაწყვეტილებას წინ მრავალი დაბრკოლება ელოდა, მათ შორის, აღმოსავლეთის ქვეყნების არამყარი და სახიფათო სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა, მეფისა და ეკლესიის ნდობის დამსახურება, მოგზაურობის უფლების მოპოვება და სხვ.

საბედნიეროდ, შარლ დე პეისონელის განათლება და მოღვაწეობა ისტორიისა და არქეოლოგიის დარგში შეუმჩნეველი არ დარჩა საფრანგეთის მეფეს ლუი XV-ს (Louis XV), რომლის დაფინანსებით და სასულიერო პირთა თანხმობით 1735 წელს ის კონსტანტინოპოლს მიაელინეს, სადაც ამ პერიოდში საფრანგეთის ელჩად ცნობილი დიპლომატი და მოგზაური მარკიზ დე ვილნევი (le marquis de

villeneuve) მოღვაწეობდა. შარლ დე პეისონელი დაინიშნა მის მდივნად და წლების მანძილზე მასთან ერთად მოგზაურობდა და იკვლევდა სხვადასხვა ქალაქებს, მდინარეებს, სრუტეებს, მცირე აზიის ქვეყნების მხარეებს, განსაკუთრებული სიფრთხილით ეცნობოდა მოსახლეობას, მის ყოფას, რადგან აშინებდა ფანატიზმი, რომლითაც მოცული იყო აღმოსავლეთის ქვეყნების მოსახლეობის გარკვეული ფენა. თავისი გონიერებისა და მოხერხების წყალობით მან არაერთხელ დააღწია თავი რთულ სიტუაციას.

გარდა დიდი გატაცებისა, რამაც შარლ დე პეისონელი მოგზაურად აქცია, მას ჰქონდა მოვალეობა მეფისა და ქვეყნის წინაშე – მოეკვლია ის სიძველენი, ძვირფასი და იშვიათი ქვები, რითაც ასე მდიდარი იყო აზიის ქვეყნები.


პირველი მოგზაურობის შემდეგ 1747 წელს შარლ დე პეისონელმა მეფეს ლუი XV-ს მიართვა უცხო მხარეში მოპოვებული ძვირფასი ქვები, ანტიკვარული ნივთები, მარმარილო, კალცედონი და სხვა იშვიათი მინერალები. მოგზაურის შედეგებით კმაყოფილმა მეფემ ამჯერად იგი სმირნის (Smyrne) საკონსულოში მიავლინა სამუშაოდ და მისიას პოლიტიკური დატვირთვაც დაუმატა.

აღმოსავლეთის ქვეყნების ღრმა მეცნიერული ცოდნის და ზომიერი პოლიტიკური ორიენტაციის გამო შარლ დე პეისონელმა სპარსეთის სამეფო კარის დიდი აღიარება დაიმსახურა. ის ათი წლის მანძილზე მოღვაწეობდა სმირნაში დაძაბულ, საშიშ ვითარებაში. ცხოვრების ამგვარ პირობებს მან დიდხანს ვერ გაუძლო და 1757 წლის 16 მაისს იქვე გარდაიცვალა. ადგილობრივმა მთავრობამ სახალხო გლოვა გამოაცხადა საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლის, სპარსეთის დიდი მეგობრისა და დამფასებლის გარდაცვალების გამო და იგი განსაკუთრებული პატივით დაკრძალეს სმირნაში.

შარლ დე პეისონელის თხზულებები [114] – წერილები კონსტანტინოპოლზე ("Plusieurs lettres sur Constantinople"), დისერტაცია ბოსფორის მეფეებზე, მოთხრობები აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობაზე ("Relations de ses voyages au


TABLEAU

Pour l'intelligence de la ſucceſſion des Princes de CAKET.



TABLEAU

Pour l'intelligence de la succeſſion des Princes de CARDUEL.



Levant"), ესე სპარსეთისა და საქართველოს შესახებ იბეჭდებოდა საფრანგეთში სხვადასხვა კრებულებში და ცალკე წიგნადაც. მისი გამოუქვეყნებელი შრომების ნაწილი ხელნაწერის სახით ინახება პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა დეპარტამენტში.

საუკუნეების მანძილზე მოგზაურის ყოველ წერილს უცხო ქვეყნებიდან ადგილობრივი ცენზურის შემდეგ შეეძლო გადაელახა ქვეყნის საზღვრები. მიუხედავად გარკვეული დაბრკოლებებისა, რომელსაც ამ მხრივ თურქეთისა და სპარსეთის მთავრობები უქმნიდა შარლ დე პეისონელს, ის მაინც გაცილებით მეტი ინფორმაციის გადმოგზავნას ახერხებდა, ვიდრე მისი თანამედროვე ფრანგი მოგზაურები.

წინა საუკუნეებიდან XVIII საუკუნის ჩათელით აღმოსავლეთის ქვეყნებში მოღვაწე არც ერთი ფრანგი მოგზაური ასე ვრცლად არ შეჰხებია საქართველოს, როგორც შარლ დე პეისონელი თავის ესეში „სპარსეთისა და საქართველოს ახლანდელი მღელვარება" [115]. შარლ დე პეისონელის გარდაცვალების შემდეგ მისმა ვაჟმა, შარლ დე პეისონელმა (Charles de Payssonel) აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურმა და მკვლევარმა მამის ხელნაწერი წარუდგინა საფრანგეთის აკადემიას, რომელმაც იგი ღირსშესანიშნავ ნაწარმოებად მიიჩნია და უზრუნველყო მისი გამოქვეყნება პარიზში 1754 წელს. სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტთა გამოხმაურების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოებმა დიდი ინტერესი გამოიწვია ფართო საზოგადოებაში. თვით ავტორი თავისი ესეს „სპარსეთისა და საქართველოს ახლანდელი მღელვარების" შესახებ აღნიშნავს, რომ ეს თხზულება აუცილებელი და დროულია იმათთვის, ვინც დაინტერესებულია აღმოსავლეთის წინათ დიადი სახელმწიფოს – სპარსეთისა – და მასში შემავალი ქვეყნის – საქართველოს – ახლანდელი მდგომარეობით. შარლ დე პეისონელი ნაწარმოების წინასიტყვაობაში მკითხველს უზიარებს თავის განზრახვას, ნაწარმოების მიზანსა და მნიშვნელობას – „ამ თხზულებით მინდა გავუწიო კეთილი სამსახური მკითხველ საზოგადოებას –

მივაწოდო ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რა ხდება რეალურად საქართველოში და ავარიდო იმ მცდარ მოსაზრებებს, რასაც ჟურნალ-გაზეთები სთავაზობენ მას აგერ უკვე რამდენი ხანია. თხზულებაში წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა შემოწმებას არ საჭიროებს, რადგან მე ვეყრდნობი ამ სფეროში მოღვაწე ავტორიტეტულ პიროვნებებს, რომელთა მოსაზრებები არავითარ ეჭვს არ იწვევს. და თუ მკითხველი მაინც გამოთქვამს თავის უნდობლობას ისტორიის ამ მონაკვეთისადმი, შემიძლია ეუპასუხო, რომ ამ ნაწარმოების წერის დროს ვცხოვრობდი იმ ქალაქში, რომელსაც ყველაზე მეტად აქვს შეხება სპარსეთსა და საქართველოსთან. ამავე დროს, მე თვითონ მქონდა მჭიდრო ურთიერთობა ვაჭრებთან და თურქეთის დიდ სინიორებთან, რომლებიც სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი ამ ორი ქვეყნის შესახებ. აგრეთვე ვსარგებლობ იმ პირთა მემუარებით, რომლებსაც უწყვეტი მიმოწერა აქვთ რელიგიურ მისიონერებთან და, ბოლოს, სხვა რომ არა იყოს რა, მოხმობილი მაქვს ისეთი ფაქტები, რომლებიც ჩემს თვალწინ ხდებოდა. აქ არსებული ვითარების რეალურად წარმოდგენისათვის არ მეგონა, რომ აუცილებელი გახდებოდა ასე ღრმად ჩახედვა საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც ამ ბრძოლების ნამდვილ თეატრს წარმოადგენს.

„მრავალ მკვლევარსა და მოგზაურს დაუწერია ქართველი მეფეების შესახებ, მაგრამ მათი წარმომავლობა აქამდე მაინც უცნობი იყო. ჩემს ესეში თქვენ დეტალურად გაეცნობით შაჰ-ნავაზის, თეიმურაზის, ერეკლესა და სხვა მეფეთა და მთავართა ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომელიც, შემიძლია ვთქვა, ამ პატარა თხზულების ყველაზე დიდი ღირსებაა".

გთავაზობთ შარლ დე პეისონელის ესეს „სპარსეთისა და საქართველოს ახლანდელი მდგომარეობის" პირველ ქართულ თარგმანს ფრანგული ენიდან. იგი ზედმიწევნით მისდევს ორიგინალის ტექსტს, შეძლებისდაგვარად შენარჩუნებულია ავტორის სტილი. არ გვიცდია შეგვესწორებინა მოგზაურის მიერ დაშვებული ზოგიერთი ისტორიულ-ეთ-

ნოგრაფიული უზუსტობანი და შეცდომები პირთა საკუთარი სახელების და გეოგრაფიული ადგილების დასახელებების და დახასიათების დროს. კიდევ უფრო მტკიცდება აზრი, რომ შარლ დე პეისონელის ამ თხზულებაში – ისევე, როგორც სხვა ფრანგ მოგზაურთა შთაბეჭდილებებში – ისტორიული მოვლენები აქ წარმოდგენილ აღწერას მთლიანად ვერ დაეყრდნობა ჩვენი ქვეყნის ამ პერიოდის შესწავლით დაინტერესებული პირი.

თარგმნისას სავსებით დავემორჩილეთ ორიგინალს იმ მიზნითაც, რომ ქართული ტექსტის გაცნობისას მკითხველს ეგრძნო მოგზაურის, ავტორის ინტელექტუალური დონე, მისი ინტერესი, განწყობა და მწერლური უნარი.

ესე სპარსეთისა და საქართველოს ახლანდელი მღელვარების შესახებ. საქართველოს გეოგრაფიული დაყოფა

დიდი ხნის წინათ საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის მდებარე ქვეყანა: ჩრდილოეთით – კაფამდე (Caffa), სამხრეთით – ტაურისამდე (Tauris) და დასავლეთით – არზრუმამდე (Erzerom). ქართველები მიიჩნევენ, რომ ისინი ბიბლიური დავითის შთამომავალნი არიან. ეს ვრცელი ქვეყანა მრავალგზის იყო დაპყრობილი თათრების, თურქების და სპარსელების მიერ, რომლებთანაც ქართველებს მუდამ უთანასწორო და სასტიკი ბრძოლები ჰქონდათ.

წინათ ქართველების ერთ-ერთ მეფეს თავისი შვილებისათვის გაუნაწილებია ეს ძლიერი, ერთიანი სამეფო. ამ დაყოფას ისე დაუსუსტებია ქვეყანა, რომ თურქთა და სპარსთა შემოსევებს ვეღარ უმკლავდებოდა. უფლისწულები დაეუფლნენ ქვეყნის საუკეთესო ნაწილს და გახდნენ თავიანთი კუთხის მმართველნი სრული უფლებამოსილებით. ყოველივე ამის გამო, დროთა განმავლობაში ზოგიერთი მათგანი ინარჩუნებდა ძალაუფლებას, ზოგი სხვა სახელმწიფოს მოხარკე ხდებოდა და ძლიერი მეზობლის უღელქვეშ აღმოჩნდებოდა ხოლმე. ამგვარად, დაყოფილი

და დანაწილებული საქართველო ხან ერთმანეთის, ხან კი გაერთიანებული, საერთო მტრის წინააღმდეგ იბრძოდა.

ამჟამად საქართველოს ერთი ნაწილი უპყრიათ თურქებს, ხოლო მეორე ნაწილი — სპარსელებს. ქართველებს კი დიდმა ხელმწიფეებმა თავისივე მხარის მეფისნაცვლობა მიანდეს.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველო დღეს გაყოფილია თურქეთსა და სპარსეთს შორის და შემოსაზღვრულია ჩრდილოეთით — ჩერქეზეთითა და კავკასიით; აღმოსავლეთით — ლეკებით, დაღესტანითა და შირვანით (Shirvan); დასავლეთით - შავი ზღვით, სამხრეთით კი სომხეთით.

თურქეთის საქართველოში შედის იმერეთის სამეფო, სამეგრელოსა და გურიის სამთავროები. მისი ციხე-ქალაქი ახალციხეა, რომელიც დიდმა ხელმწიფემ ფაშას ჩააბარა და ამ კუთხის მოსახლეობა მის მორჩილებაში შეიყვანა. თურქეთის საქართველოს ჩრდილოეთით ესაზღვრება ალანები (les Alanes), კავკასია; აღმოსავლეთით — ქართლის სამეფო; სამხრეთით — თურქეთის სომხეთი და დასავლეთით — შავი ზღვა.

სპარსეთის საქართველო შეიცავს ქართლისა და კახეთის სამეფოებს. მას ესაზღვრება: ჩრდილოეთით — შავი ჩერქეზეთი (Circasse noirs) და ყაბარდო (Cabartes); აღმოსავლეთით — დღესტანი, დასახლებული ლეკებითა (Lesguis) და ყომუხებით (Comouks) და შირვანი, რომელიც მოიცავს დერბენდისა და შემახეს საგამგებლოს; სამხრეთით — თურქეთში შემავალი სომხეთი; ხოლო დასავლეთით — იმერეთის სამეფო.

ქართველები თითქმის ყველა ქრისტიანია. ისინი აღიარებენ რელიგიას, რომელშიაც არეულია ყველა სარწმუნოების წეს-ჩვეულება. მათმა უვიცობამ და ცრუმორწმუნეობამ იმდენად შეცვალა ქრისტიანული რელიგიის სახე, რომ ზოგჯერ შეუძლებელიც ხდება მისი ამოცნობა. საქართველოს ყველა კუთხეში მივლინებული საუკეთესო მისიონერები და მოციქულები ბეჯითად იღვწიან, რათა ქრისტიანულ რელიგიას დაუბრუნონ თავისი სიწმინდე და პირველსახე. ქართველები ხან ეზიარებიან და ხან განუდ-

გებიან მაჰმადიანურ სარწმუნოებას, იმის მიხედვით, თუ რას მოითხოვს დრო და ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა.

ბევრი საინტერესო წიგნი არსებობს ამ ქვეყნის რელიგიაზე, რაც მათავისუფლებს უკვე კარგად ცნობილის განმეორებისაგან. მე მხოლოდ ისტორიის მიმოხილვით შემოვიფარგლები, თანაც ისე, რომ არ ჩავიკარგო წინა საუკუნეების წყვდიადში; აგრეთვე, მოვკრებ მასალებს მოგზაურებისაგან, ისტორიკოსებისაგან, რომლებიც ამ მხრივ ნდობას იმსახურებენ და დავუმატებ ჩემს მიერ მოპოვებულ ინფორმაციებს ქართველი ხალხის, მისი მეფეების წარმომავლობის შესახებ.

XVI-XVII საუკუნეებიდან საქართველო დაყოფილი იყო სამეფოებად, ცალკეულს თავისი მეფე მართავდა, მთლიანად კი დიდი სახელმწიფოების, სპარსეთისა და თურქეთის მოხარკე იყო.

საერთოდ, საქართველო ხუთი ძირითადი მხარისაგან შედგება: თურქეთის საქართველოში შედის: იმერეთის სამეფო, სამეგრელოსა და გურიის სამთავროები; სპარსეთის საქართველოში – კახეთისა და ქართლის სამეფოები.

ქართველი მეფეები ურთიერთკავშირში არიან, მაგრამ ეს კავშირი ხშირად ირღვევა და იმართება ძმათაშორისი დაუნდობელი ბრძოლები, შინაომები. სპარსელები და თურქები თითქმის ყოველთვის ერევიან მათ უთანხმოებაში; ეხმარებიან ერთს მეორის დამარცხებაში, ცდილობენ ერთის აღზევებას და მეორის დაკნინებას იმის მიხედვით, თუ რომელი მხარე მეტად აკმაყოფილებს მათ ინტერესებს.

თავდაპირველად გიამბობთ იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს, შემდეგ კახეთისა და ქართლის შესახებ. თქვენ შეიტყობთ საინტერესო ამბებს საქართველოს ამ მხარეებზე და მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე.

სამეგრელოს სამთავრო

სამეგრელო თურქეთის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. მას ჩრდილოეთით ესაზღვრება ალანები და კავკასია, აღმოსავლეთით - იმერეთის სამეფო, სამხრეთით – გურიის სამთავრო და დასავლეთით – აბასები (ალბათ აფხაზები მ.ი.) და შავი ზღვა. საქართველოს ეს მხარე წინათ ძალზე მჭიდროდ იყო დასახლებული, რასაც, სამწუხაროდ, დღეს ვერ ვიტყვით. მეზობელ ქვეყნებთან ხანგრძლივი ომების შედეგად იგი უკიდურესად დასუსტდა. სამეგრელოს მცხოვრებნი ქრისტიანები არიან. ისინი ოდესღაც ემორჩილებოდნენ იმერეთის სამეფოს, მაგრამ მისი ერთ-ერთი მთავარი აჯანყებულა იმერეთის მეფის წინააღმდეგ, მოუპოვებია დამოუკიდებლობა და დადიანის ტიტული. სწორედ დადიანის XV თუ XVI შთამომავალი მართავდა საუკუნეების მანძილზე სამეგრელოს, რომელიც დღეს ძლიერი სახელმწიფოს, თურქეთის უღელქვეშაა.

ლევან დადიანი, შთამომავლობით წარჩინებული, რომელიც გასულ საუკუნეში მეფობდა, შემკული იყო იმ საუკეთესო თვისებებით, რომელიც აქვს ნამდვილ რაინდს, მაგრამ სიყვარულმა იგი ურჩხულად, თავისი ენებების მონად გადააქცია. სიკეთე, სულგრძელობა, ქველმოქმედება ბოროტებითა და ავკაცობით შეეცვალა. ლევან დადიანს ცოლად ჰყავდა აბასთა თავადის ქალიშვილი, საოცარი სილამაზის, ევროპული მოხდენილობისა და სინარნარის ჩერქეზი ქალი. აღვირახსნილმა გრძნობებმა თავადს დაავიწყა თავისი მოვალეობა მეუღლის მიმართ: კარგა ხნის სეირნობისა და დროსტარების შედეგად ლევანს უგონოდ შეუყვარდა მისი ბიძისა და მეურვის, თავად გიორგი ლიპარდიანის (Lipardian) ცოლი დარეჯან-შალიკე (Darejan-Chaliké). ველურმა სიყვარულმა მას კიდევ უფრო მეტად დაავიწყა ადამიანის უპირველესი მოვალეობა: მადლიერება, სიკეთე და ერთგულება ბიძისა და ცოლის მიმართ. საუბედუროდ, ლევან დადიანმა გამოსავალი ბოროტებაში დაინახა – თავის ცოლს ბრალი დასდო ღალატში, თითქოსდა მან, ქმარზე

შურისძიების მიზნით, ინტიმური კავშირი დაამყარა ვეზირთან. ამ ყალბი ბრალდებით ლევან დადიანმა ორივენი სიკვდილით დასაჯა, თვითონ კი თავისი ბიძის ცოლზე დარეჯანზე დაქორწინდა.

დარეჯან-შალიკემ ბოროტად გამოიყენა ახალი ქმრის, ლევან დადიანის ბრმა სიყვარული და მოაკვლევინა მისი ორი პატარა ვაჟიშვილი, რომელიც მას პირველი ცოლისგან ჰყავდა. ბოროტმა დედოფალმა 1657 წელს ქმრის, ლევანის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე დასვა თავისი ვაჟი ეამეხი (Vameki), რომელიც მას ლევანისაგან გაუჩნდა პირველი ქმრის სიცოცხლეში.

ლევან დადიანს ჰყავდა ძმა იოსები (Joseph), რომლის ვაჟი მისი ორი ბიძაშვილის მკვლელობის შემდეგ უნდა ყოფილიყო სამეგრელოს კანონიერი მემკვიდრე, მაგრამ დარეჯან-შალიკეს ძალისხმევით ეამეხი აირჩიეს, რომელმაც დიდხანს ვერ გაიხარა თავისი ვერაგული მეფობით. შაჰნავაზმა (Shah-Navas) იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს დაპყრობის შემდეგ აღადგინა იოსების ვაჟის უფლებამოსილება. ამის შესახებ შევიტყობთ მომავალ თავში.

იმერეთის სამეფო

ისტორიის მიხედვით ვეცდები წარმოგიდგინოთ საქართველოს ხუთივე მხარე; ხან ერთზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, ხან მეორეზე, სანამ არ მივაღწევ ჩემთვის მთავარ თემამდე – თეიმურაზისა და ერეკლეს წარმოშობის შესახებ.

იმერეთის სამეფოს ესაზღვრება შემდეგი ქვეყნები: ჩრდილოეთით – ჩერქეზეთი, აღმოსავლეთით – სპარსეთის საქართველო, სამხრეთით – სომხეთი და დასავლეთით – სამეგრელო და გურია. იმერეთს უხსოვარი დროიდან ქართველი მეფეები მართავდნენ. მისი ხალხი, როგორც საქართველოს დანარჩენი მხარეების მცხოვრებნი, თავიანთ დიდ წინაპრად ბიბლიურ დავითს ასახელებენ. იმერეთი ამჟამადაც თურქეთის მონობაშია.

ალექსანდრეს, იმერეთის მეფეს, რომელიც გასულ საუკუნეში ცხოვრობდა და 1658 წელს გარდაიცვალა, ცოლად შეურთავს გურიის მთავრის ასული თამარი, რომელთანაც მალე განქორწინებულა, რათა კახეთის უკანასკნელი მეფის, თეიმურაზის დას დარეჯანს შეუღლებოდა. მოგვიანებით მინდა გიამბოთ თეიმურაზ მეფის დის, დარეჯან დედოფლის შესახებ. ალექსანდრეს თამარისაგან დარჩა ერთი ვაჟი, სახელად ბაგრატი (Bakarat), რომელიც სიყვარულისა და მისი დედინაცვლის, დარეჯანის შურისძიების მსხვერპლი გახდა, ქალიშვილი კი ცოლად შეირთო სამეგრელოს მთავრის იოსების ვაჟმა, რომელიც, როგორც უკვე მოგახსენეთ, ვამეხის მიერ განდევნილი და უფლებააყრილი, ხოლო მოგვიანებით, შაჰ-ნავაზის მიერ გადარჩენილი და აღდგენილი იყო.

ბაგრატი თავის წინაპართა ტახტზე ავიდა თხუთმეტი წლის ასაკში. დარეჯანი, მისი დედინაცვალი, ისე მოიხიბლა გერის სილამაზითა და მისი გვირგვინით, რომ შესთავაზა მასზე დაქორწინებულიყო. დედოფლის სიტურფე ადვილად შეაცდენდა კაცს, ამავე დროს, იგი იყო იმდენად ვნებამორეული, რომ სიამოვნებით გაწირავდა თავის ღირსება-მოვალეობას, იმდენად ძალაუფლების მოყვარე, რომ სამეფო გვირგვინისათვის სისხლის აღრევასაც კი არ ითაკილებდა და იმდენად ბოროტი, რომ გაწბილებისას დედინაცვლურ რისხვას დაუნდობლად თავს დაატეხდა საბრალო ბაგრატს. ყოველივე ამის მიუხედავად დარეჯანის უნამუსო განზრახვა ბაგრატმა ზიზღით უარყო, რამაც ქალში აღძრა შურისძიების დაუოკებელი სურვილი. მან ოსტატურად შენიღბა ვერაგული განწყობა გერის მიმართ. დიდხანს არ დაუყოვნებია და თავისი ძმისშვილი (თეიმურაზის ძმისშვილის დათონას (Datona) ასული), ნესტან-დარეჯანი შერთო მას ცოლად. ამის შემდეგ დარეჯანმა შეარჩია ერთი მოხერხებული და გაიძვერა ადამიანი, რომელიც შურისძიებასა და გვირგვინის დაუფლებაში დაეხმარებოდა, და გაჰყვა მას ცოლად. ეს გახლდათ სამეფო კარის ერთ-ერთი დიდგვაროვანი ვახტანგი Vachtan), რომელიც მოგვიანებით დარეჯანმა იმერეთის მეფედ

გამოაცხადა და სამეფო გვირგვინი ქუთაისში (Cotais) დაადგა. ამის შემდეგ, ცბიერი ოინებით დარეჯანმა შეიპყრო ბაგრატი და თვალები დასთხარა.

სამეფო კარის დიდებულებმა, რომელთა უმრავლესობა დარეჯანის გათხოვების მომხრე იყო, ნახეს თუ არა ვახტანგი, მათივე ტოლი და სწორი, დედოფლის ტახტისა და სარეცლის მოზიარე, შურით აღივსნენ და დახმარებისათვის სამეგრელოსა და გურიის მთავრები გამოიხმეს, თან დაჰპირდნენ, რომ მეფის გვირგვინს გადასცემდნენ იმას, ვინც შეძლებდა უზურპატორი ვახტანგისაგან მათ განთავისუფლებას.

პირველი სამეგრელოს მთავარი ვამეხი შემოიჭრა მთელი თავისი ძალებით, ვერაგულად ჩაიგდო ხელში ვახტანგი და სასტიკად გაუსწორდა – თვალები დასთხარა, ქუთაისი გაძარცვა, გამოზიდა იმერეთის მეფეების მთელი სიმდიდრე, დაბრუნდა სამეგრელოში და თან წამოიყვანა კანონიერი მეფე, უზურპატორი ვახტანგი და მათი ცოლები. ამ დროს სრულიად საქართველოს მეფისნაცვალი იყო შაჰ-ნავაზ-ხანი, კახეთის მეფეთა შთამომავალი, კახეთის უკანასკნელი მეფის თეიმურაზის ნათესავი. მას ცოლად ჰყავდა ლევანისა და იოსებ დადიანების და, სწორედ მის ვაჟს წაართვა ვამეხმა სამეფო. დედოფალმა, რომელიც თვალყურს ადევნებდა თავისი ძმისშვილის ინტერესებს, წააქეზა შაჰ-ნავაზი ვამეხის წინააღმდეგ. მან არ ისურვა ამ საქმის წამოწყება თურქეთის მოხარკე ქვეყნის მიმართ, თუკი არ ექნებოდა სპარსეთის მეფის ნებართვა.

შაჰ-ნავაზი ეახლა სპარსეთის მეფეს და სთხოვა თავისი ვაჟის, არჩილისათვის (Archile) სამეფო გვირგვინი. ამის სანაცვლოდ იგი დაჰპირდა ძღვენს იმერეთიდან და, რაც მთავარია, თურქეთის მოხარკე იმერეთის სამეფოს მის ძალაუფლებაში შეყვანას. სპარსეთის მეფემ ამ შემოთავაზებაზე თანხმობა განაცხადა. რახან თავი უფლებამოსილად დაიგულა, შაჰ-ნავაზი მაშინვე შეიჭრა სამეგრელოში. დამარცხებული ვამეხი სვანებთან (les Souanes) გაიქცა, მაგრამ იპოვეს და საბოლოოდ გაანადგურეს. ამგვარად, შაჰ-ნავაზმა გაამეფა თავისი ვაჟიშვილი არჩილი იმერეთში,

ხოლო სამეგრელოს მთავრად კანონიერი მემკვიდრე იოსების ვაჟი აღადგინა.

შაჰ-ნავაზმა მთელ საქართველოს გამოუცხადა ამ ლაშქრობის გმირული გამარჯვება. მან თან წამოიყვანა ბაგრატი, იმერეთის კანონიერი მეფე, და უზურპატორი ვახტანგი, მათი მეულღლეები კი ქუთაისში დატოვა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ისინი ვერ შეძლებდნენ მისი ვაჟის წინააღმდეგ გამოსვლას.

თურქეთის მეფე განრისხდა იმ ფაქტით, რომ ყოფილმა მეფისნაცვალმა მისი მოხარკე ქვეყნის გვირგვინი სპარსეთს გადასცა, და სასწრაფოდ გააგზავნა ახალციხის ფაშა თავისი მრავალრიცხოვანი არმიით არჩილის დასასჯელად. იგი იძულებული გახდა მამამისთან გაქცეულიყო, ტახტზე კი თურქეთის კარიდან წამოყვანილი გურიის მთავრის ვაჟი დასვეს.

შაჰ-ნავაზმა იმერეთის დიდებულების დახმარებით და საკუთარი მოხერხებულობით შეიპყრო ახლადდანიშნული მეფე, თვალები დასთხარა და მის ადგილზე კანონიერი მეფე გაგზავნა. ამასობაში ვახტანგის ცოლმა დარეჯანმა, რომლის სილამაზეს წლებმა ვერაფერი დააკლო და მარცხმა ვერ ჩაკლა მასში ბოროტება და ძალაუფლებისადმი ლტოლვა, გადაწყვიტა, თავისი სილამაზე ვერაგული მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინა. მან შეიყვარა ახალციხის ფაშა (le Pacha d'Akalsiké), რომელსაც ხშირად ხვდებოდა ქუთაისში. დედოფლის მშვენიერებით მოხიბლული გენერალი მზად იყო აღესრულებინა მისი ყველა სურვილი, ოღონდ ქალს სიყვარულზე უარი არ ეთქვა: ახალციხის ფაშა დაუბრუნებდა მის ქმარს სამეფო გვირგვინს, თუკი დედოფალი მოახერხებდა შაჰ-ნავაზის ტყვეობიდან ვახტანგის განთავისუფლებას. დარეჯანმა მოახერხა, ვახტანგი გამოეტაცა საქართველოდან, და ფაშამაც სიტყვა არ გატეხა.

ამგვარი წვითა და დაგვით ვახტანგისათვის მოპოვებული თავისუფლება და გვირგვინი დედოფალმა უნებლიე წინდაუხედაობით დაკარგა – თავისი ქმარი ვახტანგი ხელში ჩაუგდო ბაგრატს, რომელსაც მან ადრე თვალები

დათხარა. როგორც აღვნიშნეთ, ბაგრატი შაჰ-ნავაზის წყალობით ხელახლა გამეფდა. იგი სასტიკად გაუსწორდა ვახტანგს, წამებით არაქათგამოცლილს, სხვისი დახმარებით მრავალი ჭრილობა მიაყენა, ბოლოს მოაკვლევინა და საკუთარი ხელებით დაგლიჯა მისი გული. იმერეთის მეფეების შესახებ თხრობისას მე შევეხე, აგრეთვე, გურიის მთავრებსაც. ახლა მინდა გიამბოთ კახეთისა და ქართლის სამეფოებზე, რომელთა ისტორია ჩემი თხზულების ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ნაწილია.

კახეთის სამეფოს შესახებ, მეფე ალექსანდრედან უკანასკნელი მეფის თეიმურაზის სიკვდილამდე

კახეთი არის საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი სამეფო. მისი საზღვრებია: ჩრდილოეთით – ჩერქეზეთი, ყაბარდო; აღმოსავლეთით – კავკასია, დაღესტანი; სამხრეთით - ქართლის, ხოლო დასავლეთით – იმერეთის სამეფო.

ალექსანდრემდე მოღვაწე ქართველი მეფეები ჩემთვის უცნობია, ამიტომ თხრობას დავიწყებ კახეთის უკანასკნელი მეფის თეიმურაზის მამის ალექსანდრე მეფის შესახებ, რომელიც გარდაიცვალა XVI საუკუნის ბოლოს. მისი მეუღლე იყო ქეთევანი (Ketuane), ყველაზე სათნო და მშვენიერი ქალი, ვინც კი საერთოდ ისტორიას ახსოვს. მასზე დამტყდარ უბედურებაზე დასასრულს მოგახსენებთ. ალექსანდრე მეფესა და ქეთევან დედოფალს ჰყავდათ ორი ქალი და სამი ვაჟი. უფროსი ვაჟი დავითი (David) ცნობილი იყო თეიმურაზის (Teimouras) სახელით და გაიზარდა აბას დიდთან (Abbas le Grand) ერთად, სპარსეთის მეფის კარზე, სადაც მძევლად იყო დატოვებული. ერთნაირი აღზრდით ჩამოყალიბდა ორი ბუმბერაზი, ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავებული პიროვნება: ერთ მათგანში განვითარდა სათნოება, სიქველე, მეორეში ვერ აღმოიფხვრა მანკიერება. აბასს ხელმწიფობის დიდი ნიჭი ჰქონდა, თეიმურაზს – ნიჭიერებასთან ერთად სათნოება და გულისხმიერება. თავისი კეთილდღეობითა და სიმდიდრით გაბრუ-

ებულ აბასს მრისხანება და ულმობელობა მოერია, რომელიც მის კეთილ ქმედებას მთლიანად ფარავდა. თეიმურაზი ვერ გატეხა ცხოვრების სიავემ, მრავალმა მარცხმა, პირიქით, გააღვივა მასში საუკუთესო ადამიანური თვისებები: პატიოსნება, სიკეთე, ღვთისმოსაობა, სათნოება. როცა მამამისი, ალექსანდრე მეფე გარდაიცვალა, მისმა დედამ, ქეთევან დედოფალმა იგი სპარსეთის კარს გამოსთხოვა. აბასმა ნება დართო თეიმურაზს წინაპართა ტახტს დაუფლებოდა იმ პირობით, თუ ის სპარსეთის ქვეშევრდომობას არ განუდგებოდა.

გამეფდა თუ არა თეიმურაზი, იმთავითვე დაქორწინდა ქართლის მეფის სვიმონ-ხანის ასულ დარეჯანზე. მისი სპარსული სახელი იყო ფერი (Pheri). დარეჯანის შესახებ ცნობილი იყო აბასისთვის მის სადიდებლად შეთხზული სიმღერები. დარეჯან-ფერი, როგორც აღვნიშნე, ქართლის მეფის სვიმონ-ხანის ასული (Zumon Khan) და ლუარსაბის (Luarzab) და იყო. თავისი ქორწინებით თეიმურაზმა მონარქის დიდი აღშფოთება გამოიწვია, რადგან შაჰ-აბასი დიდი ხანია უზომოდ იყო შეყვარებული დარეჯან-ფერიზე. მე მინდა ცოტა რამ გიამბოთ ამის შესახებ:

დარეჯანის ძმამ, ლუარსაბმა თავისი მინისტრის მეჰრუს (Mehrou) ასული შეაცდინა, დაპირდა, ცოლად შეირთავდა, მაგრამ პირობა გატეხა. აღშფოთებულმა მინისტრმა გადაწყვიტა შური ეძია მის შეურაცხმყოფელზე და დახმარებისათვის სპარსეთის მეფეს მიმართა. პირმოთნეობითა და გაიძვერობით მან ხელმწიფის კეთილგანწყობა მოიპოვა და ცბიერი პოლიტიკის მოშველიებით შურისძიების გეგმა შეიმუშავა. მინისტრმა მეჰრუმ შაჰ-აბასს აღუძრა და გაუღვივა მტრული გრძნობა თავისი დამღუპველის ლუარსაბის მიმართ. თუმცა პიეტრო დე ლა ვალე გვარწმუნებს, რომ ამ ამბავს პოლიტიკური მიზნები ჰქონდა საფუძვლად და არა პირადი ინტერესები, ეს იყო სიყვარულით შენიღბული ძალაუფლების მოპოვების სურვილი, რამაც უბიძგა შაჰ-აბასს თეიმურაზთან ბრძოლისაკენ.

საინტერესოა ასულის შეურაცხყოფით გაგულისებული მინისტრის მოქმედება. მან ისე ხატოვნად აუწერა შაჰ-

აბასს ლუარსაბის დის მშვენიერება, რომ ხელმწიფემ ცდუნებას ვერ გაუძლო და მას ხელი სთხოვა. ლუარსაბმა დაუყოვნებლივ გაუგზავნა მას სამი ელჩი, რათა რაც შეიძლება ფრთხილად და თავაზიანად გადაეცათ შაჰისათვის მისი მტკიცე უარი. ამასობაში კი თავი დაიზღვია და სასწრაფოდ დააქორწინა თავისი და თეიმურაზზე. ეს ქორწინება გახდა სათავე იმ დიდი უბედურებისა, რაც მათ თავს დაატყდათ: აბასი სასტიკად განრისხდა ჯერ ლუარსაბზე, რომელმაც უარი შეუთვალა ესოდენ საპატიო შეთავაზებაზე, და მერე თანშეზრდილ თეიმურაზზე რომელმაც მიუხედავად კატეგორიული აკრძალვისა მაინც გაბედა და შეირთო თავადის ასული. შაჰ-აბასი ურიცხვი ჯარით წამოვიდა ორივე მეფის სამაგალითოდ დასასჯელად, ერთის – მისი აბუჩად აგდებისათვის, მეორის – დაუმორჩილებლობისათვის. მოსალოდნელი საფრთხით შეძრწუნებულმა ლუარსაბმა იცოდა, რომ შაჰ-აბასის სასტიკი შეტევები პირველ რიგში ხალხის განადგურებისაკენ იყო მიმართული. მან გადაწყვიტა, თავად ხლებოდა შაჰს და თხოვნა-მუდარით დაეცხრო მისი რისხვა. მაგრამ რას მოელით ისეთი მეფისაგან, რომელსაც ურჩევნია დასჯა მიტევებას, რომელსაც არ სურს გაიგოს, რომ ბევრად უფრო კეთილშობილურია მიტევება, ვიდრე განკითხვა. აბასმა ქართველი მეფე მიიღო იმ თავაზიანი ღიმილით, რომლის საშუალებითაც ბოროტი ზრახვების დამალვა კარგად ეხერხებოდა. მართლაც, დიდხანს არ დაუყოვნებია. მან ლუარსაბ მეფე ჯერ დააპატიმრა და მერე ჩუმად მოკლა იმ მიზეზით, რომ მოსკოვიდან დიდი ელჩი მოითხოვდა მის გათავისუფლებას.

თეიმურაზი, მტკიცე ხასიათის მამაცი ადამიანი, ამ უმძიმეს ვითარებაში არ შედრკა და შეუდგა შეთანხმებისაკენ გზების ძიებას. მან გაგზავნა დედა, ქეთევან დედოფალი შაჰ-აბასთან სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის. მისმა მომხიბვლელობამ შაჰ-აბასის გულში სიყვარულის ცეცხლი დაანთო, რომელიც დედოფალს გაუგონარ ტანჯვა-წამებად გადაექცა. შაჰ-აბასმა ყოველგვარ ღონეს მიმართა, რათა ქეთევანი მის აღვირახსნილ გრძნო-

ბებს დამორჩილებოდა, მაგრამ ამაოდ: თხოვნამ, საჩუქრებმა, მუქარამ, ძალმომრეობამ, ტკივილმა ვერ გატეხა დედოფლის სიმტკიცე, იგი მედგრად იცავდა თავის ღირსებას, პატიოსნებას, სარწმუნოებას. ქეთევან დედოფალი მრავალი წელი იტანჯებოდა შირაზში იმამ-ყული-ხანის (Imam Kouli-Kan) საპყრობილეში. პიეტრო დე ლა ვალე (Pietro-della-Vale) აღნიშნავს, რომ მან ნახა მშვიდობისათვის მაეედრებელი დედოფლის პორტრეტი ფერაბადში (Ferhabad) სპარსეთის მეფის სასახლეში.

დედოფლის დაუმორჩილებლობით გაწბილებულმა აბასმა უბრძანა მას განდგომოდა ქრისტიანულ სარწმუნოებას და მიეღო მაჰმადიანობა, მაგრამ ის თავისი რჯულისა და სიწმინდისადმი კვლავ ურყევად ერთგული იყო და ვერავითარი ძალა ვერ მოსპობდა მასში ამ რწმენას. ქეთევან დედოფალმა გადაიტანა ყოველგვარი წამება, რაც კი ცეცხლსა და რკინას შეეძლო მიეყენებინა მისთვის, და 1624 წელს, ცეცხლის ალში გახვეულმა, სული განუტევა, ხოლო ორი პატარა ვაჟი, რომლებიც თეიმურაზმა დედასთან ერთად მძევლებად გაუგზავნა აბასს, ბარბაროსმა და ტირანმა ევნუხებად გადააქცია. თუმცა, პიეტრო დე ლა ვალე არ ეთანხმება ამ ფაქტს, რადგან არ არის კარგად გამოკვლეული.

თეიმურაზი მიხვდა, რომ დედის მისიამ, მიუხედავად დაპირებისა, მარცხი განიცადა და, თუ ძალას არ მოიკრებდა, მასაც ლუარსაბის ბედი ელოდა. თურქეთისა და სხვა ქვეყნების დახმარებით, იგი დიდხანს უმკლავდებოდა შაჰ-აბასის შემოტევებს, შეძლებდა კიდეც სპარსელების განადგურებას, თავისი ყოფილი მინისტრი, ნიჭიერი მთავარსარდალი და მარჯვე პოლიტიკოსი მეჩრუ ძველებურად რომ მხარში ამოსდგომოდა. ეს ის ადამიანი იყო, რომელმაც თავისი თავმოყვარეობის გამო უბიძგა აბასს საზარელი ომისაკენ. მძაფრი შეტევების გამო თეიმურაზი იძულებული გახდა დაეთმო პოზიციები. იგი დახმარებისათვის წავიდა კონსტანტინოპოლში. თურქეთის ხელმწიფემ მას მრავალრიცხოვანი ჯარი და იარაღი გადასცა. თეიმურაზმა განდევნა სპარსელები და დაიბრუნა თავისი სახელმწიფო,

სამწუხაროდ, ხანმოკლედ. შაჰ-აბასი ხელახლა შემოიჭრა თავისი ძლიერი ჯარით და ისევ ხელში ჩაიგდო ქვეყანა. ბრძოლები მხოლოდ 1628 წელს, შაჰ-აბასის გარდაცვალების გამო შეწყდა.

თეიმურაზი ისევ დაბრუნდა თბილისში, შეკრიბა მეომრები, მოკლა შაჰ-აბასის მიერ დანიშნული მეფისნაცვალი და მშვიდობიანად ხელმწიფობდა მანამ, სანამ შაჰ-სეფი (Schah-Sepi) შეკრებდა თავის უძლეველ არმიას ქართველთა წინააღმდეგ. მან მოუხმო რუსტან-ხანსაც (Rustan-Khan), ქართველთა მიერ მოკლული მეფისნაცვლის ვაჟს, რომელსაც მამისათვის შურისძიების გრძნობამ ძალა და გამბედაობა გაუორმაგა. თეიმურაზის მცირერიცხოვანმა ლაშქარმა უთანასწორო ბრძოლას ვერ გაუძლო და მტერს დედაქალაქი დაუთმო, თვითონ თეიმურაზი იმერეთში გაიქცა, სადაც მისი და, ალექსანდრე მეფის მეუღლე დედოფალი იყო.

შაჰ-ნავაზმა მის მიერ დაპყრობილ იმერეთში ნახა თეიმურაზი და გაუგზავნა ის შაჰ-სეფის, რომელმაც არ გაიხსენა თავისი წინამორბედის მტრობა, პირიქით, სიკეთითა და მზრუნველობით მიიღო თეიმურაზი და პატივსა და ღირსებას არ აკლებდა, რაც მის ასაკს, გვარიშვილობას, კეთილსინდისიერებას, გმირობას, ბედუკუღმართობას და თავდადებას შეეფერებოდა. თეიმურაზით დამთავრდა კახეთის მეფეთა დინასტია. მას დარეჯანთან სამი ვაჟი ჰყავდა. აქედან მხოლოდ ერეკლე (Héraclius) იყო მისი ტახტის მემკვიდრე, რომელიც ჯერ მოსკოვში გაიქცა და იქ ხანგრძლივად იცხოვრა, შემდეგ ჩამოვიდა და გახდა კახეთის მეფე (Prince). სანამ ამ ამბავს გავაგრძელებდე, მინდა დავიწყო ქართლის ისტორია და მივიყვანო იმ ეპოქამდე, როცა იგი კახეთს შეუერთდა და ამის შემდეგ ისევ დავუბრუნდები ამ მომენტს.

ქართლის სამეფო ლუარსაბიდან შაჰ-ნავაზის სიკვდილამდე. ეს სახელმწიფო შედის კახეთის სამეფო ოჯახში

ქართლის სამეფო საქართველოს შუა ნაწილს წარმოადგენს. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება კახეთის სამეფო, სამხრეთით – განჯის მხარე (la province de Guendjé) და სომხეთი, აღმოსავლეთით – დაღესტანი და შირვანი, დასავლეთით – თურქეთის საქართველო. მას, როგორც კახეთს, თავისი საკუთარი მეფე ჰყავს.

ქართლის მეფემ ლუარსაბმა, რომელიც მოღვაწეობდა XV საუკუნის ბოლოს, თავისი სახელმწიფო ორ ვაჟიშვილს – სიმონსა (Zumon) და დავითს (David) – გაუყო. შაჰთამაზმა (Schah-Thamas), ისმაილის (Ismael) შთამომავალმა, ორივე მეფე დაიმორჩილა, ამათგან, დავითი გამაჰმადიანდა და თავი მთელი საქართველოს მეფისნაცვლად გამოაცხადა. მან განიზრახა გაეთავისუფლებინა თავისი ქვეყანა სპარსეთის უღელისაგან, მაგრამ ქუდაბენდე (Khoudabendé) დროზე მიუხვდა საწადელს და გააგზავნა დავითის წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი ჯარი. ძლიერი შეტევით მტერმა აიძულა დავითი გაქცეულიყო თავისი ქვეყნიდან. ქუდაბენდემ შეიპყრო მისი ძმა სიმონი, აზიარა მაჰმადიანურ სარწმუნოებას, თუმცა მისგან დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, და დანიშნა ტფილისის ხანად. იგი სვიმონ-ხანად იყო ცნობილი და გარდაიცვალა აბას-დიდის მეფობის დროს. მას დარჩა მრავალი ვაჟი: ლუარსაბ-სიმონი, ალავერდი ანუ დიედონე (Allahverdi ou Dieudonné), დურმიშხანი (Dourmiche) და ერთი ქალიშვილი, ჩვენთვის ცნობილი დარეჯან-ფერი. ალავერდი და დურმიშხანი გადავიდნენ თავის დასთან, თეიმურაზ მეფის მეუღლესთან და იქ ცხოვრობდნენ ერეკლესა და მისი ვაჟის იმამ-ყული-ხანის მეფობის განმავლობაში. ისინი მონაწილეობდნენ ომებში, რომელიც ამ მეფეებს გადახდა თავს. ალავერდი იყო მღვდელი, მაგრამ სხვებზე ნაკლებად არ იბრძოდა, პი-

რიქით, ხშირად გასაოცარ ვაჟკაცობას იჩენდა მტერთან ბრძოლაში.

როგორც ზემოთ გიამბეთ, ლუარსაბმა, სვიმონ-ხანის უფროსმა ვაჟმა, თავისი და დარეჯან-ფერი შერთო თეიმურაზს, კახეთის უკანასკნელ მეფეს, და შაჰ-აბასს უარი შეუთვალა, რაც მათთვის საბედისწერო შეიქნა. აბასის გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზის ძმამ სიმონმა მიიღო ქართლის სამთავრო და გახდა საქართველოს მეფისნაცვალი. ეს ის სიმონი გახლავთ, რომელიც ხალხმა ჩაქოლა აბასის სიკვდილის შემდეგ, თეიმურაზი რომ თბილისს დაუბრუნდა. სიმონს ჰყავდა ერთი ვაჟი, რუსტან-ხანი, რომელმაც შეძლო თავის მამაზე შურისძიება და თეიმურაზის დამარცხება. რუსტანი (Rustan) იყო ქართლის კანონიერი მემკვიდრე. მან ბრძოლით აიღო კახეთი, გახდა სრულიად საქართველოს ხელისუფალი და სიკვდილემდე, 1640 წლამდე მშვიდად და ტკბილად ცხოვრობდა. სიმონს ცოლად ჰყავდა ლევან დადიანის, სამეგრელოს მთავრის ასული. გარდაცვალებამდე მან შვილად აიყვანა შაჰ-ნავაზ ხანი კახეთის სამეფო კარიდან. ამგვარად, ქართლის სამეფო შეუერთდა კახეთის სამეფოს. შაჰ-ნავაზი გახდა ქართლ-კახეთის ბატონ-პატრონი, რადგან მისი ერთადერთი მემკვიდრე, თეიმურაზის ვაჟი ერეკლე, გადახვეწილი იყო მოსკოვში. შაჰ-ნავაზმა გააერთიანა ეს ორი სამეფო. მე უკვე მოგახსენეთ ამ დიდებული პიროვნების შესახებ. იგი განთქმული იყო თავისი გმირობით, ბრძოლის ხელოვნებით, პოლიტიკური განათლებით და მტკიცე ვაჟკაცური ხასიათით. იგი ბუნებით ცუდი არ იყო, მაგრამ მასში უფრო ვერაგობა ჭარბობდა, ვიდრე სულგრძელობა და კეთილშობილება. მოხდენილობა და სულის სიდიადე ერთი ხომ არ არის; ძალაუფლებისადმი ლტოლვამ და პატივმოყვარეობამ მას რჯულზე ხელი ააღებინა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი ამის შემდეგ ბევრად უფრო ღრმადმორწმუნე და ქველმოქმედი გახდა ეკლესიის მიმართ, ვიდრე მაშინ, როცა ქრისტიანი იყო. შაჰ-ნავაზის მეფობის ხანაში საეკლესიო მისიონერები უდიდეს მხარდაჭერასა და ზრუნვას გრძნობ-

დნენ მისი მხრიდან, მან დაუკანონა ის შენობები, რომელიც თეიმურაზმა თავის დროზე გამოყო მათთვის.

შაჰ-ნავაზი დაქორწინდა სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის დაზე, რომელიც ადრე, გურიის მთავრის შემდეგ, რუსტან-ხანის მეუღლე იყო. შაჰ-ნავაზს ჰყავდა ოთხი ვაჟი: ლევანი, არჩილი, რომელიც მან იმერეთში გაამეფა, გურგი-ხანი (Gurghi-kan), სოლომონი (Soliman) და ერთი ასული, სპარსეთის მეფის შაჰ-ჰუსეინის (Shah-Hussein) მეუღლე. ქართლი და კახეთი გაერთიანებულია რუსტან-ხანიდან მოყოლებული შაჰ-ნავაზის მეფობის პერიოდშიც.

ქართველ მეფეთა შთამომავლობა შაჰ-ნავაზის გარდაცვალებიდან ვახტანგ მეფის ხანამდე

შაჰ-ნავაზის გარდაცვალების შემდეგ, ქართლისა და კახეთის სამეფო, რომელიც მის სიცოცხლეში გაერთიანდა, ხელახლა გაიყო. არჩილი გამეფდა კახეთში, გურგი-ხანი კი ქართლში; უფროსმა ვაჟმა ლევანმა, რომელიც ფიზიკურად სუსტი იყო და ნიჭიერებითაც არ გამოირჩეოდა, უარი თქვა მეფობაზე. არჩილი ერთხანს მშვიდად მეფობდა, მაგრამ შეირთო დიდი თეიმურაზის ასული და ეს კავშირი გახდა მისი სრული განადგურების სათავე. მეუღლეს, იშვიათი გარეგნობისა და გონიერების ქალს, დიდი გავლენა ჰქონდა არჩილზე: გამოაწვევინა თავისი ძმა ერეკლე საქართველოში, რომელიც მამის თეიმურაზ მეფის სიკვდილამდე მოსკოვში ცხოვრობდა, და მისი სახით არჩილს შესძინა გაიძვერა და სახიფათო მტერი. დაბრუნდა ერეკლე სამშობლოში და ცხოვრობდა თავისი ცოლის-ძმის მიერ გადაცემულ მამულში. მალე მას, კანონიერ მემკვიდრეს, მობეზრდა დაქვემდებარებულის ხვედრი და გაემგზავრა ისპაჰანს. იგი ეახლა სპარსეთის ხელმწიფეს სამართლიანა და თავისი უფლებების გასარკვევად. ერეკლე ცდილობდა რამენაირად მიეზიდა შაჰის ყურადღება: მან აღწერა აღმოსავლურ სტილში თავისი დის, არჩილის ცოლის სილამაზე. თითქოს დედოფალს ისეთი სიფრიფანა, ნაზი და თეთრი კანი ჰქონდა, რომ, როცა ღვინოს სვამდა,

მისი სიწითლე ყელს უფერადებდა. ერეკლემ დაარწმუნა მონარქი, რომ ეს მშვენიერი და არაჩვეულებრივი არსება მხოლოდ მისთვის ჰყავდა ჩაფიქრებული, მაგრამ არჩილმა მოულოდნელად და უნებართვოდ შეირთო ცოლად და ამგვარად ჩაუშალა მას ეს განზრახვა. ერეკლეს სიტყვებმა ისეთი მტრობა და სიძულვილი აღუძრა შაჰს არჩილისადმი, რომ დაუყოვნებლივ აღასრულა თავისი სამართალი: არჩილი გააძევა თავისი სამეფოდან და ერეკლეს დაუბრუნა შთამომავლობით კუთვნილი მემკვიდრეობა. შაჰმა ირწმუნა იმ შეურაცხყოფისა, რომელიც მას არჩილმა მიაყენა – უმშვენიერესი ასული ხელიდან გამოაცალა – და სიამოვნებით იძია მასზე შური. ერეკლემ აისრულა თავისი საწადელი – მოიპოვა კახეთის სამეფო ტახტი. არჩილი კი, თავისი ცოლით და შვილებით, რუსების დახმარების იმედით, ოსეთში გაიქცა. მეფე ერეკლეს მტრობა არჩილისადმი მაინც არ დაცხრა, იგი მიღწეულით ვერ დაკმაყოფილდა და არჩილისა და მისი ოჯახის შესაპყრობად ოსეთში (chez les Osses) გაგზავნა ბეი (un Beï) თავისი რაზმით. საბედნიეროდ, ამ ამბავმა არჩილის ყურამდეც მიაღწია. ოსებისა და ჩერქეზების (Circasses) თანადგომით იგი შეება მომხვდურთ და უკუაქცია. არჩილი თავისი ერთგული მეომრებით თავრიზამდე გაედევნა მტერს, მაგრამ ამით მაინც ვერაფერს გახდა, ერეკლე მყარად იყო მოკალათებული კახეთში, გურგი-ხანი კი ქართლში. იმედგაცრუებულმა არჩილმა თავის ოჯახთან ერთად მოსკოვს შეაფარა თავი.

არჩილი შესანიშნავი პიროვნება იყო, საუკუთესო თვისებებით შემკული, შეუპოვარი, არაჩვეულებრივი ძალ-ღონეც მოსდევდა – ცალი ხელით და ხმლის ერთი დარტყმით თავს კვეთდა კამეჩს. მას ჰქონდა მრავალმხრივად დახვეწილი ჭკუა-გონება, რაც იშვიათი იყო ყოველგვარ რესურსს მოკლებულ დამონებულ ქვეყანაში. არჩილს ძალიან უყვარდა ლიტერატურა და განუწყვეტლივ შრომობდა გათვითცნობიერებისათვის, საკუთარი განათლების ამაღლებისათვის. ეს კეთილი ადამიანი ზოგჯერ ისე განრისხდებოდა, გეგონებოდა, ვერაფერი შეაჩერებსო, მაგრამ

მყისვე სხარტი და სამართლიანი გონება ჩაერეოდა გრძნობებში და ყველაფერი კარგად მთავრდებოდა. მის ბედნიერებას ჩრდილს ვერ აყენებდა ვერც ის, რომ ხელმწიფობა ვერ შეინარჩუნა, ვერც ის, რომ იღბალი სწორედ მაშინ შეაქცევდა ხოლმე ზურგს, როცა ძალიან უჭირდა, ისიც კი, რომ მისმა ბედუკუღმართობამ კეთილი ზრახვების განხორციელებაში ხელი შეუშალა - აღმაშფოთებელმა ვითარებამ მას მამისაგან მოპოვებული იმერეთის გვირგვინი დააკარგვინა. ეს დანაკლისი მოგვიანებით თითქოს კახეთის სამეფომ აანაზღაურა, მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ისიც ერეკლეს ვერაგობას შეეწირა.

კახეთისა და ქართლის შეერთებამდე ქართლის მეფე იყო არჩილის ძმა გურგი-ხანი, რომელმაც შაჰ-ჰუსეინის მეფობის დროს სახელი გაითქვა, როგორც სამშობლოსათვის და სარწმუნოებისათვის თავდადებულმა მამულიშვილმა. იგი განუწყვეტლივ იბრძოდა ერეკლეს წინააღმდეგ, მაგრამ ვერასდროს დაამარცხა, ასევე იბრძოდა სპარსეთის მეფის წინააღმდეგ, რომელმაც საბოლოოდ თავის უღელქვეშ მოაქცია მისი სამეფო. დიდხანს ეცადა გურგი-ხანი, თავი დაეღწია სპარსეთის მონობისაგან, ათასგვარ ხერხს მიჰმართა, მაგრამ მაინც იძულებული გახდა პირადად ჰხლებოდა მეფეს და თავისი მორჩილება მოეხსენებინა. ამასობაში ერეკლემ ისარგებლა მისი არყოფნით, შეიჭრა ჯარით ქართლში, სადაც გურგი-ხანის ნაცვლად დროებით მისი ძმა ლევანი ხელმწიფობდა და გააძევა იგი ქვეყნიდან. ლევანი თავისი ცოლ-შვილით იმერეთში გადაიხვეწა. ერეკლე გულდამშვიდებით შეუდგა მეფობას მთელ საქართველოში, რადგან დიდმა ხელმწიფემ გურგი-ხანი თავისი ჯარით ყანდაარში გაიწვია საბრძოლველად.

შაჰ-ნავაზის ასული, გურგი-ხანისა და ლევანის და, სპარსეთის მეფეს შაჰ-ჰუსეინს გაჰყვა ცოლად იმ განზრახვით, რომ ქართლი ლევანისათვის დაებრუნებინა. იმდენად დიდი იყო მეუღლის გაელენა შაჰზე, რომ მას ეს განზრახვა შეუსრულდა. ლევანი გამეფდა ქართლში, თუმცა ცოტა ხნით. მალე ის ისპაჰანში გაიქცა, სადაც მუშაობდა დივან-ბეის (Divan-Beï) თანამდებობაზე და იქვე გარდაიც-

ვალა. მას დარჩა მრავალი ვაჟიშვილი: ხოზრევ-ხანი (Khusref-Khan), ვახტანგ-ხანი (Vachtan-Khan), იასე-ხანი (Iassi-Khan), სიმონი, თეიმურაზი (ამ უკანასკნელზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ ის ძალიან ადრე გარდაიცვალა), დომენტი (Dometi), რომელიც საქართველოს კათალიკოსი (ან პატრიარქი) გახდა და ერთი ასული, რომელიც ცოლად შეირთო იმერეთის მეფემ გურგიმ (Gurghi).

ლევანი მეფობდა უღიმღამოდ, არც რაიმე აღსანიშნავი თვისება ჰქონდა და არც გონება უჭრიდა. მან თავდაპირველად უარი თქვა სამთავროზე, რომელიც, როგორც უფროს ვაჟს, მას ეკუთვნოდა. შემდეგ დათანხმდა, მაგრამ ვერ შეძლო გამოევლინა ქვეყნის მართვისათვის აუცილებელი უნარი და საბოლოოდ შეირცხვინა თავი: მიატოვა სამშობლო, სარწმუნოება და ისეთ სამსახურში ჩაება, როგორიც არ ეკადრებოდა მის გვარიშვილობას და წინაპრებს.

ლევანის ძმა გურგი-ხანი კარგად შეეწყო სპარსეთის მეფეს, რომელმაც ქერმანის (Kerman) ხელისუფლება ჩააბარა. მალე გურგი-ხანი გააგზავნეს ყანდაარში ავღანთა (Aghvans) აჯანყების ჩასახშობად, რომლებიც აუტანელი პირობების გამო აჯანყდნენ და ამით უდიდესი ზიანი მიაყენეს სპარსეთს. ცნობილმა მირივეისმა (Miriveïs), რომელიც გურგი-ხანმა ისპაჰანს გაგზავნა, რათა ყანდაარიდან მოეშორებინა, გააერცელა მეფის კარზე ბოროტი ხმები გურგი-ხანის შესახებ. იგი არწმუნებდა ხელმწიფეს, რამდენად საშიში იყო მისი ძალაუფლება და აღმაშფოთებელი მისი ძალმომრეობა. ამის შემდეგ 1709 წელს ის ჩავიდა ყანდაარში, აჯანყა ავღანები და მოკლა გურგი-ხანი, რომელმაც მირი ვეისის მიერ დაგებულ მახეს თავი ვერ დააღწია.

გურგი-ხანი გონიერი, პატივმოყვარე, დიდი სულისკვეთების და ღირსების ადამიანი იყო, თუმცა სიმამაცისა და ვაჟკაცობის შესაფერისი პოლიტიკური უნარი და განათლება არ ჰქონდა. იგი ყოველთვის ბოროტად იყენებდა თავის შესაძლებლობებს და მხოლოდ ძალმომრეობითა და სისასტიკით ცდილობდა საქმის მოგვარებას, თითქოს არც

გაუგია ბრძნული გამონათქვამი: „ხერხი სჯობია ღონესა". წინდაუხედაობამ და დაუფიქრებლობამ ის საბედისწერო ხიფათს გადაჰკიდა, სადაც საკუთარი პოლიტიკა – ძალა და ღონე – ვეღარ გამოადგა. მისმა შეცდომებმა ისეთ უბედურებაში ჩააგდო, რომ ვაჟკაცობამაც ვერ უშველა. კარგად გამოჩნდა, რამდენად არასაიმედოა სიმამაცე, როცა გონივრულობა თან არ ახლავს, ხოლო მირიეველისის (Miriveïs) მოქმედებამ დაგვანახა, რამდენად შედეგიანია, როცა ეს ორი რამ შერწყმულია. გურგი-ხანმა შეირთო კაპლან-ოღლი (Kaplan-Oglou), ტანძიის (Tanzaï) ბეის ასული. მისგან მხოლოდ ერთი ვაჟი შეეძინა, რომელიც ისპაჰანში ძალზე უცნაურად დაიღუპა. ამის შესახებ ორი სიტყვით მოგახსენებთ: ეს უფლისწული შემჯდარა ძალიან ფიცხ ცხენზე, მიუშვია სადავე და ისეთი სისწრაფით გაუჭენებია, რომ სუნთქვა შეჰკვრია და გაგუდულა.

გურგი-ხანს მემკვიდრე არავინ დარჩა და საქართველოს მეფისნაცვალი ლევანის უფროსი ვაჟი ხოზრევ-ხანი გახდა. დიდმა მეფემ ის გამეფებისთანავე გააგზავნა მირიველისის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ბრძოლით ხოზრევ-ხანმა ავღანების გული მოიგო, რომლებიც თავიანთი თავისუფლებით მისი მოვალენი გახდნენ. ხოზრევ-ხანმა ავღანები გადაარჩინა გამგებლის ტირანიისაგან და გადაწყვიტა, მეფის მძიმე უღლისაგანაც დაეცვა ისინი.

შაჰ-ჰუსეინი, უსაქმური და გარყვნილი ადამიანი, თავაშვებულობასა და დროსტარებას იყო გადაყოლილი. ცოლებისა და ევნუხების გავლენის ქვეშ მოქცეული, დიდხანს არიდებდა თავს ავღანთა ამბოხებაზე ფიქრს, რომელმაც სახიფათო სიმძლავრეს მიაღწია. როცა სპარსეთის მეფის კარს თვალი აეხილა, მაშინ თითქმის გვიანი იყო. შეშფოთებულმა ხელმწიფემ ავღანების ასალაგმავად მრავალრიცხოვანი არმიის სარდლობა ხოზრევან-ხანს მიანდო. მისი ბიძისა და მის თვალწინ დაღუპულ თანამებრძოლებზე შურისძიების გრძნობამ ხოზრევ-ხანს ძალა და გამბედაობა გაუორმაგა და ამ რთულ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია, დიდი უპირატესობით დაამარცხა ძლიერი, საომრად კარგად გაწვრთნილი მტერი. ამის შემ-

დეგ ხოზრევ-ხანმა თავისი შესუსტებული ჯარით ალყა შემოარტყა ყანდაარს. მალე ცნობილი გახდა, რომ მირივეისი 16000 ცხენოსნით მოდიოდა ქალაქის დასახსნელად. მისი ჯარი იმდენად ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყო ხოზრევ-ხანის ომგადახდილ ჯართან შედარებით, რომ მეომრები შეშინდნენ და მირივეისის შემოსვლამდე მიატოვეს იქაურობა. დარჩა მხოლოდ დაჭრილი და უძლური ქართველები იმ შესანიშნავი ლაშქრისაგან, რომელიც გურგი-ხანის მარჯვენით იყო შექმნილი, და ამ მარჯვენის პატრონი ხოზრევ-ხანმა მრავალრიცხოვანი მტრის ხელში ჩააგდო. გურგი-ხანმა გმირულად გასწირა თავისი სახელოვანი სიცოცხლე, რომელსაც მხოლოდ სარწმუნოებისაგან განდგომა ჩრდილავდა. მან ისპაჰანის გამგებლისა და დივან-ბეის თანამდებობა იმის შემდეგ მიიღო, რაც მაჰმადიანურ სარწმუნოებას ეზიარა. მიუხედავად ქრისტიანობისაგან განდგომისა, ის თავის გულში საიდუმლოდ და სათუთად ინახავდა თავის სარწმუნოებას და მხოლოდ ფიზიკურ და არა სულიერ მონაწილეობას იღებდა მაჰმადიანთა რელიგიურ ცერემონიალში. სპარსეთის მეფეებმა კარგად იცოდნენ, რომ ქართველი მეფეები არ იყვნენ გულწრფელნი მაჰმადიანური სარწმუნოების აღიარებაში, მათთვის ეს მხოლოდ საჭირო და იძულებითი აქტი იყო. მიუხედავად ამისა, სანამ მეფისნაცვლობას უწყალობებდნენ, ისინი მაინც მოითხოვდნენ მათგან ამგვარ მსხვერპლს.

1711 წელს, ყანდაარში, ხოზრევან-ხანს თითქმის იგივე ბედი ხვდა წილად, რაც გურგი-ხანს. ამის შემდეგ ქართლის მეფობა და საქართველოს მეფისნაცვლობა ლევანის მეორე ვაჟის, ვახტანგის ხელში გადავიდა, რომელიც ოჯახში იმჟამად ყველაზე უფროსი იყო. აღსანიშნავია, რომ მან დიდი სიმტკიცე გამოავლინა ქრისტიანული სარწმუნოებისადმი, რასაც ვერ ვიტყვით მისი გვარის მეფეებზე. ვახტანგმა იმთავითვე მტკიცე უარი თქვა მაჰმადიანად მოქცევაზე და ხელისუფლება თავის ძმას იასეს (Iassi) გადასცა, რომელიც ნაკლებად კეთილსინდისიერი

აღმოჩნდა თავისი სარწმუნოებისადმი. მან მიიღო მაჰმადიანობა და გამოცხადდა საქართველოს მეფისნაცვლად.

იასეს მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია თავისი მეფობის განმავლობაში. მან შეირთო ამჟამინდელი მეფის თეიმურაზის და ბეგუმი (Begum) და შეეძინა ოთხი ვაჟი: აბდულაჰი (Abdoullah) (მასზე მოგვიანებით ვისაუბრებთ), ისააკი (Isaac), თეიმურაზი და კიდევ ერთი ვაჟი, რომლის სახელი ჩემთვის უცნობია.. იასემ იმეფა ცოტა ხანს. ქერმანის (Kerman) გადასახლებაში თავგაბეზრებულმა იასეს ძმამ დათმო ქრისტიანობა და გათავისუფლდა ტანჯვა-წამებისაგან. ცოტა მოღონიერდა თუ არა, წავიდა ტფილისში იასესათვის ხელისუფლების წასართმევად. სანამ დეტალურად შევეხებოდეთ, რაც ამ ახალ მეფეს ეხება, აუცილებელია, დავიწყო კახეთის მემკვიდრეობის აღწერა, ვახტანგის მტრისა და დამანგრეველის მეჰმედ-ყული-ხანის (Mehemet Kouli-Khan) მეფობის ხანამდე.

კახეთის მემკვიდრეობის გაგრძელება, ერეკლეს მიერ არჩილის გაძევებიდან მეჰმედ-ყული-ხანის გამეფებამდე

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არჩილის საქართველოდან განდევნის შემდეგ ერეკლე გამეფდა კახეთში და შეურიგებელი ბრძოლები გააჩაღა გურგი-ხანთან, რაც დიდ უბედურებად დაატყდა ქართველ ხალხს. შაჰ-ჰუსეინმა გურგი-ხანი გააგზავნა ყანდაარში, ერეკლემ დრო იხელთა, შევიდა ქართლში, გახდა მისი ბატონ-პატრონი და რამდენიმე ხანი განაგებდა ორივე სამეფოს. როცა ქართლის მეფობა ლევანს ჩააბარეს, მისი დიდი მოწადინებითა და მოხერხებით, ერეკლეს მხოლოდ კახეთის სამთავროღა შერჩა. მან საკმაოდ კარგი სახელი მოიპოვა ბრძოლებში, თუმცა ერეკლე უფრო სამართლიანობით იყო ცნობილი, ვიდრე გმირობით. მას სასწორი უფრო შეეფერებოდა, ვიდრე მახვილი, არ ეთაკილებოდა ქვეშევრდომთა შორის წარმოქმნილ უთანხმოებაში ჩარევა და მისი მოგვარება. ის

უმნიშვნელო დეტალსაც კი არ დატოვებდა უყურადღებოდ და ერთნაირი სამართლიანობით ეპყრობოდა დამნაშავეს და უდანაშაულოს. ერეკლე გამოირჩეოდა ღვთისმორწმუნეობით. ეს რწმენა დამყარებული იყო რელიგიურ განათლებაზე, მის ბეჯით და მუყაით შესწავლაზე. ეს მეფე მოწოდებული იყო არა იმისათვის, რომ ტერიტორიულად გაეზარდა თავისი სამეფო, არამედ იმისათვის, რომ ემართა ის მარჯვედ და გონივრულად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერეკლე მეფობისათვის იყო დაბადებული. მას დარჩა სამი ვაჟი: იმამ-ყული-ხანი (Imam-Kouly-Khan), კონსტანტინე, რომელიც ცნობილი იყო მეჰმედ-ყული-ხანის სახელით, თეიმურაზი, ახლანდელი მეფის, სახელგანთქმული ერეკლეს მამა, რომელიც ამჟამადაც ცოცხალია, და ერთი ქალიშვილი, ისა-ხანის (Iassi-Khan) მეუღლე, რომლის შესახებ უკვე გიამბეთ.

იმამ-ყული-ხანი, თეიმურაზისა და ერეკლეს უღირსი შთამომავალი, კახეთის სამეფოს მფლობელი გახდა. მან, ისევე როგორც მისმა ძმამ კონსტანტინემ, სამარცხვინო სისუსტე გამოიჩინა. მათ ქრისტიანული სარწმუნოება შესწირეს პირად ინტერესებს. იმამ-ყული-ხანის ხანგრძლივ მეფობაში არაფერია ღირსშესანიშნავი, არც მისი პიროვნება იმსახურებს, რომ თქვენი ყურადღება მის უარყოფით თვისებებზე შევაჩერო, მაგრამ გაკვრით მაინც მოგახსენებთ: იმამ-ყული-ხანი სასაცილო იყო თავისი სიბრიყვით, საზიზღარი – თავისი სიმხდალით და საზარელი – თავისი ბოროტებით. მუდამ მცდარ გადაწყვეტილებებს იღებდა. მსჯელობისას სიმკაცრეს, სისასტიკეს იჩენდა და ბრძოლაში გარიდებას ამჯობინებდა. არაერთხელ უნახავთ ბრძოლის ველიდან გაქცეული, ან მამის ზურგს ამოფარებული, განსაკუთრებით ლეკებთან ბრძოლაში, სადაც არც მეტი, არც ნაკლები, სარდალი გახლდათ. იმამ-ყული-ხანი გარდაიცვალა. მას დარჩა ერთი ასული, რომელიც გათხოვილი იყო ალი-ყული-ხანზე (შაჰ-ნადირის (Schah-Nadir) ძმისშვილზე და მის მემკვიდრეზე, ცნობილია ადილ-შაჰის (Adil-Schah) სახელით), და სამი ვაჟი, რომლებიც დღეს ერეკლეს სამეფო კარის მსახურნი არიან. კახეთის

სამეფო კარის მემკვიდრე მისი ძმა კონსტანტინე გახდა, რომელიც მაჰმადიანად მოქცევის შემდეგ ცნობილი იყო მეჰმედ-ყული-ხანის სახელით.

მეჰმედ-ყული-ხანის ბრძოლა ვახტანგთან. ქართლის მეფეების განდევნა. მეჰმედ-ყული-ხანის სიკვდილი

1719 წელს ვახტანგმა შემოიერთა ქართლის სამეფო, გახდა საქართველოს მეფისნაცვალი და მაშინვე განუდგა მაჰმადიანურ სარწმუნოებას, რომელიც პოლიტიკური მოსაზრებით მიიღო და ისევ ქრისტიანად მოინათლა. მას მრავალი წლის მანძილზე ჰყავდა ტყვეობაში თავისი ძმა ისა-ხანი, რომელსაც სამეფო ტახტი წაართვა და როცა დარწმუნდა, რომ იგი მისთვის საშიშროებას აღარ წარმოადგენდა, გაათავისუფლა და თავის დივან-ბეიდ დანიშნა.

1721 წელს ვახტანგი სათავეში ჩაუდგა ლაშქრობას ლეკების წინააღმდეგ, რომლებმაც დაარღვიეს მშვიდობიანი ხელშეკრულება სპარსეთის მეფესთან და აჯანყდნენ. სპარსეთის სამეფო კარის დიდებულებმა შაჰ-ჰუსეინს მოახსენეს: „ვახტანგი ისე არ წამოიწყებდა ლეკებთან ბრძოლას, რაიმე განზრახვა რომ არ ჰქონდეს თქვენი უმაღლესობის წინააღმდეგო“. შაჰ-ჰუსეინმა დაიჯერა მათი ნათქვამი და უბრძანა ვახტანგს იარაღი დაეყარა, დაუყოვნებლივ ხლებოდა მას და განემარტა თავისი მოქმედება. შაჰის უხეშმა მოპყრობამ ვახტანგი შეურაცხყო და აღაშფოთა. მორჩილების ნაცვლად მან გეზი განჯის მხარისაკენ აიღო. ცეცხლში გაახვია სოფლები და დაიპყრო დედაქალაქი. მეჰმედ-ყული-ხანი არ მოელოდა ამ ამბავს, შეშინდა, რომ ვახტანგი მის შევიწროებასაც მოიწადინებდა და ერევნისაკენ გაიქცა.

კახეთის მეფეს, მეჰმედ-ყული-ხანს ცოლად ჰყავდა ცნობილი მინისტრის ითიმად-ულ-დოულე-ალი-ხანის (Itimad-ul-dewlet-Aly-Khan) ასული. მეფესთან დაახლოებულ პირებს დიდი ბრალი მიუძღვით ამ მინისტრის დაღუპვაში. იმის შიშით, რომ მისი სიძე მეჰმედ-ყული-ხანი სიმამრზე შურისძიების მიზნით არ შეერთებოდა აჯანყებულ ვახ-

ტანგს სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში, შაჰის ფავორიტებმა წააქეზეს მბრძანებელი როგორმე შუღლი ჩამოეგდო ამ ორ მეფეს შორის. მართლაც, ძალიან მალე მეჰმედ-ყული-ხანს შაჰმა უბოძა საქართველოს მეფისნაცვლობა. შაჰის ცბიერმა გადაწყვეტილებამ მისთვის სასურველი შედეგი გამოიღო. აღშფოთებული ვახტანგი განჯიდან, სადაც სამი თვის მანძილზე იყო დაბანაკებული, დაბრუნდა თბილისში და დაიწყო მზადება ახლადშექმნილი მტრის მოსაგერიებლად. მეჰმედ-ყული-ხანმა როგორც კი გაიგო ვახტანგის ტფილისში დაბრუნების შესახებ, წავიდა ერევნიდან შემახისაკენ, იქედან კახეთში, თავის სამშობლოში, შეკრიბა ჯარი და იმავე წლის ზამთარს ალყა შემოარტყა თბილისს. ციტადელი სავსე იყო სპარსეთის მეფის მომხრე ყიზილბაშებით, რომლებმაც მეჰმედის მუხანათური შეთქმულებით უომოდ, ერთი გასროლის გარეშე, დათმეს პოზიცია და მეჰმედი ამგვარად დაეპატრონა ციტადელს. ვახტანგი თავისი ჯარით ქალაქში იყო გამაგრებული, მიუხედავად მტრის შემოსევით გამოწვეული აფორიაქებისა, ისე დაუშინა ბომბები ციხე-სიმაგრეს, რომ მეჰმედი იძულებული შეიქნა იქიდან გამოსულიყო. მან სასწრაფოდ ააგო ახალი ხიდი მდინარეზე, რადგან ძველი ვახტანგმა დაანგრია, და ღამითვე გაიქცა ბედნიერი, რომ თავის დაღწევა მოახერხა. მეჰმედ-ყული-ხანს ამ დამარცხებამ ბრძოლის ხალისი არ დაუკარგა. მან წაიყვანა თავისი ჯარი კახეთში და დახმარება სთხოვა ლეკებს, რომლებიც დიდი ხანია გულში ინახავდნენ ვახტანგის ბრძოლებისაგან მიყენებულ ტკივილს და სიამოვნებით გამოუგზავნეს შვიდი ათასი მეომარი, რომელთა დახმარებით მეჰმედმა ახლა უფრო წარმატებით დაიპყრო ტფილისი, ვიდრე პირველად.

უკიდურესად მძიმე მდგომარეობის გამო ვახტანგი გაიხიზნა სოფელ ქრცხილვანში (Ketskhinval), თავისი ძმა ისახანი კი გაგზავნა არზრუმის ფაშასთან დახმარების სათხოვნელად. მთავარსარდალი დიდი სიამოვნებით დაეხმარა ვახტანგს, რადგან ამით შემთხვევა მიეცა საქართველოს ბატონ-პატრონი გამხდარიყო, თანაც მას ხელს აძ-

ლევდა ორ ქართველ მეფეს შორის არსებული შუღლი. ვახტანგი შეიჭრა ტფილისში და შეიპყრო მეჰმედ-ყული-ხანი ღამით, როცა კახეთისაკენ გაპარვას აპირებდა. მან მალე მწარედ ინანა ამ შეხლა-შემოხლაში თურქების ჩართვა. თურქებმა გააძევეს თავისივე სახელმწიფოდან მეჰმედ-ყული-ხანი, მაგრამ ვახტანგს არაფერი დაუბრუნეს. პირველ მტერს მეორე, უფრო ძლიერი და სასტიკი მტერი მოჰყვა – რეჯებ-ფაშა (Redjeb Pacha), რომელიც ადრე სერასქერი (Seraskier) იყო. მან შესთავაზა ვახტანგს საქართველოს ფაშას თანამდებობა იმ შემთხვევაში, თუ მაჰმადიანობას მიიღებდა. ვახტანგმა უარი განაცხადა, მაგრამ სანაცვლოდ თავისი ვაჟი ბაქარი წარუდგინა, რომელიც გამაჰმადიანდა და მოინათლა შაჰ-ნავაზის სახელით. მხოლოდ ამის შემდეგ დაინიშნა იგი საქართველოს ფაშას თანამდებობაზე. ამასთანავე, შაჰ-ნავაზმა რეჯებ-ფაშას გარკვეული თანხა (60 ბურსი) გადაუხადა და სამეფო კარის დიპლომი მოიპოვა.

შაჰ-ნავაზმა რამდენიმე ხანს გაუძლო მაჰმადიანურ სარწმუნოებას და სამოსელს. როცა დარწმუნდა, რომ მას მხოლოდ სახელად ერქვა ხელისუფალი და მთელი ძალაუფლება რეალურად სერასქერის ხელში იყო, უარყო მაჰმადიანობა და რამდენიმე ასეული მეომრით დაბანაკდა ტყეში. შაჰ-ნავაზმა მოულოდნელი თავდასხმებით მოსვენება დაუკარგა დამპყრობლებს. სამწუხაროდ, მალე ისეთ წინააღმდეგობას წააწყდა, რომ იძულებული შეიქნა დაეთმო პოზიციები. იგი ჯერ მამამისთან წავიდა ოსებში, შემდეგ კი მთელი ოჯახით მოსკოვს შეაფარა თავი.

ძალაუფლების მოყვარეობამ და მერყევმა ხასიათმა ვახტანგი უნუგეშო მდგომარეობაში ჩააგდო. მას ცოლად ჰყავდა ჩერქეზეთის მეფის ასული რუსუდანი (Roussidan), ვისთანაც შეეძინა ორი ვაჟი: ბაქარი, იგივე შაჰ-ნავაზი, გიორგი (Iorghi) და ერთი ქალიშვილი, რომელიც შეირთო ამჟამინდელმა მეფემ თეიმურაზმა. მოახლემ, რომელიც შემდეგ მისი საყვარელი გახდა, ვახტანგს კიდევ ერთი ვაჟი სახელად კაკუხეთი (Kakoukheti) შესძინა. ამ ოჯახით დასრულდა კახეთს შეერთებული ქართლის მეფეთა შტო.

მეჰმედ-ყული-ხანი, რომელიც გაძევებული იყო თავისი სახელმწიფოდან, ყოველ ღონეს ხმარობდა შური ეძია თურქებზე. 1724 წელს იგი თავისი ჯარით მიუახლოვდა ჰამადანს (Hamadan), გადალახა მტკვარი გორთან და შეუტია თურქებს. ამ დროს მათ წამოეშველა რეჯებ-ფაშა თავისი მეომრებით და უკუაქცია მეჰმედ-ყული-ხანი, რომელმაც ხელახლა გადალახა მდინარე და ამით ჯარმა დიდი დანაკლისი განიცადა. თურქები ყოველნაირად ცდილობდნენ ამ მეფის დამორჩილებას და რახან ღონით ვერაფერს გახდნენ, ვერაგობას მიმართეს: ახალციხის ფაშას ვაჟმა, იუსუფ-ფაშამ მეჰმედ-ყული-ხანს შესთავაზა სამზავო ხელშეკრულება, რომლის შესახებ აუცილებელი იყო მოლაპარაკება. იუსუფ-ფაშამ (Iusuph-Pacha) მეჰმედ-ყული-ხანი სოფელ მარტყოფში (Mardkop) ნადიმზე მოიწვია და სთხოვა არ წამოეყვანა დიდი ამალა იმ საბაბით, რომ მოლაპარაკება ძალზე საიდუმლო უნდა ყოფილიყო. დაუდევარი და გულუბრყვილო მეფე მახეში გაება. იგი გაემართა დანიშნულ ადგილას თავის თორმეტ ერთგულ მსახურთან ერთად. ფაშამ დიდი პატივით მიიღო სტუმარი და გააცნო სამშვიდობო გეგმა. შემდეგ დიდებული კერძებით ისიამოვნეს და დიდხანს მეგობრულად ისაუბრეს. საღამოხანს მეჰმედმა წასვლა დააპირა, მასპინძელმა გააცილა და ცხენის უზანგი დაუჭირა. ცხენზე ასვლისას, იუსუფ-ფაშამ ხანჯლით იმდენი ჭრილობა მიაყენა მეჰმედს, სანამ არ დარწმუნდა, რომ მოკლა. შემდეგ თავი მოაჭრა და კონსტანტინოპოლში გააგზავნა. თორმეტმა მეომარმა, რომელიც ამ ბედკრულ დღეს მეფეს ახლდა, არნახული გმირობა ჩაიდინა. მათ ელვისებური სისწრაფით, მთლიანად გაანადგურეს ფაშას ხუთასკაციანი დამცველი რაზმი და არავის დაანებეს პატრონის ცხედარი, კარვები და ეკიპაჟი. მეჰმედ-ხანი დაიღუპა სიცოცხლის საუკუთესო ხანაში და თან წაიღო თავისი გვარის ერთ-ერთი ყველაზე გულადი მეფის ღირსეული სახელი. მას ბევრი ისეთი თვისება ჰქონდა, რომელიც აუცილებელი იყო ძლიერი ხელისუფლისათვის: ძალაუფლებისმოყვარე, შემტევი, მამაცი, მოხერხებული, გონიერი. ამ თვისებებით მეჰმედს შეეძლო

უდიდესი გეგმების განხორციელება, მაგრამ იგი ეძლეოდა ახალგაზრდულ მგზნებარებას. ადამიანებისადმი ნდობა მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. მეტი გამოცდილება რომ შეეძინა, ის დიდებული მეფე დადგებოდა. დაუკვირვებლობა, მიმნდობლობა და გულუბრყვილობა მეჰმედ-ყული-ხანს სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

მეჰმედ-ყული-ხანის სიკვდილიდან დღევანდელი თეიმურაზის საქართველოს მეფისნაცვლად დამტკიცებამდე

ერეკლეს ვაჟი, თეიმურაზ მესამე, კახეთში იმყოფებოდა, როცა მუხანათურად მოკლეს მისი ძმა მეჰმედ-ყული-ხანი. მან შეკრიბა მთელი თავისი ძალები, რათა წინ აღდგომოდა ქალაქის დასაპყრობად წამოსულ თურქებს. თეიმურაზი კახეთიდან ოთხი ლიეს დაშორებით ლაჯინ-ბოღაზში (Lodjin-Bogasi) დაბანაკდა. ეს იყო ერთადერთი ადგილი, საიდანაც თურქებს შეეძლოთ შემოჭრა ამ სახელმწიფოში. თეიმურაზმა შეინარჩუნა თავისი სამეფო. მან ბევრჯერ ისახელა თავი გმირობითა და თავდადებით. 1734 წელს თამაზ-ყული-ხანმა ლეკები განდევნა და შემახამდე მიაღწია. იუსუფ-ფაშა ტფილისში გაემგზავრა განჯა-ალი-ფაშასთან შესახვედრად, რათა ერთად შებმოდნენ თამაზ-ყული-ხანს, მაგრამ კახეთის შესასვლელთან თეიმურაზმა, ორი ათასი მეომრით, ცხარედ შეუტია იუსუფის ექვსი ათას კაციან ჯარს და გაანადგურა, ვინც გადარჩა, ტფილისისაკენ იბრუნა პირი. ეს მოხდა აღჯაყალის (Agdjeakal) ველებში. ამ გამარჯვების შემდეგ თეიმურაზმა კახეთში თავისი მოადგილე ერისთავი (Eristave de Kilik) დატოვა, თვითონ შეუერთდა თამაზ-ყული-ხანს და ერთად შემოარტყეს ალყა განჯას, სადაც ალი-ფაშა თერთმეტი თვის მანძილზე იყო დაბანაკებული თავისი ათი ათასი მეომრით და იმედი ჰქონდა, თუ გაუჭირდებოდა, აბდულაჰ-ფაშა-კუპურლი (Abdoulah-Pacha-Kupurly) ყოველთვის მზად იქნებოდა მის დასახმარებლად. მაგრამ თამაზ-ყული-ხანმა დაასწრო აბდულაჰ-ფაშას. თავისი ჯარის ერთი ნაწილი

დატოვა განჯაში ალყის შესანარჩუნებლად, ხოლო თეიმურაზი და ქანჯერ-ხანი თბილისის დასაპყრობად გაგზავნა.

თამაზ-ყული-ხანი ქარსის ველზე პატარა მდინარეზე არპასთან შეებრძოლა აბდულაჰ-ფაშას. ამ ბრძოლაში თურქი მთავარსარდალი დაიღუპა, თავგზააბნეული ჯარი კი მიმოიფანტა. თამაზს თავისი ბანაკის მახლობლად შაჰ-აბასის მიერ ჩამოსხმული ზარბაზანი ჰქონდა. შენიშნეს თუ არა აბდულაჰ-ფაშას ბანაკი, პირველივე გასროლით გაანადგურეს. აბდულაჰ-ფაშას სიკვდილმა მის ჯარში არეულობა გამოიწვია და სწორედ ამ დროს თამაზ-ყული-ხანი თავისი მცირერიცხოვანი ჯარით შეტევაზე გადავიდა და სრული გამარჯვება მოიპოვა. ამის შემდეგ მან შეუთვალა განჯის ფაშას: „დახმარების იმედი ტყუილად ნუ გექნება, ჯარი განადგურებულია, შენ კი აჯობებს ომის გარეშე დათმო ძალაუფლებაო“. მიუხედავად გაფრთხილებისა, სასტიკი ბრძოლა მაინც შედგა. თამაზ-ყული-ხანმა დაამარცხა მტერი, ძალზე ლმობიერად მოექცა ტყვედ ჩავარდნილებს და დაიცვა ბრძოლისათვის არსებული ყველა ჰუმანური წესი და კანონი.

იუსუფ-ფაშა კიდევ რამდენჯერმე შემოიჭრა ტფილისში, ხოლო მისმა ხაზინადარმა მეჰმედ-ბეიმ ორჯერ შეუტია მოალყეებს და უკუაქცია კიდეც. აბდულაჰის დაღუპვამ აიძულა იუსუფ-ფაშა დაეთმო ადგილი ქანჯერ-ხანისათვის, რომელიც თეიმურაზმა 1735 წელს გამოაცხადა ტფილისის ხანად.

ამ დროს საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარე აზერისხევს (Azeriskhew) განაგებდა ერთი ბეი, სახელად შამშე (Chamché), რომელიც კარგა ხანია აწყობდა აჯანყებებს სპარსელების წინააღმდეგ. ეს ის პიროვნებაა, რომლის ხელშეწყობით ვახტანგმა თავი დააღწია ტყვეობას. თამაზ-ყული-ხანმა უბრძანა ქანჯერ-ხანს და სუბხან-სერდარს (Subkhan-Serdar) წასულიყვნენ შამშეს წინააღმდეგ, შეეპყროთ იგი და მისთვის გადაეგზავნათ. ორივე სარდალი შვიდი ათასი მეომრით წავიდა ბრძანების შესასრულებლად, გზად აიღეს ციხე-სიმაგრე ვანა, სადაც შამშეს თავისი ჯარი ჰყავდა განლაგებული, აქედან გადაიარეს

ქევხის ციხე და აზერისხევში მოხდა მათი შეტაკება. დიდხანს უმკლავდებოდა შამშე მტერს ხან შეტევით, ხან ტყეში თავშეფარებით, მაგრამ ვეღარ გაუძლო მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს უთანასწორო ბრძოლაში და ახალციხის ფაშას მიაშურა. ქანჯერ-ხანმა კი აიღო აზერისხევი და ამაოდ გაედევნა შამშეს იმერეთამდე.

ახალციხის ფაშამ უზარმაზარი ხარკი დააკისრა იმერეთის მეფე ალექსანდრეს, რომლის გადახდა შეუძლებელი იყო მისთვის. ამიტომ იძულებული გახდა იქაურობას გარიდებოდა და ტფილისს გაემგზავრა. მან შესთავაზა თამაზ-ყული-ხანს, დაეხსნა მისი სამეფო თურქეთის ტირანიისაგან და მოხარკედ გაუხდებოდა, მაგრამ თამაზ-ყული-ხანს შამშეს ხელში ჩაგდება ყველაფერს ერჩია და ალექსანდრეს ეს შემოთავაზება თავის სასარგებლოდ გამოიყენა. მან დაუყოვნებლივ შეუთვალა ახალციხის ფაშას, რომ იმერეთის მეფე მის ხელში იყო და არ გაათავისუფლებდა მანამ, სანამ ის შამშეს არ გამოუგზავნიდა. სულთან-ხანი ჩაერია ამ გარიგებაში. შამშე შეევედრა ფაშას: „ნუ შემარცხვენ, მტერს ნუ ჩაუგდებ ხელში ჩემს თავს, მომეცი საშუალება ან გავიქცე, ან ბრძოლით თავი დავიცვაო", მაგრამ თურქმა თხოვნა ყურად არ იღო და შამშე სულთან-ხანს გადასცა, ხოლო ალექსანდრე თავის სამშობლოში დააბრუნა. სულთან-ხანმა შამშე ისპაჰანში წაიყვანა, სადაც თამაზ-ყული-ხანმა მას თვალები დათხარა. ის დღესაც ცოცხალია და ტფილისში ცხოვრობს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ქანჯერ-ხანი გარდაიცვალა, ქართველებმა უკიდურესად განიცადეს მისი სიკვდილი, ხოტბას ასხამდნენ მის პიროვნებას და ცრემლისღვრით გამოხატავდნენ თავიანთ უსაზღვრო ტკივილს. მეფის გვამს აპკურეს სურნელებანი და გადაასვენეს თავის სამშობლო ხორასანში (Khorassan) დასაკრძალავად. ტფილისის მცხოვრებნი, დიდებულნი თუ მდაბიონი სრულად გამოვიდნენ მისი ნეშტის გასაცილებლად, ამით უკანასკნელი პატივი მიაგეს საყვარელ მეფეს. ემირ-არსლან-ხანმა (Emir-Arslan-Khan) ბოლომდე გააცილა ქანჯერ-ხანი და აგრძნობინა ქართველებს თავისი წინამორბედის დაკარგვით გამოწვე-

ული წუხილი. მას ისევე ეხერხებოდა ადამიანის ნდობის დაკარგვა, როგორც ქანჯერს მისი მოპოვება. ისინი ძალზე გულადი ვაჟკაცები იყვნენ, მაგრამ ემირ-არსლან-ხანის გმირობას ახლდა მესისხლეობა, ხოლო ქანჯერ-ხანის სიმამაცეს – დიდსულოვნება. ის მართლაც ძალზე მიმტევებელი და კეთილი იყო. მისი შემოსაველის დიდი ნაწილი გაჭირვებულთ და ქვრივ-ობლებს ხმარდებოდა, ემირ-არსლან-ხანი კი ბოროტი და ძუნწი იყო, ხალხის გაძარცვის მცირე შემთხვევასაც არ გაუშვებდა ხელიდან; ქანჯერ-ხანი მუსულმანი იყო, მაგრამ პატივს სცემდა ქრისტიანულ რელიგიასაც და ხშირად შესაწირს უგზავნიდა ტფილისის ქრისტიანულ ეკლესიებს; ემირ-არსლან-ხანი პირიქით, ქრისტიანობის შეურიგებელი მტერი იყო და გააფთრებით სდევნიდა ხალხს. მალე თამაზ-ყული-ხანმა იგი ლაშქრობაში გაიხმო. ქრისტიანობისა და ხალხისადმი სიძულვილით აღსავსემ, როგორც იქნა დატოვა ტფილისი. მისი სახელი აქამდე შიშის ზარს იწვევს ქართველებში. ემირ-არსლან-ხანის გაწვევის შემდეგ 1740 წელს ტფილისში თამაზ-ყული-ხანმა კახეთის მეფედ და საქართველოს მეფისნაცვლად თეიმურაზი გამოაცხადა.

აბდულაჰ-ხანმა, ისა-ხანის ვაჟმა, რომლის შესახებ უკვე გიამბეთ, შეიტყო თუ არა თეიმურაზის გამეფება, მის წინააღმდეგ გამოილაშქრა. მას კავშირი ჰქონდა ყიზილბაშებთან, რომლებიც დაპირდნენ დახმარებას ტფილისის დაპყრობაში. იგი შემოიჭრა დედაქალაქში და მცხოვრებლებს გამოუცხადა თავისი განზრახვა საკუთარი წინაპრების სამეფოს დაბრუნების შესახებ, რომელზედაც მისი აზრით, თეიმურაზს არავითარი უფლება არ ჰქონდა, მაგრამ ხალხმა მხარი დაუჭირა თეიმურაზ მეფეს საუკეთესო პიროვნული თვისებების, გმირული ღირსების და ქრისტიანული რელიგიისადმი განსაკუთრებული პატივისცემის გამო. აღელვებულმა მოსახლეობამ განდევნა აბდულ-ხანი, რომელიც გამაგრდა თავის ციხე-სიმაგრეში ვაშლუბში (Vacheloub), თუმცა ცოტა ხნის შემდეგ გაიპარა ისე, რომ ვერავინ გაიგო მისი ასავალ-დასავალი. ამ ამბის შემდეგ თეიმურაზმა განიზრახა შური ეძია ყიზილბაშებზე, რომ-

ლებიც დაბანაკებულნი იყვნენ ციტადელში. მან ხშირი იერიშებით დააუძლურა და დაქსაქსა ისინი, ხოლო მათი ცოლ-შვილი ახლო-მახლო სოფლებში ჩაასახლა.

თეიმურაზმა გამეფებისთანავე დიდი სამსახური გაუწია თამაზ-ყული-ხანს: ქართლის ხანმა, გულადმა და უშიშარმა ვაჟკაცმა, გივი ამილახვარმა (Givi Amilaghor) თავისი მოქმედებით თამაზ-ყული-ხანის უნდობლობა გამოიწვია. თეიმურაზმა მოახერხა მისი ხელში ჩაგდება და სურამის ციხეში დატყვევება. თამაზ-ყული-ხანმა თეიმურაზს უბრძანა, რომ გივი ამილახვარი ცოცხალი და საღ-სალამათი მისთვის გადაეგზავნა. მეფე კეთილგანწყობით შეხვდა ტყვეს, ნდობის დასტურად ლაშქრობაშიც კი გაიყოლა და შეუქო მისი დიდი თავდადება. ასეთი იყო თამაზ-ყული-ხანის პოლიტიკა: დარწმუნდებოდა თუ არა, რომ მეამბოხე მისთვის საშიშროებას აღარ წარმოადგენდა, კეთილი მოპყრობით იყენებდა მის გმირობას და ვაჟკაცობას. მტრის გადმობირებისათვის მეფე მრისხანების და სისასტიკის ნაცვლად შემწყნარებლობასა და ლმობიერებას აძლევდა უპირატესობას.

რამდენიმე ხნის შემდეგ თამაზ-ყული-ხანმა თეიმურაზი თავის სასახლეში მოიხმო. შეშინებულმა თეიმურაზმა საფრთხის თავიდან ასაცილებლად სასახლეში წასვლაზე ჯერ უარი განაცხადა და შემდეგ გადაწყვიტა თავისი მეუღლე, ვახტანგის ასული, გაეგზავნა მეფესთან საქმის მოსაგვარებლად. დედოფალი გაემგზავრა სასახლეში, თამაზ-ყული-ხანი მას დიდი პატივისცემით შეხვდა. დედოფალმა ისეთი ჭკუა-გონება, შნო და ლაზათი გამოამჟღავნა, რომ აღიარების ნიშნად ყველაზე იშვიათი და ძვირფასი საჩუქრები მიიღო თამაზ-ყული-ხანისაგან. დედოფალმა არა მარტო გაამყარა მეუღლის პოზიცია, უფრო მეტიც, მან მოიპოვა დიპლომი, რომლის მიხედვით დიდმა ხელმწიფემ თეიმურაზს თავრიზის (Tauris), ერევნის, განჯის და მთელი მედიეს მეფისნაცვლობა უბოძა.

წარმოიდგინეთ ქართველი მეფის კმაყოფილება, როცა შეიტყო ამ რთულ მოლაპარაკებაში თავისი მეუღლის ბრწყინვალე წარმატების შესახებ. იგი მყისვე გაემგზავრა

თავრიზში, დანიშნა გამგებელი და დაბრუნდა ტფილისს, სადაც თამაზ-ყული-ხანის მითითებით ააგო თავისი სასახლე. თეიმურაზის სიხარული მალე მწუხარებით შეიცვალა. ამ ცნობილი ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ მისი მეუღლე გარდაიცვალა. უბედურებამ სულით ხორცამდე შეძრა თეიმურაზი, დედოფალი მეუღლისადმი თავდადებული და საუკეთესო თვისებების მანდილოსანი გახლდათ. თეიმურაზის მაღალი თანამდებობა ხომ მისი დამსახურება იყო. გარდა ამისა, მან თეიმურაზს აჩუქა ვაჟიშვილი ერეკლე (Héreclius), მეფე, რომლის ბედ-იღბლით დაინტერესებულია მთელი ევროპა. ეს გმირი დაიბადა იმისთვის, რომ ასახელოს თავისი ქვეყანა და მშობლები, რომლებმაც მას სიცოცხლე აჩუქეს.

თეიმურაზი ერთხანს მშვიდად ცხოვრობდა ტფილისში, ხარობდა იმ ვრცელი ასპარეზით, რომელიც მას, მისი მეუღლის წყალობით, თამაზ-ყული-ხანმა მიანდო, მაგრამ ეს სიმშვიდე ამჯერადაც თამაზ-ყული-ხანმა დაარღვია. მან მოითხოვა დიდძალი ხარკი, რომლის გადახდა ქვეყნისათვის წარმოუდგენელი იყო. მდგომარეობა დამძიმდა. თეიმურაზმა გადაწყვიტა გასცლოდა იქაურობას და თავი შეაფარა გორის მახლობელ მთებს. მეუღლეც ცოცხალი აღარ ჰყავდა, მეორედ რომ წასულიყო ხელმწიფესთან საქმის მოსაგვარებლად. თეიმურაზმა ერთხელ კიდევ შეიგრძნო მისი დაკარგვით გამოწვეული უბედურება. ბევრი ფიქრის შემდეგ მან გაგზავნა ელჩები თამაზ-ყული-ხანთან, რათა მისი დედაქალაქიდან გასვლა ცუდად არ გაეგო, და აცნობა მიზეზი, რომ ხარკის რაოდენობა ქვეყნის შესაძლებლობებს აღემატებოდა. წარგზავნილებმა ისე მოაგვარეს საქმე, როგორც თეიმურაზი ინატრებდა: თამაზ-ყული-ხანს არ სურდა ჩიხში მოემწყვდია თეიმურაზი, გმირი, ვაჟკაცი, მოხერხებული და აღიარებული მეფე და შეუთვალა, რომ მისი მოთხოვნა სულაც არ გულისხმობდა ძალდატანებას და იძულებას, იგი მზად არის გაათავისუფლოს მისი ქვეყანა ყოველგვარი გადასახადისაგან. ამ ახალი სასიხარულო ამბით კმაყოფილმა თეიმურაზმა უშფოთველად გააგრძელა ქვეყნის მართვა თამაზ-ყული-ხანის

სიკვდილამდე. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ ამ ესეს გაგრძელებაში თამაზ-ყული-ხანს შაჰ-ნადირის (Schah-Nadir) სახელით მოვიხსენიებ.

თეიმურაზს წლებმა ძალა წაართვა და არა ვაჟკაცობა და სიმამაცე. იგი იბრძოდა თავისი ვაჟის ერეკლეს წინამძღოლობით და სრულებით არ თაკილობდა მის ხელქვეითობას. იგი ამჟამად ტფილისშია წლებისა და დიდების გვირგვინით შემკული. თეიმურაზი ცნობილია ბრძენი ადამიანის, დიდებული მეფის, მოსიყვარულე მამის, გულადი მეომრის, მახვილგონიერი მთავარსარდლის სახელით. ამ ბოლო ხანს ის დაკავებულია თავისი ვაჟის გმირული ცხოვრებით, ცდილობს სრულად გადასცეს მას თავისი გამოცდილება.

ავღანელთა განლაგება აზერბაიჯანში, ბახტიართა (Bactiaris) აჯანყება, ისმაილ-შაჰის გამეფება 1750 წ. ავღანები დამარცხებულია ერეკლეს მიერ. ავღანები ანადგურებენ ერევნისა და ნახიჩევანის (Naxivan) მხარეს. შაჰ-რუქი დაბრმავებულია

შაჰ-ნადირის გარდაცვალებიდან ყოველი წელი ღირსშესანიშნავი იყო სხვადასხვა მოვლენით. ამ მხრივ არანაკლებ ყურადღებას იმსახურებს 1750 წელი. სპარსეთმა დიდი ცვლილება განიცადა. ის დაქუცმაცდა: გარე სამეფოთა ხანები შეუდგნენ თავიანთი ხელისუფლების გამყარებას პროვინციებში; საქართველოს მეფეები თეიმურაზი და ერეკლე დაეუფლნენ ერევნისა და ნახიჩევანის მხარეებს, მივიდნენ ტაურისამდე, მოიზიდეს ავღანი მეომრები და გააძლიერეს თავიანთი ჯარი.

ავღანები არ უნდა აგვერიოს ყანდაარელებში (des Candahars), რომლებიც იყვნენ შაჰ-ნადირის გვარდიელები (პრეტორიანელები (prétoriennes), მცველები). მთავარსარდლის გარდაცვალების შემდეგ ისინი ვერ ბედავდნენ სამშობლოში დაბრუნებას, რადგან უნდა გადაელახათ ქვეჯნები, სადაც მათ შეხვდებოდნენ, როგორც მოსისხლე

მტრებს. ამიტომ, პატარა ჯგუფებად დაქსაქსულნი, ერევნისა და ნახიჩევანის მხარეებში დაძრწოდნენ და ეძებდნენ ფეხმოსაკიდებელ ადგილს. ისინი რელიგიურად სუნიზმის (Sunites) მიმდევრები არიან ყოველგვარი საეკლესიო წესების გარეშე. ავღანთა ნაწილი ქართველებმა აზერბაიჯანში (Aderbijan) შეიტყუეს, ისინი თეიმურაზ მეფეს შებრძოლების გარეშე ჩაბარდნენ. თეიმურაზმა მათ წინამძღოლად თავისი ქვეშევრდომი დაუნიშნა იმ იმედით, რომ ჯარი მისი მორჩილი და ბრძანების შემსრულებელი იქნებოდა.

ავღანები, როგორც აღვნიშნე, სუნიზმის მიდევრები არიან, ყიზილბაშების, ანუ ალის სექტის (la secte d'Aly) სპარსელების, მტრები. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიით ურთიერთსაწინააღმდეგონი არიან, საერთო ინტერესმა — ძარცვამ და ყაჩაღობამ — ისინი გააერთიანა, მათ შეუერთდნენ, აგრეთვე, აზერბაიჯანელი ყიზილბაშებიც, ერთი სიტყვით, დასაწყისში იყო ათი ათასი კაცი, გაერთიანების შემდეგ გახდა მრავალათასიანი. მათ იგრძნეს თავიანთი ძლიერება და აღარ მოეწონათ ის სუბორდინაცია, რომელიც თეიმურაზ მეფეს აღუთქვეს. ავღანებმა გააძევეს ქართველი მეფის ერთგული და მათივე არჩეული მთავარსარდალი და წინამძღოლად კასიმ-ხანი (Kassum-Khan) დააყენეს. მათ თავაშვებულობას საზღვარი არ ჰქონდა.

ავღანთა მოძრაობით შეშფოთებული თეიმურაზი და ერეკლე 1751 წლის დასაწყისში აღსდგნენ მათ ასალაგმავად. ქართველთა ჯარს სომხებიც შეუერთდნენ. სასტიკი შეტაკება მოხდა ქალაქ ოდუართან (Odouar). ქართველებმა დაამარცხეს მრავალრიცხოვანი ჯარი, ისინი პატარ-პატარა ჯგუფებად მიმოიფანტნენ. ერეკლემ ამ უმძიმეს ბრძოლაში დიდი გმირობა და თავდადება გამოიჩინა, ისეთი, როგორიც ისტორიას შორეული წარსულიდანაც არ ახსოვს. ავღანთა ერთ-ერთ მეთაურს დაუკვეხნია, რომ ხელში ჩაიგდებდა ერეკლეს ან მკვდარს ან ცოცხალს. ავღანთა ჯარში მსახურობდა ერთი ქართველი, რომელიც გამოქცეულა და ერეკლესათვის შეუტყობინებია ეს ამბავი. ბრძოლის დროც დადგა. ერეკლემ თავისი ლაშქარი ველზე განალაგა. ამ დროს ავღანთა ჯარს გამოეყო მკვეხარა

მეთაური და ხმამაღლა მოიკითხა, სად იყო ერეკლე. – აქა ვარო – თქვა მეფემ, რომელიც უკვე შემართული იყო ამ შემთხვევისათვის და დაწინაურდა. ავღანი შუბით ხელში შურდულივით გამოექანა მისკენ. ერეკლე სხარტად ჩამოხტა ცხენიდან, მოხერხებულად აიცდინა მტრის ლახვარი და პისტოლეტის ერთი გასროლით ცხენიდან გადმოაგდო გულგანგმირული მტერი. დაუსრულებლად და სიამოვნებით შემიძლია ვისაუბრო მთავარსარდლის გმირობითა და თავდადებით გამოწვეულ მეომართა აღფრთოვანების შესახებ, რომლებიც არაერთხელ ყოფილან თავიანთი მეფის გასაოცარი ვაჟკაცობის მოწმენი გადამწყვეტ ბრძოლებში. მან თავისი სიბრძნითა და სიმამაცით მრავალი გამარჯვება მოაპოვებინა თავის მეომრებს, თავის ხალხს.

ერეკლემ თავგზა აუბნია ავღანებს, ბრძოლით გასდია თავრიზამდე და გამარჯვებული დაბრუნდა თავის ქვეყანაში. პირველმა წარმატებებმა ვერ დააცხრო მისი ვაჟკაცური სულისკვეთება და მალე ლეკების, განჯისა და ურუმის (Uroumi) ხანის წინააღმდეგ გაილაშქრა, რადგან ისინი ეხმარებოდნენ ავღანებს მის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერეკლემ აქაც სრული გამარჯვება მოიპოვა და დამარცხებულებს განუცხადა, რომ იგი მოქმედებდა როგორც დავლეთ-შერიქი, ანუ იმერეთის მოკავშირე. ამბობენ, რომ სახალხოდ განცხადება მას გააბედვინა შაჰ-რუქთან დადებულმა ხელშეკრულებამ, რომელიც ითვალისწინებდა მასთან სამეფოს გაყოფას, მაგრამ ამ ფაქტის სიმართლეში დარწმუნებული არა ვარ. ავღანთა მოძრაობა ამით არ დასრულებულა. ისინი შეეკრნენ ლეკებს და ნახიჩევანის მხარეში გაიფანტნენ, აქაური მცხოვრებლები მათი გაუგონარი ბოროტების მსხვერპლნი გახდნენ. აღვირახსნილი მტერი ითხოვდა ბეგარას – ოთხი ათას თუმანს ანუ ოთხმოციათას ეკიუს ჩვენ ფულზე და ექვსიათას სამხარეო გადასახადს. წინა ომებისაგან ქანცგაწყვეტილ ხალხს უკვე აღარ შეეძლო მათი უდიდესი მოთხოვნების შესრულება და გაუმაძღარი ბარბაროსების მსხვერპლად გადაიქცნენ. მტარვალთა სიხარბის დასაოკებლად მამები იძულებულნი გახდნენ გაეყიდათ შვილები. გამძვინვარებული მტრები

ველური ყინის დაკმაყოფილების შემდეგ ქალებს მკერდს და სხეულის სხვა ნაწილს წითლად გავარვარებული რკინით უსერავდნენ, რათა ტკივილებისაგან გაწამებულებს გამოეჩინათ გადამალული ქონება. როცა ვერაფერს გახდებოდნენ, ყელს გამოჭრიდნენ და წვავდნენ მთელ სოფელს, პურის ყანებს. შიმშილობამ ბოლო მოუღო იმას, ვინც მტერს გადაურჩა. ვისაც ცოტა ძალ-ღონე შერჩა, მთებს შეაფარა თავი, მაგრამ ფოთოლს და ბალახსაც კი ვერ პოულობდნენ თავი რომ გამოეკვებათ და გზაშივე იღუპებოდნენ. ენით აუწერელია ამ ხალხის უბედურება, მათი ქვეყანა დღევანდლამდე ბრძოლის ნამდვილი თეატრია.

ავღანებმა განაგრძეს საბრძოლო სვლა აგულისამდე (Agulis). ერეკლემ ვერ დაასრულა ლაშქრობა ისეთი წარმატებით, როგორც დაიწყო. ქართველი მეომრები გმირულად შეებნენ მათ და არ თმობდნენ პოზიციას, მაგრამ ვერ შეძლეს მტრისათვის ქალაქის შემოსასვლელის გადაკეტვა. მტერმა იქაურობა ცეცხლსა და სისხლში დაფარა, ორი ათასი ქრისტიანი მოკლა, თხუთმეტი ათასი ტყვედ წაიყვანა. ავღანებმა ერევნისაკენ აიღეს გეზი. გზად არბევდნენ ყველა სოფელს, ამასობაში მათი მოკავშირე ლეკები შირვანის მხრიდან უტევდნენ ქართველებს. ერეკლე იძულებული იყო გარიდებოდა მძვინვარების ნიაღვარს და პირი იბრუნა ქალაქისაკენ.

ამ ომებით კომერცია არ შეფერხებულა, შეიძლება ითქვას, რომ თავისუფლად მიმდინარეობდა. თუმცა გზები მოუწყობელი და მოუწესრიგებელი იყო, მაგრამ ქარავნები არზრუმამდე შედარებით იოლად აღწევდა, ხოლო თავრიზიდან ყაზვინამდე გზა ურუმიელ ქურთებს და სხვა უკეთურებს ჰქონდათ გადაკეტილი. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ისპაჰანიდან ბასრამდე (Bassora) მოძრაობა აკრძალული იყო. მიუხედავად ამისა, დედაქალაქიდან ბაღდადამდე კომუნიკაცია მაინც არსებობდა: სპარსელები თავისუფლად მიმოდიოდნენ აუცილებელი საქონლის მოსამარაგებლად.

მეფის ასარჩევად შემუშავებული მოკავშირეთა ანუ ლიგის პროექტი. თეიმურაზს უღალატეს ამ პროექტის შესრულებაში. ლეკებმა დაამარცხეს ერეკლეს ჯარი. ერეკლემ გაანადგურა და განდევნა ლეკები. ავღანთა მიერ მშვიდობის დამყარება ერეკლესთან

1751 წლის ბოლოს ქართველებმა ჯარის შესავსებად და გასაძლიერებლად თბილისისაკენ გასწიეს. მეფეს უნდა აღედგინა ძველი ლაშქარი, რომელმაც წარმატებით დაიწყო, მაგრამ საბედისწეროდ დაასრულა. ავღანთა თარეში დღითი დღე ძლიერდებოდა: მათი ახალი მთავარსარდალი თავისი ჯარით ურუმის ციხეში გამაგრდა. 1752 წლის იანვარში მან დაიპყრო თავრიზი. ამბობენ, რომ თითქოს მას აზერბაიჯანის მეფის ტიტულისათვისაც კი გამოუკრავს ხელი. ამ ავაზაკების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში გამეფებული სისასტიკე ასეთივე სიმძაფრით მალე თავრიზშიც გავრცელდა. ყოველი ახალი ქვეყნის დაპყრობა დიდ საფრთხეს უქმნიდა მეზობელ ქვეყანას. მუდამ მოთარეშე, მაწანწალა ბრბო თანდათან ეუფლებოდა ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან ქალაქებს. მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების რიცხვი საოცარი სისწრაფით იზრდებოდა. ისინი ყველაფერს იპყრობდნენ და ანადგურებდნენ.

ყარაბაღის, განჯისა და შემახეს ხანები თეიმურაზის ლიგაში გაერთიანდნენ. მათ შეუერთდნენ ავღანთა მიერ დარბეული მცხოვრებნიც, რომლებმაც გაგზავნეს თეიმურაზთან ოცი პრიმასისაგან (წოდებითა და უფლებით პირველი ეპისკოპოსი) შემდგარი დეპუტაცია. მათ აღუწერეს მეფეს თავრიზის ხალხის უბედურება და მისგან დახმარებას ითხოვდნენ. ლიგის პროექტის თანახმად მოკავშირე ქვეყნების ერთიანი ჯარი უნდა შეჭრილიყო თავრიზში, გაენადგურებინა იქ განლაგებული ავღანები და იქიდან გზადაგზა, ბრძოლით მოსულიყო დედაქალაქამდე. მათი გადაწყვეტილება – ბოლო მოეღოთ ავღანთა თარეშისათვის – ურყევი იყო. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ეფიქრათ სპარსეთის მეფის არჩევნებზე, რომელიც უეჭველად სეფის შთამომავალი უნდა ყოფილიყო. ლიგის წევ-

რებმა ახალი მეფე წამოაყენეს, რომელიც მოსკოველებმა თავის დროზე ქართველებს ჩაუგდეს ხელში. მე არ ვიცი მისი ვინაობა და არც წარმოშობა, რომ გავბედო და რაიმე ვთქვა მის შესახებ. ბოლოს საღმა გონებამ გაიმარჯვა და გადაწყდა, რომ თავრიზი მოაწყობდა შეკრებას, სადაც გადამოწმდებოდა ამ მეფისა და შაჰ-ისმაილის (Schah-Ismail) (სეფის შთამომავლის) უფლებები და უპირატესობანი. ამ უკანასკნელს ბახთიარებმა უკვე გვირგვინი დაადგეს და გაამეფეს. თუ არჩევნების გზით არაფერი გაირკვეოდა, მაშინ ძალა გადაწყვეტდა ამ ორს შორის რომელი უნდა გამეფებულიყო. არავინ ფიქრობდა შაჰ-რუქის (Schah-Rouk) თავმოყვარეობაზე, რომელიც სიბრმავის გამო ვერ შეძლებდა სახელმწიფოს მართვას. ამ ლიგას უეჭველად ექნებოდა წარმატება, თუკი ხანები, რომელთაგანაც ეს კავშირი შედგებოდა, მხარში ამოუდგებოდნენ თეიმურაზ მეფეს ამ ბრძნულ წამოწყებაში.

ერეკლემ როგორც იქნა განდევნა ოდუარის სისხლისღვრისა და მრავალგზის შეტევების შედეგად ოთხი-ხუთი ათასი მეომრით შემცირებული ავღანთა ჯარი, მაგრამ გაჩნდა კიდევ ერთი საფრთხე - სხვადასხვა ჯურის მოთარეშეები, რომლებიც ძარცვითა და მტაცებლობით ირჩენდნენ თავს, მოულოდნელად ერთ მრავალრიცხოვან არმიად გადაიქცნენ. ავღანებმა შეწყვიტეს თავდასხმები და არჩევდნენ ადგილს მუდმივ საცხოვრებლად. ამ დროს იოლი იყო მათი განადგურება, მაგრამ ხანები თავს შორს იჭერდნენ ლიგის გეგმის განხორციელებისაგან. მათ თეიმურაზს უღალატეს და ავღანების განადგურებისათვის ბრძოლაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. თეიმურაზს საიდუმლოდ აცნობეს ამ ღალატის შესახებ, თუმცა მან თავისი განზრახვა ავღანების განადგურების შესახებ მაინც არ შეცვალა და გადაწყვიტა საომარი სვლა განჯით დაეწყო და შემდეგ წასულიყო ტაურისისაკენ. ერეკლემ თორმეტი ათასი მეომრით – თბილისის, კახეთის, ოაზის (Oases), ყაზახისა (Kazakes) და ბორჩალოს მოსახლეობისაგან შემდგარი ლაშქრით საბრძოლო მზადება დაიწყო. მან ყაზახელები და ბორჩალოელები განჯასა და

ტფილისს შორის კარვებში დააბანაკა. ისინი ზაფხულობით მთებში, ზამთარში კი დაბლობზე ცხოვრობდნენ, გულადი მეომრები იყვნენ და არაფერი ისე კარგად არ ეხერხებოდათ, როგორც ბრძოლა.

ერეკლეს ლაშქარში ლეკების ერთი ნაწილი შედიოდა, რომელნიც თანამემამულეების წინააღმდეგ ქართველებს შეუერთდნენ. ერეკლემ ისინი განჯის მახლობლად განალაგა. ამ დროს ლეკების მთავარსარდალმა, რომლებიც ავღანებთან იყვნენ დაკავშირებული, თეიმურაზს შეატყობინა, რომ მათი ჯარი თორმეტი ათასი მეომრით მის წინააღმდეგ მოდიოდა. ეს მოულოდნელი ღალატი აშკარად განჯის ხანისაგან წარმოიშვა და თეიმურაზის, როგორც ლიგის სულისჩამდგმელის, გასანადგურებლად იყო ჩაფიქრებული. ლეკები დაბანაკებული იყვნენ სპარსეთის მხრიდან დედაქალაქთან ახლოს, ხოლო ერეკლე საქართველოდან კარგა მანძილით იყო დაშორებული. რამდენიმე დღის განმავლობაში ორივე მხარე უხმაუროდ ელოდებოდა ბრძოლის დაწყებას. ბოლოს, მოთმინებადაკარგულმა ყაზახების, ბორჩალოელების, ქართველებისა და მათთან შეკრული ლეკების ერთმა ნაწილმა შექმნა ოთხიათას მეომრიანი კორპუსი და იერიში მიიტანა მტერზე, მაგრამ დიდ წინააღმდეგობას გადააწყდა. თავდადებული ბრძოლის მიუხედავად, ისინი სასტიკად დამარცხდნენ, გადარჩენილები კი ერეკლეს ბანაკს შეუერთდნენ. პირველმა დამარცხებამ მთელი ჯარი ააფორიაქა, მეომრები დაიბნენ, გაიქც-გამოიქცნენ და ბოლოს ტფილისისაკენ გასწიეს. ყაზახელები, ბორჩალოელები და მეგობარი ლეკები გაბრაზდნენ ქართველებზე, რომლებმაც ისინი ამ ბრძოლაში ჩაითრიეს, და მტერიც რომ ვერ შეძლებდა, ისეთი უბედურება დაატრიალეს ქართველთა ჯარში. ერეკლე, საერთოდ, ბრძოლის ველიდან გაქცევის წინააღმდეგი იყო და ბოლომდე თავგანწირვით იბრძოდა უთანასწორო ბრძოლაში. მან სამიოთხი ათასი მეომარი დაკარგა და დამარცხებული დაბრუნდა დედაქალაქში.

მტერ ლეკებს არავითარი დაბრკოლება აღარ ჰქონდათ, შეესიენენ განჯას და ბარბაროსობით თავიანთ მოკავშირე

აღანებსაც კი გადააჭარბეს. ამ ქალაქის ქრისტიანმა მცხოვრებლებმა უარესი ტანჯვა-წამება გადაიტანეს, ვიდრე წინა წელს ნახიჩევანის მოსახლეობამ. საზარელია ამ გაუბედურებული ხალხის ხვედრი. ბარბაროსთა ბოროტების მსხვერპლი გახდნენ, აგრეთვე, იქ მოღვაწე კათოლიკები: ტურინელი კაპუცინი მამა ფიდელი (Le Pere Fidele), რომელიც თავისი საყდრის შესასვლელთან მოკლეს, და მამა რუდოლფი (Rodolphe), რომელმაც მთებს შეაფარა თავი და მის მერე არავის უნახავს. ამგვარი მძიმე ვითარების გამო ღვთისმსახურები ვეღარ ბედავდნენ უკან დაბრუნებას და ამით დასრულდა განჯაში რელიგიურ მისიონერთა საქმიანობა.

ახლა მინდა გიამბოთ ერეკლე მეფის ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი, რომელიც კარგად წარმოგვიდგენს მის პიროვნებას. აგერ უკვე რამდენიმე წელია, რაც ტფილისის კათოლიკებმა ააშენეს ჩინებული ეკლესია, რომელმაც შური აღუძრა ქვეყნის ძირითადი რელიგიის სამღვდელოებას. კათოლიკოსმა ნახა, რომ ახლადაგებული ეკლესია თავისი დიდებულებით ბევრად სჯობდა სიონის ეკლესიის კათედრალს, და დაჟინებით მოთხოვა ერეკლე მეფეს, სანამ იგი საომრად წავიდოდა, ეიძულებინა კათოლიკები გადაეცვალათ თავისი ეკლესია სიონის ეკლესიაში. ერეკლე მეფე მაშინ უფრო მტკივნეული საქმით იყო დაკავებული და მოსალოდნელი დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად ყასიდად დაჰპირდა დაბრუნებისთანავე მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ერეკლე ამ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა. მისი რწმენით, ეს დამარცხება იყო სასჯელი იმ შეცდომებისათვის, რომელიც მან ეკლესიის გაცვლის დაპირების გამო მიიღო. ომიდან დაბრუნებულმა მეფემ დიდი საყვედური მოახსენა კათოლიკოსს, თვითონ კი, ფეხშიშველმა ყველა ეკლესია მოიარა და საჯაროდ მოინანია ის შეცოდება, რომელიც მან მაღალ ღმერთს შეჰბედა. ამის შემდეგ ერეკლემ დაულოცა კათოლიკეებს თავისი აგებული ეკლესია და გულუხვად დაასაჩუქრა.

ლეკებთან დამარცხებამ უკიდურესად შეასუსტა ქართველების ძლიერება, მათ ძალა აღარ შესწევდათ ახალი

ბრძოლისათვის. დრო გადიოდა, ერეკლე მიხვდა, რომ დახმარება სჭირდებოდა, და ეახლა ჩერქეზებს. მეფის ამ ვიზიტმა ჩერქეზები ცოტა არ იყოს დააბნია და ეჭვიც აღუძრა: — „ქართველები მახეს ხომ არ გვიგებენ და გვსჯიან ცოტა ხნის წინ რომ დავარბიეთ მათი ქვეყანაო". ამ ეჭვებით საქციელდაკარგულები, ვეღარ მიხვდნენ რა დამოკიდებულება უნდა გამოემჟღავნებინათ ქართველების მიმართ, მაგრამ ერეკლე მეფე ხომ შესანიშნავად ფლობდა მოლაპარაკების ხელოვნებას. მან გამართა დიალოგი მისთვის ჩვეული გონებამახვილობითა და წინდახედულობით და, ბოლოს, შესთავაზა მათ ხელსაყრელი წინადადება: ერეკლე ჩერქეზებისაგან ითხოვდა ოთხიათას მეომარს, რომლებითაც შეავსებდა წარუმატებელი ბრძოლისაგან მიღებულ დანაკლისს. თითოეულ მებრძოლს დაჰპირდა ხელფასს, ექვს თუმანს. მეფემ ჩერქეზებს მძევლად დაუტოვა თავისი ვაჟი პირველი ცოლისაგან (ერეკლეს მეუღლე გარდაეცვალა და დიდი ხანი არ არის, რაც სამეგრელოს დადიანის ასული შეირთო ცოლად).

ერეკლეს ჩერქეზეთში გამგზავრებით ისარგებლეს ლეკებმა და დაბრკოლების გარეშე, გზადაგზა აწიოკებდნენ ქართულ სოფლებს, ხოცავდნენ, ძარცვავდნენ, ატყვევებდნენ ქართველ ხალხს, ასე მიაღწიეს ახალციხემდე. იქ ფაშას მოსთხოვეს თავიანთი ტყვეების დიდი ხელმწიფის ტერიტორიაზე გადაყვანის უფლება, სადაც მათ კარგ ფასად გაყიდდნენ. ფაშამ მოძალადეებს გადასცა დიდი მბრძანებლის კატეგორიული აკრძალვა ტყვეების მის ტერიტორიაზე გადაყვანის თაობაზე. უარით გაცოფებულმა ლეკებმა ააოხრეს თურქეთის სოფლები და ქალაქები, რომელთა გავლით, უნდა დაბრუნებულიყვნენ დაღესტანში, თავიანთ სამშობლოში.

ამასობაში ჩერქეზების დახმარებით ერეკლე მეფემ შექმნა ახალი ჯარი და დაიძრა გორისაკენ, სადაც იგი ლეკების მთავარსარდალმა, პირველი გამარჯვებით გაყოყოჩებულმა აჯი-ჩელებიმ (Hadji-Tchelebi) გამოიწვია საბრძოლველად. თეიმურაზმა მოისურვა ბრძოლაში გაჰყოლოდა თავის პაპიშვილს. ამგვარად, 31 აგვისტოს ორივე მეფე

ერთად გავიდა ტფილისიდან. ბორჩალოსთან მათ ბრძოლა მოუხდათ ლეკის რაზმთან, რომელიც ქართველ ტყვეებს დაღესტნისაკენ მიერეკებოდა. ქართველმა მეომრებმა ტყვეები დაიხსნეს და ლეკების რაზმი გაანადგურეს, გაქცეულებს კი ბორჩალომდე გაედევნენ.

განჯის ამბების და დიდი გადასახადის დაკისრების გამო, ყაზახელები (Kazakes) და ბორჩალოელები დიდი ხანია გულში ინახავდნენ მტრობას ერეკლე მეფის მიმართ, ამიტომ ომის დაწყებისთანავე ისინი ლეკების მხარეზე გადავიდნენ.

მიუახლოვდა თუ არა ერეკლე მეფე ურიცხვ მტერს თავისი შვიდი-რვა ათასი მეომრით, აქედან ოთხი ათასი ჩერქეზით, პირქვე დაემხო და ღმერთს შეავედრა თავისი ლაშქარი. შემდეგ მხურვალე სიტყვებით მიმართა ჯარს, აუხსნა გამარჯვების აუცილებლობა, გაახსენა, მტრის მრავალრიცხოვნობის მიუხედავად, საერთო ძალით მოპოვებული არაერთი გამარჯვება. ახალგაზრდა მეფის გმირული შემართებით აღტაცებულმა მეომრებმა სიტყვა არ დაამთავრებინეს და ერთხმად შესძახეს, რომ მზად არიან ბრძოლისათვის, მეფისა და სამშობლოსადმი თავგანწირვისათვის. ერეკლემ თავისი მცირერიცხოვანი ჯარი გაყო სამ კორპუსად. ისინი სხვადასხვა მხრიდან ერთდროულად შეესივნენ მტერს, რომელიც განზრახ გაიქცა. ერეკლე თავისი რაზმით თან გაჰყვა და მოექცა მრავალრიცხოვანი მტრის რკალში. მოულოდნელობისაგან და მძაფრი შეტევისაგან ქართველებს თავგზა აერიათ, მეომრები აქეთ-იქით აწყდებოდნენ, გაქცევას ლამობდნენ. ერეკლე არ დაიბნა, ომახიანად მოუხმო დაფანტულ მებრძოლებს და თავისი წინამძღოლობით ბრძოლის ველზე გაიყვანა. მეფის სიმამაცემ მეომრებს ძალა და გამბედაობა გაუორმაგა და ისეთი სიფიცხით შეუტიეს ლეკებს, რომ ისინი თავზარდაცემულნი მიმოიფანტნენ. ამ საშინელ ხოცვა-ჟლეტაში ერეკლე პირისპირ შეეჩეხა აჯი-ჩელების და სასიკვდილოდ დაჭრა. ქართველებმა გაიმარჯვეს, ხელთ იგდეს ბრძოლის ველი. ლეკები გაიქცნენ და მიატოვეს მთელი ავლა-დიდება: შვიდი-რვა ათასი მოკლული და დაჭრილი მეომარი, ხუთასი

კარავი, ათას ხუთასი ჯორი, არტილერია და სხვ. გამარჯვებული ქართველები ორ რაზმად გაიყვნენ. პირველი რაზმი — ორი დღის განმავლობაში მისდევდა გაქცეულ ლეკებს და გზადაგზა ანადგურებდა მათ, მეორე — წავიდა ყაზახელთა და ბორჩალოელთა დასასჯელად მათი ადრინდელი აჯანყებისა და ახლანდელი ღალატისათვის.

ამ ბრძოლაში დაიღუპა ჩერქეზთა მთავარსარდალი. იგი ერთ-ერთი შეტევისას მოკლეს ლეკებმა. ჩერქეზებმა შურისძიებისათვის შეიპყრეს ლეკების მეთაური. ლეკებმა ყველა ღონეს მიმართეს, რათა თავიანთი მეთაური დაეხსნათ ამ სახიფათო ტყვეობისაგან: ჩერქეზებს სამსხვერპლოდ ფეხმძიმე ქალიც კი შესთავაზეს, მაგრამ ისინი მტკიცედ იდგნენ თავიანთ გადაწყვეტილებაზე და გაცვლაზე უარი შეუთვალეს. მათ მიიყვანეს ლეკების მეთაური თავიანთი მხედართმთავრის ცხედართან და მსხვერპლად შესწირეს იგი.

ერეკლე დავალებულად გრძნობდა თავს ჩერქეზების წინაშე — ეს დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება ხომ მათთან ერთად მოიპოვა. ამიტომ განსაკუთრებული გულუხვობა გამოიჩინა და ომის ნადავლი მთლიანად ჩერქეზებს გადასცა, თან დაჰპირდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ოცი ათასი კაცით დაეხმარებოდა.

ერეკლე მეფის ამგვარი დიდსულოვნება მისი ბუნებითა და, აგრეთვე, გონივრული პოლიტიკით არის განპირობებული. ამ დიდებული აქტის შემდეგ ერეკლე მეფე თავის მამასთან, თეიმურაზ მეფესთან ერთად დაბრუნდა ტფილისში. მიუახლოვდნენ თუ არა დედაქალაქს, ისინი ფეხშიშველა გაეშურნენ სიონის ეკლესიისაკენ ბრწყინვალე გამარჯვებისადმი მიძღვნილი წირვის მოსასმენად. უამრავი ხალხი მოაწყდა ეკლესიას, ყველას სურდა თავიანთი სახელოვანი მეფეების ხილვა. ქართველები აღტაცებული შეძახილებითა და ტაშისცემით ესალმებოდნენ მათ. ერეკლე რამდენიმე დღე დარჩა ტფილისში. მან გულუხვად უმასპინძლა და დიდი პატივით გააცილა მისი გმირობითა და დიდსულოვნებით მოხიბლული ჩერქეზები თავიანთ ქვეყანაში. ამის შემდეგ მეფე რამდენიმე თვით წავიდა კახეთში

ოჯახის მოსანახულებლად და ნოემბრის თვეში ისევ ტფილისს დაბრუნდა.

სასტიკი დამარცხებით შეურაცხყოფილმა ლეკმა მთავარსარდალმა სამშობლოში დაბრუნებისთანავე დაიწყო ზრუნვა ჯარის შექმნაზე. მან შეკრიბა რვა ათასი მეომარი, დაბანაკდა მთების ძირში, რომელიც დაღესტანს კახეთის სამეფოსაგან ჰყოფს და გამოიხმო ერეკლე საბრძოლველად. ზამთრის პირი იყო, ამიტომ ერეკლე მეფე აღარ გამოეხმაურა ლეკ მხედარმთავარს გამოწვევაზე და ომი გაზაფხულისათვის გადაიდო.

ლეკების დამარცხების, დეზერტირობის თუ სხვა მიზეზის გამო, ავღანთა ჯარი შემცირდა და შესუსტდა. მათ და მოკავშირე ავაზაკებმა გადაწყვიტეს ერეკლესთან ზავის დადება. ავღანთა მეთაურმა აზადმა (Azad) შეუთვალა ერეკლეს, რომ სურს მის განკარგულებაში შესვლა და თანახმაა შეასრულოს მისი ყოველგვარი მოთხოვნა. ერეკლემ მიიღო ავღანთა სამშვიდობო წინადადება, მაგრამ მკაცრად გააფრთხილა, რომ ამიერიდან ისინი აღარ გადმოლახავენ არაქსს (Araxe), შეწყვეტენ ერევნის სოფლების დარბევას და იცხოვრებენ ამ მდინარის იქით ურუმის მხარეში. ეს ზავი დიდმნიშვნელოვანი იყო კომერციისთვისაც – მოიხსნა მიმოსვლასთან დაკავშირებული დაბრკოლებები. განჯის მხარეში მიიღეს რამდენიმე ქარავანი შირვანის აბრეშუმით. თუმცა თურქეთს, რომელიც გილანის (Guilan) აბრეშუმს ელოდა, იმედი გაუცრუვდა, რადგან უკვე რამდენიმე წელია, რაც კომერსანტებმა სხვა კურსით, კასპიის ზღვის გავლით დაიწყეს მოძრაობა.

სპარსეთისა და საქართველოს მდგომარეობა ამჟამად, 1753 წელს

1753 წელს გაზაფხულზე თბილისში მიმდინარეობდა ომისათვის მზადება. ერეკლე დაბრუნდა გორში, რათა გაემაგრებინა და ჩაეკეტა გზა, საიდანაც ლეკები შედიოდნენ საქართველოში. ქართველებთან ომში დამარცხებით

გააფთრებულმა ლეკებმა კახეთის რამდენიმე სოფელი ააოხრეს.

ერეკლეს განზრახული ჰქონდა მთლიანად გაენადგურებინა ლეკები, რომლებიც დიდ საფრთხეს უქმნიდნენ მის მიერ შემუშავებულ გეგმებს, რადგან სხვა მნიშვნელოვან საქმეზე როგორ იფიქრებდა, თუკი ლეკებს თავს ვერ დააღწევდა. მარტის თვეში მეფემ სათათბიროდ მოიწვია წარჩინებულნი, რომელთაც ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ერეკლე თორმეტი ათასი მეომრით წავიდოდა ლეკების წინააღმდეგ განჯაში, ხოლო თეიმურაზი ექვსი ათასი ჯარისკაციო დედაქალაქს დაიცავდა მოულოდნელი შემოსევებისაგან. საქმეს თითქოს სასიკეთო პირი უჩანდა: ყაზახელები და ბორჩალოელები ჩადგნენ ქართველი ერისა და მეფის სამსახურში. ერეკლესადმი ერთგულების დასტურად მათ საკუთარი ნება-სურვილითვე მძევლად მიიყვანეს ორმოცი წარჩინებული ოჯახი თავისი ქვეყნიდან. ავღანთა მეთაურმა აზადმა გადასცა ერეკლეს თავისი სამეფო და სთხოვა, ნება დაერთო თავისივე ჯარით გაჰყოლოდა მას განჯაში საცხოვრებლად.

ივნისის თვეში საქართველოს კათოლიკოსი ელჩის მისიით მიავლინეს რუსეთში. სავარაუდოა, რომ ამ მისიას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე არ არის ცნობილი ამ მოლაპარაკების შედეგები. სპარსეთის შინაური მდგომარეობა ამ პერიოდში უწინდებურად ულიმღამო და უცვლელია. ისმაილ-შაჰი მშვიდად და უშფოთველად მეფობს თავის სატახტო ქალაქში. სპარსეთის ყველა ხანი მისთვის მიკუთვნებული მხარის ხელისუფალი და მბრძანებელია. ეს ვრცელი იმპერია მრავალი კუთხის თუ მხარის შენაერთია და ყოველი ნაწილი ემორჩილება მხოლოდ თავის მმართველს.

სეფის გვარის ან ტორის მეფე (le Prince de race des Séphis), რომელიც წინათ მოსკოველებმა ხელში ჩაუგდეს ქართველებს, ისევ და ისევ კახეთის ტყვეობაშია. სპარსეთის ტახტზე მის დასმას ერეკლე ამ სამეფოში შელწევისათვის გამოიყენებდა, თუკი საკმარისი თანადგომა ექნე-

ბოდა თავის მოკავშირეებისაგან. ამგვარად, იგი განახორციელებდა იმ დიდ პროექტს, რომელიც 1752 წელს ლიგის ყრილობაზე მიიღეს, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ლიგა დაიშალა მისი ზოგიერთი მოკავშირის თეიმურაზისადმი ღალატის გამო.

აი, ამჟამინდელი სპარსეთისა და საქართველოს ჭეშმარიტი სურათი. მე მინდა დავასრულო ჩემი ესე ერეკლე მეფის პორტრეტით. ერეკლე არის უპირველესი და უძლეველი ამ ორ სამეფოში. ვინც მას იცნობს, ყველა დამეთანხმება, რომ ეს ყველაზე სრულყოფილი და საუკეთესო პიროვნებაა, ვინც კი ოდესმე მეფობდა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ოცდაშვიდი წლის მეფე შემკულია საუკეთესო თვისებებით: მრავალმხრივი აზროვნების უნარი, სხარტი გონება, შერწყმული წინდახებულებასთან და ზრდასრულ გამოცდილებასთან, ძლიერი, ქედუხრელი, მამაცი, ვაჟკაცური, სამართლიანი, სამაგალითო ქრისტიანი, თავისი ასაკისათვის ნაადრევად დინჯი და დარბაისელი, - ყოველივე ეს მის პიროვნებას სიდიადის სხივს ძენს. მისმა სათნოებამ, ქველმოქმედებამ, გულუხვობამ იგი თავისი ხალხის, მეგობრებისა და მეომრების კერპად, მეზობელი ქვეყნების სიამაყედ და მტრის შიშის ზარად აქცია.

ერეკლე საკმაოდ დიდი ტანის, ძალზე კარგი აღნაგობის, სახით კი საშუალო სილამაზის ადამიანია. იგი ბუნებრივია, ზნეკეთილი, მშვიდი, სადა თავისი მანერებითა და სამოსელით, მაგრამ მთელ მის პიროვნებაში ჩანს უპირატესობა, დიდებული იერი, წარჩინებულობა. შეხედვისთანავე მიხვდებით, რომ იგი ჭეშმარიტი მეფეა თავის სასახლეში და მთავარსარდალი თავის არმიაში.

ქართველ მეფეთა აზროვნება არასდროს ყოფილა ორაზროვანი: მათ არ ჰყოლიათ პოეტი მეხოტბე, არც პომპეზურობისათვის შერქმეული ზედმეტი სახელი ჰქონიათ. ყოველივე ეს ხომ სიყალბეს, პირფერობას ბადებს და ჭეშმარიტებას უარყოფს. ასევე არასდროს ჰქონიათ განსაკუთრებული საცხოვრებელი თავისი ამალისათვის, კარისკაცებისა და მეომრებისათვის. ამ მეფეთა ავი და კარგი საქმენი მუდამ დაუფარავი და გამომზეურებული იყო და

ყოველ მათ მსახურს, ხელქვეითს თუ მეომარს შეეძლო თამამად და უშიშრად გამოეთქვა აზრი მათი ავკარგიანობის შესახებ.

მინდა გულწრფელად მოგახსენოთ, რომ ჩემს ნაამბობში ერეკლე მეფის შესახებ არაფერია გაზვიადებული და გადაჭარბებული, პირიქით, მე შემიძლია კიდევ მეტი გიამბოთ, რადგან მას აქვს ყველა ის თვისება, რაც უნდა ჰქონდეს იდეალურ მეფეს. ერეკლე ფლობს ამჟამად საქართველოს, სპარსულ სომხეთს და წინამძღოლია აღმოსავლეთის ამ ორი ყველაზე გულადი და მამაცი ერისა, რომელიც თავისი მეფის, ქვეყნისა და ქრისტიანული სარწმუნოების სიყვარულით ფრთაშესხმული ისწრაფვის სასახელო გმირობისა და ქველმოქმედებისაკენ.

ფერიერ-სოვბეფი

XVIII საუკუნის 80-იანი წლები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ძალზე რთული პოლიტიკური პროცესებით აღინიშნება. ირანისა და თურქეთს შორის განაწილებული, გარეშე და შინაური მტრების გარემოცვაში მყოფი დაუძლურებული საქართველო რუსეთთან დაკავშირების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა. ქაროველებს ამ კავშირში ლეკებისა თუ სხვა ტომთა ალაგმვა და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება ჰქონდათ ჩაფიქრებული. 1783 წელს, ერეკლე მეფისა და მისი მომხრეების ძალისხმევით მიღწეული ხელშეკრულების თანახმად, რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-მ თავის თავზე აიღო ქართლ-კახეთის დაცვა, რაც უმნიშვნელოვანესი იყო იმ დროს საქართველოსათვის. რუსეთისათვის კი ეს ხელშეკრულება დიდ პოლიტიკურ წარმატებას წარმოადგენდა, რომლის შედეგად მოპოვებულმა უპირატესობამ კავკასიაში ურთიერთდაპირისპირებული ქვეყნების — ირანისა და თურქეთის, აგრეთვე, მათი მხარდამჭერი სახელმწიფოების — ინგლისისა და საფრანგეთის აღშფოთება გამოიწვია. საქართველოში პოლიტიკური გარემოება კიდევ უფრო დამძიმდა. ამიერიდან მოვლენათა განვითარება დამოკიდებული იყო საგარეო ძალთა

იმ ჭიდილზე, რომელიც კავკასიის პლაცდარმების დაუფლებაში თანდათან მეტ ინტენსივობას იძენდა.

ამგვარ პოლიტიკურ აურზაურში აღმოსავლეთს არაერთი ფრანგი მოგზაური ეწვია, მათ შორის საფრანგეთის იმდროინდელი მთავრობის მიერ სპეციალური დავალებით წარგზავნილნიც.

ფრანგი მოგზაური გრაფი ფერიერ-სოებეფი (Le comte de Ferrières-Sauveboeuf) [116] იყო XVIII საუკუნის 80-იანი წლების ერთ-ერთი კარგად მომზადებული აგენტი, რომელმაც სამხედრო კარიერა მიატოვა 1782 წელს, საფრანგეთის მთავრობამ შეარჩია აღმოსავლეთში (თურქეთში, სპარსეთში, არაბეთში) პოლიტიკური მისიის შესასრულებლად. მისი მოგზაურობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი – ზემოქმედება მოეხდინა სპარსეთის მთავრობაზე, რათა არ დაეშვა რუსების შეჭრა ამიერკავკასიაში – ურთულეს პრობლემას წარმოადგენდა. ამგვარი გაბედული გადაწყვეტილების მიღებინება ჩვეულებრივი მოგზაურისათვის, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო. ამ საქმეს ესაჭიროებოდა პოლიტიკური, დიპლომატიური და სამხედრო განათლებით აღჭურვილი ადამიანი. მისი ვინაობისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები გვამცნობს, რომ გრაფი ფერიერ-სოებეფი იყო მოგზაურ-დამკვირვებელი, მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც ჰქონდა გეოგრაფიული და დიპლომატიური განათლება, ამასთანავე, ხანგრძლივად და საფუძვლიანად დაუფლებია სამხედრო საქმეს. 1782-1789 წლებში საფრანგეთის მეფის ლუი XVI-ის მთავრობამ გრაფი ფერიერ-სოებეფი სცნო ამ მისიისათვის შესაფერის პიროვნებად და მიავლინა დიპლომატიური დავალებით კონსტანტინოპოლსა და ისპაჰანში. როგორც მოგზაური გვარწმუნებს, მან ექვსი წლის მანძილზე მოიარა თურქეთი, სპარსეთი, არაბეთი და ძირფესვიანად შეისწავლა ეს ქვეყნები. ფერიერ-სოებეფი 1789 წელს დაბრუნდა პარიზში, აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში და გახდა იაკობინელთა საზოგადოების წევრი. მან არაკანონიერად გამოიყენა იმ დროს მისთვის მინიჭებული უფლებები, არსებული პოლიტიკური ქაოსი და ციხიდან დაიხსნა რამდენიმე

პატიმარი, რის გამოც გააძევეს იაკობინელთა საზოგადოებიდან და დააპატიმრეს კიდეც. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ ფერიერ-სოვბეფი მიიჩნიეს არასანდო აგენტად. ამის მიუხედავად, 1799 წელს სახელგატეხილი აგენტი საფრანგეთის მთავრობამ კვლავ მიავლინა საიდუმლო მისიით იტალიაში საფრანგეთის ჯარის მთავარმმართებელ გენერალ შერერისთან (Schérer), რომელმაც, როგორც საეჭვო პირი, ის მილანის ციტადელში (la citadelle de Milan) ჩაამწყვდია. ფერიერ-სოვბეფმა მოახერხა ციხიდან გაქცევა და პარიზში დაბრუნებისთანავე გენერალ შერერის შესახებ დაწერა მწვავე პამფლეტი. შეურაცხყოფილმა გენერალმა მას სასამართლოში უჩივლა და ფერიერ-სოვბეფი ისევ ციხეში მოხვდა, ამჯერად ტამპლში (Temple). სახელმწიფო გადატრიალებით მას ციხიდან დაღწევის კიდევ ერთი საშუალება მიეცა. ის დაბრუნდა მშობლიურ შამპანში (Champagne), სადაც შეკრიბა ფრანკთა კორპუსი ("Un corps francs pour combattre l'unvasion étrangers") უცხოელთა შემოსევის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ბევრი ვერაფერი მოასწრო, რადგან 1814 წელს იგი მუხანათურად მოკლეს დღისით, მონმორის (Mont-mort) ქუჩებში სეირნობისას. მკვლელი ყველასათვის ცნობილი იყო, მაგრამ რატომღაც არ დაუსჯიათ.

გრაფ ფერიერ-სოვბეფის პიროვნება და მისი მოღვაწეობა დიდ ინტერესს იწვევდა საფრანგეთის საზოგადოებაში. ცნობები მისი მოგზაურობის შესახებ იბეჭდებოდა თითქმის ყველა გამოცემაში. წერილების უზუსტობით გაწბილებულმა ავტორმა გადაწყვიტა გამოექვეყნებინა წლების მანძილზე შეკრებილი დაკვირვებები, შთაბეჭდილებები და ამით შეეჩერებინა არასრულფასოვანი ინფორმაციის ნაკადი. ფერიერ-სოვბეფმა, როგორც მოგზაურმა, პოლიტიკურმა მოღვაწემ და მწერალმა თავისი რთული ცხოვრების მანძილზე ბევრი საინტერესო მემუარული ნაწარმოები, პოლიტიკური პამფლეტი, კრიტიკული წერილები და მოგზაურული მი:თხრობები გამოაქვეყნა. მათ შორის, ჩვენთვის აღსანიშნავია მოგზაურული თხზულება „თურქეთში, სპარსეთსა და არაბეთში 1782-1789 წლებში ჩემი მოგზაურობის

ისტორიული და პოლიტიკური მემუარები" ("Memoires historiques politiques et géographiques de voyages fait en Turquie, en Perse et en Arabie, depuis 1782 jusqu'en 1789") [117], რომელიც ფრანგულ სამეცნიერო ლიტერატურაში პოლიტიკურ პამფლეტად მოიხსენიება.

ავტორი ნაწარმოების შესავალშივე გვთავაზობს თავის მოსაზრებას მოგზაურის მოღვაწეობის შესახებ: „როგორც მწერალი, ასევე მოგზაური არ უნდა ასცდეს რეალობას, შეულამაზებლად უნდა მიაწოდოს თავის თანამემამულეებს მომხდარი მოვლენები, ზედმიწევნით აღწეროს მის მიერ დანახული, განვლილი გზები და მიმართულებები, იყოს სრულიად გულწრფელი საკუთარი დაკვირვებისა და შთაბეჭდილებების ჩანიშვნის დროს". აქვე ის გულღიად გვიამბობს მოგზაურობასთან დაკავშირებულ მზადებას, განცდებს, დაბრკოლებებს, შეხვედრებს მნიშვნელოვან ადამიანებთან. „კონსტანტინოპოლში გამგზავრებამდე, გადაუდებელი საქმეების წამოწყებამდე მივატოვე ჩემი მდივანი უზარმაზარი ბარგით და მოვინახულე გრაფი დე მონმორენი (le Comte de Montmorin) (XVIII საუკუნის ფრანგი მოგზაური და საზოგადო მოღვაწე, მ.ი.), რომლისგანაც ბევრი ქება და ყურადღება მახსოვს. იგი ძალზე შეწუხებული ჩანდა, რადგან დიდი ხანია, რაც გრაფ შუაზელგუფიეისაგან (le comte de Choiseul-Gouffier) (საფრანგეთის ელჩი თურქეთში, მ.ი.) არავითარი ცნობა არ მიუღია. მან იცოდა ჩემი მოუცლელობის შესახებ, ამდენად აღარ დამაყოვნა, გადმომცა თურქეთში საფრანგეთის ელჩისათვის გადასაცემი დეპეშა, გამაფრთხილა, ჩასვლისთანავე შემესრულებინა მისი დავალება და მეცნობებინა კიდეც იქ ჩემი საქმიანობის შესახებ. ბოლოს დამასაჩუქრა გზის ფულით და ნება დამრთო გამეგრძელებინა მოგზაურობა სურვილისამებრ.

პარიზიდან გავემგზავრე 1788 წლის 17 აპრილს, ხოლო 25 აპრილს მარსელიდან გემით გავაგრძელე გზა. ასე რთულად, შეიძლება ითქვას, არასოდეს მიმგზავრია, რადგან გემის საბოლოო პუნქტი სალონიკი იყო, კაპიტანმა გადმომსვა იქვე კუნძულზე. დიდი გაჭირვებით და კუს

ნაბიჯებით მივაღწიე დარდანელამდე. ამის შემდეგ ხან გემით, ხან კი ცხენით ჩავდიოდი ჩემთვის საინტერესო ქვეყნებში“ [118].

როგორც ჩანს, დასახელებულ ნაწარმოებში ფერიერ-სოებეფმა თავი მოუყარა იმ დაკვირვებებსა და გამოკვლევებს, რომლებიც მან 1782-1789 წლებში თურქეთში, სპარსეთსა და არაბეთში მოგზაურობისას ჩაატარა. იგი, როგორც მოგზაური, წარმოგვიდგენს დასახელებული ქვეყნების გეოგრაფიულ და სახელმწიფოებრივ სახეს, ხალხს, მათ რელიგიას, ზნე-ჩვეულებას და საქმიანობას, ხოლო, როგორც პოლიტიკური აგენტი, მეტისმეტად უღრმავდება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. მაგალითად, იგი დიდი ინტერესით აღწერს ოტომანის იმპერიაში ორ სახელმწიფოებრივ კურსს შორის მიმდინარე მწვავე კონფლიქტს, აღნიშნავს ყველა ღირსშესანიშნავ მოვლენას, რაც ხდებოდა არმიათა შორის, რომლებიც სამი მეომარი ქვეყნის – თურქეთის, რუსეთისა და სპარსეთის ძალებს წარმოადგენდნენ, გამოთქვამს თავის მოსაზრებას იმ რეალურ უპირატესობებზე, რომელსაც ვენისა და სანკტ-პეტერბურგის კურსი მოიპოვებდა ოტომანზე გამარჯვებისას და, ამგვარად, მასტრიხისა და პარიზის ხელში ჩაგდებას. მოგზაურული შთაბეჭდილების გარდა, თხზულების ნაწილი ავტორმა ოსმალეთში საფრანგეთის ელჩს შუაზელ გუფიესა და მისი მოგზაურული მოთხრობების მწვავე კრიტიკას დაუთმო.

ფერიერ-სოებეფის პოლიტიკური და გეოგრაფიული მემუარები „ჩემი მოგზაურობა თურქეთში, სპარსეთსა და არაბეთში (1782-1789 წწ.)“ შედგება ორი სქალტანიანი ტომისაგან. თითოეულ ტომში შედის 30-35 თავი. ნაწარმოების დასაწყისშივე ავტორი გვარწმუნებს, რომ მან, გულმოდგინე დაკვირვების შედეგად, კარგად შეისწავლა ამ ქვეყნების ხალხთა რელიგია, ჩვეულებები და საქმიანობა: „ამისათვის გამოვიყენე მოგზაურის უფლებები: მოგზაურები, საერთოდ, სხვადასხვა ქვეყნების პარადოქსულად განსხვავებულ ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-წესებზე დაკვირვების შედეგად ქმნიან საცნობარო ლიტერატურას იმათ-

თვის, რომლებიც არასოდეს მოშორებიან მშობლიურ მხარეს". ფერიერ-სოებეფი ერთგვარი სიამაყით ავლენს თავის ცოდნას, განსაკუთრებით, თურქეთისა და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ. ის ფიქრობს, რომ ზუსტად აღწერს, მაგალითად, თურქეთის ბრძოლას ორი იმპერიის – ავსტრიისა და რუსეთის – წინააღმდეგ, მათი არმიის განლაგებასა და ბრძოლის შედეგებს, სამაგიეროდ მკითხველს თავს არ აბეზრებს მარშრუტებისა და გზების გადაჭარბებული აღწერით, რასაც მოგზაურები ხშირად თავიანთი მოთხრობის უმეტეს ნაწილს უთმობენ.

ფერიერ-სოებეფი სპარსეთში იმ დროს მიაღწინეს, როცა ქვეყანაში ანარქია სუფევდა. განუკითხაობამ და ომების სისასტიკემ ღრმა შთაბეჭდილება დატოვა მოგზაურზე და აგენტზე, რომელიც ბეჯითად აგროვებდა მასალებს სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის რუსეთის, იმ დროისათვის მეტად თვალსაჩინო ქვეყნის, პოლიტიკურ განზრახვებსა და მოქმედებაზე კასპიის ზღვასა და საქართველოში. ავტორი გამოთქვამს სინანულს ადრე ძლევამოსილი სპარსეთის სავალალო პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე – სამთავროებად დაყოფილ ქვეყანაში ყოველი მათგანი დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა, დაინგრა ულამაზესი ქალაქები, გადაიწვა სოფლები, შეუძლებელი გახდა არსებული მთავრობის შენარჩუნება, ნადირ-შაჰმა სახელმწიფო მონარქიას ძირი გამოუთხარა. ფერიერ-სოებეფი ნადირ-შაჰის შესახებ აღნიშნავს: „დამახსოვრებად არ ღირს იმ ტირანთა სახელები, რომლებიც რამდენიმე ქალაქის დაწიოკების შემდეგ თვითონვე გახდნენ თავიანთი ბოროტმოქმედების მსხვერპლნი". მოგზაურს ეჭვი არ ეპარება მის მიერ შეკრებილი მასალების სიზუსტეში, რადგან ყოველივე ის, რასაც თავის მემუარებში გადმოგვცემს, არის „ყოველწუთიერი დაკვირვების, გამოკვლევისა და გადამოწმების შედეგი". ამდენად, თავდაჯერებულ მოგზაურს არ ეშინია ოპონენტის განსჯისა და კრიტიკის, პირიქით, თავაზიანად სთხოვს მათ მკაცრსა და ობიექტურ შეფასებას.

გრაფმა ფერიერ-სოვბეფმა თავისი ორტომიანი მემუარული თხზულების „მოგზაურობა თურქეთში, სპარსეთსა და არაბეთში", I ტომის XXII თავი საქართველოს დაუთმო. ის გვარწმუნებს, რომ ჩვენი ქვეყანა ფეხით აქვს შემოვლილი და კარგად იცნობს მის ყველა კუთხეს. მოგზაურის ამგვარ განცხადებას მთლად ვერ შეეფერება ის ცნობები, რაც მას საკუთრივ საქართველოსა და ქართველი ხალხის შესახებ აქვს მოკლეულები.. გარკვეული ნაწილი იმ პერიოდის ფრანგული მოგზაურული ლიტერატურისათვის სიახლეს არ წარმოადგენს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს საუკეთესოდ აქვს გაშუქებული საქართველოს XVIII საუკუნის 80-იანი წლების პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი მხარე.

როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის ბოლოს საქართველო თავისი ისტორიის სასტიკ პერიოდში იმყოფებოდა. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა სავსებით შეესაბამებოდა მის პოლიტიკურ ვითარებას. ფერიერ-სოვბეფი საქართველოს ძალზე ჩამორჩენილ და ღარიბ მხარედ მიიჩნევს. მართალია, იგი მოხიბლულია ქართველების გარეგნობით, მათი ბრძოლის უნარით, მაგრამ დიდად არ მოსწონს ჩვენი ხალხის ცხოვრების წესი, ძუნწად და უსიამოვნოდ საუბრობს ქაროველთა განათლებაზე, რელიგიასა და საქმიანობაზე. აშკარად ჩანს, რომ მოგზაურის მიზანი საქართველოს ეკონომიკური და კულტურული დონის შესწავლა არ ყოფილა. მისი ყურადღება, მისიის შესატყვისად, სხვა მისთვის უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებისკენაა მიპყრობილი.

ჩვენ შევეცადეთ სრულად გადმოგვეცა გრაფ ფერიერ-სოვბეფის მონათხრობი საქართველოზე, რაც წარმოადგენს ჩვენს მიერ შესრულებულ პირველ ქართულ თარგმანს.

საქართველო

„საქართველო ცნობილია იბერიის სახელით. მას შესანიშნავი კლიმატი და ნაყოფიერი ნიადაგი აქვს. დედაქალაქი ტფილისი, რომელიც მდინარე მტკვარზე მდებარეობს, დიდია, მაგრამ ცუდად ნაგები. ქალაქს ზემოდან დაჰყურებს ციტადელი. დროთა სიავისაგან შერყეული კედლები და კოშკები გვარწმუნებს, რომ ის ვერავითარ იერიშს ვეღარ გაუძლებს. ტფილისს ლამაზი მოედანი აქვს, რომელიც ამავე დროს დიდი სავაჭრო ცენტრია. მეფის მოედანი კი, მართალია, ვრცელია, მაგრამ გარდა ხეხილის ბაღებისა, რომლებიც ნამდვილ წალკოტს მოგვაგონებენ, არაფერი აქვთ ღირსშესანიშნავი. ტფილისის ცენტრში მდებარეობს კათოლიკურ მისიონერთა სახლი, რომელიც ძირითადად ფლორენციელი კაპუცინების თავშესაფარია. ამავე დროს მისი კარი ღიაა ქართველი ყმაწვილი ქალებისთვისაც. მშობლებს სიამოვნებით მოჰყავთ თავიანთი ქალიშვილები, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ აქ მათ მისცემენ სასულიერო განათლებას და ბეჯითი სწავლის შედეგად გადასცემენ სასულიერო პირის მოწმობას, უფლებამოსილებას, რის შემდეგაც მათ შეუძლიათ ნათლობისა და ზიარების წესის აღსრულება. ტფილისში არსებობს, აგრეთვე, ვაჟთა სკოლები, წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ ბევრი მათგანი მიდის ჯარში საბრძოლო საქმის დასაუფლებლად, ზოგი კი მისდევს მიწათმოქმედებას და საშინაო მეურნეობას.

აღსანიშნავია, რომ ქართველებს არ ეხერხებათ კომერცია. მათ ეს საქმე სომხებს დაუთმეს, რომლებიც მჭიდროდ არიან ტფილისში განსახლებული; ძალიან ცოტაა მუსულმანი. მართალია, მეფე ერეკლე დაუბრუნდა წინაპართა რელიგიას, მაგრამ მან მცირერიცხოვან მუსულმანებს მაინც მისცა საკუთარი მეჩეთის აგების უფლება.

საქართველოში კომერცია კარგადაა განვითარებული, განსაკუთრებით ღვინისა და არყის, რომელიც კარგად იცვლება რუსულ ბეწვეულზე.

ვაზი თითქმის ისევე გავრცელდა საქართველოში, როგორც ლომბარდიაში, მაგრამ ის თითქმის ყველა ჯიშის ხეზე, განსაკუთრებით კი თუთის ხეებზეა შემოხვეული. ამგვარი ტალავერი საუცხოო სანახავია და ყოველწლიურად უხვ მოსავალსაც იძლევა.

ქართველებს უყვართ სმა და ხშირად თვრებიან კიდეც. ისინი თავიანთი ადათ-წესების მიხედვით ლხინის დამთავრებისას ღმერთის სახელზე და განსვენებულთა მოსახსენებლად ღვინოს გადაღვრიან ხოლმე.

ეს ხალხი ღვინის შენახვას დიდი მზრუნველობით ეკიდება. მათ კლდეში ან მღვიმეში აქვთ აშენებული და ქვითკირით მოპირკეთებული სათავსო, რომელსაც ღვინის მარანს უწოდებენ.

ქართველები გარეგნობით სხვებისაგან იოლად გამოირჩევიან. მათ თითქმის ყველას ლამაზი სახე, სწორი ნაკვთები და დიდებული იერი აქვთ. ისინი დიდსულოვანნი, გულწრფელნი და დინჯები არიან, მაგრამ უნდა ერიდოთ მათ გაბრაზებას.

ქართველთა რელიგია ნარევია ბერძნულთან და სომხურთან. მართალია ისინი მეტისმეტად მორწმუნენი არიან, მაგრამ სხვა სარწმუნოების ადამიანებს რელიგიის გამო არასოდეს აწყენინებენ.

ქართველები, საერთოდ კავკასიის სხვა ხალხებიც თავიანთ ქალიშვილებს ჰყიდიან ვაჭრებზე, რომლებიც, როგორც ამბობენ, მათ კეთილსინდისიერად ეპყრობიან. სილამაზე აქ ერთადერთი გამოსავალია ქალისათვის უბედური რომ არ იყოს. ლამაზი ქალის მშობელი თავისუფალია განსაკუთრებული აღზრდისა და ქორწილის ხარჯებისაგან. ისინი მამრობითი სქესის შვილებს არ ჰყიდიან, თუმცა თათრები და ლეკები იმდენ ყმაწვილს იტაცებენ, რომ ქართველი მონები და მამლუქები საგრძნობლად მომრავლდა აზიასა და ეგვიპტეში.

ქართველი ქალები ძირითადად ლამაზები არიან. ისინი ყველასაგან განსხვავდებიან დიდი შავი თვალებით და ვარდისფერი ღაწვებით; შეუბრალებლები არიანო, ვერ იტყვი, მაგრამ მსუბუქი სიმკაცრე, რომელსაც ისინი უცხო-

ელების მიმართ იჩენენ, პირიქით, ანიჭებს მათ მეტ უპირატესობას აზიის სხვა ქვეყნების ქალებთან შედარებით, რომელთა სილამაზე ხშირად უხილავია მკაცრი ადათწესების გამო. მუსულმანებმა სილამაზის პრიზი ქართველ ქალებს მიანიჭეს. ყმაწვილი ქალები ნაკლებად მორცხვები არიან, უარს არ ამბობენ, ასიამოვნონ მას, ვინც წყალობას დაჰპირდება და გამოიჩენს მათ მიმართ კეთილგანწყობას.

სამეგრელოს ძველად კოლხიდა ერქვა. ჩვენ ყველას გვახსოვს ოქროს საწმისის მისტერია (mystère), რომელიც ოდითგან მომდინარეობს. დიახ, აქ დღესაც არიან ძალზე ლამაზი ქერა ქალები. სამეგრელოში შედის იმერეთისა და გურიის მხარეები. სოლიმან-ხანი მთელი თავისი სიცოცხლე წინააღმდეგი იყო რუსეთის იმპერატორის, მისი ჯარისა და ხელშეკრულების. მეფის გარდაცვალების შემდეგ კი, ცნობილი კონტრაქტის თანახმად, ეკატერინე მეორემ ეს ხალხი თავის მფარველობაში შეიყვანა.

საქართველო, რომელიც გადაჭიმულია შავი ზღვის გასწვრივ, ფლობს სპილენძის, რკინის, ფოლადის (acier) მდიდარ საბადოებს და ვრცელ ტყეებს, სადაც ხარობს საუკეთესო სამშენებლო ხეები. მაგრამ ამ ნადირობის მოყვარულ ხალხს ურჩევნია ჰყავდეს ნადირი. წიაღისეულ სიმდიდრეს, რომლის მიმართ ასევე გულგრილნი არიან, ამჯობინებენ ტყესა და ნოყიერ ნიადაგს.

მეგრელები კარგი აღნაგობის ხალხია. ქართველი ქალების მეზობლად კი ცხოვრობენ, მაგრამ მაინც უგნურები არიან. მათი ქარაფშუტა, თავდაუჯერელი საქციელი სინანულს იწვევს იმ ადამიანებში, რომლებიც ჩადიან სამეგრელოში და ვერ პოულობენ მეგრელ ხალხში იმ კეთილშობილებასა და გონიერებას, რაც ქართველებს ახასიათებთ.

ოსმალებმა რამდენიმე ხნით დაკარგეს თავიანთი გავლენა სამეგრელოზე იმის შემდეგ, რაც ყარსის (Kars) ფაშამ დაუფიქრებლად მოსთხოვა მას ხარკი, რასაც ადრე უწყვეტად იღებდა. ის ხშირად დაუდევარი იყო თავის მოთხოვნებში.

მეგრელები ცრუმორწმუნეები და ყოველმხრივ გაუნათლებლები არიან. მართალია, ისინი აღიარებენ ქრისტიანობას, მაგრამ არაფერს აკეთებენ ამ სარწმუნოების სასიკეთოდ.

ინდოეთის ლაშქრობიდან დაბრუნებისთანავე, ევროპაში თამაზ-ყული-ხანის სახელით ცნობილმა ნადირ-შაჰმა მეფე ერეკლეს, მისი მუსულმანად მოქცევის შემდეგ, გადასცა საქართველოს ხელისუფლება, რომელიც წაართვა მეფე ალექსანდრეს. ეს უკანასკნელი თავისი ოჯახით დიდი ხანია ტფილისში ცხოვრობდა, მაგრამ დევნისა და შევიწროების გამო იძულებული გახდა ცოლ-შვილით რუსეთს გახიზნულიყო.

თურქეთი დიდხანს ებრძოდა ნადირ-შაჰს საქართველოზე თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად. კასპიის ზღვის მხარის ხალხებიც ამგვარადვე იტანჯებოდნენ ნადირ-შაჰის უღელქვეშ. მან შეძრა მთელი აზია თავისი ძლიერებით და საბრძოლო წარმატებით. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გახდა შესაძლებელი დაებრუნებინათ ამ ხალხებს თავიანთი კანონიერი ხელისუფალნი.

ოთხმოცი წლის ერეკლე კვლავ განაგებს ქართლისა და კახეთის მხარეს. მისმა უფროსმა ვაჟმა დაუდ-ხანმა (D'Aoud-Kan) მრავალგზის ისახელა თავი ლეკებთან (Lesguis) და ყუმუხებთან (Komouks) ბრძოლებში. ისინი დროდადრო ანახლებდნენ თავდასხმებს საქართველოზე, იტაცებდნენ ახალგაზრდა ქართველ ქალებს, რომლებიც განსაკუთრებულად ამშვენებდნენ სპარსეთისა და თურქეთის სასახლეებს, ჰარამხანებს.

საქართველოს საბრძოლო სიმაგრეები არ გააჩნია, მის საზღვრებს მხოლოდ კავკასიონის მთები იცავს.

რაც შეეხება საკუთრივ ქართველებს, ისინი ოდითგანვე ცნობილი იყვნენ თავიანთი ვაჟკაცობითა და გმირობით, განსაკუთრებით აზიაში. აქ მათ სახელი გაითქვეს, როგორც საუკეთესო მეომრებმა. თურქეთისა და სპარსეთის დაქვემდებარებაში მყოფი საქართველო იძულებული იყო ხარკის სახით გაეგზავნა ყმაწვილკაცები ამ სახელმწიფოთა სამსახურში. მე თვითონ ვნახე ორი ათასი ქარ-

თელი მეომარი ალი-მურად-ხანის არმიაში და ვიტყოდი, რომ შესაძლებელია დაიპყრო ეს მებრძოლი სულის ადამიანები, მაგრამ შეუძლებელია აიძულო მათ შეეგუონ და დაემორჩილონ იმ პირობებს, რომლებიც თავმოყვარეობას შეულახავს“ [119].

ფერიერ-სოვბეფის ვრცელ მემუარებში საქართველომ და ქართველებმა ჯეროვანი ასახვა ვერ ჰპოვა. ტენდენციურობას ვერც ეს მოგზაური გაექცა, მაგრამ, როგორც თვითმხილველსა და უშუალო მოწმეს, ჩვენ არა გვაქვს საფუძველი არ ვენდოთ მის დაკვირვებებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფერიერ-სოვბეფის შთაბეჭდილებები ინტერესმოკლებული არ არის იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მდგომარეობის უკეთ აღქმისათვის, მით უფრო, რომ მის თხზულებაში „მოგზაურობა თურქეთში, სპარსეთსა და არაბეთში“ უხვადაა წარმოდგენილი მასალები XVIII საუკუნის II ნახევრის რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. მისი ნაწარმოებიდან ჩანს, რომ მოგზაურის ერთერთი ძირითადი მიზანი და მოვალეობა რუსეთის პოლიტიკური ინტერესების გარკვევა ყოფილა. ავტორი ვერ ფარავს უკმაყოფილებას რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის გამო. ის, როგორც თავისი ქვეყნის წარმომადგენელი, რუსეთის ამიერკავკასიაში გაბატონების წინააღმდეგი იყო. 1768 წელს საგარეო-პოლიტიკურ ინტერესთა დაპირისპირების შედეგად თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს, რომელიც აქტიურად შეუდგა ყველა ანტითურქული ძალის შემოკრებას ამიერკავკასიაში. ეს გულისხმობდა პირველ რიგში საქართველოს გამოყენებას თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს ცხოვრებაში ამ დროს ერთგვარი პაუზა შეიმჩნევა – იგი თურქებს ხარკს არ უხდიდა, ახალციხის ფაშასთანაც მშვიდი ურთიერთობა ჰქონდა. მისი ძირითადი საზრუნავი ლეკების მოგერიება იყო. ყოველივე ეს ეჭვის ქვეშ აყენებდა საქართველოს ჩაბმას რუსეთ-თურქეთის ომში. მაგრამ მუდმივი შემოსევებისა და შინაური ქაოსისაგან თავის დაღწევის მიზნით და რუსეთთან მომავალი დაკავშირების სურვილით, საქართველო

მხარში ამოუდგა რუსეთს თურქეთთან ომში. თავის მხრივ, ეკატერინე II-ს მიზანი იყო საქართველოს თანადგომა ერთობლივი საომარი მოქმედებისათვის თურქების წინააღმდეგ. თურქეთის საომარ კამპანიებში ქართველთა წარმატებულმა მოქმედებამ მათი სამხედრო შესაძლებლობები საგრძნობლად შეასუსტა, ამას დაემატა შემდგომში საგარეო და საშინაო ვითარების კიდევ უფრო დამძიმება. მტრულ გარემოცვაში შინაომებით განადგურებამდე მისულ ქვეყანას იმჟამად საიმედო მფარველად და მოკავშირედ, მიუხედავად მისი მზაკვრული დამოკიდებულებისა, რუსეთი ესახებოდა და 1883 წელს ერეკლე მეფისა და მისი თანამოაზრეების ძალისხმევით მიღწეული იქნა ხელშეკრულება, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატადაა ცნობილი.

რუსეთის გეგმამ, თავისი პოლიტიკური და კომერციული მიზნებით ფეხი მოეკიდა შავიზღვისპირეთსა და კავკასიაში, საფრანგეთის მფარველობის ქვეშ მყოფი თურქეთის ინტერესები შელახა, რის გამოც რუსეთ-საფრანგეთის დიპლომატიური ურთიერთობა დამძიმდა. ამ დროს პოლიტიკური მისიით სპარსეთს გაგზავნილი მოგზაური – რეზიდენტი ფერიერ-სოვბეფი – ეცადა გარკვეულიყო შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში, შეძლებისდაგვარად აღეწერა და თავისი მთავრობისათვის მიეწოდებინა ცნობები ამ პოლიტიკურ ორომტრიალში ჩათრეული ქვეყნების მდგომარეობაზე.

ნაწარმოებში წარმოდგენილი უხვი მასალიდან რუსეთის შესახებ ჩვენ ამოვიღეთ ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ საქართველოს ეხება.

„რუსეთის იმპერატორს ეკატერინე II–ს კარგად ჰქონდა გააზრებული საქართველოს მეფესთან ალიანსის ფასი, აგრეთვე ისიც, რომ მას თავისი ინტერესების განხორციელებისათვის სჭირდებოდა ცნობილი ხეობის „რკინის კარის" ("la Porte de Fer"), იგივე „კასპიის კარიბჭის" ("la Porte Caspienne") ბატონ-პატრონი, დერბენდის ხანი (le Kan de Derbend). ერთი შეხედვით „კასპიის კარიბჭე", ერთადერთი საკომუნიკაციო ხაზი კავკასიის გაელით, არ გვეჩვენება გადაულახავ ბარიერად შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე.

ამ გზით იმპერატორი სპარსეთსა და იმ ქვეყნებს, რომლებსაც ევფრატი (l'Euphrate) რწყავს, შეიყვანს ჩრდილოეთის ხალხის მფარველობის ქვეშ. იმ დროს სპარსეთში ვიყავი, როცა ეკატერინე II აწარმოებდა ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებას სპარსეთის მეფეებთან, რომლებიც განაგებდნენ საქართველოს საზღვრებს და იღებდნენ მათგან ძვირფას ხარკს. სწორედ ამ დროს ისპაჰანში ჩამოვიდა რუსეთიდან სპეციალურად გამოგზავნილი შიკრიკი, რომელსაც ევალებოდა კეთილად განეწყო ალი-მურად-ხანი იმპერატორის პროექტისადმი. ამ მთავარსარდალმა თავისი უძლეველი არმიით დაიპყრო სპარსეთის უდიდესი ნაწილი, ხოლო დანარჩენი მისდამი მორჩილებითა და თაყვანისცემით განმსჭვალა. ალი-მურად-ხანი თურქეთსაც გადასწვდა, გაიხსენა ძველი წყენა და ბაღდადს ომის მუქარა შეუთვალა. ამის შემდეგ კი შირაზის ხანს უბრძანა თავს დასხმოდა ბასორას (Bassora). ეს ვერსია დროის თვალსაზრისით კარგად იყო ჩაფიქრებული, რადგან საქართველოს საზღვარზე იმჟამად განლაგებული ოსმალოს მეომრები სპარსთა ტყვეობაში აღმოჩნდებოდნენ. თურქეთის დიდი მბრძანებელი ეცადა თავიდან აეცილებინა გამანადგურებელი დარტყმა, რომელსაც სპარსეთის იმპერია უქადდა, და უმორჩილესად სთხოვა ალი-მურად-ხანს ალიანსი, მაგრამ ამის პასუხად მან მისიით გამოგზავნილი პირი საპყრობილეში მოათავსა.

რუსეთის მთავრობის რწმუნებულთა დაპირებებით მოხიბლული საქართველოს მეფე მზად იყო რუსეთის მფარველობაში შესასვლელად. იმპერატორმა ეკატერინემ, სუვერენიტეტის მოსაჩვენებლად, საქართველოს მეფეს გაუგზავნა გვირგვინი, კვერთხი და დიდძალი იარაღი, რაც ქართველებმა ღვთის წყალობასავით მიიღეს. ამის შემდეგ რუსთა იმპერატორმა შეუფერხებლად შეიყვანა კახეთში თავისი რაზმები, რომლებიც, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა ერეკლე მეფის ძალაუფლებაში. ამის მიუხედავად, მეფემ ისინი ეჭვისა და ყოყმანის გარეშე მიიღო.

ისპაჰანში დაეყავი მრავალი თვე და ვიგრძენი, თუ რა სწრაფად შეიცვალა რუსეთისადმი დამოკიდებულება

მთელ სპარსეთში. ალი-მურად-ხანი (Alimourad-Kan) მიხვდა, რომ არ არგებდა რუსეთთან შეკავშირება თურქეთის საზიანოდ და გაათავისუფლა მოციქული, რომელმაც თურქეთის დიდი მბრძანებლის თხოვნა აახლა. მათ დიდი პატივით, ძვირფასი საჩუქრებით გააცილეს ყოფილი ტყვე და ამით დააეიწყეს ის უსიამოვნებანი, რომლებიც მას საპყრობილეში მიაყენეს, ამასთან მის უდიდებულესობას კავშირის პროექტზე თავიანთი არაორაზროვანი პასუხი შეუთვალეს. ამავე დროს, ალი-მურად-ხანმა პეტერბურგში გაგზავნა ორი ხანი იმპერატორ ეკატერინეს მიერ მის მიმართ ჩატარებული დემარშის საპასუხოდ. ამგვარი პოლიტიკური თვალთმაქცობით ალი-მურად-ხანმა ურცხვად დაარღვია იმპერატორისათვის ადრე მიცემული პირობა. მან უმალ შენიშნა, რომ რუსეთის იმპერატორი ნაკლებ მფარველობას იჩენდა ერეკლე მეფისადმი, აღარ დააყოვნა და სამი წლის პაუზის შემდეგ, ხარკის დაკისრების მიზნით, საქართველოს მეფეს ერეკლე II-ს გაუგზავნა ძვირფასი ხალათი (მდიდრული ერთიანი სამოსი, რომელსაც სპარსეთის მეფე უგზავნიდა ხოლმე თავის ვასალებს), რაც ქართველ მეფეს აიძულებდა სანაცვლოდ მისთვის ებოძებინა უფრო ძვირფასი საჩუქარი, ვიდრე ის ხარკი, რომელიც ერეკლეს სამი წლის მანძილზე უნდა ეხადა.

დერბენდის გამგებელმა ბაბა-ფატალი-ხანმა (Baba-Fatalikan) მიიღო განკარგულება ალი-მურად-ხანისაგან, გაეწყვიტა ყოველგვარი კავშირი რუსეთთან. ლეკების მეთაური ალი-მურად-ხანი გასაოცარი სიხშირითა და ხალისით ესხმოდა თავს კახეთის გარნიზონს, რომელიც ჯერ დააქუცმაცა, შემდეგ კი თავის მონად გადააქცია.

სპარსეთის ხანი ახმეტ-ხან დე კოი (Achmet Kan de Koi) ძალზე ცუდად შეხვდა იმპერატორის მიერ საქართველოში გამოგზავნილ რუს ოფიცრებს, რომლებიც საეჭვონი და მომაბეზრებელნი გახდნენ მთელი სპარსეთისათვის. ის ერეკლე მეფეს ტფილისის აოხრებით დაემუქრა, თუკი დაუყოვნებლივ უკან არ გააბრუნებდა მათ.

ამგვარი იყო რუსეთის ინტერესები 1785 წელს, როცა გამოვემგზავრე ისპაჰანიდან. მოგვიანებით შევიტყე, რომ რუსეთის იმპერატორის მოლაპარაკება სპარსეთთან უკეთ წარმართულა, რადგან სამოქალაქო ომებში ჩაფლული სპარსელები კარგა ხანს ვერ ჩაებნენ სხვა ქვეყნებთან პოლიტიკურ ფერხულში.

შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის მდებარე ქვეყნები ამჟამად დიდად მნიშვნელოვანი გახდა. ეკატერინე II-მ თურქებთან ომი წამოიწყო, რისთვისაც დიდი ხანი ემზადებოდა. მისი მიზანი იყო, მიეზიდა და დაეკავშირებინა საერთო რელიგიის ხალხები. იმპერატორი სწორედ საერთო რელიგიაში ხედავდა მათი გაერთიანების ერთადერთ საშუალებას. რაც შეეხება ძალაუფლების მოყვარე მეთაურების მიერ დაპყრობილ ხალხებს, რუსთა ხელმწიფემ გადაწყვიტა თავისი იმპერიის ქვეშ მათი შეფარება“ [120].

ფერიერ-სოვბეფის თხზულებებში კარგად ჩანს მოგზაურ-დამკვირვებლის ინტერესები და შესაძლებლობები, ქვეყნების აღწერის სტილი და თავისებურება. მან, როგორც პამფლეტისტმა, მრავალფეროვნება შესძინა XVIII საუკუნის II ნახევრის ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურას.

უცნობი მოგზაური

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა დეპარტამენტის ფრანგულ განყოფილებაში მივაკვლიეთ XVIII საუკუნის ვრცელი ფრანგული მეცნიერული ნაშრომის ხელნაწერს სათაურით: „გეოგრაფიის ზოგადსამეცნიერო თხზულება (XVIII ს.)“ ("Traité général géographie XVIII s.") [121], რომელიც დღემდე არ გამოქვეყნებულა. ხელნაწერი სუფთაა და კარგად იკითხება, როგორც ჩანს, საგანგებოდაა გადაწერილი. ეს ენციკლოპედიური ტიპის თხზულება, სადაც მითითებული არ არის ავტორი და თარიღი, შედგება რამდენიმე ნაწილისა და მრავალი თავისაგან.

ხელნაწერი ნაწარმოები „გეოგრაფიის ზოგადსამეცნიერო თხზულება (XVIII ს.)" („Traité général de géographie XVIII s.") იწყება დედამიწის სფეროს აღწერილობითა და გეოგრაფიული ტერმინების მოკლე განმარტებებით, რომელიც ანბანის მიხედვითაა დალაგებული. მისი მომდევნო თავები ეთმობა ასტრონომიულ და გეომეტრიულ საკითხებს, ასევე კლიმატის, ზღვების, ოკეანეებისა და ხმელეთის შესახებ ავტორისეულ განმარტებებს.

ხელნაწერი თხზულების მთავარი ნაწილიც, თავის მხრივ, დაყოფილია თავებად კონტინენტების მიხედვით და ახლავს მათი მიმოხილვა. ამის შემდეგ ავტორი აღწერს თითოეულ კონტინენტზე განლაგებულ ქვეყნებს, სამეფოებს, იმპერიებს და ა.შ. ხელნაწერი გამდიდრებულია რუკებით და მსოფლიოს ცნობილ ხელმწიფეთა გრავიურებით.

„ცნობები აზიის შესახებ" ("Traité de l'Asie") ნაშრომის დიდ ნაწილს შეადგენს და ასევე თავებადაა დაყოფილი: „აზიური თურქეთის შესახებ" ("De la Turque en Asie"), „საქართველო" ("De la Géorgie"), „არაბეთი" ("De l'Arabie") და სხვ.

ნაშრომის მიხედვით ჩანს, რომ ავტორი ცნობილი გეოგრაფი იყო და არა მხოლოდ თეორიულად იკვლევდა ქვეყნებს, არამედ მოგზაურობდა კიდეც. ეს იგრძნობა მის თხრობაშიც – ის თითქოს შთაბეჭდილებას უზიარებს თავის მკითხველს. მაგალითად, მისი, როგორც მოგზაურის, ყურადღება მიპყრობილია სამეგრელოსაკენ, იგი მოხიბლულია მისი ბუნებით, მცენარეთა ნაირგვარობით. იხსენებს, აგრეთვე, ზუგდიდის მშვენიერ სასახლეს და ა.შ.

საქართველოს შესახებ ცნობები რამდენიმე ხელნაწერ გვერდს (425-430) მოიცავს, სადაც მოკლედაა აღწერილი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, მისი წარმომავლობა, ბუნება, ხალხი და არსებული პოლიტიკური და სოციალური ვითარება.

აქვე გაგაცნობთ ამ გეოგრაფიული ცნობარის ერთ-ერთი თავის „საქართველოს შესახებ" ("De la Géorgie") პირველ ქართულ თარგმანს.

საქართველო

საქართველოს სახელით ჩვენ ძირითადად ვიცნობთ სამეგრელოს, გურჯისტანს, ალბანეთსა და ჩერქეზეთის პროვინციებს, სადაც გარსშემორტყმული მკაცრი მთების გამო ძველმა რომაელებმა თავისი ძალაუფლება ვერ დაამყარეს. ეს მთები ძველთაგანვე ცნობილია კავკასიის სახელითა და ლეგენდით პრომეთეოსის შესახებ.

საქართველო მდებარეობს შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის. არსებობს მოსაზრება, თითქოს ეს ზღვები რაღაცნაირად ერთმანეთს უერთდებიან, რადგან ორივე ზღვაში ერთი ჯიშის თევზები ბინადრობენ. ორ ზღვას შუა მდებარე ტერიტორია იმდენად ჩაღრმავებულია, რომ აქ მხოლოდ ცხენებით მიდი-მოდიან და აბრეშუმის ქსოვილებს, კუპრს, ცვილს და თაფლს ეზიდებიან. მოკლედ, მიმდინარეობს ვაჭრობა, თუმცა უფულოდ. ამ ქვეყანაში ფული საერთოდ არ ტრიალებს.

მოსახლეობის უმრავლესობა ისე ღარიბია, რომ თავის გასატანად შვილებსაც კი ჰყიდის. აგერ, რამდენიმე ხნის წინ, ერთმა პიროვნებამ საკუთარი სურვილით დედა თურქულ ცხენში გადაცვალა.

საქართველოში მცხოვრებთაგან ბევრი სქიზმატური ქრისტიანია, ძალიან ცოტაა მუსულმანი. ქართველებს საკუთარი ენა აქვთ. ქართველების ერთი ნაწილი თავისუფალია, მეორეს ჰყავს მეფე, სხვა - თურქებსა და სპარსელებს ემორჩილება და მათ სამოსს ატარებს. ვინც თურქებს ემორჩილება, თავის ქვეყანაში დიდი პრივილეგიით სარგებლობს. ხარკს მაინც იხდის, მაგრამ თითქმის უმნიშვნელოს.

ამბობენ, რომ დამორჩილებული ქვეყნის მცხოვრებს შეუძლია შევიდეს სპარსეთის ან თურქეთის ჯარში სამხედრო საქმის შესასწავლად.

თურქეთის დიდ სინიორს უჭირავს ორი ძლიერი ადგილი ტფილისსა და გორში; დერბენტი კი მუდამ საკამათოა სპარსეთსა და თურქეთს შორის. ის გადასასვლელშია და მას მოიხსენიებენ, როგორც „რკინის კარიბჭეს“. კასპიის

ეს კლდეკარი სამკურნალო ზეთებით მდიდარ ბარმაჩის მთაზე მოჩანს.

სამეგრელო, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმერეთი და ბაში-აჩუკი მდებარეობს შავი ზღვის გასწვრივ იმ ადგილას, სადაც ზღვა იძენს გლუვ, ლიელივა ზედაპირს და, იქაური მდინარეებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებული სიმშვიდით გამოირჩევა.

მდინარე ფაზისის ხეობა სავსეა ხოხბებით და იშვიათი ჯიშის ჩიტებით. 1642 წელს სამი პალმის სიმაღლე ტალღებმა უამრავი ქაშაყი გამორიყა ნაპირზე. იმ დროიდან ამ მხარეში მომრავლდა ყვავ-ყორანი. ამ ხეობაში ბინადრობს დიდი დათვის იშვიათი ჯიში.

სამეგრელო არის ძველი კოლხიდა, რომელიც იასონისა და მედეას სიყვარულით და არგონავტების გმირული სვლით არის ცნობილი მთელ მსოფლიოში, ხოლო ლეგენდარული ოქროს საწმისი დაკავშირებული იყო ოქროს მადანთან და ბეწვეულის რეწვასთან, რომელსაც ამ ქვეყნისათვის დიდი სარგებელი მოჰქონდა.

ბერძენი ისტორიკოსი აპიანე (ჩვ.წ.აღ. II ს.) ამბობს, რომ გლეხები ოქროს ძიების დროს ქვიშის გადასარეცხად ცხვრის ტყავს იყენებდნენ, ოქროს მტვრის ნაწილი ბეწვზე რჩებოდა და ამიტომ იყო ის ოქროსფერიო. ამ მდინარეებს დღემდე შემორჩა ოქროსა და ვერცხლის რამდენიმე სამადნე.

სამეგრელოში კარგად ხარობს რამდენიმე ჯიშის მცენარეები: ძმერხლი (le séné), ქრისტესისხლა, კაკალი და მრავალი საუცხოო სამკურნალო მცენარე, მაგრამ აქაური მცხოვრებნი ისეთი გაუთვითცნობიერებელნი არიან მედიცინაში, რომ ერთხელ ერთ-ერთმა ევროპელმა სამეგრელოს დედოფლის განკურნების საშუალებად იაგუნდის (იაკინთე) ძვირფასი ქვა დაასახელა. მეგრელმა თავისებურად გაიგო — მან წყალში შეურია ამ ქვის ნაფხეკი და წამლად მიართვა დედოფალს.

მეგრელი გოგონები ათი წლის ასაკში აჩენენ შვილებს. ისინი თავიდან სუსტი აგებულებისანი არიან,

მაგრამ დაქალდებიან თუ არა, მეტისმეტად ტანმსხვილები ხდებიან.

ამ მხარის მკვიდრთ, თავიანთი მეფის სახელის მიხედვით, ოდიშელები და გურიელები ეწოდებათ. ისინი თურქებს ყოველწლიურად გარკვეული რაოდენობის ხარკს უხდიან.

აქაური ეპისკოპოსი და სასულიერო პირნი

ვალდებულად არ თვლიან თავზე ჩალმითა და გვერდზე თურქული მრუდე ხმლით ომში გაჰყვნენ თავიანთ მეფეს.

საქართველოს მხარე, რომელსაც იმერეთი ჰქვია ამჟამად, თავისუფალია. ადრე კი მისი დიდი ნაწილი მიდთა (Médie) მეფის კუთვნილებაში იყო. 1578 წელს დიდმა მბრძანებელმა ამარათმა (Amarath) მდინარე ფაზისის სათავესთან მდებარე პატარა კუნძულზე დიდი ციხე-კოშკი ააგო, რომელიც ამ ქვეყანაში შემოსევებისას ისევ თურქებმა დაანგრიეს.

ოდიშში ადრინდელი ციხე-ქალაქის ნანგრევებიღაა დარჩენილი. ამ ქალაქის სანაპიროს სხვადასხვა ქვეყნის ნავები მოადგებოდნენ ხოლმე და მის ნაგებობაში სამას ეროვნებამდე სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ბეწვეულით მოვაჭრე აფარებდა თავს. აი, ეს იყო ნამდვილი ოქროს საწმისი.

საერთოდ, ამ მხარეში ორმოცდაათზე მეტი მშვენიერი სასახლე იდგა. მათ შორის ყველაზე წარმტაცი ზუგდიდის სასახლე იყო. წალენჯიხაში დაცულია ქართველი მეფეების წმინდა საფლავები. ვალთიეთი (Valthiet) და გულრიფში (Culriche) გურიელის სამბრძანებლოა.

გურჯისტანი, ძველად იბერია, მდებარეობს მთებს შორის და შედგება სამი ნაწილისაგან: კახეთი, ქართლი ქალაქ ტფილისით და ქართლი ქალაქ გორით. ეს უკანასკნელი ნაწილი თურქეთისაა, ხოლო სხვა ორი ინარჩუნებს თავისუფლებას და დღემდე უპირისპირდება სპარსეთს.

ჟან-ჟოზეფ ექსპილი

ფრანგი გეოგრაფი და მოგზაური ჟან-ჟოზეფ ექსპილი (Jean-Joseph Expilly) [122] (1719-1793) 25 წლამდე ბერად იყო აღკვეცილი. გეოგრაფიით დაინტერესებული ნიჭიერი ახალგაზრდა ბერი თავის დროზე შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ეკლესიის მესვეურებს და, სათანადო რეკომენდაციებით აღჭურვილი, წარადგინეს სასახლეში საფრანგეთის მთავრობის წინაშე. მას უმალვე მიანდეს მნიშვნელოვანი მიელინება უცხო ქვეყნებში. როგორც ჩანს, ჟან-ჟოზეფ ექსპილის, როგორც მოგზაურის, მისია მხოლოდ გეოგრაფიული კვლევა-ძიება არ ყოფილა, მას საიდუმლო პოლიტიკური დატვირთვა ჰქონია, მაგალითად:

ესპანეთში მოგზაურობისას, ავსტრიელებთან ბრძოლის დასაწყისში, 1745 წელს მას ბრალად დასდეს საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს საიდუმლო დოკუმენტების ამოღება. ამ გარემოებით გამოწვეულ საშიშროებას ჟან-ჟოზეფ ექსპილიმ იტალიაში გამგზავრებით დააღწია თავი, სადაც დაუკავშირდა ერთ-ერთი ქალაქის მღვდელს, რომელიც, აგრეთვე, საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი მოხელე იყო, და მისი დახმარებით მან სიცილიის მეფისაგან მიიღო საგანგებო დავალება - ევროპის ორი დიდი პოლიტიკური რუკის შედგენა და კომენტარის გაკეთება. გარდა ამისა, შვიდწლიანი ომის წინ მოგზაურმა და გეოგრაფმა ისევ განაახლა თავისი კვლევა და ამ მიზნით იმოგზაურა მრავალ ქვეყანაში, ვითომდა რუკის გადასამოწმებლად, სინამდვილეში კი მან სერიოზული სადაზვერვო სამუშაოები ჩაატარა. ბოლოს ვალმოხდილი დაბრუნდა საფრანგეთში, კერძოდ ტარასკონში (Tarascon) და გააგრძელა საეკლესიო სამსახური.

მოგზაურობის პერიოდში გაკეთებული ჩანაწერების მიხედვით მან შეადგინა გეოგრაფიული ლექსიკონი, რუკები და სახელმძღვანელოები.

მღვდელმა ჟან-ჟოზეფ ექსპილიმ ქველმოქმედის და მშრომელი ადამიანის სახელი მოიპოვა, თუმცა ერთ-ერთმა ფრანგმა მეცნიერმა მისი ნაშრომებისა და აქა-იქ გაბნე-

ული ჩანაწერების გაცნობის შემდეგ ცნობილი მოგზაური და გეოგრაფი „უტვინო გიჟად" მოიხსენია.

ჟან-ჟოზეფ ექსპილის წიგნი „სახელმძღვანელო გეოგრაფი" („Le Géographe manuel") [123] 1757 წელს გამოიცა პარიზში. ავტორი ამ ფაქტს დიდი სიამოვნებით აღნიშნავს ნაწარმოების შესავალში: „ჩემი წიგნები ელვის სისწრაფით დაიტაცეს, ე.ი. საზოგადოება კმაყოფილია. მართალია, საგნები და მოვლენები ნაკლებადაა გამოკვეთილი, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ თვალის ერთი გადავლებით მსოფლიოს საეროო ხედია მოცემული. გულახდილად გეტყვით, რომ ეს არის ჩემი ხანგრძლივი კვლევა-ძიების ნაყოფი და მისი შედგენა არც თუ იოლი იყო".

ჟან-ჟოზეფ ექსპილის წიგნში „სახელმძღვანელო გეოგრაფი" მოცემულია მსოფლიოს ყველა ქვეყნის აღწერილობა: გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი, დედაქალაქები, მანძილი პარიზამდე, სახმელეთო და საზღვაო გზები პარიზის მიმართულებით.

ავტორი წარმოგვიდგენს, აგრეთვე, სხვადასხვა ეროვნების ხალხებს, გვაცნობს მათ ხასიათს, ჩვეულებებს, სარწმუნოებას, დამწერლობის თავისებურებებს და ა.შ. წიგნს სხვადასხვა შინაარსის რუკები აქვს დართული. ჟან-ჟოზეფ ექსპილი, როგორც მოგზაური სპეციალური დავალებით, მხოლოდ იმ ქვეყნებში იყო, რომლის მიმართ საფრანგეთის იმდროინდელ მთავრობას ფარული ინტერესები ამოძრავებდა. აქედან გამომდინარე მისი ნაშრომიდანაც ჩანს, რომ მოგზაური, მღვდელი, გეოგრაფი ჟან-ჟოზეფ ექსპილი საქართველოს, ისევე როგორც სხვა მრავალ ქვეყანას, არ სწვევია და არც ის ცნობები დაუზუსტებია, რაც მან საქართველოს შესახებ მოიპოვა. ეტყობა ავტორი გვაცნობს იმ დროს უკვე არსებულ რამდენიმე გეოგრაფიულ ენციკლოპედიას ან მოგზაურთა ჩანაწერებს და მათ შემცირებულ და დამახინჯებულ ვარიანტს სთავაზობს მკითხველს.

ჟან-ჟოზეფ ექსპილის წიგნში „სახელმძღვანელო გეოგრაფი" საქართველო აზიის თავშია შეტანილი. ავტორი მიმოიხილავს აზიის კონტინენტს და იწყებს მასში შემავალი

თითოეული ქვეყნის აღწერას შემდეგი თანამიმდევრობით: არაბეთი, სომხეთი, ჩინეთი, საქართველო, ინდოეთი, ინდოსტანი, მონგოლეთი და ა.შ.

საქართველო [124]

საქართველოს ესაზღვრება: ჩრდილოეთით — რუსეთი და პატარა სათათრეთი, სამხრეთით — სომხეთი და სპარსეთი, აღმოსავლეთით — კასპიის ზღვა და დასავლეთით — შავი ზღვა. მისი ტერიტორია, სიგრძით 280 ლიე და სიგანით 210 ლიე, მდებარეობს 58-65 გრძედზე და 38-46 განედზე. საქართველოში ჰაერი საკმაოდ ზომიერია და ჯანსაღი, მაგრამ უფრო ცივი, ვიდრე სომხეთში. ნიადაგი ნაყოფიერია. მოჰყავთ უხვი მარცვლეული, ხილი და ყურძენი. მისდევენ მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას, აქვთ დიდი რაოდენობის ცვილი და თაფლი.

ქართველები კარგი აღნაგობისანი არიან, მაგრამ ბევრი ნაკლი აქვთ. მოხდენილი და ქედმაღალი იერი მათ კიდევ უფრო საზიზღრებს ხდის.

ქართველი ქალები არაჩვეულებრივი სილამაზის არიან, მაგრამ არანაკლებ მანკიერნი, ვიდრე მამაკაცები. თურქეთის სულთანისა და სპარსეთის სეფის ჰარამხანების ყველაზე მშვენიერი სამკაულები ქართველი ქალები არიან, მაგრამ მათ არც სიხალისე აქვთ და არც გრაციოზულობა, ისინი შორს არიან ბერძენი ქალების მშვენიერებისაგან.

საქართველოში გავრცელებულია როგორც ბერძნული, ისე მაჰმადიანური რელიგია და აქა-იქ რომანულ-კათოლიკურიც. ქვეყანა გაყოფილ-განაწილებულია თურქეთის დიდ სინიორს, სპარსეთის მეფეს, რუსეთის იმპერატორსა და რამდენიმე დამოუკიდებელ მთავარს შორის: კახეთი და ქართლი სპარსეთს ემორჩილება, გურია, იმერეთი და სამეგრელო დიდი სინიორის ხელშია, ჩერქეზეთი, სადაც ყველაზე საუკეთესო ქალებია მთელ საქართველოში, რუსეთის იმპერატორს და ასე შემდეგ.

ტფილისი საქართველოს საუკეთესო ქალაქია, რომელიც ერევნიდან და ტერეკიდან (რუსეთის ჩერქეზეთის დედაქალაქი) 80 ლიეთი, კონსტანტინოპოლიდან 470 ლიეთი, ხოლო პარიზიდან 1048 ლიეთია დაშორებული.

დე ლილი

გამოჩენილი ფრანგი გეოგრაფების, დე ლილების (les l'Isles) ოჯახის წევრს, ჟოზეფ-ნიკოლა დე ლილს (Joseph-Nicolas de l'Isle) პეტერბურგში მოგზაურობისას უნახავს XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწის, გეოგრაფისა და ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 წელს შედგენილი პირველი ატლასი. ის ძალიან დაინტერესებულა ამ რუკებით, გადაუღია მათი ასლი და საფრანგეთში წაუღია. 1766 წელს გამოქვეყნდა ატლასის პირველი რუკა სათაურით „საქართველოს, სომხეთის და ა.შ. საერთო რუკა".

ეს ფაქტი მოხსენიებულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში:

„ვახუშტის კარტოგრაფიულმა შრომებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მეცნიერულ წრეებში. ცნობა ვახუშტის ატლასის შესახებ ლაიფციგის გაზეთმა 1737 წლის 5 დეკემბრის გაზეთში დაბეჭდა. გაზეთმა მაღალი შეფასება მისცა „თბილისელი პრინცის" მიერ შედგენილი „კავკასიის მთების შესანიშნავ რუკებს". 1737 წელს ცნობილმა ფრანგმა კარტოგრაფმა, აკადემიკოსმა ჟოსებ დე ლილმა სანკტ-პეტერბურგში ვახუშტის პირველი ატლასის რუკების ასლები გადაიღო და პარიზში გააგზავნა 1766 წელს. მისმა ძმამ ცნობილმა გეოგრაფმა და კარტოგრაფმა გიიომ დე ლილმა (Guillaume de l'Isle) განიხილა და გამოაქვეყნა კიდეც ვახუშტის 1735 წლის ატლასის პირველი რუკის ასლი ფრანგულ ენაზე" [125].

ვინ არის იოსებ დე ლილი და როგორ მოხვდა მასთან ვახუშტი ბაგრატიონის 1735 წელს შედგენილი ატლასი? ჟოზეფ ნიკოლა დე ლილი, ფრანგი მოგზაური, კარ-

ტოგრაფი და გეოგრაფი, ძმებთან გიიომ და სიმონ-კლოდთან (Simon-Claud) ერთად მრავალი წელი მოღვაწეობდა ამ სფეროში. გიიომ დე ლილი (1675-1726 წწ.) გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭითა და მისწრაფებით, რაც მის მოღვაწეობაში შესანიშნავად აისახა: 1702 წელს იგი აირჩიეს საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრად, 1718 წელს მიენიჭა საფრანგეთის მეფის პირველი გეოგრაფის საპატიო წოდება და გამოაქვეყნა ასზე მეტი საერთო თუ სპეციალური რუკა. გიიომ დე ლილის შრომები იმდენად პოპულარული გახდა მთელ მსოფლიოში, რომ იმ პერიოდში არ გამოქვეყნებულა ისტორიული, გეოგრაფიული თუ მოგზაურული ნაწარმოები, რომელიც არ იქნებოდა მისი რუკებით დამშვენებული და გამდიდრებული.

დე ლილების ოჯახის მოღვაწეობის პერიოდი XVII-XVIII საუკუნეებია. ამ დროს მოგზაურთა და ასტრონომთა მომრავლებული გამოკვლევების შედეგად გეოგრაფია და კარტოგრაფია მეცნიერების სხვა დარგებთან შედარებით უპირატესობით სარგებლობდა და დიდ პროგრესს განიცდიდა. ხშირად იბეჭდებოდა ცნობილი ფრანგი ასტრონომების, ტოპოგრაფების, გეოგრაფების გამოკვლევები და მეცნიერულად დამუშავებული რუკები. მათ გვერდით იღვწოდნენ ძმები დე ლილები.

გიიომ დე ლილს, როგორც უმაღლესი კატეგორიის გეოგრაფსა და კარტოგრაფს, მომავალში განსაკუთრებული მისია დაეკისრა — ის სათავეში ჩაუდგა საფრანგეთის მეცნიერ-გეოგრაფთა მოღვაწეობას.

აღსანიშნავია, რომ გიიომ დე ლილმა პირველმა წარუდგინა საქართველოს გეოგრაფიული სახე საფრანგეთის საზოგადოებას. მან სხვადასხვა წყაროებიდან მოკვლეული მასალების მიხედვით შეადგინა და გამოაქვეყნა 1723 წელს კასპიის ზღვის მხარეების და 1724 წელს სპარსეთის რუკები [126]. ამგვარად, მან მოგვაწოდა საქართველოზე მის ხელთ არსებული ყველა გეოგრაფიული ცნობა, რისი მოკვლევაც შესაძლებელი იყო იმ დროისათვის.

ქართული სამეცნიერო ლიტერატურა ამ რუკების წყაროდ ასახელებს საფრანგეთში დიპლომატიური მისიით ყოფნისას სულხან-საბა ორბელიანის მიერ მეფის სასახლეში წარდგენილ რუკებს: „საქართველოს პირველი რუკები შუა საუკუნეებში შეიქმნა. XVIII საუკუნის დასაწყისში სულხან-საბა ორბელიანმა საფრანგეთში ჩაიტანა ქართული კარტოგრაფიული მასალები, რაც საფუძვლად დაედო 1723 წელს პარიზში გამოცემულ „კავკასიისა და კასპიისპირეთის რუკას" [127].

მრავალი წლის შემდეგ გიიომ დე ლილის ძმას ჟოზეფ-ნიკოლსაც მიეცა მსგავსი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო საქართველოს რუკის გამოცემაში. ამ შემთხვევაში ქართველი მეფის მიერ 1737 წელს პეტერბურგში, მეფის სასახლეში წარდგენილი ატლასი გახდა მისი და მისი ძმის გიიომ დე ლილის ინტერესისა და კვლევის ობიექტი: გიიომ დე ლილის ძმამ, ჟოზეფ-ნიკოლა დე ლილმა, რომელიც 1737 წელს რუსეთში მოგზაურობდა, შეიტყო, რომ საქართველოს მეფე პეტერბურგში სამეფო კარს სწვევია და მრავალი საერთო ხასიათის და საკუთრივ საქართველოს რუკა წარმოუდგენია.

ჟოზეფ-ნიკოლა დე ლილი დაუყოვნებლივ შეხვდა ქართველ მეფეს და სთხოვა, გაეცნო მისთვის ეს რუკები, რომლებიც იმდენად დეტალური და საინტერესო აღმოჩნდა, რომ ჟოზეფ-ნიკოლა დე ლილმა მტკიცედ გადაწყვიტა მათი ასლების გადაღება. ქართველი მეფე სიამოვნებით დაეთანხმა მის გადაწყვეტილებას, უფრო მეტიც, დამხმარედ შესთავაზა თავისი მდივანი საკუთარი გეოგრაფიული სახელების ქართულიდან ფრანგულად სწორად გადატანის მიზნით.

1747 წელს ქართული რუკებით ხელდამშვენებული ჟოზეფ-ნიკოლა დე ლილი პარიზში დაბრუნდა. თავდაპირველად მან ეს რუკები მეცნიერების მოამაგეს, დიდად განსწავლულ პიროვნებას მონსენიორ ორლეანის ჰერცოგს წარუდგინა, შემდეგ კი თავის შემოქმედ ოჯახს და თანამოღვაწეებს. თავისი ძმის გიიომის ხელმძღვანელობით ჟოზეფ დე ლილმა გააკეთა იმ რუკის კარტოგრაფირება

(გრავირება), რომლის ასლიც მან თავისი ხელით გადაიღო პეტერბურგში 1738 წელს. ეს არის საერთო რუკა, რომელიც ასახავს ძველ კოლხიდას, იბერიას, ალბანეთს და დიდ სომხეთს, ე.ი. ასახავს ტერიტორიას, გადაჭიმულს შავი ზღვის სანაპირომდე, ერთი მხრით – ქალაქ ტრაპზონამდე და მეორე მხრით – ქალაქ პიტიუნტამდე (დღევანდელი ბიჭვინთა).

ხანგრძლივი შესწავლისა და განხილვის შემდეგ, 1766 წელს გამოქვეყნდა პარიზში ამ ატლასიდან ერთი რუკა, რომელსაც ერთვოდა განმარტებანი სათაურით „საქართველოს, სომხეთის და სხვ. საურთო რუკა“ („La carte générale de la Géorgie, Armenie etc“). სამწუხაროდ, არც რუკაზე და არც მის განმარტებაში, რომელიც ცალკე ბროშურადაა გამოცემული, რუკის შემდგენელის ვახუშტი ბაგრატიონის სახელი არაა მითითებული, ფრანგულ ტექსტში ის „ქართველ ავტორად“ მოიხსენიება. რაც შეეხება ქართველ მეფეს, რომელიც ფრანგ მოგზაურს და გეოგრაფს ჟოზეფ ნიკოლას შეხედა პეტერბურგში, ეს გახლავთ ქართლის ბრწყინვალე მეფის ვახტანგ VI-ის შვილი, ქართლის მეფე ბაქარი, იგივე შაჰ-ნავაზ III, რომელიც, როგორც ისტორიდანაა ცნობილი, გამაჰმადიანების შემდეგ 1717 წელს შაჰმა მეფედ აღიარა.

მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო 1724 წელს ვახტანგ VI თავისი ოჯახით, შვილებით (ბაქარი და ვახუშტი) და დიდი ამალით ხანგრძლივი დროით რუსეთს გადაიხვეწა. ამდენად, საფიქრებელია, რომ ეს იყო ვახტანგ VI-ის შვილი ბაქარი, რომელმაც 1737 წელს თავისი ძმის ვახუშტის შედგენილი ატლასი და ქართველ მეფეთა გენეალოგიური ნუსხა წარუდგინა სამეფო კარს პეტერბურგში.

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის რარიტეტის ფონდში მივაკვლიეთ ბროშურას სათაურით „საქართველოს, სომხეთისა და ა.შ. საერთო რუკის შესახებ“ („Avertissement sur la carte générale de la Géorgie, Armenie etc“) [128] რომელიც გამოქვეყნდა საქართველოს რუკასთან ერთად 1766 წელს გიიომ დე ლილის ავტორობით. ის შეიცავს ცნობებს და გარკვეულწილად განმარტებებსაც საქართვე-

ლოს გეოგრაფიულ მდებარეობაზე, მის დედაქალაქზე, ბუნებაზე, ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებაზე. იქვე მოცემულია ქართველი ავტორის, დიდი ქართველი მოღვაწის, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი საქართველოს საერთო რუკის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება. აქვე ვაქვეყნებთ ზემოთ აღნიშნული ბროშურის ჩვენს მიერ შესრულებულ თარგმანს.

„კოლხეთი აღმოსავლეთის მხრიდან შემოსაზღვრულია მთაგრეხილით, რომელიც თითქმის ზღვამდეც აღწევს. ამ მხარეში უამრავი მდინარეა, რომელიც მაღალი მთებიდან ჩამოედინება; მათგან ყველაზე დიდს ძველად ფაზისი, დღეს კი რიონი ეწოდება. ამ მდინარეს აღმა თუ ავუყვებით, მივადგებით ლეგენდარულ მედეას სამფლობელოს, ციხე-ქალაქ სიტას, ახლანდელ გეგუთს. კოლხეთს სვანეთი და გურია ესაზღვრება, ბოლოს ოდიშია, ანუ სამეგრელო.

ამ ვრცელი ტერიტორიის შუაში მოქცეულია იმერეთი და რამდენიმე სხვა კუთხე. მთების აღმოსავლეთით, კოლხეთს რომ ეკვრის, მდებარეობდა ძველი იბერია, რომელიც ჩრდილოეთით კავკასიის, დასავლეთით კოლხეთის მთებითაა შემოსაზღვრული. ამ ვრცელ დაბლობს ალბანეთისაგან სამხრეთის მთები ჰყოფს. ეს მხარე მრავალრიცხოვანი მდინარითა და ნაკადულით ირწყვება. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარე კურა ანუ მტკვარია, ძველად კირუსი (Cyrus), რომელსაც ერთვის ბევრი პატარა თუ დიდი მდინარე. ამ შენაკადთაგან ყველაზე ლამაზი მდინარე ალაზანია, რომელიც კვეთს კახეთს და რუკაზე, როგორც დეკორატიული ორნამენტი, დაკლაკნილი ხაზითაა გამორჩეული. მტკვარი მარჯვნივ, მჩქეფარე მდინარე არაქსს (Arax), დღევანდელ არაგვს (Aras) იერთებს და გზადაგზა კიდევ მრავალი შენაკადით კასპიის ზღვაში ჩაედინება.

იბერია მოიცავს ქართლსა (le Carduel) და კახეთის სამეფოს. კახეთი ანუ კახეთის სამეფო ამჟამად თითქმის მთელ იბერიას ფლობს და გაშლილია კურას ანუ მტკვრის ჩრდილოეთით.

ქართლის სამეფო, ანუ ქვემო ქართლი (კარდუელი (Carduel)) გადაჭიმულია ამავე მდინარის სამხრეთით. ქართლის სამეფოს ქალაქი თბილისია, ძველად ტეფლისი ან ტიფლისი".

ზემოხსენებულის გარდა, საქართველოს საერთო რუკაზე მრავალი ქალაქი, დაბა და სოფელია აღნიშნული, რომელიც უფრო თვალსაჩინოდაა გამოსახული ექვს დანარჩენ სპეციალურ რუკაზე. 1738 წელს ბატონმა ჟოზეფ-ნიკოლა დე ლილმა თვითონვე გადაიღო ამ რუკების ასლი და ქართველი მეფის მდივნის დახმარებით გადათარგმნა კიდეც, თუმცა მათი კარტოგრაფირება (გრავირება) აქამდე ვერ მოხერხდა.

კოლხიდა, საქართველოს უძველესი მხარე, თურქეთის ძალაუფლებაშია. საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი კი სპარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფება, ანუ საქართველოს დიდი ნაწილი ამ ორი ძირითადი ქვეყნის მოხარკეა. აღმოსავლეთის ხალხი კი ამ ქვეყანას გურჯისტანს უწოდებს".

ახლა შევეხოთ იმ ასტრონომიულ და გეოგრაფიულ არსს, რომელიც ამ რუკის შედგენის საფუძველი იყო. აი, რას გვამცნობს ამის შესახებ ბატონი ჟოზეფ-ნიკოლა დე ლილი.

რუკის ავტორმა შეაგროვა მრავალი განმარტება საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილების გრძედებისა და განედების შესახებ და ამგვარად შეადგინა ცხრილი, რომლის ქართული ასლი გადასცა ბატონ ჟოზეფ-ნიკოლა დე ლილს. აქ ჩამოწერილია ორ სვეტად პროვინციებისა და ქალაქების სახელები, მითითებულია მათი მდებარეობა გრძედებითა და განედებით და დასათაურებულია ლათინურ ენაზე „Mathematico persico". ეს ალბათ ულუგ-ბეგს (Ulug-Beig) ეკუთვნის, რომლის მოხსენიება ავტორმა ისურვა სპარსელი მათემატიკოსის სახელით. ჟოზეფ-ნიკოლა დე ლილმა მიმართა სპარსულ ხელნაწერს, გადაიღო მისი ასლი და მოკრძალებით სთხოვა პეტერბურგის აკადემიის აღმოსავლური ენების პროფესორსა და მეცნიერს მ.კერს (M.Kerh) მისი ფრანგულად თარგმნა. შედარებისას აღმოჩნდა, რომ ეს ხელნაწერი თითქმის ემთხვევა ულუგ-ბეგის

ცნობილ გეოგრაფიულ ცხრილს, რომელიც 1652 წელს ლონდონში გამოქვეყნდა ჟან დე გრავიუს მიერ მისივე თარგმანით, რომ არა ერთი სერიოზული განსხვავება - სპარსულ ხელნაწერში აღნიშნულ ქალაქთა რიცხვი თითქმის 311-ია, ხოლო ჟან გრავიუს (Jean Gravius) მიერ თარგმნილ და გამოცემულ ნასირ-ედინის (Nassir-Eddin) ულუგ-ბეგის ცხრილში მხოლოდ 250 ქალაქია აღნიშნული. ამ ორ თათარ ავტორს ერთ კონკრეტულ განმარტებაზე მოცემული აქვს რამდენიმე განსხვავებული ვარიანტი, მაგრამ ეს ხელნაწერი ბოლოს მაინც ულუგ-ბეგის განსაზღვრებას ემხრობა, თუმცა არა სამარყანდის განედთან დაკავშირებით, რაც შეცდომაა. ზოგჯერ ხდება ორიგინალის ორივე ავტორის გვერდის ახვევა. შესაძლოა ეს მთარგმნელის ან გადამწერის ბრალიც იყოს.

„დავუბრუნდეთ ქართველ გეოგრაფს. ორ დანარჩენ სვეტში მოცემულ განმარტებებს სათაურით: „Ex Europa et Graco que in nostro lexicon sunt". უფრო იოლია დავასკვნათ, რომ ეს ორი სვეტის პოზიციები არაფრად ვარგა, ვიდრე გამოიცნო საიდან გადმოიღო ისინი ლექსიკონის ავტორმა".

„ბოლოს, ორ უკანასკნელ სვეტში ჩვენ ვხედავთ საქართველოს 68 მნიშვნელოვანი პუნქტის გრძედებსა და განედებს სათაურით: „Alia (positiones) dimensione et alia millico uno ex alio, a me inventa" და მეორე გვერდზე „Ex me inventa alia dimentione, et alia millico une ex alio multiplicatione". ამ სათაურიდან ჩანს, რომ ქართველმა ავტორმა თავის განმარტებებში გამოიყენა ალბათ საგზაო სამარშრუტო და აგრეთვე შესაძლოა რამდენიმე ასტრონომიული ზომა. გაუგებარია რა შეიძლებოდა ეგულისხმა ავტორს ფრაზაში:

მარტივად რომ ვივარაუდოთ, ავტორმა, იცოდა რა მანძილი ერთი ქალაქიდან ორ სხვა ქალაქამდე მილებსა თუ ლიებში, ისევე როგორც მათი განლაგება რომელიმე ტრიგონომეტრიული გაანგარიშებით, ამით მან დაადგინა პირველი ქალაქის ადგილმდებარეობა. სწორედ ამ უკანასკნელ ნუსხაზე (ცხრილზე) დაყრდნობით შეადგინა ავტორმა ის რუკა, რომელსაც ჩვენ ამჟამად ვაქვეყნებთ: იგი

აბსოლუტურად ემთხვევა ორიგინალს და მასში დაცულია რუკის შედგენის ზოგადი წესი. ქართველი ავტორის ყველა გადაწყვეტილება დიდი პატივისცემისა და მადლიერების გრძნობითაა გამსჭვალული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რუკა, რომელსაც მალე წარვუდგენთ ჩვენს საზოგადოებას, არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან:

„1. გარკვეული საფუძველი გვაქვს აღვნიშნოთ, რომ ქართველმა ავტორმა გამოთვალა თავისი გრძედი კანარის კუნძულის, ძველად ფორტუნის კუნძულების (Isles Fortunées) მერიდიანით. ეს კი ის მერიდიანია, რომლითაც აღმოსავლეთელმა ასტრონომებმა და გეოგრაფებმა ულუგ-ბეგმა და ნასირ-ედინმა გამოთვალეს თავიანთი გრძედები. ამის მიხედვით გასაგები ხდება, თუ რატომ ივარაუდა მან ეს მერიდიანი სამგრადუსნახევრით უფრო დასავლეთით, ვიდრე ის რეალურად მდებარეობს. ამ შეცდომის გასწორება იოლი იქნებოდა, თუ შევამცირებდით ამ გრძედებს რუკის ზემოთ და ქვემოთ სამგრადუსნახევრით, მაგრამ ავტორმა ინება რუკის იმ სახით წარმოდგენა, როგორიც იყო. თუმცა ჩვენი მითითების შემდეგ მან მაინც შეასწორა ეს პატარა უზუსტობა“.

„გრძედების საწყისი ავტორს თვითნებურად აქვს აგებული. აქ ისღა დაგვრჩენია, ვივარაუდოთ, რომ მან თავისი პირველი მერიდიანი სამგრადუსნახევრით გადასწია ფერის კუნძულის დასავლეთისაკენ“.

„ჯერ კიდევ წინა საუკუნეში პარიზს გრძედის 21, 22 და მეტ გრადუსზე აღნიშნავდნენ, როცა ამ ქალაქის მდებარეობა სრულად 22 გრადუსსაც ვერ აღწევს. ასევე დადგენილი იყო 17 გრადუსი პარიზსა და ლისაბონის მერიდიანებს შორის, მაშინ როცა რეალურად 12 ნახევარი გრადუსია. ასე რომ ქართველი გეოგრაფის მცირე ცდომილება ემთხვევა არსებულ გეოგრაფიულ დამხმარე ლიტერატურაში დაშვებულ ასევე მცირე უზუსტობებს“.

2. გარდა ამისა, შეიძლება აღინიშნოს კიდევ სხვა კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებული შეცდომაც: ეჩმიაძინი (Etchmiazin), ყარსი (Kharsi), ახანკალა (Assankala), ერთი სიტყვით — ერზრუმსა და ერევანს შორის რუკის მთელი

მერიდიანული ნაწილი აღმოსავლეთისაკენ ცოტა წინ გაწეული მოჩანს, ხოლო მეორე მხრიდან, ტრაპზონი და მთელი დასავლეთის ნაწილი – ჩრდილოეთისაკენ ზემოთ აწეული. ეს შეცდომები ცოტა არ იყოს უცნაურად გამოიყურება რუკაზე, რადგან ის ეხება მხოლოდ საქართველოს საზღვრებს და არა თვითონ საქართველოს.

გეოგრაფი თითქოს თავს ვალდებულად თვლის, მისდიოს იმ წესს, რომელიც მისთვის, როგორც ჩანს, უცნობი არ უნდა იყოს. მას სურდა შეექმნა საერთო წარმოდგენა იმ პროვინციებზე, რომლებიც ესაზღვრებოდა მის ქვეყანას, მაგრამ მან ეს სრულყოფილად ვერ წარმოადგინა - ალბათ იმ ელემენტარული დახმარების უქონლობის გამო, რომელიც მას ესაჭიროებოდა ამ საზღვრების გეოდეზიური აზომვის ჩასატარებლად და მის მიერ გამოყენებულ ზომებთან შესადარებლად, რათა დარწმუნებულიყო საქართველოს მთავარი ადგილების განლაგებაში.

3. რაც შეეხება რუკის სხვა მხარეს, ის თითქოს ემთხვევა ამ ქვეყნის შესახებ ცნობილ მოგზაურთა მონაცემებს, მაგრამ ძალზე საეჭვოა, რომ მათი ნაამბობი შეესაბამებოდეს საქართველოს შიგნით გეოგრაფიულ ადგილთა განლაგებას.

ყოველივე ამის მიუხედავად აღვნიშნავთ, რომ საქართველოს რუკა უკიდურესად საჭირო და სასარგებლოა მათთვის, ვინც დაინტერესებულია მიიღოს დეტალური ცოდნა ამ ერცელ ხალხმრავალ ქვეყანაზე, რომლის ისტორია ახლა უფრო საინტერესო გახდა, ვიდრე ოდესმე.

გვსურს დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს რუკა, რომელსაც ბატონი დე ლილი წარუდგენს საზოგადოებას, ნამდვილად დიდი ყურადღების ღირსია, რადგან ადგილების განლაგება მასში ზუსტადაა მოცემული და რუკის დეტალები მთელი სისრულით გაგვაცნობს საქართველოს, რასაც ვერ ვიტყვით ადრე გამოცემულ რუკებზე. აქ საქმე უბრალო ცნობისმოყვარეობას როდი ეხება. ეს არის ექსპერიმენტი, თუ გნებავთ, და ქართველს, რომლის წინაშე ამ მხრივ ვალში ვართ, რა თქმა უნდა არ ექნებოდა ისეთი ცოდნა და თანადგომა, როგორიც რომელიმე ფრანგ

აკადემიკოსს; ნაშრომის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ ქართველ გეოგრაფს ცოდნა და ნიჭი უთუოდ არ აკლია. მიუხედავად ამისა, ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებთ იმას, რომ მან ვერ დაიცვა სრული სიზუსტე სომხეთისა და პონტოს მონაკვეთებში, რომელთა შეტანა თავის რუკაში აუცილებლად მიიჩნია, შესაბამისად ვერ აიცილა შეცდომა საქართველოს ნაწილშიც, არადა, მისთვის მთავარი იყო თავისი ქვეყნის აღწერა, რისთვისაც მას დიდი ზრუნვა და შრომა დასჭირდა.

საერთოდ, აზია გაცილებით ნაკლებადაა ცნობილი, ვიდრე ევროპა. ამდენად, ბევრს ნიშნავს, XVIII საუკუნეში შექმნა აზიის მჭიდროდ დასახლებული ნაწილის ისეთი სიზუსტის რუკა, როგორიც არ ყოფილა თვით საფრანგეთის რუკა გასულ საუკუნეში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს საერთო რუკის გარდა, ბატონ დე ლილს ხელთ აქვს ძალზე ვრცელი, ექვს ფურცელზე განთავსებული რუკა, რომელიც მას გადასცა ქაროლის მეფემ ბაქარმა ანუ შაჰ-ნავაზ II-მ. მანვე ბატონ დე ლილს მიაწოდა საქართველოს მეფეების გენეალოგიური ნუსხა ადამის ჟამიდან დღემდე, რომელიც ბატონმა დე გინმა გამოიყენა თავისი წიგნის - „ჰუნების ისტორია“ I ტომში (433-440).

თუ ბატონი დე ლილის მიერ გამოქვეყნებული საქართველოს რუკა გამოიწვევს საზოგადოების ინტერესს, მაშინ შესაძლებელი გახდება იმ ვრცელი ექვსი ფურცლისაგან შემდგარი რუკის გამოცემაც. ამ რუკებში უეჭველად აღმოვაჩენთ ჩვენთვის სრულიად უცნობ და ამავდროულად საინტერესო დეტალებს, რომელთა შესწავლის შემდეგ ჩვენ შეგვეძლება სიამაყით ვთქვათ, რომ საქართველოს ისევე შესანიშნავად ვიცნობთ, როგორც საფრანგეთს“.

ტიფლისის აღწერა

ტიფლისი, საქართველოს დედაქალაქი, მდებარეობს მთის აღმოსავლეთით და მის ძირში. აქ ჩამოედინება მდინარე კურა – მტკვარი, რომელსაც ძველად კირუსი (Cyrus)

ერქვა. ტიფლისი დიდი არ არის, მაგრამ ის სპარსეთის ულამაზესი და უმნიშვნელოვანესი ქალაქია. მდინარე კურა პირდაპირ შუა ქალაქში ჩაედინება და მის ნაპირებზე, სალ კლდეებზე აგებულია სახლები, ქალაქი ტყეშია ჩაფლული და გარშემორტყმულია გალავნით. სამხრეთიდან ტიფლისი დაცულია მდინარით და კარგად ნაგები ციხე-სიმაგრით, რომელიც თურქებმა ააშენეს 1575 წელს, როცა ქალაქის ბატონ-პატრონები გახდნენ. ეს ციხე მთის ფერდობზე დგას და მხოლოდ სპარსელებითაა დასახლებული. იქვე მოჩანს ორი მეჩეთიც. ეს ქალაქი ბოროტმოქმედთა და ვალში ჩავარდნილთა თავშესაფარია. ქალაქის წინა მხარეს სამხედრო მოედანია გადაშლილი, რომელიც დიდ სახალხო და საეჭვრო ადგილადაა ქცეული.

სპარსეთის მხრიდან ტიფლისში ისე ვერ შემოხვალ, სპარსთა ციხე-სიმაგრე თუ არ გაიარე. მეფისნაცვალი ვერ დადის ამ მხარეს. ეშინია, ციხის კომენდანტს საიდუმლოდ არ ჰქონდეს ნაბრძანები მისი შეპყრობა. სპარსელებმა განზრახ დააწესეს, მეფისნაცვლებსა და გუბერნატორებს სწორედ ეს ციხე გაევლოთ. ამგვარად, ისინი სრულად და რეგულარულად მიიღებდნენ ძღვენს ქართველი მეფისგან. ეს მიტაცების ერთ-ერთი ვერაგული ხერხი იყო. ციტადელის გარდა ტიფლისი დაცულია კიდევ ორი პატარა ციხით, რომელიც დიდ კლდეზე დგას და იქვე მდინარე ჩამოედინება.

ტიფლისში სახლების უმრავლესობა დაბალი, ნახევრად ბნელი, ტალახითა და აგურით ნაგებია. ქუჩები ცუდადაა დაგებული (მოკირწყლული). ტიფლისის მოსახლეობის უმრავლესობა ქართველი და სომეხი ქრისტიანია. აქ ცხოვრობენ, აგრეთვე, მუსულმანები და ებრაელები.

ტიფლისში თოთხმეტამდე ეკლესიაა. ეს ბევრია ისეთი ქვეყნისათვის, სადაც ღვთისმსახურება საკმაოდ მოისუსტებს. ქართველებს ექვსი ეკლესია აქვთ, აქედან მთავარი სიონის კათედრალია, რომელიც მდინარის პირასაა აშენებული. თლილი ქვით ნაგები ეკლესია უძველეს აღმოსავლურ ეკლესიას წააგავს. ეკლესიას ოთხი ნავი აქვს, რომლის შუაში ოთხ მრგვალ სვეტზე ოთხი მაღალი გუმბათია

დადგმული. იქვე ახლოს ქართველი ეპისკოპოსის სასახლეა, ხოლო ქართველების პატრიარქის სასახლე ეკლესიის მეზობლად დგას.

ტფილისში სომხებს რვა ეკლესია აქვთ. აქედან მთავარი ის ეკლესიაა, რომლის ახლოს მათი ეპისკოპოსი ცხოვრობს. ერთ საუკუნეზე მეტია, რაც იტალიელმა კაპუცინებმა აქ თავშესაფარი აიშენეს. მათ იმთავითვე გაითქვეს მკურნალის სახელი და ამის გამო ყველგან დიდი პატივით სარგებლობენ. მედიცინა და, განსაკუთრებით, სამკურნალო ქიმია მეტად დაფასებული, ნაკლებად განვითარებულია მთელ აღმოსავლეთში. იმას, ვინც ყველაზე კარგად ფლობს ამ რთულ პროფესიას, თავადის ან მთავრის გვერდით და მისი მფარველობის ქვეშ ყოფნა აქვს გარანტირებული. ეს კი მათთვის დიდი იმედია, რადგან ისინი ხშირად სომხური სამღვდელოებისაგან დევნას განიცდიან.

მიუხედავად იმისა, რომ ტიფლისი მუსულმანთა იმპერიის ხელშია და მთელ ამ მხარეს მაჰმადიანი მეფე მართავს, სპარსელების ზემოთაღნიშნული ციხე-სიმაგრის გარდა, სხვა ადგილას მეჩეთი აღარ აგებულა. ერთ ხანს სპარსელები მონდომებით შეუდგნენ ტიფლისში ახალი მეჩეთის აგებას, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხეს. ქართველები მყისვე წინ აღუდგნენ ამ ფაქტს, დაანგრიეს უკვე აშენებული და დაარბიეს მშენებლები. ქართველმა თავადებმა, სპარსელი ბატონების ბრძანების მიუხედავად, აჯანყებულები არ დასაჯეს, პირიქით, მხარში ამოუდგნენ მათ. თუმცა ეს საკვირველია, რადგან ამ დიდგვაროვნებმა თავის დროზე უარყვეს ქრისტიანული რელიგია, რათა შეენარჩუნებინათ მეფისნაცვლობა ან სხვა თანამდებობა. როგორც ჩანს, მათ იძულებით მიაღებინეს მაჰმადიანური სარწმუნოება.

ქართველები ქედუხრელები, ლაღები და მამაცები არიან. მართალია, ისინი დაპყრობილნი არიან, მაგრამ მაინც აქვთ შენარჩუნებული ბრძოლისუნარიანობა თავისუფლების დასაბრუნებლად. ქართველები უფრო თურქებთან ახლობლობენ, ეს კი სპარსეთისათვის უსიამოვნო და დამთრგუნველია. ამის გამო სპარსელები ხანდახან დიდ დათ-

მობაზეც მიდიან ქართველებთან მიმართებაში. მაგალითად, ქვეყნის ამ ნაწილში მათ დაუშვეს ქრისტიანული სარწმუნოების თითქმის ყველა გარეგნული სიმბოლო, ეკლესიის სამრეკლოზე აღმართული ჯვარი, ზარები, უფრო მეტიც, ყველგან შეუზღუდავად იყიდება ღორის ხორცი და ღვინო, რაც სასტიკად იკრძალება მაჰმადიანური სარწმუნოებით.

მეფის ანუ მეფისნაცვლის სასახლე ტიფლისის უმშვენიერესი შენობაა. მისი ვრცელი დარბაზები მდინარეს და სასახლის ბაღს გადაჰყურებს, რომელიც ასევე დიდ ფართობზეა გადაშლილი, სასახლის წინ განლაგებულია ფრინველთა გალიები, ცხოველების სადგომი, დიდი შენობა მონადირე ძაღლებისათვის და ულამაზესი კუთხე შევარდნების მოსაშენებლად და დასაგეშად. ყურადღებას იპყრობს, აგრეთვე, კახეთის მეფისნაცვლის სასახლე, რომელიც ქალაქის ბოლოში მდებაროებს.

ამ მშვენიერი შენობების გარდა ტფილისში არის დიდი, დახურული, მაღაზიებით სავსე ბაზარი, რომელიც ქვით ნაგები და კეთილმოწყობილია; საუცხოოდ გამოიყურება უცხოელთა საცხოვრებლად განკუთვნილი ჰარამხანებით; საერთოდ, ქალაქში ცოტა აბანოა, მაგრამ სპარსელების ციტადელში არის მინერალური და გოგირდის ცხელი წყლის აბანო, რომელიც გამოიყენება როგორც ავადმყოფობისაგან განსაკურნავად, ასევე დასაბანად. ამგვარი აბანო ქალაქგარეთაც არის, სადაც ბუნებრივი წყლის ტემპერატურა შედარებით ზომიერია; ყოველ წყაროსთან აგებულია შესაბამისი პატარა შენობები.

ტიფლისის გარეუბნები დამშვენებულია აგარაკებით და ბაღებით. ყველაზე დიდ შენობაში მეფის სასახლეა განთავსებული. სასახლის ბაღში ცოტა ხეხილია, მაგრამ ბევრი დეკორატიული ხე, რომელიც ჩრდილსა და სიგრილეს ქმნის.

ტიფლისში ბევრ უცხოელს შეხვდებით, რომლებიც კომერციას მისდევენ. ისინი, ძირითადად, ბეწვეულითა და აბრეშუმით ვაჭრობენ. მათ აინტერესებთ ასევე განსა-

კუთრებული ხის ფესვები, რომელიც ქსოვილების შესაღებად გამოიყენება.

მეფის ამალა ბრწყინვალე და მრავალრიცხოვანია. მასში შედიან წარჩინებული პიროვნებები — მთავრები, თავადები და მემამულეები.

ტიფლისში ისე არ ცივა, როგორც საქართველოს სხვა მხარეში.

ტიფლისი სხვადასხვა დროს იმყოფებოდა თურქების უღელქვეშ, განთავისუფლდა მხოლოდ 1736 წელს.

ანდრე დე კლოსტრი (დიუ სერსო)

ფრანგი მწერალი კომპილატორი (compilateur), ლიონის ეპარქიის მღვდელი დიუ სერსო იგივე ანდრე დე კლოსტრი (André de claustre, Du Cerceau) [129] ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XVIII საუკუნეში. ცნობები მის შესახებ ძალზე მწირია, ცნობილია მხოლოდ, რომ 1750-1770 წლებში ის ლიონის მთავარი ფერმერის (le fermier général) ვაჟის აღმზრდელი, შემდეგ კი ამავე ფერმერის საქმის მწარმოებელი ყოფილა.

ანდრე დე კლოსტრი მრავალი საინტერესო ნაშრომის ავტორია, როგორიცაა მითოლოგიური ლექსიკონი ("Dictionnaire de la Mythologie"), რომელიც გამოიცა 3 ტომად პარიზში 1745-1758 წლებში, პამფლეტები და ისტორიული თხზულებები: „სპარსეთის რევოლუციები ამ საუკუნის დასაწყისიდან უზურპატორი აზრაფის მეფობის დასასრულამდე" ("Histoire des revolutions de Perse depuis le commencement de ce siècle jusqu'à la fin du reigne de l'usurpateur Aszraff"), „თამაზ ყული ხანის, სპარსეთის ახალი მეფის ამბავი და 1732 წლის სპარსეთის უკანასკნელი რევოლუციის ისტორია" ("Histoire de Tamas Kouli-Kan, nouveau roi de Perse, histoire de la dernière revolution de Perse arrivée en 1732") და სხვა [130].

ამ ორი ისტორიული ნაწარმოების წყაროდ ავტორს გამოუყენებია რამდენიმე იეზუიტი მისიონერის ცნობები,

რომლებიც 20 წლის მანძილზე მოღვაწეობდნენ სპარსეთში და სიღრმისეულად ჩაწვდომიან ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ ძვრებს. სამწუხაროდ, ავტორი არ გვაწვდის მათ ვინაობას.

დე კლოსტრის ისტორიული ნაშრომი „სპარსეთის რევოლუციების ისტორია საუკუნის დასაწყისიდან უზურპატორი აზრაფის მეფობის დასასრულამდე“ [131] ორ ტომად გამოიცა პარიზში 1742 წელს. მასში მოცემულია პატარა მოთხრობა ქართველი ქალის გმირობის შესახებ სათაურით „ქართველი ქალი“ ("Géorgienne").

ავტორის მეორე თხზულება „თამაზ ყული ხანის, სპარსეთის ახალი მეფის ამბავი და 1732 წლის სპარსეთის უკანასკნელი რევოლუციის ისტორია“ [132] , რომელიც 1758 წელს გამოქვეყნდა პარიზში, ძირითადად თამაზ ყული ხანის და მისი ვაჟის სიბრძნესა და ძლიერებას წარმოაჩენს. ნაწარმოების ყოველი გვერდი მათ გმირობასა და ძლევამოსილებაზე მეტყველებს. ფრანგი ავტორი განსაკუთრებული სიამოვნებით აღწერს 1735 წლის, მათი სარდლობით თურქეთის წინააღმდეგ, ბრძოლის ეპიზოდებს. აქ მას საშუალება ეძლევა ხაზი გაუსვას მამა-შვილის რაინდულ თვისებებს მცირერიცხოვან მეზობელ ქვეყნებთან, კერძოდ, საქართველოსთან ურთიერთობაში. დე კლოსტრის აზრით, 1735 წლის ბრძოლა სანიმუშოა იმ ბრძოლებს შორის, რაც კი ოდესმე თურქეთსა და სპარსეთს შორის წარმართულა. ეს კი, ავტორის აზრით, თამაზ ყული ხანის გონიერული და ადამიანური, განმათავისუფლებელი და არა დამპყრობლური პოლიტიკის შედეგი იყო. ამ თხზულებაში მოცემულია საქართველოს და ქართველი ხალხის ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები სპარსეთის რევოლუციების დროს და წარსულშიც სათაურით „საქართველო“ ("La Géorgie").

გთავაზობთ ამ ორი მოთხრობის „ქართველი ქალი“ და „საქართველო“ ქართულ თარგმანს.

ქართველი ქალი

„1724 წელს სპარსელები გააფთრებით იბრძოდნენ ავღანების გასადევნად თავიანთი ტერიტორიიდან. მათ უნდოდათ ქართველებიც ჩაეთრიათ ამ ცხარე და ხანგრძლივ ბრძოლაში. ქართველები ორ ცეცხლშუა აღმოჩნდნენ, რადგან ავღანებთან ერთად თურქებიც ებრძოდნენ სპარსელებს და ქართველების ჩარევა სპარსელების მხარდასაჭერად თურქების განრისხებას გამოიწვევდა, რომლის სავალალო შედეგსაც ისინი დაუყოვნებლივ იწვნევდნენ. აი ამ დროს ქუხილივით გაისმა ქართველი ქალის გმირობის ამბავი. მართალია, მისი ვინაობა ცნობილი არაა, მაგრამ ცნობილია მისი სიმამაცე და დაღუპული ქმრისათვის შურისძიების არნახული თავგადასავალი. ამ არაჩვეულებრივმა ქალმა შეიტყო, რომ მისი ქმარი ავღანებმა მოკლეს გიულნაბადთან (Guilnabat) ბრძოლებში. მამაკაცის ტანსაცმელში გადაცმულმა ქალმა ოთხასზე მეტი ლიე გაიარა, შუაგულ საქართველოდან ისპაჰანში ჩავიდა და ავღანთა ჯარში შეერია. მათ მაშინ შენიშნეს ფიცხი მებრძოლი, როცა უკვე ორმოცდაათზე მეტი ავღანი მეომარი ჰყავდა განადგურებული. მან მათი სიცოცხლე მსხვერპლად შესწირა საყვარელი ქმრის სულს. ავღანები დაედევნენ გულად მეომარს, მთელი ძალით შეუტიეს და, როგორც იქნა, მძიმედ დაჭრილი შეიპყრეს. მას მთელი სხეული ჭრილობებით ჰქონდა დაფარული. ქალმა თავის მოკვლაც სცადა, რადგან არ უნდოდა ურწმუნოების ხელში დაელია სული. ავღანებმა გაიგეს თუ არა, რომ ეს თავგანწირული მებრძოლი ქალი იყო, არ მოკლეს, გონებადაკარგული და მომაკვდავი მაჰმუდს (Maghmoud) მიჰგვარეს. ის კი თვალებს არ უჯერებდა, რომ ასეთი სასტიკი ბრძოლის ჩამდენი ქალი აღმოჩნდა. ბარბაროსი მთავარსარდალი აღტაცებული დარჩა მისი სულის სიმტკიცით და სიმამაცით. მან უბრძანა მსახურებს დაჭრილისათვის კარგად ემკურნალათ და მზრუნველობა არ მოეკლოთ. მეომრებს კი მოუწოდა იმ ღირსებით მოპყრობოდნენ მას, რასაც მისი სქესი და სიმამაცე იმსახურებდა“.

საქართველო

„1735 წელი სამშვიდობო მოლაპარაკებაში გაილია. თერქებმა დათმეს საქართველო და სპარსეთის სომხეთი, თუმცა ისინი უკვე აღარ ითვლებოდნენ მათ მფლობელებად, რადგან სანამ მოლაპარაკება მიმდინარეობდა თამაზ ყული ხანის ვაჟმა დაიპყრო საქართველო და განდევნა თათრები და თურქები მისი ტერიტორიიდან. ამ ბრძოლებში ქართველი თავადები არ ჩაერიენენ, მათ სპარსთა ბატონობა უფრო აძლევდათ ხელს, ვიდრე თურქეთის დიდი სინიორების მბრძანებლობა. სპარსეთის მეფე, თავის მხრივ, დაინტერესებული იყო ქართველებზე გავლენის შენარჩუნებით და ცდილობდა როგორმე არ დაეშვა მათი გადახრა თურქებისაკენ. ამ მიზნით მან გონივრული გადაწყვეტილება მიიღო – ქართველ მთავრებს შეუნარჩუნა საუკეთესო მამულები და დაუნიშნა მაღალი პენსია. ამ გადაწყვეტილების სიბრძნე მდგომარეობდა იმაში, რომ საქართველოდან შემოსული გადასახადებით ის ქართველ დიდებულებს ხელში აიყვანდა და თავის ჯარსაც კარგად შეინახავდა. თამაზ ყული ხანს მართლაც რომ ბრწყინვალედ მომზადებული ჯარი ჰყავს, მუდამ მზად მეფის ბრძანების შესასრულებლად. ასეთი ჯარის მოვლა-პატრონობისთვის კი მას არაფერი ეხარჯება. რაც შეეხება საქართველოს დიდებულებს, მათ ფუფუნება უყვართ, ძალიან მოსწონთ თავიანთი ბრწყინვალებით მეფის სასახლის საზოგადოებაში ტრიალი და სიამოვნებით ფლანგავენ მთელ შემოსავალს ისპაჰანში.

ტფილისის ხანს აქვს მეფის ტიტული, ხოლო სხვა პროვინციების თავკაცებს – თავადის ან მთავრის წოდება.

ქართველი თავადები, რომლებიც ხშირად მოიხსენიებიან აღმოსავლურ რელაციებში, სრულიად განსხვავდებიან ჩვენი ევროპელი პრინცებისაგან. ყოველი ხანი, იგივე მთავარი სხვებისაგან, მათ შორის ტფილისის მეფისაგან, დამოუკიდებლად მართავს თავის სამფლობელოს. მას, როგორც ბატონ-პატრონს, შეუძლია თავისი სურვილის მი-

ხედვით დაუწესოს ხალხს გადასახადი, რა თქმა უნდა სპარსეთის მეფისათვის განკუთვნილი ხარკის გათვალისწინებით, რომელიც ჩვეულებრივ იმ თანხის ნახევარიც არ არის, რასაც თავისთვის იტოვებს.

ხელისუფლება მემკვიდრეობითია და ოჯახის ფარგლებს არ სცილდება. საქართველოში თორმეტამდე წარჩინებული და მნიშვნელოვანი ოჯახია, რომლებიც ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით სიამითა და თანხმობით ცხოვრობენ. ეს ცნობილი ოჯახები მრავალ შტოდ არიან დაყოფილნი, ერთნი ფლობენ ორას კომლს, სხვა ხუთასიდან ათას და ორიათას კომლამდე. არსებობენ ისეთებიც, რომლებსაც შვიდი ათასი და რვა ათასი კომლი ჰყავთ. რამდენი ოჯახია, იმდენივე კომლია, რომლის რაოდენობის მიხედვით შექმნილია სოფელი. ყოველი კომლი მოსავლის მეათედს ბატონს უხდის და ომის დროს ერთი კაცის გამოყვანა და მისი მოვლა-პატრონობა ეკისრება.

ქართველებს მთელ აზიაში საუკეთესო მეომრის რეპუტაცია აქვთ და სპარსეთის ჯარში ყველაზე მნიშვნელოვანი კორპუსი აქვთ შექმნილი. ცნობილია, რომ ურთულესი პოსტიც რომ ჩააბარო, ისინი მედგრად დაიცავენ და უკან არასდროს დაიხევენ. ბრძოლისას ქართველები საოცარი მოხერხებულობით ხმარობენ მშვილდ-ისარს და არანაკლები ოსტატობით ცეცხლსასროლ იარაღს.

ქართველები მთელ მსოფლიოში საუკეთესო სისხლის ხალხია. მამაკაცები კარგი აღნაგობის, დიდები და ძლიერები არიან. მათი სიცოცხლე ხანგრძლივი იქნებოდა რომ არა დილიდანვე ღვინის ჭარბი სმა, რომელიც ადრიდანვე ასუსტებს და აძაბუნებს მათ ორგანიზმს. ვის არ გაუგია ქართველი ქალის სილამაზის ქება. დიდი ხანია, რაც აზიის ქალთა შორის მათ მშვენიერ გარეგნობას ანიჭებენ უპირატესობას.

საქართველო გადაჭიმულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ორმოცდაერთი გრადუსიდან ორმოცდაოთხ გრადუსამდე, თბილი და სასიამოვნო კლიმატით ის სამხრეთ იტალიას ჰგავს. მდინარე კურა (Kur) მის ტერიტორიას ორ,

თითქმის ერთნაირ ნაწილად ყოფს, რომელიც მოედინება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა შემოსაზღვრულია თითქმის სამივე მხრიდან კავკასიონის მთაგრეხილით და შიგნითაც მრავალი მთა და ულრანი ტყეა, მას მაინც არ აკლია გაშლილი ველები, ნაყოფიერი მიწები და, განსაკუთრებით, შესანიშნავი ვენახი, რომელიც საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი სიმდიდრეა. რაც შეეხება ნიადაგს, როგორი მკვრივიც არ უნდა იყოს, მაინც ღრმად ამუშავებენ. არც თუ იშვიათია ისეთი სოფელი, სადაც რვა-ათი კამეჩით ან ხარით შებმული გუთნით ხნავენ. ყოველი წყვილი კოფოზე მეეტლესავით მდგარ ადამიანს მიჰყავს.

ქართველები ძველი იბერიელების შთამომავლები არიან, რომლებიც ცხოვრობდნენ კირუს (Cyrus) იგივე კურის ნაპირებზე. ბერძნები იბერიელებს Géorge-ის უწოდებენ, რაც კარგ მხვნელ-მთესველს ნიშნავს. როგორც ჩანს, აქედან წარმოიშვა სახელი ჟეორჟი (Géorgie). ეს ხალხი ოდითგანვე შესანიშნავი მებრძოლი იყო, რომელიც პლუტარქეს (Plutarque) მიხედვით ვერც მედიემ (Medies), ვერც სპარსეთმა (Perses) და ვერც ალექსანდრემ (Alexendre) დაიმორჩილა. ეს ქვეყანა პომპეუსმა (Pompée) დაიპყრო და რომაულ პროვინციად, იბერიის სამეფოდ გადააქცია. მისივე გადმოცემით, მეფე ატროსმა (Atroce) დაზავების მიზნით, პომპეუსს ოქროს საწოლი, მაგიდა და ცხენის უნაგირი გაუგზავნა.

ტფილისი უძველესი ქალაქია საკმაოდ დიდი და მჭიდროდ დასახლებული, სადაც მიმდინარეობს დიდი ვაჭრობა, მეტწილად აბრეშუმითა და ღვინით. შენობები დაბალია, თიხითა და აგურით ნაგები, დაბალი და ნაკლებად განათებული. ქალაქის შუაგულში მაღალი ციცაბო მთაა, რომელზედაც დგას ციტადელი, ქვემოთ მდინარე კურა მიედინება და იმ ადგილას ფონი არ აქვს. ამგვარად, ციტადელი ძნელად მისადგომია.

სპარსეთის არმიის გენერალი შევიდა თუ არა ტფილისში, თურქ ფაშას მუქარით შეუთვალა ქალაქი დაეტოვებინა. თურქებმა გაბრძოლებაც კი ვერ გაბედეს და

მთელი მოედნები და ციხე-სიმაგრეები სპარსელებს გადაბარეს.

ასე დასრულდა სპარსელების ბრძოლა თურქთა წინააღმდეგ. მართალია, თამაზ ყული ხანს უფრო მნიშვნელოვანი გეგმები ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ მან მაინც აქ შეჩერება და ამ გამარჯვებით ტკბობა გადაწყვიტა. თამაზ ყული ხანი დაუყოვნებლივ შეუდგა თავისი ქვეყნის აღდგენასა და უკანასკნელი რევოლუციის დროს მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე ზრუნვას.

IA GÉORGIE DANS LA LITTÉRATURE FRANÇAISE DE VOYAGE

La littérature française de voyage est vaste aussi bien que riche en thèmes,en domaines et en pays. Elle a gardé jusqu'à nos jours le reflet de l'ancien et du nouveau monde.

Depuis des siècles, les voyageurs français ont presque parcouru le monde entier et nous ont transmis d'innombrables textes d'une variéte infinie: les uns d'une précision qui en rend la lecture fort ennuyeuse; d'autres humoristiques, ironiques, ne nous apprenant sur les pays traversés, d'autres encore privilégiant un certain aspect des choses: gastronomie, confort etc... D'autres enfin constituent d'excellentes observations et de savantes recherches de géographie et d'histoire sur différentes parties du monde.

Ce sont les voyageurs français qui ont formé en France une source considérable de connaissances sur la Géorgie et il ne fait aucune doute que les récits des voyages entrepris par les Français suscitèrent un intérêt très vif auprès du public de leurs compatriotes.

Avant le dix-septième siècle, les Français ne voyageaient pas fréquemment pour diverses raisons: la guerre, la religion, le manque de moyens de transport et de routes.

Néanmoins, quelques voyageurs intrépides ou des missionnaires français, envoyés au XIII^{e} siècle en qualité de legats apostoliques et d'ambassadeurs de la part du Pape Innocent IV vers les tartares et autres peuples orientaux. En voyageant en Orient, ils ont pris le risque de visiter la Géorgie, asservie et détruite par les Mongols. Les comptes-rendus de ces premiers voyageurs présentent un double intérêt pour la recherche de cette époque, ils ont aussi constitué postérieurement une source d'information pour les voyageurs français.

Vers le dix-septième siècle les voyageurs français ont concentré davantage leurs regards sur ces contrées, en voyageant en Russie, en Turquie et en Perse; la Géorgie a également reçu plusieurs voyageurs français au XVIII^{e} siècle qui ont laissé des narrations intéressantes, instructives nous permettant de bien connaître l'état des choses en cette période.

Ces observateurs curieux et pleins de sympathie, nous donnent des récits vivants et personnels, ils s'intéressent aux questions

religieusses au nombre de couvents, à des détails pittoresques, aux coutumes purement géorgiennes, l'apparence physique, la curiosité intellectuelle, l'habillement etc. Ils cosidèrent le pays sous un angle original, parfois inconnu par l'histoire de notre pays, et pénètrent dans toutes les classes de la société en s'adonnant aux imressions reçues. Ils insistent sur l'originalité des mœurs et coutumes d'un peuple resté nettement lui-même, malgré la perte de son indépendance et de sa nationalité politique; sur la non moindre et sympathique originalité de l'apparence physique et du caractère de ce peuple, dont la race ancienne est en voie de disparition; sur le pittoresque des lieux, villes et campagnes.

Les œuvres de ces voyageurs sont complétées par les mémoires des différents missionnaires apostoliques, qui, pour leur part, faisaient connaître aux Français l'état de la Chrétienté, la situation sociale du pays, avec le désir, non seulement d'en donner, à leur avis, un tableau exact et complet mais aussi de compatir à sa situation pénible en suscitant des réformes pour soulager l'état religieux du pays ou, tout au moins, pour faire entendre leur opinion afin que, sous la pression de celle-ci, ces reformes puissent s'accomplir.

Grâce à ces deux sources d'informations, d'une part, des voyageurs, d'autre part des missionnaires religieux, le public français posédait des informations sur la lointaine Géorgie et le lecteur pouvait se faire une idée des gens et des choses de ce pays.

Les æuvres françaises de voyage sur la Géorgie se diffèrent de leurs qualités, on y trouve certains sujets sérieux, bien composés et d'autres quelque peu fantaisistes ou particulièrement subjectifs et trop peu attrayants pour exercer une réelle influence. On compte aussi des épisodes agréables vivants, parfois anecdotiques. Il faut dire que principalement elles se ressemblent par leurs questions touchant à la religion, aux mœurs, à la situation politique et sociale, aux graves problèmes que soulèvent pour sa population, sa misère chronique, choquante dans le pittoresque du paysage, contrastant avec l'originalité et la beauté des Géorgiens.

Presque tous les pays de l'Orient que les voyageurs français ont présentés dans leurs œuvres, sont étudiés et analysés en détail par les chercheurs mais la Géorgie reste peu connue et peu exploitée dans le vaste champ de la littérature de voyage; pourtant il existe un matériel

assez riche sur ce pays, proposé par ces missionnaires ou voyageurs français du Moyen Age à nos jours.

Il est extrêmement intéressant et indispensable d'élucider qui sont ces voyageurs français, quelle impression ils ont gardée sur notre pays, et quel tableau ils en ont donné.

Nous présentons ici les voyageurs français des XIII^{e}-XVIII^{e} siècles, qui après avoir visité la plupart des Etats de l'Orient, ont comparativement prêté plus d'attention à la Géorgie: Guillaume de Rubruk, N.Ascelin, Jean du Plan Carpin, Simon de Saint – Quentin (envoyés au XIII^{e} siècle en qualité de legats apostoliques et d'ambassadeurs de la part du Pape Innocent IV vers les tartars et autres peuples orientaux) Jourdain Catalani de Severac, evêque de Columbum (XIV^{e} s.), Jean de Gaillfontain, archevêque de Sulthanyen (XIV^{e} s.). Gilles Bouvier, premier heraut d'armes du roi de France Charles VII (XIV^{e} s.), Davity, historien français (XVI^{e}-XVII^{e} ss.) , Père Philippe de la Très-Sainte Trinité (XVII^{e} s.), M^{r} Sanson (XVII^{e} s.), S^{r} Poullet (XVII^{e} s.), S^{r} D.Cesy (XVII^{e} s.), André Daulier-Deslandes (XVII^{e} s.), S^{r} de Breves (XVII^{e} s.), François de la Boulaye le Gouz (XVII^{e} s.), Louis Granger (XVII^{e} s.), Père Philippe Avril (XVII^{e} s.), François Carré (Caron) (XVII^{e} s.), D'Herbelot de Molainville, orientaliste français (XVII^{e} s.), , De la Forest de Bourgon (Gaudereau), missionnaire apostolique (XVIII^{e} s.), abbé Jean-Joseph Expilly, géographe, missionnaire (XVIII^{e} s.), Guillaume de l'Isle, géographe (XVIII^{e} s.), le comte de Ferrières-Sauve boeuf, voyageur agent politique français (XVIII^{e} s.), Charles de Payssonel, archéologue français, consul à Smyrne (XVIII^{e} s.), André Declaustre (du Cerceau), compilateur français (XVIII^{e} s.).

Quand ces voyageurs ont visité la Géorgie, c'était le principale théâtre de la guerre: elle avait étè conquise plusieurs fois par les mongols ensuite par les Perses et les Turcs qui se la disputèrent lors de longues et sanglantes guerres. De plus elle avait été dévorée par le feu de guerres intestines. Affaiblie et détruite, la Géorgie ne pouvait plus s'opposer aux invasions ininterrompues des Perses et des Turcs qui l'a conquirent définitivement chacun de leur côté occupant la meilleure partie. Ainsi, la Géorgie fut-elle divisée en deux partie, la Géorgie Persane qui comprenait les royaumes de Kartli et de Kakheti et la

Géorgie Turque qui contenait le royaume d'Iméréti et les principautés de Mégrélie et de Gouria.

La Géorgie se divisait vraiment en "Géorgie turque" et "Géorgie persane" mais seulement dans la conscience et la documentation de la turquie, la Perse, autres états de cette region et non dans la conscience des géorgiens. Ils comptaient ces deux regions pour la Géorgie et même leur identification n'était que géorgienne et non persane et turque. Ce qu'ils étaient vassals de ces deux pays, il comptaient cela pour une marche tactique et un fait temporaire.

Ces voyageurs prirent sur eux de décrire ce morceau d'histoire de la Géorgie; de décrire les campagnes ravagées, les villes détruites, le peuple opprimé, le désordre qui régnait dans ce pays. Chacun de ces voyageurs essaya d'informer l'Europe de la véritable situation qu'il vit en Géoegie et chacun de ces voyageurs était sûr de l'exactitude de ses informations.

Il faut remarquer que les récits français de voyage malgré les conditions difficiles dans lesquelles ces voyages s'effectuaient et malgré l'insuffisance d'illustrations en images que ces récits nous donnaient de la Géorgie, sont une source importante pour l'historiographie et pour la littérature de voyage.

L'activité diverse des voyageurs français de XIII^{e}-XVIII^{e} siècles provoqua des nouveaux voyages en Géorgie et par suite, de nouveaux récits de voyages. Les voyageurs français des siècles suivants, sur les traces des voyageurs antérieurs, ont pu présenter la Géorgie sous différents aspects réels passés, présents, tous plus dignes d'admiration que de dénigrement.

სახელთა საძიებელი

ა

აბდულაჰ-ფაშა–კუპურლი – 180, 181
აბდულაჰ-ხანი (ისა-ხანის ვაჟი) – 178
აბდულაჰი – 174
აბულ-ფარაჯი – 122
აბუ ნასერი – 119
აკვავი კლოდ – 98
ავრილი ფილიპ – 31, 122, 123, 124, 125, 126
აზადი – 197, 198
აზრაფი - 237
ალავერდი (დიედონე) – 166
ალბერი (მორჩილი) – 48
ალექსანდრე (იმერეთის მეფე) – 158, 165, 182
ალექსანდრე (კახეთის მეფე) – 161, 210
ალექსანდრე (მორჩილი) - 48
ალი-მურად-ხანი – 211, 213, 214
ალი-ფაშა – 180
ალი-ყული-ხანი (ადილ-შაჰი) – 175
ამარათი - 219
ამილახვარი გივი – 184
ანრი IV (საფრანგეთის მეფე) – 11
აპიანე – 218
არსლანი ალფ – 120
არჩილ მეფე – 127, 128, 129, 159, 160, 168, 169, 170, 174
ასელენი ნ. (მორჩილი) – 37, 47, 48
ატკინსონი ჯოფრუა – 9
აღა-მაჰმად-ხანი – 28
ახმეტ-ხანი დე კოი – 214
აჯი-ჩელები – 194, 195

ბ

ბაბა-ფატალი-ხანი – 214
ბაგრატი – 158, 159, 160, 161
ბათუ-ხანი – 47, 53, 57
ბარტელები დე კრემონი – 56
ბაქარი (ქართლის მეფე) – 220
ბეგუმი (მეფე თეიმურაზის და) – 174
ბერჟერონი პ. – 58
ბერნიე ფრანსუა – 31
ბიბლიური დავითი 153, 157
ბოვე ვენსან დე – 40, 49, 50
ბოკაჩო ფრანსუა ჩესკო – 8
ბოლონი ლუი სევერი დე – 43
ბურგონი დე ლა ფორე დე – 143, 144
ბუვიე ლე ჟ. (იგივე ბერი) – 34, 45, 68, 69, 74

გ

გაიფონტენი ჟან დე – 27, 34, 42, 61, 62, 63, 74
გალანი ა. – 117
განძაკელი ვართან დე – 77
გენერალი შერერი – 202
გინი დე – 118, 232
გიორგი VII – 61
გიორგი (ვახტანგის ვაჟი) – 178
გოდერო აბე (დე ლა ფორეს დე ბურგონ) – 35, 141, 142, 143, 144
გრავიუ ჟან დე – 229
გრანჟე ლუი – 96, 97, 98, 109
გრაფი დე მონმორენი – 203
გრაფი შუაზელი-გუფიე – 203, 204
გურგი (იმერეთის მეფე) – 171
გურგენ-ხანი – 146
გურგი-ხანი – 168, 169, 170, 171, 172, 173, 174
გურიელი – 98, 100, 101, 103, 104, 105, 106, 107, 219
გურმენენ ბარონ დე – 31

დ

დადიანი – 98, 100, 101, 103, 104, 106, 107, 108
დადიანი იოსებ – 157, 158, 159
დადიანი ლევან – 156, 157, 167, 168
დავით აღმაშენებელი – 75
დავითი (ანის ეპისკოპოსი) – 36, 77
დავიტი პიერ – 70, 71, 74
დარვიე ლორან – 31
დარეჯან ფერი – 162, 166, 167
დარეჯან შალიკე – 156, 157
დარეჯანი (ვახტანგის ცოლი) – 160
დაუდ-ხანი – 210
დე ბრევი – 87
დედოფალი ელენე – 146
დეკარტი რენე – 12, 14
დე კლოსტრი ანდრე – 236, 237
დე ლა ვალე პიეტრო – 169, 164
დე ლა კრუა პეტის (მამა) – 31, 84
დე ლა კრუა პეტის (შვილი) – 84
დემეტრიუსი – 60
დ'ერბელო ბარტელები – 118
დერვალი ბოდელო დე – 12, 17, 18
დიუ მანსის რაფაელ – 31
დიუ მონ ჟან – 31
დულიე-დელანდი ანდრე – 88, 89
დომენტი (საქართველოს კათალიკოსი) – 171
დურმიშხანი – 166

ე

ერეკლე მეფე – 152, 157, 165, 166, 167, 168, 169, 170, 174, 175, 180, 185, 186, 187, 188, 189, 191, 192, 193, 194, 195, 196, 197, 198, 200, 207, 210, 212, 213, 214

ემირ-არსლან-ხანი – 182, 183

ეკატერინე II – 200, 209, 212, 213, 214, 215

ექსპილი ყან-ყოზეფ – 220, 221

ვ

ვამეხი – 157, 158, 159
ვახტანგი (იმერეთის მეფე) – 158, 159, 160, 161
ვახტანგ VI – 226
ვახტანგ ხანი – 171, 173, 174, 176, 177, 178, 181, 184
ვახუშტი ბაგრატიონი – 223, 226
ვიო ეტიენ – 97, 99
ვილოტ ჟაკ – 31

თ

თამაზ-ყული-ხანი (შაჰ-ნადირი) – 175, 180, 181, 182, 283, 284, 285, 286, 205, 210, 236, 239, 242
თამარი (გურიის მთავრის ასული) – 158
თეიმურაზ მეფე – 152, 157, 159, 161, 163, 164, 165, 167, 168, 174, 175, 178, 180, 181, 183, 184, 185, 187, 190, 191, 194, 196, 198, 199
თეიმურაზ-ხანი – 107, 108, 115
თეიმურაზი (იასეს ვაჟი) – 174
თემურ-ლენგი – 28, 43, 61, 62, 63, 66, 67, 70

ი

იაბლონოვსკი პ. – 123, 125
იასე-ხანი -- 171, 173, 174
ითიმადულ-დოულე-ალი ხანი – 176
იმამ-ყული-ხანი (დაეით III) – 164, 166, 175
იმპერატორი სოლომონი – 72
იორგა ნ. - 44
ირაკლიუსი – 145, 146
ისა-ხანი – 175, 176, 177
ისმაილ-შაჰი – 186, 198
ისააკი – 174
იუსუფ-ფაშა – 179, 180, 181

კ

კაპლან-ოღლი – 172
კარეიონი ოგუსტ – 98
კარე ფრანსუა – 130, 131, 132
კარპენი ჟან პლან დიუ – 37, 40, 42, 47, 49, 53, 54, 56, 74
კასიმ ხანი – 187
კატალანი ჟურდენ დე სევერაკი – 38, 40, 42, 59, 60, 74
კერი მ. – 228
კერნი პ. (გრაციის უნიევრსიტეტის პროფესორი) – 62
კირაკოზი – 77
კლოსტრი ანდრე დე - 236
კორდიე ანრი - 32, 60
კორტუგა – 106, 107
კოლბერი ჟან-ბატისტი – 12, 14, 15, 16, 17, 18, 32, 84, 117, 130
კრემონი გიშარ დე – 37, 48, 49, 50

ლ

ლამუანიე გიიომ – 113
ლაშა-გიორგი – 75, 76
ლე ბუვიე ჟილ (ბერად წოდებული) – 34, 45, 68, 69
ლე გუ ბულეი ფრანსუა – 34, 109, 110, 111
ლევანი (გურგი-ხანის ძმა) – 168, 170, 171, 172, 173, 174
ლეონ მირზა – 146
ლასელი რიჩარდ – 16, 17
ლიპარტი – 108
ლილი გიიომ დე – 35, 224, 225, 226
ლილი იოსებ დე – 223
ლილი ჟოზეფ-ნიკოლა დე – 223, 225, 228, 231
ლილი სიმონ კლოდ დე – 224
ლიპარდიანი გიორგი – 156
ლიპსი ჟიუსტ – 8, 12, 14
ლუარსაბ-სიმონი – 166
ლუარსაბი – 162, 164, 166, 167
ლუი XV – 201
ლუი IX (წმინდა ლუი) – 40, 56, 57
ლუი XII – 9
ლუი XIII – 90
ლუი XIV – 9, 14, 32, 92, 117
ლუი XV – 149, 150
ლუი XVI – 201

მ

მალაქია – 77
მალეკ შაჰი – 120
მანსური - 119
მამა პიერომალი - 84
მამა რუდოლფი – 193
მამა ფილიპე – 83
მამა ფიდელი – 193
მაგნუ-ყაენი – 57

მანდევილი ჟან დე — 41
მანჟორი პიერ დე - 48
მარკიზ დე ვილნევი — 149
მაჰმუდი — 119
მედეა — 227
მეფე ბაქარი (შაჰ-ნავაზ II) — 232
მეფე გიორგი (რუსუდანის ძმა) - 77
მეჰმედ ყული-ხანი (კონსტანტინე II) — 174, 175, 176, 177, 178, 179, 180
მეჰმედ-ბეი (იუსუფ ფაშას ხაზინადარი) — 181
მეჰრუ — 162, 164
მისონი მაქსიმილიან დე — 18, 19
მირიველისი — 171, 172, 173
მოლენვილი ბარტელები დ'ერბელო — 34, 116, 117, 118
მორტენი მიშელ დე — 6
მორშაორიო ((ეპისკოპოსი) — 107, 108, 109
მირზოჩხდი — 118
მუჰამედ ხორეზმ-შაჰი — 120

ნ

ნაიორკელები — 229, 230
ნეკსტრანდერები — 158
ნუკი ((სულთანი)) - 119

ო

ორკუს-ფაშა — 98, 99, 100, 101, 102, 103
ო'შაში მაკმაჰონ დიუკ — 10

პ

პაპი ანისონ IX — 39
პაპი ბენუა — 100
პაპი ბონიფაციუს IX — 61
პაპი გრეგორი XII — 61
პაპი ინოკენტი IV — 39, 46, 47, 49, 73
პაპი ინოკენტი III — 36, 37
პაპი კლემან VII — 43
პაპი სილვესტრი — 145

პაპი პეტრე – 36
პიკე ფრანსუა – 31, 85, 86
პიერ დე ლა რამე – 13
პეისონელი შარლ – 35, 141, 148, 149, 150, 151, 152, 153
პეისონელი შარლ (შვილი) – 151
პტოლომეოსი – 5
პულე – 112, 113

ჟ

ჟან IV – 61
ჟანი (არქიეპისკოპოსი) – 63

რ

რემიუზა ა. – 75, 77
რამე პიერ დე ლა – 13
რეჯებ-ფაშა – 178, 179
რიუბრიუკი გიიომ – 27, 34, 37, 40, 42, 43, 47, 49, 56, 57, 58, 74
რიშარი ჟან – 49, 50, 61
როდი ალექსანდრ დე – 31
როტერდამელი ერაზმ – 8, 13
რუილი – 81
რუსიანი ჟაკ – 37
რუსტან-ხანი – 165, 167, 168
რუსუდან დედოფალი – 36, 77, 78
რუსუდანი (ჩერქეზეთის მეფის ასული) – 178

ს

სანსონი – 81, 92
სარტაში (ბათუ ყაენის ვაჟი) – 57
სასი სილვესტრ დე – 61, 118
სეარი ჟილ – 34
სებექტეღინი - 119
სევერაკი ჟურდენ კატალანი დე – 38, 40, 42, 59, 60, 74
სეზი სილვესტრ დე – 89, 90

სენ-კანტენი სიმონ დე – 37, 40, 42, 47, 48, 49, 50, 74
სეფი (სპარსეთის მეფე) – 115, 116
სეიმონ-ხანი – 162, 166, 167
სოლომონი (იმპერატორი) – 72
სოლომონი (შაჰ-ნავაზის შვილი) - 168
სორელი შარლ – 10
სტრაბონი – 5, 12
სუბხან-სერდარი – 181
სოლეიმან მეფე – 147
სოლიმანი (იგივე შაჰ-სეფი) – 93, 94, 95, 146, 147, 160, 165
სულთან მაჰმუდი – 119
სულთან-ხანი – 182
სულხან-საბა ორბელიანი – 225

ტ

ტავერნიე ჟან-ბატისტ – 88, 89, 96
ტარდი ლაიოშ – 63
ტაში ალტუნი – 119
ტუდელი ბენჟამენ დე – 74
ტურნეფორი – 96

უ

ულუგ-ბეგი – 229, 230

ფ

ფებრ მიშელ – 31
ფერდინანდ II – 117
ფერიერ სოვბეფი – 33, 141, 200, 201, 202, 204, 205, 206, 211, 212, 215
ფილიპ I მშვენიერი – 27
ფილიპე (სამების ეკლესიის მსახური) – 83

ქ

ქანჯერ-ხანი – 181, 182, 183
ქეთევან დედოფალი – 161, 163, 164
ქუდაბენდე – 166

შ

შამშე – 181, 182
შარდენი – 85, 96
შარლ VI - 62
შარლ VII – 68
შაჰ-აბასი – 28, 89, 115, 161, 162, 164, 165, 167, 169, 181
შაჰ-ისმაილი – 191
შაჰ-ნავაზი (იგივე ბაქარი, ვახტანგის ვაჟი) – 85, 152, 157, 159, 160, 161, 167, 168, 170, 178, 226, 232
შაჰ-თამაზი - 166
შაჰ-რუქი – 186, 188, 191
შაჰ-შარი – 119, 120
შაჰ-ჰუსეინი – 168, 170, 172, 174, 176
შინონ გაბრიელ დე – 31

ჩ

ჩინგის-ხანი – 54, 77, 78

ც

ცეინგერი თეოდორ – 12, 14

წ

წმინდა გრიგოლ განმანათლებელი – 145
წმინდა ნინო – 66, 144
წმინდა ეპიფანე - 106
მინდა მარიამი – 144
წმინდა პეტრე – 105, 147
წმინდა პაველე – 105
წმინდა გრიგოლ ნაძიანძელი – 145

ჯ

ჯალალედინი – 120, 121, 122

ჰ

ჰალი ჟოზეფ – 12
ჰენრი IV (ინგლისის მეფე) – 62
ჰონდემირი – 118, 120
ჰონორიუს III – 77

ხ

ხოზრევან-ხანი – 171, 172, 173

ლიტერატურა

1. Gall Jacques et François, les invités tour du monde, 1962, Paris, p. 5

2. Liechtenhan-Bâle F.D.Entre l'érudition et la poétique, Heidelberg, 1989

3. Broc Numa. La géographie de la Renaissance (1420-1620), Bibliothèque Nationale De France, Paris, 1980

4. Montaigne. Essais, Livre II, chapître 12, New York, 1981

5.Dainville Francois de La Géographie des humanistes. Bibliothèque Nationale de France, Paris, 1940

6. Joret Ch., De la valeur des voyages de Tavernier leur veracité et leur exactitude (des documents nouveaux et inédits), p.243, Paris, 1886

7. Céard P.P., Voyager à la Rennaissance, actes du colloque de Tours, 1989

8. Fumaroli Marc. Genèse de l'epistolographie classique: rhétorique humaniste de la lèttre de Petrarque à Juste Lipse. Revue d'histoire littéraire de la France, Paris

9. Colloques "Les Pelerinages", Livre II. Erasme, Paris, 1983

10. Atkinson Geoffroy. Les relations de voyages au XVII siècle et evolution des idees, Paris, 1972

11. Du Hautchamp Marmont. Ruspia, ou la belle circassienne, Amsterdam, 1754

12. Chapelain. Lèttres, t.II, Bibliothèque Nationale de France, Paris, 1883

13. Liechtenhan F.D. Reflexion sur le recit de voyage au Grand siècle, Heidelberg, 1989

14. Hell Joseph. Quo Vadis ou censure des voyages, Genève, 1628

15. Bruère Nelly. Renaissance et Age classique, Vrin, 1984

16. Zvinger Théodor. Methodus apodemika, 1577; Lipse Juste. "Récueil de lèttres 1586", Paris, 1650: Descartes Réné. Discours de la methode et Essain, Vrin, 1982

17. Clément Pierre, Relation d'un voyage du Marquis de Seignelay, Paris, 1867, p. 96-97

18. Lessel, Richard, Voyage d'Italie, Paris, p. 269, 1671

19. De derval, Baudelot, Esthétique de voyage, Paris, 1688, p. 62

20. Misson Maximilien de, Nouveau voyage en Italie, "Avis", La Haye, 1691

21. "Avertissement, La Haye, Van Bulderen, 1681, p. 79

22. Anonyme, L'Art de voyager utilement, Amsterdam, 1698, p. 2

23. Recueil de voyages de mémoire publié par la Societé de Géographie, t. I, Paris, 1839, p. XI-XVI

24. Céard J., Voyager à la Rennaissance, actes du colloque de Tours, 30 juin-13 juillet, 1983, édition Maisoneuve et Larousse, 1987, p. 596

25. Saba M. Bibliographie de L'Iran, Paris, 1936, p. IX, Bibliothèque Nationale de Paris

26. საქართველოს ისტორია, "მეცნიერება", თბილისი, 1980

27. Полиевктов М.А. Европейские путешуственники XIII-XVIII вв. по Кавказу, Тифлис, 1935, стр. 9

28. Aghasssian M., Kevonian K. Le commerce armenien dans l'Océan Indien au 17^{e} et 18^{e} siècles. Paris, 1975, p. 14. Bibliothèque de la Maison des Sciences de l'Homme, Paris

29. იქვე, გვ. 18

30 Henri Cordier, Un interprète du général Brune et la fin de l'Ecole de Jeunes de Langues, Paris, 1911

31. Moussa Sarga, Ecrire le voyage, Paris, 1994, p. 102

32. Encyclopédie Diderot – Almbert, vol. XVII, 1765, p. 447

33. J.Céard, voyage et voyageurs à la renaissance, 1988, Paris, p. 29

34. Brehier, L.l'église et l'Orient au Moyen Age, Paris, 1928, p.3-10

35. ქართული დიპლომატიის ისტორია, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2003

36. Lorentz R. societé des frères Pérégrinant, Paris, 1891, p.137

37. Richard J. les relations entre l'Orient et l'Oeident au Moyen Age, Paris, p.606

38. Archivum franciscanum historicum, II, p.465

39. Liechtenhan-Bâle Fr.D., entre l'érudition et la poétique, reflexion sur le recit de voyage au Grand Siècle, Heidelberg, 1989, p.219

40. Archivum franciscanum historicum, II, p.320

41. Iorga N., les voyageurs français à l'Orient Européens, conférences faites en Sorbonne, extrait de la revue des cours et conferences, Paris, p.5-8

42. Iorga N., les voyageur français à l'Orient, Paris, p.49

43. Voyages fait principalement en Asie dans les XII, XIII ... siècle, La Haye, 1724, Paris

44. Richard J., Simon de Saint-Quantin, histoire des Tartares, Paris, 1965

45. Remusat A. Mémoires sur les relations politiques des princes chrétiens, avec Empreurs Mogols, Paris, 1822, p. 35-60

46. Plan du Carpin J., Voyage en Asie... Paris, 1735, p. 167

47. Plan-Carpin J., Voyage en Asie.au XII... Paris, 1735, p.206

48. Nouvelle Biographie Générale, T.42, p. 540

49. Rubruque G. de, voyage en Asie..., 1735, Paris, p.143

50. Bergeron P., voyage en Asie.aux XII, XIII et XIV siècles, Paris, 1735

51. Remusat A., mémoire sur les relations des princes chrétiens avec les empreurs mogols, Paris, p. 58

52. Rubruque G. de Voyage en Asie..., Paris, 1735, châp. 50

53. Catalani de Severac J., les mervéilles d'Asie, Paris, 1925

54. Bibliothèque impériale-Quérard, la France littéraire

55. Sacy S. de mémoire sur une correspondance inédite entre Tamerlan et le roi de France Charle VI, extrait du moniteur N226, 1812, Paris

56. Archivum Fratrum Praedicatorum, vol. VIII, p. 112-113

57. Tardy L. rapport sur la Géorgie d'une chronique de l'année 1404. J. Bedi Kartlissa, b. XXXVI, 1978, Paris

58. Kern A. Jean de Gaillfotaine, Libellus Brevis de Notitia Orbis, 1938, Grats

59. Lelong, Bibliothèque historique de la France, t. I, Nouvelle Biographie Universelle, Paris, 1994, b.7

60. Bouvier Gilles (le héraut Berry), Géorgie, Arménie, Turquie XV siècle, Bibliothèque Nationale, mss français, Fr. 5873, Paris

61. Larousse, Grand Dictionnaire Universel du XIX s., Genève-Paris, 1982, b.VI

62. Davity P., Description générale de l'Asie, des géorgiens, Bibliothèque Orientale, mf. 912, Paris, p.256

63. Tudel Benjamin de, voyage autour du monde, Paris, 1735, p.222

64. ქართული დიპლომატიის ისტორია, თსუ, თბილისი, 2003, გვ. 201-203

65. იქვე, გვ. 274

66. Histoire des Orpélians, t. II, des "Mémoires sur l'Arménie, p.260

67. Histoire des Orpélians, t. II, des "Mémoires sur l'Arménie, p.260

68. Remusat, A.Mémoires sur relations politiques..., Paris, 1822

69. Ragueb U., les commercants érrants dans le monde musulman, 1989, Paris, 177

70. Journal historique du voyage et des aventures singulières de l'embassadeur de Perse en France, itinéraire de Perse, Paris, 1715

71. Relations inedites des missions de la compagnie de Jésus à Constantionople, Paris, 1864, p. 241

72. Agassian M., Kevonian K., le commerce arménien dans l'Océan Indien aux 17^{e} et 18^{e} siècles, Paris, 1996, p. 165-161

73. Carayon A., les relations inédites des missions de la compagnie de Jésus à Constantionople et dans le Lévant au XII^{e} siècle, Paris, 1864, p. 64

74. იქვე, გვ. 164

75. Kevorkian S., repertoire des imprimés français du XVII^{e} s. sur l'Arménie et les arméniens, b. XV, Paris, 1981

76. P.Philippe de la très-saint Trinité l'empire de Perse, Lion, 1652, p.94

77. იქვე, გვ. 309

78. Goujet, mémoires sur le collège royal, Quérard, la France littéraire

79. Petis de la Croix, voyage en Orient... Paris, 1894, XX, p. 387

80. Relations édités... la vie de Messire François Piquet consul de France et de Holland à Alep, Paris, 1864, p. 483

81. Brèves, discours abbregé des asseures moyens d'anéantir et ruiner la monarchie des Princes ottomans, Recueil Historique, contenant diverses pièces curieuses de ce temps, p. 101, Cologne, 1666

82. Doulier-Deslandes A. les beautés de la Perse, b. 14, Paris, 1673

83. იქვე, გვ. 30

84. De Cesy S^{r}., voyage en Levant, fait par le Commandement du roy en l'année 1621, Paris, 1624

85. Sanson, voyage ou relation de l'état présent du royaume de Perse, p. 177, Paris, 1694

86. Полиевктов М.А., европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу, Тифлис, 1935, стр. 121

87. Carayon Aug., documents inédits concernant la compagnie de Jesus, document XXIV, Poitiers, 1869

88. Missons des Jésuites en Russie et dans l'archipel Grec, p. 239, Paris, 1869

89. Castonnet des Fosses H., La Boullaye Le Gouz, sa vie et ses voyages, Angèrs, 1891

90. Mortouriet Duflorses, une lettre inédite de Le Boullaye le Gouz, Angers, 1882

91. Boulley le Gouz Fr., les voyages et observations, XXX, p. 74, Paris, 1657

92. Larousse Pierre, Grand Dictionnaire Universel du XIX^{e} siècle, b. XII, II, Genève-Paris, 1982

93. Poullet, nouvelles relations du Lévant, IX, p. 105, Paris, 1668

94. Cousin, Eloge de D'Herbelot, le Journal des Savants 3 Janvier, 1996; Perault, Hommes illustres, Bibliothèque Orientale, t. II. p. 154-155; Goujet, mémoire sur le Collège de France, b. III, p. 155-158, Paris, 1996

95. D'Herbelot de Molainville B. Bibliothèque Orientale ou dictionnaire Universel, Paris, 1697

96. Saint-Martin V. le description historique et geographique de l'Asie Mineure, b. I, შესავალი, Paris, 1852

97. სილვესტრ დე სასი, „შენიშვნა სპარსეთის ორი პროვინციის შესახებ", 59, პარიზი, 1813

98. D'Herbelot de Molainville, B., bibliothèque Orientale, ou dictionnaire, b. I, 158, Paris

99. Firmin-Didot Frères, Nouvelle biographie universelle, b.3, p. 882

100. Balteau J. R. P. Philippe Avril, Dictionnaire de boigraphie française, b. iV, Paris, 1948

101. Sommervogel, Bibliothèque de compagnie de Jesus, b. I, col. 706, Paris, 1890

102. Avril R.P. Philippe, Voyage en divers état d'Europe et d'Asie, p. 72-80, Paris, 1692

103. Avril P.H. voyage en divers états d'Europe et d'Asie, p. 25, Paris, 1692

104. Avril Philippe R.P., Voyage en divers états d'Asie et d'Europe, p. 79, Paris, 1692

105. იქვე, გვ. 80

106. იქვე, გვ. 278

107. Nouvelle biographie générale depuis les temps les plus reculés jusqu'à nos jours, b. VIII, p. 858-859, Paris

108. Carré Fr., Voyage des Indes orientales, mélé de plusieurs histoires curieuses, Paris, 1699

109. Carré Fr., Voyage des Indes orientales, p.p. 160-165, Paris, 1699

110. იქვე, გვ. 165

111. Relation de Perse écrite à un amy en France par Sen.L'Abbe Gaudereau, missionaire en Perse, 1701, B.N.manuscrit fr.

112. De La Forest de Bourgon, Relation de Perse ou l'on voit de la religion dans le plus grande partie de l'Orient, Angers, MDCCX. Paris, 1702, B.N. Paris

113. Memoires de l'Académie des Inscriptions t. XXIX, Bibliothèque Nationale, Paris

114. Recueil d'Antiquités, t. II, p. 169, t. III, p. 217, Bibliothèque de l'Arsenal, Paris

115. Payssonnel Ch. de Essai sur les troubles actuels de Perse et de Géorgie, Bibliothèque Nationale, Paris

116. Querard, La France littéraire, 1806

117. Ferrières-Sauveboeuf, Mémoires historiques, politiques et géographiques de Voyages... p. 268. t. I

118. Voyages du Comte de Ferrières-Sauveboeuf, 1787, p. 118

119. de comte de Ferrières-Sauveboeuf "voyages, t. I, ch. XII, p. 268

120. Ferrières-Sauveboeuf, Mémoires historiques, politiques et géographiques... p.p. 247, 252

121. Traité général de géographie XVIII s., B.N. mns.fr. 9668

122. Dictionnaire de Biographie française, Paris, 1939

123. Expilly J.J., la géographe manuel, Paris, 1757

124. Expilly J.J., le Géographe manuel, § IV, p. 157, Paris, 1757

125. ზ.ტატაშიძე, ჯ.კეკელია, კ.ხარაძე, დ.უკლება, ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ატლასი, თბილისი, 1997 წ. X გვ.

126. Bitard, Dictionnaire de Biographie, Le Livre d'or de la Géographie

127. ზ.ტატაშიძე, ჯ.კეკელია, კ.ხარაძე, დ.უკლება, ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ატლასი, თბილისი, 1997 წ. IX გვ.

128. De L'isle G., avertissement sur la carte générale de la Géorgie, Arménie etc., Paris, 1766

129. Dictionnaire de Biographie française, Clastre Andre, t. VIII, Paris, 1959

130. Quérard, la France littéraire, Declaustre André (Cerceau du), Paris, 1806

131. De Claustre André, Histoire des revolutions de Perse depuis le commencement de ce siècle jusqu'à la fin du reigne de l'usurpateur Aszraff, t. I-II, Paris, 1742

132. De Claustre André (Du Cerceau), Histoire de Tamas Kouli-Kan, nouveau roi de Perse, Histoire de la dernière revolution de Perse arrivée en 1732, Paris, 1758

ს ა რ ჩ ე ვ ი

ფრანგული მოგზაურული ლიტერატურის ისტორიისათვის 3

შუა საუკუნეების ფრანგული მოგზაურული ლიტერატურა 22

თანმხლები პირის როლი ფრანგ მოგზაურთა მოღვაწეობაში. 27

საქართველოს სახე მისიონერულ მოძრაობაში . 35

შუა საუკუნეების მოგზაურები საქართველოს შესახებ 46

სომონ დე სენ-კანტენი 48

ქართველთა განადგურების შესახებ (თათართა ისტორიიდან) 51

ქართველთა მირონცხებისა და შეცდომების შესახებ 52

ჟან პლან დიუ კარპენი 53

გიიომ დე რიუბრიუკი 56

ჟურდენ კატალანი დე სევერაკი 59

ჟან დე გაიფონტენი 61

საქართველო 1404 წელს 64

ჟილ ლე ბუვიე 68

პიერ დავიტი 70

ქართველები 72

XVII საუკუნის ფრანგი მოგზაურები საქართველოს შესახებ 79

დე ბრევი 87

ანდრე დულიე-დელანდი 88
სილვესტრ დე სეზი 89
სანსონი 92
ლუი გრანუე 96
ლა ბულეი ლე გუ 110
ქართველები 111
პულე 112
ბარტელები დ'ერბელო დე მოლენვილი 116
ფილიპ ავრილი 122
ივერიის დედოფალი ათავისუფლებს მეუღლეს საპყრობილედან 127
ფრანსუა კარე 130
ორი ქართველი ქალის ამბავი 135
XVIII საუკუნის ფრანგი მოგზაურები საქართველოში 141
აბე გოდერო (დე ლა ფორეს დე ბურგონ) 142
შარლ დე პეისონელი 148
ესე სპარსეთისა და საქართველოს ახლანდელი მღელვარების შესახებ. საქართველოს გეოგრაფიული დაყოფა 153
სამეგრელოს სამთავრო 156
იმერეთის სამთავრო 157
კახეთის სამეფოს შესახებ მეფე ალექსანდრედან უკანასკნელი მეფის თეიმურაზის სიკვდილამდე 161

ქართლის სამეფო ლუარსაბიდან შაჰ-ნავაზის სიკვდილამდე. ეს სახელმწიფო შედის კახეთის სამეფოს ოჯახში 166

ქართველ მეფეთა შთამომავლობა შაჰ-ნავაზის გარდაცვალებიდან ვახტანგ მეფის ხანამდე . . . 168

კახეთის მემკვიდრეობის გაგრძელება, ერეკლეს მიერ არჩილის გაძევებიდან მეჰმედ-ყული-ხანის გამეფებამდე 174

მეჰმედ-ყული-ხანის ბრძოლა ვახტანგთან. ქართლის მეფეების განდევნა. მეჰმედ-ყული-ხანის სიკვდილი 176

მეჰმედ-ყული-ხანის სიკვდილიდან დღევანდელი თეიმურაზის საქართველოს მეფისნაცვლად დამტკიცებამდე 180

ავღანელთა განლაგება აზერბაიჯანში, ბახტიართა (Bactiaris) აჯანყება, ისმაილ-შაჰის გამეფება 1750 წ. ავღანები დამარცხებულია ერეკლეს მიერ. ავღანები ანადგურებენ ერევნისა და ნახიჩევანის (Naxivan) მხარეს. შაჰ-რუქი დაბრმავებულია 186

მეფის ასარჩევად შემუშავებული მოკავშირეთა ანუ ლიგის პროექტი. თეიმურაზს უღალატეს ამ პროექტის შესრულებაში. ლეკებმა დაამარცხეს ერეკლეს ჯარი. ერეკლემ გაანადგურა და განდევნა ლეკები. ავღანთა მიერ მშვიდობის დამყარება ერეკლესთან 190

სპარსეთისა და საქართველოს მდგომარეობა ამჟამად, 1753 წელს 197

ფერიერ-სოებეფი 200

საქართველო 207

უცნობი მოგზაური 215

საქართველო 217
ჟან-ჟოზეფ ექსპილი 220
საქართველო 222
დე ლილი 223
ტიფლისის აღწერა 232
ანდრე დე კლოსტრი (დიუ სერსო) 236
ქაროველი ქალი 238
საქართველო 239
La Géorgie dans la littérature française de voyage 243
სახელთა საძიებელი 247
ლიტერატურა 257
სარჩევი 264

Malvina Iamanidze

La Géorgie dans la littérature française de voyage (XIII-XVIII ss.)

Tbilissi
2006

© მეცნიერება – 2006